


სახვითი ხელოვნების ქრონიკები

2009



საქართველოს მხატვართა ჯავშირის
ქუთაისის ორგანიზაცია

სახვითი ხელოვნების ქიონიკები **2009**

საქართველოს
მხატვართა კავშირის
ქუთაისის ორგანიზაცია

ქუთაისი, 2012

ინტეჩიუ

ნღის ჰანოხამა

ხეჰხოღუქციები გამოფენებიდან

შემოქმედებითი ჰოხიქიქი

მიმოხიღვა

იუბიღე

ახალი თაოზა

საეღესიო მხატვიოზა

საზღვაიღაიქე მოღვაწე ქუთაისეღი მხატვიები

ქანდაკეები ქუთაისში

მეგობიის გახსენება

ხსოვნა

ქაიოეღი მხატვიოზის უცნობი ფიქციეღი

იდელისა და პროექტის ავტორი: ჯეირან ფაჩუაშვილი
ტექსტის ავტორები: ანა ახვლედიანი, ნინო ზაალიშვილი,
ზურაბ თოდუა, მანანა ლარცულიანი,
ნატო პატარიძე, შორენა ფხაკაძე
რედაქტორი: თემურ ამყლაძე
დიზაინი: ჯეირან ფაჩუაშვილი
კომპიუტერული მაკეტი: ლევან ჩიხლაძე
საფონდო სამუშაოები
და ოპერატორი: იზა ქობულაძე
ფოტოები: გურამ გერსამია, თორნიკე ტურაბელიძე,
მამუკა კაკაურაძე, ილო ხახიაშვილი,
თემურ ჯაფახაძე, იზა ქობულაძე

განსაკუთრებული მადლობა მხარდაჭერისა და თანადაფინანსებისათვის ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურს.

გაწეული დანმარებისათვის მადლობას ვუხდით ქუთაისის დავით კაკაბა—ძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეის დირექტორს, ქალბატონ ელისო ჩოგოვაძეს, დირექტორის მოადგილეს, გიორგი ლომიძეს და ფონდის მცველს, ქალბატონ ეკატერინე კაკაბაძეს.

ინტერვიუ საქართველოს მხატვართა ჯავშირის ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელთან ჯეირან ფაჩუაშვილთან

— ქუთაისელ მხატვართა წარმატებაში, ორგანიზაციის აქტიურ მუშაობაში თქვენი წვლილიცაა. საორგანიზაციო საქმეებში ჩართვა, ზრუნვა კოლექციის შემოქმედების წარმოჩენაზე, მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ყოველდღიური თუ უფრო გლობალური პრობლემების გადაჭრისათვის გარკვეულ მსხვერპლს — დიდ დროს, ენერჯიას მოითხოვს, ეს, უპირველეს შემთხვევაში, საკუთარი შემოქმედებისთვის განკუთვნილი დროის დათმობის ხარჯზე ხდება. შედეგად ლეზულობით დიდ სიხარულს, უფრო სწორად — გულსიტკვივლს, რაც დაკავშირებულია ისეთ ადამიანურ თვისებებთან, როგორცაა უმადურობა, დაუნახაობა (თუმცა თქვენ არაერთხელ ავტონიშნავთ, რომ არა მადლობისთვის, არამედ სიკეთის ქმნისთვის მუშაობთ)... და მინც, ვიპასუხოთ, სომ არ გწვდებით გული, რომ ნაკლები დრო დაუთმეთ საკუთარ შემოქმედებას? რას თვლით თქვენს მთავარ მიღწევად?

— შევეცდები, ვიპასუხოთ გულახდილად. დავამთავრე სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის თეატრალური განყოფილება (1968) დიდი სცენოგრაფის ფარნაიზ ლაბიაშვილის ხელმძღვანელობით.

მან ბევრი გამოჩენილი თეატრალური მხატვარი აღზარდა. ასეთები ჩვენს პლუდაშიც იყვნენ (ბევრ მათგანს ბრწყინვალე მომავალი ელოდა — სპექტაკლები მსოფლიოს სახელგანთქმულ სცენებზე, მაღალი ჯილდოები). მეც მქონდა არჩევანი — დავრჩენილიყავი თბილისში, იქ ამეწყო თეატრალური მხატვრის კარიერა თუ დაგებრუნებულიყავი ქუთაისში... მე ბოლო ვარიანტი ავირჩიე და არ ვიანბო.

პირველი სპექტაკლები სტუდენტობის დროს გაეფორმე. წლების მანძილზე მივალწიე შემოქმედებითა და სამსახურეობრივ წარმატებებს, დავიმსახურე მაღალი ჯილდოები. ორმოცი წლის მანძილზე ვიყავი ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის მხატვარი, მთავარი მხატვარი, ბოლო ცხრა წელი სამხატვრო ხელმძღვანელი და გენერალური დირექტორი...

თეატრში მუშაობის სინდიკატებს ახლავს უდიდესი სიამოვნება — შემოქმედებითი მიღწევები, პრემიერების სიხარული, საინტერესო გასტროლები.



მქონდა ბედნიერება, წლების მანძილზე საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გამეფორმებინა ასზე მეტი სპექტაკლი, შევხვებოდი მსოფლიო და ქართული დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშებს, შემოქმედებითად მეთანამშრომლა მრავალ გამოჩენილ რეჟისორთან, თანამედროვე ქართველ მწერალთან, ქორეოგრაფთან, კომპოზიტორთან, მსახიობთან. ჩემი სცენოგრაფია არაერთხელ აღინიშნა პრესტიჟული ჯილდოებით. ექვნიდი ფერწერულ ტილოებსაც, ცხვოვრობი საკმაოდ სისხლსავსე შემოქმედებითი ცხოვრებით — როგორც მხატვარი, ვმონაწილეობდი საერთაშორისო პლენერებში, მნიშვნელოვან გამოფენებში.

მე მესმის თქვენი შეკითხვის არსი — შემეძლო თუ არა მეტის გაკეთება ამ მიმართულებით — ფფიქრობ, შემეძლო. მაგრამ საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური ჩართვაც ჩემი არჩევანი იყო, ისევე, როგორც ერთხანს, ქვეყნისთვის გარდამტეხ მომენტში, საქართველოს პარლამენტში მოღვაწეობა. მხატვართა კავშირში მუშაობამ დრო კი არ წაპართვა, პირიქით, ჩემი მინაგანი შესაძლებლობების ახალი წახნაგები გამოაჩინა. მხატვრებთან, ხელოვნების მოყვარულებთან ურთიერთობამ, კონტაქტებმა საზოგადოებასთან, გაამდიდრა ჩემი სულიერი ცხოვრება, მის ორგანულ ნაწილად იქცა.

ვამაყო, რომ წვლილი მაქვს შეტანილი ქუთაისის მხატვართა ორგანიზაციის როლის ამაღლებაში, ქალაქის სამხატვრო ცხოვრების გაამდი-

რებაში, ახალი იდეების დანერგვაში. შედეგად იყო მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება — ჯგუფური და პერსონალური გამოფენები, ტრადიციად ქცეული „მხატვრის კვირეულები“. ფეიქრობ, სხვა რომ არაფერი გამეკეთებინა, საამაყოდ დამჩნება, რომ (კოლექციებთან ერთად) აქტიურად ვმონაწილეობდი საერთაშორისო პლენერებისა და სიმპოზიუმების ორგანიზებაში, რამაც უაღრესად დიდი როლი ითამაშა ქალაქის სამხატვრო ცხოვრების გამოცოცხლების საქმეში, სახვითი ხელოვნებისადმი ქუთაისის საზოგადოების მხრიდან ინტერესის ვალკივებაში. ამას გარდა, ჩვენს მიერ ორგანიზებული



თვა სულაბერიძე და ლალი დათიაშვილი

ფერმწერთა საკავშირო და საერთაშორისო პლენერების ჩატარების შედეგად შექმნილი დ. კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეის ფონდების შესამჩნევად გაძლიერება. წლების მანძილზე ვალერეას ჩვენგან, მხატვართა კავშირისგან გადაეცა მრავალი ათასი მანეთის (ლარის) ღირებულების ცნობილი ქართველი და უცხოელი კოლექციები, ქუთაისელი მხატვრების ნამუშევრები (რომ არაფერი ვთქვათ კოლექციის მხატვრულ ფასეულობაზე), მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმებმა ქალაქს შესძინა მაღალმხატვრული ღირებულების ქანდაკებების ორი სკვერი.

ბევრს, ალბათ, ახლაც ახსოვს საზეიმო ვანწყობა, რასაც „მხატვრის კვირეულების“ მასშტაბური ჩატარება იწვევდა. მასში მთელი ქალაქი, უამრავი სტუმარი იყო ჩართული.

ასევე მნიშვნელოვნად ვფიქროვებ ვალერეა „ვარლას“ დაარსებას, რამაც ჩვენს მხატვრებს საკუთარი შემოქმედების საზოგადოებისთვის წარდგენის მეტი შესაძლებლობა მისცა. თავის დროზე მნიშვნელოვანი წვლილი მიგვიძღოდა იმერეთის რეგიონში, თერჯოლასა და ცაგერის სამხატვრო გალერეების დაარსებაში, მათთვის ექსპონატების შერიგვაში, ექსპოზიციის მოწყობაში.

ასევე მნიშვნელოვნად მიმანია ერთდროულად გაზეთების, მხატვართა პერსონალური და ჯგუფური გამოფენების კატალოგების გამოცემა, ქუთაისელი

მხატვრების გამოფენების დედაქალაქსა და საზღვარგარეთ ორგანიზება, „სახვითი ხელოვნების ქრონიკების“ ყოველწლიური კრებულების გამოცემა.

ეს ყველაფერი რთული სამუშაო იყო, განსაკუთრებით ისეთ ექსტრემალურ ვითარებაში, როგორცაა ფორმაციათა ცვლის პერიოდი, ომისა და სამოქალაქო დაპირისპირების, გამძაფრებული ეკონომიკური კრიზისის სიტუაცია.

ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ ახალი სტიმული მისცა ჩვენს მოღვაწეობას. ამ პირობებში ერთ-ერთი მთავარი ამოცანა კოლექციზე ზრუნვა, მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება გახდა. უნდა შევნიშნო, რომ ჩემი შემოქმედებითი და ორგანიზაციული საქმიანობა არცერთი ხელისუფლების დროს არ დარჩენილა უყურადღებოდ.

გულდასაწყვეტიც მაქვს — დასანანია ქალაქის ცენტრში მდებარე სამხატვრო სალონის ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დაკარგვა. იგი ბევრი მხატვრის მატერიალური კეთილდღეობის გარკვეულ საფუძველს წარმოადგენდა.

უფრო ფართო გაგებით თუ ვიმსჯელებთ, ჩემს მთავარ მიღწევად იმ პატივისცემას, მხარდაჭერას ვფიქროვ, რასაც საზოგადოებისგან, კოლექციისგან ვგრძნობ და იმ კონტაქტებს, რაც ახალ თაობასთან გვაქვს.

— ახალ სიტუაციაში შემოქმედებითი კავშირები საკმაოდ მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ, როგორ ახერხებთ ამჟამად სახარების მოპოვებას საგამოფენის მატერიალური სტიმულებისათვის?

— ბოლო წლებია, საქართველოს მხატვართა კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის ყველა ღონისძიება, პროექტი ხორციელდება პროგრამული დაფინანსებით. ასე გაიმართა 2009 წლის საშობაო, საგაზაფხულო, სამემოდლო გამოფენები, დაიბეჭდა „სახვითი ხელოვნების ქრონიკების“ (2007) კრებული. პროექტებში გათვალისწინებულია ღონისძიებების გამართვის ყველა (ექსპოზიციის მოწყობის, პოლიგრაფიული, მხატვართა საბრძოლო, მათი შემოქმედების სტიმულირების, პოპულარიზაციის) ხარჯი.

მადლობის მეტი რა გვეთქმის ქალაქისა და მხარის ხელმძღვანელობისადმი, რომ ახერხებენ, გარკვეული თანხები ჩაიდოს ბიუჯეტში კულტურის განვითარებისთვის.

2009 წლის მიღწევად უნდა ჩაითვალოს საშობაო გამოფენის დაფინანსება (სეზონური გამოფენები ადრეც ფინანსდებოდა), რამაც შევკავშირებინა წლის შედეგების შეჯამება და პრემიების გაცემა. მოგაკვსენებათ, სეზონური (საგაზაფხულო, სამემოდლო) გამოფენები ფინანსდება 5000–5000 ლარით. ამას დაემატა საშობაო გამოფენა (5000 ლ.) და „სახვითი ხელოვნების ქრონიკების“ 2007 წლის კრებულის დასაბეჭდად გამოყოფილი 3000

ლარი. პროგრამული დაფინანსება არის ქალაქის ხელისუფლების, კერძოდ, საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონ ამირან ხვადაგიანის, ქალაქის მერის, ნუგზარ შამუგიას, კულტურის სამსახურის უფროსის, ბატონ გიზო თავაძის მხატვრებზე ზრუნვის შედეგი, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მხატვრების სახელით...

— თქვენი საყვარელი პირშოა სეროული გამოცემა „სახვითი ხელოვნების ქრონიკები“, რომელიც 2004 წლიდან გამოდის და მოიცავს მასალებს 2001 წლიდან. ეს საკმაოდ სქელტანიანი, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი, მრავალმხრივი ინფორმაციის შექცეული კრებული იმერეთის სამხატვრო ცხარების გარკვეულ შემადიანედ იქცა.

— თქვენ მართლს ბრძანებთ — „სახვითი ხელოვნების ქრონიკები“ ჩემი საყვარელი პროექტია. გამოცემა ყოველწლიურად იხვეწება, მდიდრდება ახალი რუბრიკებით. მასში უხვად არის ინფორმაციული და ანალიტიკური მასალები, ტრადიციული მილოცვებიც და გარდაცვლილი კოლეგათა მოსაგონარი, გამოფენების ქრონიკა და მითოზილა, ღვაწლმოსილი ადამიანების შემოქმედებითი მიღწევების ფიქსირება, მათი საიუბილეო თარიღების აღნიშვნა. დიდი ყურადღება ექცევა ახალგაზრდა მხატვრების შემოქმედების პოპულარიზაციას, არ ვიფიქნებთ საზღვარგარეთ მოღვაწე ჩვენს კოლეგებს, ვაქვეყნებთ მხატვართა მოგონებებს, მასალებს სამხატვრო განათლების შესახებ. სულ უფრო მეტი ადამიანი ერთვება ჩვენს მუშაობაში. ცნობილი ხელოვნებათცოდნის, ზურაბ თოდუას გვერდით, ქვეყნდება მ. ლარცულაიანის, ნ. თუთისანის, მ. ქურციკიძის, დ. გაბუნიას სტატიები. გამოჩნდნენ ახალგაზრდა, საინტერესო ავტორები: ნ. პატარაძე, შ. ფსაკაძე, ლ. კობაძე, ა. ახვლედიანი. ვთანამშრომლობთ თბილისელ ხელოვნებათცოდნეებთანაც: ირინა აბესაძესთან, იდა ოცხელთან, თეა უფროშაძესთან, ნინო ელერდაშვილთან და სხვებთან. განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენი კრებულის გამოცემაში ნინო ზაალიშვილს. „ქრონიკები“ მდიდრდება ვიზუალურადაც, ვცდილობთ, კიდევ უფრო გავზარდოთ ბეჭდვისა და დიზაინის ხარისხი. მრავალი წელია, თავისი წვლილი კრებულის შექნაში შეაქვთ კავშირის მრავალწლიანი, ერთგულ თანამშრომელს იზა ქობულაძეს, აღმასრულებელ დირექტორს ვ. მემძირაიშვილს, ფინანსურ მენეჯერს ა. სისარულიძეს.

მისარია, როდესაც ქუთაისელი და თბილისელი კოლეგები დადებითად აფასებენ ჩვენს შრომას, გულღაც მწუხდება, როდესაც ზოგიერთი სათანადოდ ვერ აღიქვამს კრებულების მნიშვნელობას.

ნაწილი ამ წიგნებისა უკვე დარიგებულია (გადაცემა პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას, ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკას და სხვა), ამ პროცესს კვლავ გავაგრძელებთ, რომ სულ უფრო ბევრმა

მკითხველმა შეიტყოს ქუთაისელი მხატვრების შემოქმედების შესახებ. აუცილებლად გადავცემ გამოცემებს გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ცენტრის თბილისში, რათა XX საუკუნის ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი გამოცემის მიმზადებისას არ დაივიწყონ ქუთაისელ მხატვართა შემოქმედება.

ოპონენტები გამოთქვამდნენ ეჭვს — დასაბეჭდი მასალა ძალიან გამოილევია და მერე რას გააკეთებენო. მინდა „გაფასარო“ ისინი — ყოველი გამოცემა სულ უფრო მდიდრდება ინფორმაციით, კიდევ ბევრი რამ გვაქვს გამოსაქვეყნებელი როგორც წარსულსა და დღევანდელობაზე, ისე სამომავლო პერსპექტივებზე. იმედი მაქვს, სულ უფრო ბევრი ადამიანი გაიზრება ამგვარი გამოცემების მნიშვნელობას. ფეიქრობ, აქ გამოქვეყნებული მასალები განდებთ საფუძველი მომავალი ილუსტრირებული ალბომებისა თუ სხვა გამოცემებისა, მთლიანად რომ მოიცავს იმერეთის მხარეში მოღვაწე მხატვართა შემოქმედებას.

— თქვენი მუშაობის ერთ-ერთ ქვაკუთხედს,



ნიკოლოზ ფაჩუაშვილი, კახა გოგოლაშვილი, გივი ბურძენი, ციცინო ხელაძე, ჯეირან ფაჩუაშვილი

როგორც არაერთხელ საჯაროდ განვიცხადებთ, წარმოადგენს მხატვართა ახალი თაობისადმი მხარდაჭერა.

— ნამდვილად ასეა. ვცდილობთ, ხელი შევეწყვიტოთ ახალგაზრდების შემოქმედებითსა და საგამოფენო საქმიანობას. დიდ ადგილს უთმობთ მათ ნამუშევრებს „ხელოვნების ქრონიკებში“. თვალს რომ გადავაგვლოთ 2009 წლის გამოცემას, მთავარ თემად იკვეთება სწორედ ახალგაზრდობა. უფროსი და საშუალო თობის გვერდით მათ ღირსეული ადგილი დამკვიდრეს, აქტიურად მონაწილეობენ ტრადიციულ საგაზაფხულო, სამემოდიოგო და სამობაო გამოფენებში.

უკანასკნელ პერიოდს რაც შეეხება, ერთმა ნაწილმა (თ. სულაბერიძე, ი. სვანიძე, გ. კილაძე) ჯგუფური გამოფენა მოაწყო. შედგა თეკა მეგინიეშვილის დებიუტი. გამოფენებში წარმატებით მონაწილეობენ ბ. ფსაკაძე, ა. ზვერევი, ლ. ბუცხრიკიძე. ეს უკანასკნელი საეკლესიო მოხატულობებზეც

მუშაობს. ახალგაზრდა მოქანდაკეს გ. კიკვაძეს გადაეცა პრემია წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის. მანვე დადგა ი. ხვიჩიას ძეგლი ჟიურის გადაწყვეტილებით (ჟიურიში მე და თ. თადემაძეც ვიყავით) და გაიმარჯვა ე. თაყაიშვილის ძეგლის კონკურსშიაც: ნატო, ნოე, ქუთეფან მიქავებმა შექმნეს სალონი „მიქავეები“; სადაც იკრებოდა ეროვნული, სადღესასწაული კონსტიუტები თქვის, ტრადიციული ქართული ორნამენტების გამოყენებით. მნიშვნელოვანია „ხელოვნების ქრონიკების“ ფურცლებზე ახალგაზრდა ხელოვნებამცოდნეთა წარმოჩენაც. ესენია: შორენა ფხაკაძე, ნატალია პატარიძე, ეკა ახვლედიანი. ახალგაზრდების წარმატებებში, მათი შემოქმედების პოპულარიზაციაში მსატყვართა კავშირის წვლილიცაა. ამ მიმართულებით მუშაობას კვლავაც გავაგრძელებთ.

— **ყოველ ადამიანს აქვს ემოციური მესხიერება, სადაც ფიქსირდება გამოჩენილი მოვლენები, შეხვედრები... რა ჩაერიათ გულში, რა არის ყველაზე ძვირფასი, რაც თქვენნი მოვლენების ყულაბაში გაქვთ შენახული...**



საგაზაფხულო გამოფენაზე

— რა თქმა უნდა, გ. მაისურაძის სახელობის სამხატვრო სკოლა, სადაც მივიღე პირველდაწყებითი სამხატვრო განათლება და ბევრი გამოჩენილი პედაგოგი მასწავლიდა: ივანე ჭყიშვილი, ვალერიან მიზანდარი, დიმიტრი თაყაიშვილი, მაყვალა ნასიძე, გიორგი ნიკოლაძე, ჯაბულო აბესაძე, არჩილ და მისეილ ჩოგოვაძეები, გიორგი ჩხეტია. ჩემი მასწავლებლები სამხატვრო აკადემიაში, დიდი სცენოგრაფი ფაჩნა ლაბაიშვილი — როგორ შეიძლება, დამავიწყდეს მისი სახელოსნო, გაკვეთილები, ემოციური მუხტი, რაც სდევდა ყოველდღიურ ურთიერთობას... ან კიდევ ის ამბულეზული განწყობა, რომელიც ვიგრძენი ჩემს მიერ გაფორმებული პირველი სპექტაკლის პრემიერის დროს... ვისხენებ ურთიერთობას გამოჩენილ თეატრალურ მოღვაწეებთან — მესხიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან, საბჭოთა

კავშირის სახალხო არტისტთან, სახელმწიფო პრემიების ლაურეატთან აკაკი ვასაძესთან, ქუთაისის თეატრის მსახიობებთან: მარი გელაშვილთან, თამარ კიკნაძესთან, თამილა ლასხიშვილთან, თინათინ ლვინაშვილთან, ევა ხუტუნაშვილთან, შოთა პირველთან, ვახტანგ მვერელიშვილთან, ალექსანდრე ქელბაქიანთან, შოთა საყალასთან, გრიგოლ ნაცვლიშვილთან, ვალიკო გვენცაძესთან, ერეკლე სვანაძესთან, ანზორ სერსაძესთან, დავით დვალისშვილთან და სხვა მრავალთან. პირველი სპექტაკლი სტუდენტობის დროს გადავფორმე რეჟისორ თამაზ მესხთან, შემდგომ ვთანამშრომლობდი რეჟისორებთან: იური კაკულიასთან, გოგი ქავთარაძესთან, გურამ დილა მაცხრონაშვილთან, ედგარ ევაძესთან, ნუგზარ ლორთქიფანიძესთან. ახლაც ვგრძნობ იმ სიამოვნებას, რაც ახლადგახსნილ ქუთაისის საოპერო თეატრის სცენაზე ატლერბუელი „აბესალომ და ეთერის“ მოსმენისას განვიცადე; სინარულს, როდესაც ვთვალთვლირებდი ახალი გალერეის სივრცეში პირველად გაშლილ უდიდესი ქართული მხატვრების ექსპოზიციას. მესხიერებაში ღრმად ჩამებუჭდა მრავალრიცხოვან სტუმართა და მასპინძელთა ბედნიერი სახეები...

ჩემი ცხოვრებისეული ხედეა გაამდიდრა ურთიერთობამ საერთაშორისო პლენერების გამორჩეულ მონაწილეებთან, განსაკუთრებით — მოსკოვლ ოსტატთან — მაქს ბირშტეინთან და მის ოჯახთან... ბატონი მაქსის და მისი ქალიშვილის — ანას შემოქმედებაში შესანიშნავად აისახა ჩვენი მხარე, ქუთაისი, სასიამოვნო იყო ხილვა, თუ როგორ ახერხებდა მაშინ ახალგაზრდა ნატალია ნესტეროვა, რომლის ნამუშევრებით ახლა ამაყობს მსოფლიოს ბევრი მუზეუმი, ასე კარგად, სატოვნად გამოესახა ჩვენთვის ნაცნობი, ქუთაისური კოლორიტული უბნები...

ასევე დასამახსოვრებელი იყო ურთიერთობა ცნობილი ქართველი მწერლის, საბჭოთა რეჟიმი-სგან დევნილი, გერმანიაში გადახვეწილი გრიგოლ რობაქიძის ძველ ნაცნობთან — მხატვარ პერდა ვასმუტ-პოლესთან.

არ დამავიწყდება ქუთაისელ მხატვართა ბრწყინვალე გამოფენა პარიზში, „ოუნესკოს“ შენობაში, რომლის გამართვაში დიდი წვლილი იმერეთის იმდროინდელ გუბერნატორს თ. შამაშვილს მიუძღოდა.

ყოველთვის მაღლიერებითა ვარ აღსავსე საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარის ნოდარ ჯანაშვილის მიმართ, იგი არ იშურებდა ზრუნვას ქუთაისელ მხატვართა შემოქმედების მხარდასაჭერად. დიდად ვაფასებ მის როლს საერთაშორისო პლენერების ორგანიზებაში. მისარია, რომ შევძელი, მხარი დამჭირა გამოჩენილი მოქანდაკის, ბატონ გიორგი ოჩიაურისთვის (იმ დროს საქარ-

თველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარისათვის), რომლის იდეა იყო ქუთაისში მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმის გამართვა.

გულს მითბობს ისეთი ეპიზოდების მოგონება, როგორიცაა შეხვედრები „მხატვრის კვირეულების“ გამართვისას ცნობილ ქართველ მხატვრებთან — ლადო გუდიაშვილთან, მეგრამ ბერძენიშვილთან, რომელთაც არ დაიზარეს ბავშვთა ნახატების კონკურსის პატარა მონაწილეებისათვის გადასაცემი სიგელებისათვის შექმნათ ნახატები. ბატონმა მერაბმა არცთუ დიდი ხნის წინ დაუთმო საგამოფნო დარბაზი კულტურის ცენტრ „მეზაში“ ქუთაისელ მხატვართა გამოფენას.

რა თქმა უნდა, არ დამეფიწყებდა სტუმრობა თბილისში, ქუთაისის დელეგაციის შემადგენლობაში შ. მალაქლიძესთან და ა. ოსუნიძესთან ერთად საქართველოს სასალსო მხატვართან უნაჯაფარიძესთან, რომელმაც ქუთაისის გალერეისთვის საჩუქრად გადმოგვცა მისი კუთვნილი ტილო — ფირსმანის კომპოზიცია „ქალი თარით“... მიმემდ ავადყოფი მხატვრის გადაწყვეტილების მიზეზი მისი ქუთაისისადმი, ქუთაისელებისადმი უდიდესი სიყვარული იყო.

სასიხარულო ემოციების გარდა გულში ნაღვიანი ეპიზოდებიც არის — არ დამეფიწყებდა ადრე წასული საყვარელი მეგობრები, კოლეგები. მინდა გავისახო შემთხვევა, რომელიც უნიჭიერეს მხატვარს ბერნარდ ნებურიძეს ეხება („ქრონიკების“ 2009 წლის გამოცემაში გამოქვეყნდება მისდამი მიძღვნილი მასალები ნ. ზალიშვილის მიერ შედგენილი კატალოგიდან, რომლის მთელი ტირაჟი დაიწვა თბილისის ომის დროს „მხატვრის სახლში“ და რამდენიმე ეგზემპლარიცა დაღარდა).

იქნებოდა 1976 ან 1977 წელი, ზუსტად არ მახსოვს. ქუთაისში ჩამოვიდა მაშინდელი კულტურის მინისტრი, დიდი კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი. მას ახლდა ბორის პოკროვსკი მუღლითურთ. ცნობილი საოპერო რეჟისორი მოსკოვის დიდ თეატრში თ. თაქთაქიშვილის ოპერის „მთვარის მოტაცების“ დადგმას აპირებდა, უნდოდა, თავად ენახა ადგილები, სადაც ოპერის მოქმედება მიდინარებდა — სამეგრელო და სვანეთი. ვზად ქუთაისში გამოიარეს. მასპინძლობას კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი აფთანდილი ბარათაშვილი, იმ დროს ქუთაისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ბატონი გოგი ქავთარაძე და მე ვუწვევდით. ვაჩვენეთ არქიტექტურული ღირსშესანიშნაობები: გელათი, ბაგრატი, მოწამეთა. დათავლიერეს ეთნოგრაფიული მუზეუმი. ბოლოს სამხატვრო გალერეას ეწვევნენ. სტუმრები გაეცნენ სტაციონარულ გამოფენას, აღფრთოვანდნენ ქართული ხელოვნების შედეგებით. ნახეს თანამედროვე ქუთაისელი მხატვრების ნამუშევრების ექსპოზიცია-

აც. ბატონმა ოთარმა ყურადღება შეაჩერა ბერნარდ ნებურიძის ერთ პატარა, ფანქრით შესრულებულ გრაფიკულ ჩანახატზე და განსაკუთრებით მოიწონა, შესანიშნავი ნამუშევარი. ნახატზე ბერნარდის შვილი, დათო იყო გამოსახული. ძალიან გამეხარა, რომ ბერნარდის ნამუშევარი ისეთი დიდი გემოვნების შემოქმედმა დააფასა, როგორც ოთარ თაქთაქიშვილი იყო.



დამთავალიერებლები საგაზაფხულო გამოფენაზე

სმირად მაგონდება ვახტანგ ჯაყელიც. 1979 წელს ჩვენი მეგობარი, ხელოვნების დიდი მოყვარული რამაზ მხეიძე პარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტის პირველ მდივანად დანიშნეს. მან გადაწყვიტა, ცაგერში გაეხსნა სახვითი ხელოვნების გალერეა და სამხატვრო სკოლა. ჩემი შუამდგომლობით, საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ ბატონმა ნოდარ ჯანბერაძემ სამხატვრო ფონდის მთავარ მხატვარს გენო გელაშვილს სთხოვა, ფონდებიდან შეერჩია საუკეთესო ნამუშევრები ცაგერისთვის. რამაზმა ასევე მთხოვა, რეკომენდაცია გამეწია მხატვრისთვის, ვინც შეძლებდა სათანადოდ ეხელმძღვანელა სამხატვრო სკოლისა და გალერეისთვის. ასეთად ვახტანგ ჯაყელი მივიჩნეე. მას ყველა პატივს სცემდა, როგორც კარგ მხატვარს და პედაგოგს. გალერეა და სკოლა დღესაც არსებობს, იქ პედაგოგებად მისივე აღზრდილები მუშაობენ.

— რა გეგებო გაქვთ სამომავლო?

— ჩემი ინტერერეო მინდა დავამთავრო ამერიკელი დრამატურგის ვ. დელმარის მრავალი წლის წინ ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე დადგმული პიესის, — „დაუთმე ადგილი სვლინდელ დღეს“ — სათაურის პერიფრაზით, რომელიც ამჟამად ჩემს კრედიტ შეიძლება ჩაითვალოს — „დაუთმე ადგილი სვლინდელ დღეს“ — ახალგაზრდებს“.

ჩაიწერა 60670 ზალიშვილი

აღივარება

6 იანვარს, საშობაო გამოფენის გახსნისას, 2008 წელს საუკეთესო ნამუშევრების შექმნისათვის მსატყვრებს ფულადი პრემიები გადაცემა:

1. **გიორგი კიკეაძეს** – წლის საუკეთესო ნამუშევარი – 350 ლარი.
2. **ვიტალი კაპანაძე** – წლის საუკეთესო ფერწერული ნამუშევარი – 200 ლარი.
3. **ათანდილ აბესაძე** – წლის საუკეთესო გრაფიკული ნამუშევარი – 200 ლარი.
4. **გიორგი დარსაველიძე** – წლის საუკეთესო სკულპტურული ნამუშევარი – 200 ლარი.
5. **თამარ ჭეიშვილი** – წლის საუკეთესო ნამუშევარი გამოყენებით ხელოვნებაში – 200 ლარი.

საიუბილეო მილოცვა

8 იანვარს მსატყვრა ათანდილ ტატანაშვილს 70 წელი შეუსრულდა.

6 იანვარს, საშობაო გამოფენის გახსნისას, საქართველოს მსატყვართა კავშირის მდივანმა, ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ჯეირან ფაჩუაშვილმა ბატონ ათანდილს საიუბილეო თარიღი მიულოცა და აქტიური შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის ფულადი პრემია გადასცა. ოქმილარს გულთბილი სიტყვებით მიმართეს და მიულოცეს მეგობრებმა, კოლეგებმა და საზოგადოების წარმომადგენლებმა.

ათანდილ ტატანაშვილმა გულთბილი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას.

საგაზაფხულო გამოფენა

– 2 მაისს, მაისობის დღესასწაულზე, გალერეა „ვარლამი“ საზეიმოდ გაიხსნა ქუთაისსა და იმერეთის რეგიონში მოღვაწე მსატყვართა ნამუშევრების საგაზაფხულო გამოფენა, გამოფენის გახსნას ქსწრებოდნენ:

ქალაქის მერი – ნუგზარ შამუგია, ვიცე-მერი – დავით გორდელაძე, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის და განათლების სამსახურის უფროსი გიზო თავაძე, ხელოვნების ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ომარ ნიშნიანიძე და საზოგადოების წარმომადგენლები.

გამოფენა გახსნა საქართველოს მსატყვართა კავშირის მდივანმა, ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ჯეირან ფაჩუაშვილმა, სიტყვებით გამოვიდნენ: ქალაქის მერი ნუგზარ შამუგია, კულტურის სამსახურის უფროსი გიზო თავაძე, პროფესორი ომარ ნიშნიანიძე.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 37 მსატყვრის 99 ნამუშევარი.

გამოფენა დაფინანსდა ქალაქის თვითმმართველობის მიერ.



ვიცე-მერი დავით გორდელაძე, ვიცე ფრანგიშვილი, ჯეირან ფაჩუაშვილი, ქუთაისის მერი ნუგზარ შამუგია

თველობისა და კულტურის სამსახურის მიერ, ააიბ „მსატყვართა სახლი ვარლამი“ მიერ წარდგენილი პროექტის საფუძველზე, პროექტის ბიუჯეტი იყო 5000 ლარი, აქედან 2400 ლარი გაიცა გამოფენაში მონაწილე მსატყვრების სტიმულირებასა და პრემიებზე, სოლო დანარჩენი მოხმარდა ექსპოზიციას, აფიშას, მოსაწვევებს, აგრეთვე მომზადდა ყოველწლიური გამოცემის – „სახვითი ხელოვნების ქრონიკების“ კომპიუტერული ვერსია, გადაღებული იქნა ფოტოები კატალოგისთვის. ექსპოზიცია მოაწვევს ჯ. ფაჩუაშვილმა, ვ. მექმარიაშვილმა და დ. შანიძემ. პროექტის ხელმძღვანელი – ჯ. ფაჩუაშვილი, კოორდინატორები: ვ. მექმარიაშვილი, ა. სხვარულიძე, ი. ქობულაძე.



უცხოელი სტუმრები საგაზაფხულო ვერნისაჟზე



ოთარ ქანდარია, ვია დარსაველიძე, ამირან ჩიტუშვილი

ბესიკ ცნობილადის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა.

1 ივნის გალერეა „ვარლაში“ გაიხსნა მხატვარ ბესიკ ცნობილადის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა. ესწრებოდნენ: ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე ამირან სვადაგიანი, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის და განათლების სამსახურის უფროსი გიზო თავაძე და ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები.



ბესიკ ცნობილადე, ჯეირან ფაჩუაშვილი, ავთანდილ სახამბერიძე, გიზო თავაძე, საკრებულოს თავმჯდომარე ამირან სვადაგიანი

გამოფენა გახსნა საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანმა, ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე



შირენა კლდიაშვილი, ლალი დათიაშვილი, ბესიკ ცნობილადე, მარი ბერგატინი, ლელა სიმსიფ

მჯდომარემ ჯეირან ფაჩუაშვილმა, სიტყვებით გამოვიდნენ: ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე ამირან სვადაგიანი, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის და განათლების სამსახურის უფროსი გიზო თავაძე და მსახიობი ავთანდილ სახამბერიძე.

საზოგადოებას სიტყვით მიმართა და მადლობა გადაუხადა მხატვარმა ბესიკ ცნობილადემ.



ირაკლი სვინიძე, გიორგი კილაძე, თეა სულაბერიძე

ჯგუფური გამოფენა

26 ივლისს გალერეა „ვარლაში“ გაიხსნა ახალგაზრდა მხატვრების — თეა სულაბერიძის, ირაკლი სვინიძის და გიორგი კილაძის ნამუშევრების ჯგუფური გამოფენა.

გამოფენა გახსნა საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანმა, ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ჯეირან ფაჩუაშვილმა, სიტყვებით გამოვიდნენ მხატვართა კოლეგები და ახლობლები.

საშემოდგომო გამოფენა

ღვთისმშობლობას, 21 სექტემბერს, გალერეა „ვარლაში“ საზეიმოდ გაიხსნა ქუთაისისა და იმერეთის რეგიონში მოღვაწე მხატვართა ნამუშევრების საშემოდგომო გამოფენა, გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ: ქალაქის ვიცე-მერი დავით გორდელაძე, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და განათლების სამსახურის უფროსი გიზო თავაძე, უცხოელი სტუმრები, ქალაქის შემოქმედებითი ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

გამოფენა გახსნა საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანმა, ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ჯეირან ფაჩუაშვილმა, სიტყვებით გა-



ჯეირან ფაჩუაშვილი, გიზო თავაძე

მოვიდნენ: ქალაქის მერი ნუგზარ შამუგია, კულტურის სამსახურის უფროსი გიზო თავაძე.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 34 მხატვრის 89 ნამუშევარი.

გამოფენა მოეწყო ქალაქის თვითმმართველობისა და კულტურის სამსახურის დაფინანსებით, ააპ „მხატვართა სახლი ვარლას“ მიერ წარდგენილი პროექტის საფუძველზე. პროექტის ბიუჯეტია 5000 ლარი, აქედან 2500 ლარი ვაიჯა გამოფენაში მონაწილე მხატვრების სტიმულირებაზე და პრემიებზე, ხოლო დარჩენილი 2500 ლარით დაიბეჭდა მისაწვევი და აფიშა, მოეწყო ექსპოზიცია, გადაღებული იქნა ფოტოები კატალოგისთვის, შეიქმნა



ზაურ წითაშვილი და ჯეირან ფაჩუაშვილი

ვმირის მდივანმა, ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ჯეირან ფაჩუაშვილმა და აქტიური შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის გადასცა ფულადი პრემია. იუბილარს სიტყვებით მიმართეს და გულთბილად მიულოცეს კოლეგებმა. იუბილარმა გულთბილი მადლობა გადაუხადა საზოგადოებას მილოცვისათვის.



იზა ქობულაძე და ეკა ვუბლაძე

„სახვითი ხელოვნების ქორნიკების“ კომპიუტერული ვერსია. ექსპოზიცია მოაწვევს ჯ. ფაჩუაშვილმა, ე. მექმარიაშვილმა და დ. შანიძემ, პროექტის ორგანიზატორები არიან: ხელმძღვანელი – ჯ. ფაჩუაშვილი, კოორდინატორები – ე. მექმარიაშვილი, ა. სხარუელიძე, ი. ქობულაძე.



სათუნა ცანაფა სიგელს გადასცემს გამოფენის მონაწილეს მარჯანიჭე ცირა ყურაშვილი, ათანდილ ტატანაშვილი

საიუბილეო მილოცვა

მოქანდაკე ზაურ წითაშვილს 70 წელი შესუსრულდა.

11 სექტემბერს გალერეა „ვარლაში“, სამეზობლო გამოფენის საზეიმო გახსნაზე, მხატვარს იუბილე მიულოცა საქართველოს მხატვართა კა-

ვით შელია, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის და განათლების სამსახურის უფროსი გიზო თავაძე, უცხოელი სტუმრები, ქალაქის შემოქმედებითი ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

გამოფენა გახსნა საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანმა, ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ჯეიან ფაჩუაშვილმა.

ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურმა გამოფენის ყველა მონაწილე დააჯილდოვა სიგელებით.



გ. კიკვაძე, იპოლიტე ხვიჩიას ქანდაკება

იპოლიტე ხვიჩიას ძეგლის გახსნა

21 დეკემბერს ლადო მესხიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის მიმდებარე სკვერში გაიხსნა ცნობილი ქართველი მსახიობის იპოლიტე ხვიჩიას ძეგლი.

ძეგლის ავტორია გიორგი კიკვაძე, არქიტექტორი — გივი თოდაძე.

ძეგლის გახსნას დაესწრო საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

„სახვითი ხელოვნების ქრონიკები 2007“

2009 წელს გამოიცა „სახვითი ხელოვნების ქრონიკები 2007“.

გამოცემის დაბეჭდვა 3000 ლარით დაფინანსდა ქალაქის თვითმმართველობისა და კულტურის სამსახურის მიერ აიპ „მხატვართა სახლი ვარლას“ მიერ წარდგენილი პროექტის მიხედვით.

თამარ ჭეიშვილის ნამუშევრების გამოფენა თბილისში

1 აპრილს, 16 საათზე, „საქპატენტის“ ვალერეა „რაციოში“ საზეიმოდ გაიხსნა თამარ (ზაია) ჭეიშვილის პერსონალური გამოფენა.

გამოფენას ესწრებოდნენ: წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, მართლმადიდებლური ენციკლოპედიის ქართული რედაქციის რედაქტორი ზაზა აბაშიძე, ინჟინერი, აკადემიკოსი ზურაბ ჭუმბურიძე, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის კათედრის გამგე, პროფესორი ტარიელ ქუთათელაძე, პროფესორი რომან ცუხიშვილი, საქართველოს მხატვართა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ლალი გიორგობაანი, მსახიობი გოვენ ჭეიშვილი, მწერალი გონერ ჭეიშვილი, პოეტი ცირა მაღლაშვილი, პროფესორი გურამ ლომკაცი, აკადემიკოსი ლელა სულხანიშვილი, პროფესორი ნანა სულხანიშვილი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენლები.



თამარ ჭეიშვილის გამოფენის გახსნა თბილისში ვალერეა „რაციოში“. გამოფენას ხსნის ვალერიუს დირექტორი მარია ლაცაბიძე მარტენიდან: თამარ ჭეიშვილი, ჯეიან ფაჩუაშვილი, რუსო ჭეიშვილი, გიორგი ჯანაშიანი, გურამ ცერცვაძე, გიული გუნია, ნინო ზაალიშვილი, რომან ცუხიშვილი, ლალი გიორგობაანი



სიტყვის ამბობს მწერალი რეზო ჭეიშვილი

გამოფენა გახსნა გაღერეა „რაციოს“ დირექტორმა ქალბატონმა მარია ლაცაბიძემ, სიტყვებით გამოვიდნენ: საქართველოს მსატვართა კავშირის თავმჯდომარე გიორგი ჯანბერიძე, მწერალი რეზო ჭეიშვილი, ისტორიკოსი, პროფესორი მარიაკა ლორთქიფანიძე, ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი ნინო ზალიაშვილი, შ.პ.ს. „საქართველოს მსატვარის“ გენერალური დირექტორი, საქართველოს მსატვართა კავშირის თანათავმჯდომარე გურამ ცერცვაძე, მსატვართა კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე ჯეირან ფაჩუაშვილი, ქუთაისის ხელოვნებისა და პედაგოგიკის ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ომარ ნიშნიანიძე, ჟურნალისტი მედეა ჩოგოვაძე და სხვები.

ფოტოგამოფენა

21-23 ივლისს გაღერეა „ვარლამი“ გაიხსნა ფოტოგამოფენა „ომები და ჩვენი მსოფლიო – იმედი სასოწარკვეთის ჟამს“.

გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ საერთაშორისო „წითელი ჯვრის“ წარმომადგენლები: ეკა მინჯორაია, ტერეზა კოშე, იან ბონზონი, ნინო ავალანი, წითელი ჯვრის მონახლისეები, ცივილური სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.



ქუთაისის ვიცე-მერი დავით გორდელაძე

ორგანიზატორი გახლდათ „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო კომიტეტი. გამოფენა გახსნა საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენელმა ეკა მინჯორაიამ, სიტყვით გამოვიდნენ: ზუგდიდის ოფისის დელეგაციის ხელმძღვანელი ტერეზა კოშე, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენელი დასავლეთ საქართველოში დავით აფციაური, საქართველოს „წითელი ჯვრის“ ქუთაისის ოფისის ხელმძღვანელი ნინო ავალანი, ქუთაისის ვიცე-მერი დავით გორდელაძე.



ტერეზა კოშე, ნინო ავალანი, ეკა მინჯორაია, იან ბონზონი



„წითელი ჯვრის“ მონახლისეები



ეკა მინჯორაია, მიკროფონთან ნინო ავალანი

მხატვრები:

ავთანდილო აბესაძე
ნიკოლოზ არაბიძე
გოჩა არიშვილი
ილია ავალიანი
შალოვა ბაჟურაძე
ლალა ბეგალიშვილი
დავით გაბუნია
გურამ გეგია
ლალა დათიაშვილი
თენგიზ დათუაშვილი
გიორგი დარსაველიძე
მერაბ ვალიკოვი
გივი იობიძე
ვიტალი ჯაპანაძე
ლამა ჯაპანაძე
გურამ ჯვიშაძე
გიორგი უიკვაძე
გიორგი ელიაძე
მაია უუბატაძე
თამაზ ლანჩავა
რომეო ლეიკვიშვილი
თედო მანჯგალაძე
თეა მეგენიშვილი
ვალერი მეძმარიაშვილი
რობერტ მინაცყანიანი
ასლან მუშუდიანი

ზაურ მყავანაძე
გიორგი ნიკოლაძე
ქრისტინე რობაქიძე
თეა სულაბერიძე
ირაკლი სვანიძე
ჯემალ ტაბიძე
ავთანდილო ტატანაშვილი
მამუკა ტყეშელაშვილი
იზოლოდა ფერაძე
გივი ფრანგიშვილი
ბარნაბ ფხაკაძე
ოთარ ქანდარია
დავით ქუთათელაძე
ლევან ქუთათელაძე
მალხაზ მალამბერიძე
დიმიტრი შანიძე
არჩილ ჩოგოვაძე
მიხეილ ჩოგოვაძე
ელისო ჩუბინიძე
გოჩა ჩხაიძე
გივი წვერავა
ზაურ წითაშვილი
თამარ ქვიშვილი
ვლადიმერ ხაჯაველიძე
ზურაბ ჯანელიძე
ავთანდილო ჯიბუტი

საგაზაფხულო და
საშემოდგომო
გამოფენები



2009





ამონადილ აბესაძე

ზაფხულის საღამო, 30X50, ორგ. ტემპერა

ქარავანი, 33X50, შერ. ტექნიკა

სოფლის მოტივი, 30X60, შერ. ტექნიკა



ნიკოლოზ არაბაძე
მტრობა, 31X36, მუყაო, ზეთი



ნიკოლოზ არაკიძე

ჭიხი, 35X30, მუყაო, ზეთი



ილია ავპალიანი, ბაგრატის ტაძარი, 40X54 , ტილო, ზეთი



ილია ავპალიანი, ბაგრატის ტაძარი, 30X42, შალი



შალვა ბაკურაძე, უსათაურო,
17,2X2X2, ურთხმელი



ზორა არიშვილი, იესო, 11X9, სპილენძი, ვერცხლი, ხე



ლალი გეგალიშვილი
ვედრება,
12X9, სპილენძი, ვერცხლი, ხე



ლალი გეგალიშვილი
წმინდა გიორგი,
11X8, სპილენძი, ვერცხლი, ხე



ბურამ ბეზიბი, მკვდარი სოფელი, 38X37 , მუყაო, ზეთი




გურამ გეგია, პეიზაჟი, 47X55, ტილო, ზეთი



დავითი გაგუნიანი, ნატურმორტი, 59X 76.5 , ტილო, ზეთი



ლალი დათიასვილი, უნუგეზოდ, 63X49, ტილო, ზეთი



თენგიზ დათუაშვილი, მწვანეფევილას უბანი, 20X32, ტილო, ზეთი

თენგიზ დათუაშვილი, შემოდგომა ქუთაისში, 60X27, ტილო, ზეთი






გიორგი ღარსაველიძე, ლადო ასათიანი, 35X30X18, თაბაშირი



ბიზი იოზიძე, ოზნა, 30X40, მუყაო, ფლომასტერი



ლავა კაპანაძე, სერიიდან „ძველი სახლი“, 26X93, ქალაღი, ფანქარი




მერაბ ვალიკოზი


სახლისა კენ
30,5X30,5
შალი, აბრეშური, მეტალი

თანამედროვე,
102X34,
შალი, აბრეშუმი,
მეტალი, სამკაული






პიტალი კაპანაძე, ქუთაისი სახელოსნოდან, 92X72, ტილო, ზეთი



ვიტალი კაპანაძე, სოფ. მანჯორის ნეაღსაცავი, 24.5X35.5, ტილო, ზეთი



ვიტალი კაპანაძე, იმერეთი, 35X50, მუყაო, ზეთი



ვიტალი კაპანაძე, შემოდგომის ქუთაისი, 116X82, ტილო, ზეთი

ვიტალი კაპანაძე, პენსიონერა,
52.5X47, მუყაო, ზეთი



ვიტალი კაპანაძე, სიმონეთი,
42.5X49, ტილო, ზეთი







გურამ კვიციანი, მოლოდნი, 30X10X7, ტონირებული შამოთი



გურამ კვიციანი, კერამიკული ვაზა, 30X10X7, შამოთი



გიორგი კილაძე, აფროდიტი, 59X49.5, ტილო, ზეთი



გიორგი კიკვაძე, დაცვას მიხედვით, სვედელიძე, 40X30X30, ტონირებული თაბაშირი



მანია კუპატაძე, ნატურმორტი, 30X32, შალი




რომიო ლავაშიშვილი, ჩემი სოფელი, 65X76, ტილო, ზეთი



თამაზ ლანჩავა, სიმონეთი, 35X50, ტილო, ზეთი



თელო მანჯბალაძე, მარტოხელა, 45X54, ცივი ბატყკ



მთლიანი, დიბტიხი, 40X60, ტილო, ზეთი



თეკა მახანაიშვილი

დრო, ტრიბტიხი, 54X156, ტილო, ზეთი, შალი





მოცარტი, 110X102, ტილო, ზეთი






თიკა მებაენიშვილი, დემენია, 53X79, ტილო, ზეთი



თაკა მამბანიშვილი, მზე, 110X102, ტილო, ზეთი




ვალერი მახმარიანშილი, კალი ბავშვით, 14X14, მუყაო, შერეული ტექნიკა



ვალერი მემბარიაშვილი, დეკორატიული კომპოზიცია, 14X16, მუყაო, გუაში



რობერტ მნატაკანიანი
მძიმე ჯვარი, 100X23X17,
ტონირ. თაბაშირი



ასლან მუშკუდიანი
შიმე ჯვარი,
35X37X27, ტონირ. თაბაშირი



ზაურ მჭამანაძე, სოფელი რიონი, 35X40, ტილო, ზეთი




ზაურ მჭავანძი, გვირილები, 42X35, მუყაო, ზეთი



გიორგი ნიკოლაძე
ვარინკა წერეთელი,
40X30, თაბ. შერ, ტექნ.



გიორგი ნიკოლაძე, ექიმი ვისიკო ნაჭყებია,
45X22X30, თაბაშირი



ქრისტინა რობაქიძე, ქალი ყვავილებით, 48X55, ტილო, პასტელი




ქრისტინე რობაშიძე, თამაში ჭვავის ყანაში, 67X77, ფოტოქალაქი




თეა სულაბერიძე, ხვალ ყველანი უკეთ ვიქნებით, 40X86, ქაღ. ფანქ. გუაში




თეა სულაბერიძე, ხელოვნება X⁴ კლასში, 50X60, ტილო, აკვარელი, ზეთი



თეა სულაბერიძე, ქუთაისი, 60X86, ქალ. აკვ. ფანქ. გუაში



თეა სულაბერიძე, კომპოზიცია „შეკრული ნახატები და ნივთები“, 60X86, ქალ. აკვ. ფანქ. გუაში



ირაკლი სვანიძე, სახურავებზე, 61X81, ქალაქი, პასტელი




ავთანდილ ტატანაშვილი, საფარა, 20X30, ქალაქი, ფანქარი



ავთანდილ ტატანაშვილი, გერგუტი, 19X41, მუყაო, ზეთი



მამუკა ტყეშელაშვილი, სვანეთი, 95X110, ტილო, ზეთი



ბარნაბ შხაპკაძე, სახურავეები ნისლიან დღით, 27X65, ტილო, ზეთი



ჯემალ ტაბიძე, ძველი ქალაქი, 50X55, მუყაო, ზეთი



იზოლდა ფირაძე, ბერმუზა, 47X34, შალი



ბივი ფრანგიშვილი, ჩემი სოფელი, 70X100, მუყაო, ზეთი



გივი ფრანგიშვილი, უმწეოთა სასადილო, 90X120, ტილო, ზეთი



ოთსარ ძანდლარია, ოქროს ვერძიდან, 50X51, მუყაო, ტემპერა, გუაში



მთარ ძანდარიბ, ზარი, 50X51, მუყაო, ტემპერა, გუაში



დავით შუთათილაძე
აბსტრაქცია, 15X8,
მინანქარი

დავით შუთათილაძე
აბსტრაქცია, 11X14,
მინანქარი







ლევან შუთათიშვილი, ვირი,
15X9, მინანქარი



გივი წვერაძე, პეიზაჟი,
75X82, ტილო, ზეთი



ზაურ ნითაშვილი, ქალის პორტრეტი,
35X35X26, ტონირ. თაბ.



მალხაზ შალამბერიძე, ქუთაისი, 43X60, ქალაქი, აკვარელი



მალხაზ შალამბერიძე, მაჭანკალი, 39X47, ქალაქი, აკვარელი



მალხაზ შალამბერიძე, ადამი და ვევა, 41X41, ქალაღდი, აკვარელი




დიმიტრი შანიძე, *ოზრის მცველები*, 27X38, ქალაღლი, ფანქარი



დიმიტრი შანიძე, *ნაღია*, 20X26, ქალაღლი, აკვარელი



დიმიტრი შანიძე, სოფელი ლადიში, 38X25, ქალაქი, აკვარელი




მისაილ რუხოვსკი, სერიიდან „ჩემი იმერეთი“, ტყიბული, 35X50, მუყაო, ზეთი



მიხეილ ჩიკობავა, იმერეთი, 26X36, მუყაო, ზეთი



არჩილ რომოვსადი, სვანეთი, სოფ. ლატალი, 50X70, ტილო, ზეთი




ელისო ჩუბინიძე, ცისკარი, 39X28, შალი




ბოჩა ჩხანიძე, ოქროს ვოლინო, 23X29, მუყაო, ზეთი



გიორგი ჩხიძე, მიტოვებული საფლავი, 19X24, მუყაო, ზეთი



თამარ ჭიჭვილი, დაისი, 20X22, შალი, ნართი



თამარ ჭიჭვილი, გაზაფხული, 24X22, შალი, ნართი



თამარ ჭიშვილი, სტატიკა და დინამიკა, 30X23, შალი, ნართი



ზურაბ ჯანელიძე, ცისკარი, 49X18X10, შამოთი



ვლადიმერ ხაჯაველიძე, აგვისტო 2008, 50X70, ტილო, ზეთი



ვლადიმერ ხაჯაშვილიძე, სამწვერისი, 35X58, ტილო, ზეთი



ავთანდილ ჯიბუტი, ბაგრატი, 50X70, ტილო, ზეთი



ამთხანდელ ჯიბუჭი, სვანეთი, 50X70, ტილო, ზეთი

ზურაბ თოდუა

ქუთაისური ფერწერა თანამედროვე ხელოვნების ხონტექსტში

„თანამედროვე“ ანუ „აქტუალური“ ხელოვნების“ („contemporary art“) ცნებაში ხელოვნებათმცოდნეობა გულისხმობს საკმაოდ ჭრელ, რთულ და ხშირად ნაკლებად გასაგებ მოდელს, რომელსაც შეადგენს პოსტმოდერნისტული ხელოვნების რეპერტუარი სხვადასხვა აქციების, პერფორმანსების, ინსტალაციების, ე.წ. ვიდეო-არტის, მედია-არტის, ნეტ-არტის და ა.შ. სახით. ისინი ზოგადევერობულ არტ-სივრცეში გაბატონებულ მხატვრულ პრაქტიკას წარმოადგენენ. თუ ამ კონტექსტში განვიხილავთ ჩვენი დროის ქუთაისურ ხელოვნებას, ვაღიარებთ, რომ ის, როგორც ქართული სახეითი ხელოვნება ზოგადად, დღეს კიდევ იმყოფება ახალი საუკუნის ხელოვნების არარსებულ მდგომარეობაში. მეტანაციონალური პორიზონტის ჩარჩოებში იგი კრიტიკულად რეაგირებს თანამედროვე მხატვრულ კონტექსტზე და ინარჩუნებს თავისი ხელოვნების

პერმეტიულობას (შეიძლება ითქვას, ზედმეტი მონდომებითაც კი). თუ დედაქალაქში სახელმწიფოს, სატელევიზიო მედიის არასაკმარისი მხარდაჭერის პირობებშიც კი contemporary art-ის ზოგიერთი სახეები მაინც ჰპოულობენ გამოვლინების რაღაც ფორმებს, ქუთაისში ეს ხელოვნება, ჯერჯერობით, მისკენ მიმავალი ბილიკების თეორიული გააზრების მდგომარეობაშიც კი არ არის. ამიტომ, ტერმინი „აქტუალური“ თანამედროვე ქუთაისური ხელოვნების მიმართ ნაკლებად გამოსაყენებელია, რადგანაც, სინამდვილეში, იგი აგრძელებს წარსული საუკუნის ტრადიციებს და საკმაოდ კომფორტულად გრძნობს თავს არსებულ კონტექსტში. ეს გარემოება გვეკარანახობს, განვიხილოთ ცნება „ქუთაისის თანამედროვე ხელოვნება“ მხოლოდ დროებით ასპექტში, ასე ვთქვათ, ონტოლოგიურ ფორმატში, როგორც დღეს არსებული ობიექტური მოცემულობა, იმ ეს-






აჰმანდილ აჰსაძე,
„მაკლერების ბირჟა“, 43x62, მკ. 2006 წ.

თეტიკური ფასეულობების გამოვლინებით, რომლებსაც იგი ეყრდნობა მიმდინარე მხატვრულ პრაქტიკაში. ინარჩუნებს რა მენტალურ კავშირებს ქართული ხელოვნებისათვის დამასასიათებელ ზოგად ტენდენციებთან, იგი, ამავე დროს, არ ჰკარგავს განვითარების საკუთარ გზებს. ამიტომ მისი დღევანდელი მდგომარეობის გაანალიზება, ძირითადი ფასეულობების მონიშვნა, აქტუალურ პრობლემად ისახება.

80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, საბჭოთა რესპუბლიკების ხელოვნებაში და მათ შორის — საქართველოში, სიტუაცია რადიკალური ცვლილებებისაკენ იჩენდა პირს. სოციალისტური რეალიზმის გაბატონებული დიქტატი, მისი აუცილებელი თემებით, „ნიეტრალური“ პეიზაჟებით, პორტრეტებითა და ნატურმორტებით, რომელთა ფარგლებს მიღმა გასვლა თუმცა არ იკრძალებოდა, მაგრამ არც რეკომენდირებული იყო, ახლა თავისუფალი გამოფენების თამამმა პროექტებმა შეცვალა. ხელოვნებას თითქოს მიეცა მძლავრი იმპულსი შემოქმედებითი ექსპერიმენტირებისათვის.

ლაშა გუნჯერაძე,
კომპოზიცია, 80,5x110, ტ.ხ. 2006 წ.



ქრისტინე როზაძე,
„სულში გაშლილი უცნაური ყვავილი სიყვარულის კაქტუსი“, 90x50, ტ.ხ. 2006 წ.

ახალგაზრდა ქუთაისელმა მხატვრებმა ფართო ფრონტით, აქტიურად პროგრამით და არც თუ ისე ხარისხიანი რეპროდუქციებით დაიწყეს XX ს. ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებების ათვისება, რომლებმაც უცხოეთის მხატვრულ სამყაროში უკვე დაიმკვიდრეს თავისი ადგილი ისტორიის თაროებზე.

წლებში ამტკიცებდა, რომ „ეს ორი უკიდურესობა სხნის ორ გზას, რომელთაც ბოლოში ერთსა და იმავე მიზნამდე მიყვავართ“. „დიდი აბსტრაქცია“ და „დიდი რეალიზმი“, XX ს. დასაწყისში გაყოფილი, საუკუნის შემდეგ კვლავ დაუახლოვდნენ რეალური სამყაროს ასახვისადმი მიმართებაში. აქედან დაისვა



ჯაზა ჭიჭიშვილი, ალმაშენებელი, 96x110, ტ.ზ.

ბინარულმა ოპოზიციამ — ოფიციალური / არაფორმალური — თავისი აქტუალობა დაკარგა. დადგა დრო სტილური არეულობისა. სტილის კატეგორია უკვე არ ხდებდა განმსაზღვრელი ხელოვნების განვითარების გაგებაში. ამიტომ ქუთაისისა და რეგიონის მხატვართა გამოფენებზე 90-იანი წლების ბოლოს და ახალი საუკუნის დასაწყისში გაბატონდა ის, რასაც „თანამედროვე ეკლექტიკა“ შეიძლება ვუწოდოთ. შემოქმედებითი ძიებების ამპლიტუდა ორ უკიდურესობას შორის — „სრული რეალიზმიდან“ „სრულ აბსტრაქციამდე“ მერყეობდა, რაც სავესებით ამართლებდა მოდერნიზმის მამამთავრის, ვ. კანდინსკის სიტყვებს, რომელიც ჯერ კიდევ XX ს. პირველ

საკითხი მხატვრის შემოქმედებითი თავისუფლების პირობითობაზე: იგი თავის შემოქმედებაში არც თუ ისე თავისუფალია, როგორც ჩვენება. ჯერ კიდევ 1911 წელს ნარკვევში „სოლონიკების შესახებ ხელოვნებაში“ ვ. კანდინსკი აღნიშნავდა, რომ „ყოველ ეპოქას მიეცემა შემოქმედებითი თავისუფლების საკუთარი დონე და ყველაზე დიდ გენიოსებსაც კი არ შეუძლიათ, გადააბრუნონ თავისუფლების ამ საზღვრებს“. ოფიციალური დიქტატის მსხვერვამ მხატვარს, თითქოს, თავისუფალების იმედი გაუჩინა, თუმცა სოციალისტური იდეოლოგიის ადგილზე მოსული საბაზრო ეკონომიკისა და შოუ-ბიზნესის იდეოლოგია მას კვლავ დააყრობით დაემუქრა.

როგორც დრომ გვიჩვენა, მხატვრობა „ასე ნანატრი თავისუფლებისათვის“ მზად არ აღმოჩნდა. ჯერ კიდევ არასაკმარისია რეგიონის ოსტატების მიერ საკუთარი თავის თავისუფალ მხატვრულად აღიარება და გათავისუფლება იმისა, რასაც ვ. კანდინსკი ძიების „შინაგან აუცილებლობას“ უწოდებდა. ერთის მხრივ, რეგიონის მხატვრული ისტებლიშმენტის ვერ წირავს ახალი ძიებებისათვის საკუთარ სტაბილურობას, მეორეს მხრივ კი, მხატვრების ახალგაზრდა გენერაციაც ვერ ამქლავს საკმარის აქტიურობას განვითარებაში და პრობლემატურს ქმნის საკუთარი თავის მიკუთვნებულობას სამყაროში მიმდინარე სწრაფად ცვლელადი პროცესებისადმი. თუმცა, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყოველ მხატვრულ კულტურას აქვს უფლება, აირჩიოს განვითარების საკუთარი ვექტორი და დინამიკა, რომ იმანენტურ კანონზომიერებებს, რომლებიც არსებობს ყოველი ხელოვნება, აქვთ ახალი პირობებისადმი ადაპტაციის საკუთარი პერიოდები, რომლებიც, უფრო სწორად, იგვიანებენ და არ ემთხვევიან პოლიტიკურ ციკლებს.

ამიტომაც, ბოლო ოცი წლის მანძილზე, ქუთაისის მხატვრული ცხოვრება არ ხასიათდება განვითარების ტემპების აჩქარებით. ხელოვნების ევოლუცია აქ მიმდინარეობს ფარული შინაგანი ცვლილებების მშვიდ პროცესში. ეს ტენდენცია აიხსნება იმით, რომ იმერეთის რეგიონში არის ჩამოყალიბებული ინტელექტუალური ფენა, ერთიანი სტილური ტრადიცია, რომელიც ქმნის მდგრად ბაზისს ქალაქისა და რეგიონის მხატვრული ცხოვრების თანმიმდევრული განვითარებისთვის. ქუთაისური ფერწერა ავლენს საკმაო ენერჯიასა და სიმყარეს, რომ შეინარჩუნოს თავისი ტრადიციული ფასეულობები. მეორეს მხრივ, ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობს უახლესი არტ-სისტემისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა: სხვადასხვა კონცეპტუალურ-სტრატეგიული მიმართულებების გალერეები, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, სათანადო არტ-ბაზარი, კონსერვატიულობისაგან განთავისუფლებული სამხატვრო განათლება და ა. შ.

მთლიანობაში, ჩვენი ქალაქის მხატვრობის ეს თეტიკური ფასეულობების განვითარებას ახასიათებს მიზიდულობის ორი ძირითადი პოლუსი: ერთის მხრივ, ნაციონალური და მსოფლიო რეალისტური ფერწერა და, მეორეს მხრივ, უკვე წარსულს ჩაბარებული მოდერნიზმის ზოგიერთი გამოცდილება, რომელთაც ძირითადად ვხედავთ ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედებაში. მაგრამ ამ პუფერკაციის

წყალგამყოფი არ არის გადაუღასავი: რეალისტი მხატვრები ისეთივე წარმატებით ცდიან ძალებს ავანგარდულ ხელოვნებაში (თ. თაღუმაძე, ა. აბესაძე, ვ. მეძმარიაშვილი, ვ. ჭეიშვილი), როგორც მოდერნისტული ექსპერიმენტისაკენ მიმართული მხატვრები ანვითარებენ რეალისტურ ტრადიციებს (ზ. ცნობილი, ა. ამაშუკელი, ქ. რობაქიძე). აღსანიშნავია ისიც, რომ მოდერნისტული ხელოვნების სხვადასხვა ელემენტების რეპროდუცირება ახალგაზრდების მიერ ხდება ინტერპრეტაციის საკუთარ შესაძლებლობებთან შეერთებით.

ქუთაისისა და რეგიონის ფერწერის ფასეულობით ორიენტაციაში წამყვანი რჩება რეალიზმი, როგორც მისი ფუძემდებლური მეთოდი. უფროსი და საშუალო თაობის მხატვრები (ა. ჩოგოვაძე, მ. ჩოგოვაძე, გ. ფრანგიშვილი, ვ. წვერაფა, ზ. მჭავანაძე, ვ. ჭეიშვილი, ვ. კახანაძე, ზ. მგელიაშვილი, ა. ჯიბუტი) უპირატესობას ანიჭებენ რეალისტური ხელოვნების იმანენტურ კანონზომიერებებს, გამოსახვენ რა რეალური სინამდვილის პარადგმებს „ცხოვრებისეული შესატყვისობის“ ფორმებში, რომლებშიც შეაქვთ ქართული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი პოეტური და რომანტიკული გრძნობები.

თანამედროვე რეალიზმი არ არის გამოჯნული ჩინური კედლით სხვა მიმდინარეობების ზეგავლენისაგან, რასაც მის ტრადიციულ გაგებაში ახალი




აპთანდილ აბაშუკელი
დაღლილი სათამაშო ცხენი, 75x55

ასპექტები შეაქვს. გარკვეულწილად, ეს პროცესი მეღაწეობა ქუთაისელ ფერმწერთა შემოქმედებაშიც (ზოგი მათგანი (გ. ფრანგიშვილი, ვ. საჯაველიძე, ა. ჩოგოვაძე, მ. ჩოგოვაძე, ზ. მჭავანაძე და სხვ.) თანმიმდევრულად მიჰყვება XX ს. კლასიკური რეალიზმის დებულებებს, რჩება რა ერთგული მიმეზის პრინციპებისადმი, ფორმის ობიექტური თვითფასეულობისა და ფერადონების ოპტიკური კანონებისადმი. სხვების (ლ. ბუცხრიკიძე, თ. სულაბერიძე, თ. დათუაშვილი, თ. ლანჩავა, ლ. დათიაშვილი) რეალისტური ძიებების მთავარი ვექტორი მიმართულია სხვადასხვა ესთეტიკური რეალიზმის მეტაენობრივი სინთეზისაკენ და აქედან გამომდინარე, ისინი თავისუფლად იყენებენ პოსტიმპრესიონიზმის, ნეოექსპრესიონიზმის, სოცრეალიზმის და ა.შ. ფორმაპლასტიკურ ასპექტებს, აერთიანებენ რა ხედვის სუბიექტურობას სახვითი მოტივის ობიექტურ კონკრეტულობასთან. ზოგის ინტენცია მიმართულია ბუნების მასალის ეპიკური სიღაღის აღიარებისაკენ, მის ზეყოფიერ, იდეალურ განზომილებაში გადაყვანისკენ და, ამავედროულად, მოტივის საგნობრივ-პლასტიკური თავისებურებების შენარჩუნებისაკენ. ასეთ ნაწარმოებებში დაზგური ფერწერის სამუშაოებისა და ტექნიკური ხერხების სინკრეტიზმი

ეპიკურ ელვადობას და ფრესკულ განზოგადებას აძლევს ბუნებაში მოპოვებულ ან მხატვრის წარმოსახვაში შექმნილ სახეებს (ჯ. ჭეიშვილის სურათები). ყურადღებას იპყრობენ ის მხატვრები (ი. ჩოგოვაძე, გ. ჩხაიძე, თ. თაღლიძე), რომელთა ნამუშევრების არსობრივი ინტრიგა დაფუძნებულია სამყაროს ლირიკულ-რომანტიკულ განცდაზე. მათი ტილოების „ფერწერული მათემატიკა“ არასდროს არ სპობს ნატურის მიღებული შთაბეჭდილებების კონკრეტულობას და ყოველთვის აღიქმება სუბექტიურ დონეზე. ეს ნაწარმოებები „რეალისტური სენსიზმის“ თავისებური ნიმუშებია, რომლებიც შეიძლება შევედართო მედიტაციის მდგომარეობას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მედიტაციაში მყოფი ადამიანი თითქოს ითიშება გარეგანი გამაღიზიანებლების შემოქმედებისაგან, „სენსიზმის“ მდგომარეობაში კი, პირიქით, იგი რჩება რეალურ სამყაროში და ქსნება დამატებითი ენერგეტიკული და სულიერი არხები, რომელთა მეშვეობით სხვა დონეზე ამყარებს კავშირებს სამყაროსთან და იქედან მიღებულ იმპულსებს პოეტურ ფორმებში მოსავს.

ესთეტიკურ ფასეულობათა შორის, უკანასკნელ წლებში, ახალგაზრდა ქუთაისელ ფერმწერ-



არჩილ ჩოგოვაძე, „შემოდგომა“, 35x45, ტ.ხ. 2004 წ.



თა ყურადღებას იპყრობს პრიმიტივი („ნაიფიზმი“), რომლის გამოვლინება სხვადასხვაგვარია მხატვართა შემოქმედებაში. ზოგადად, ამ მიმართებაში შეიძლება დაფიქსირდეს პრიმიტივისტული ტენდენციების დამუშავების ორი ტიპოლოგიური სერხი: ნაიფური დეკორატიული ელემენტების სტილიზაცია მათი ნორმატიული მნიშვნელობის შენარჩუნებით, და პრიმიტივიზმის ტრადიციებთან სიუჟეტურ-თემატური გადაახილება. ნაიფური საწყისისადმი მიმართვა, რომელიც აგებულია შემოქმედების მაქსიმალურად თავისუფალ, გასწილ სისტემაზე, ფორმების დეფორმაციაზე, მათი სემანტიკის, რიტმის, ლოგიკის სრულიად სუბიექტურ გამოყენებაზე, ქმნის ახალი შემოქმედებითი იდენტურობის საშუალებას, მარგინალურს თავისი არსით. ჩვენს გამოფენებზე წარმო-

ნიკოლოზ არაბიძე,
„ადამიანთა მარადიული სველა“,
 25x35, ტ.ზ. 2002 წ

პასიკ ცნოზილაძე,
„შემოდგომის მელოდია“,
 120x80, პოპარტი, 2005 წ.





გიორგი ვრანაიშვილი, „სიმარტოვე“ 50x60, მ.ზ. 2006 წ.

ჩენილი ნაივური პარადიგმები, ბუნებრივია, ტიპოლოგიურად „არასუფთა“ ფოლკლორია, რომელიც ნათლად ამჟღავნებს თავის მეორადობას ჭეშმარიტი (ანუ კლესური) სახვითი ფოლკლორისადმი, რადგანაც ჭეშმარიტი პრიმიტივი გულისხმობს სწავლული არტისტიზმის სრულ გამორიცხვას, აქ კი იგი იქმნება პროფესიონალი მხატვრების მიერ, რის გამოც იკარგება კავშირი „ფოლკლორულ მქსიერებასთან“ და, ბევრ შემთხვევაში, რჩება მხოლოდ პრიმიტივის ზედაპირული სტილიზაცია.

რეგიონალური ნაივური ფერწერის დისკურსიული ვექტორების მიმართულება ვლინდება შინაარსობრივად განსხვავებულ ნაწარმოებებში. ასეთია, მაგალითად, ფილოსოფიური ქვეტექსტების მქონე

სურათები—იკავები, რომლებშიც ყოველთვის არის დიალოგის შეთავაზება მაყურებლისათვის ყოფიერების იმანენტურ პრობლემებზე (ნ. არაბიძის პატარა, დიდაქტიკური ხასიათის სურათები), ან ნაივური ხედვით დანახული ვირტუალური სამყაროს რომანტიკულ—იდილიური მოტივები (ა. ამაშუკელის, ა. აბესაძის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები), ან ხალხური (უფრო რუსული) შემოქმედების ხატოვანი პრინციპების გამოყენებაზე აგებული სუფთა ზემიური ხასიათის სახეები (მ. ბავრატიონის, დ. ქუთათელაძის ნაწარმოებები) და სხვ.


ქუთაისის თანამედროვე ფერწერის სემანტიკურ სურათში, რეალისტური ფერწერის ძიებების გვერდით, როგორც აღვნიშნეთ, მიმდინარეობს XX

ს. ავანგარდის ამა თუ იმ „იზმების“ სარეგენერაციო მოვლენებიც. მათ შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აბსტრაქციონიზმი. სხვადასხვა თაობის მხატვრების შემოქმედებაში ისახება კომპოზიციური მიზნობრივობისა და უსიუველობის თვითგამოვლიანობა, რაც, საბოლოო ჯამში, აბსტრაქციონიზმის ორი ტენდენციის — კონკრეტული აბსტრაქციონიზმის და აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის სახეს იძენს, სადაც მხატვრის ემოცია, განთავისუფლებული რეალური ფერწერული წინასახეებიდან, გარდაისახება ფერის „სუფთა სუბსტანციებში“ (ი. ლანჩავას, თ. თაღუმაძის, ვ. მექმარიაშვილის, ა. აბესაძის ნაწარმოებები). იმერეთის არტ-სივრცეში გვხვდება აგრეთვე უსაგნო აბსტრაქციონიზმის საპირისპირო მოვლენის — პოპ-არტისადმი ინტერესი, რო-



დავით ქვათაიშვილი, „ანგელოზი“,
40x30, ტ.ზ. 2006 წ.

პაპარი მემარიაშვილი, კომპოზიცია
80x90 ტ.ზ. 2008 წ.





30ტალი პაპანაძე, „ქუთაისი სეტყვის წინ“, 70x50, ტ.ზ. 2008 წ.

მელშიც, თავის უტილიტარულ საუკუნეს მოხდილი საგნები და ნივთები, ამოვლევჯილი არსებობის რეალური კონტექსტიდან, საექსპოზიციო ფიგურანტებად გამოდიან და, მათი ავტორების აზრით, საგამოფენო სივრცეში ესთეტიკური ფასეულობების მნიშვნელობას იძენენ. სინამდვილეში კი ისინი ნეკროფილურ პროცესს განიცდიან, რადგანაც, ერთის

მხრივ, კარგავენ თავის ფუნქციონალურ თვისებებს, ხოლო, მეორეს მხრივ, — ვერც რაიმე მნიშვნელოვან მხატვრულ სტატუსს იძენენ (ზ. ცნობილიაძის „პოპ-არტისტული“ კომბინაციები).

მაგრამ, აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა ქუთაისელი მხატვრების ეს ორიენტაცია ევროპული ხელოვნების ფასეულობებისადმი (ზემოთ ხაზგას-

მულის გარდა — სიურრეალიზმისადმი, კონცეპტუალური სელოენებისადმი, ნიუექსპრესიონიზმისადმი და სხვ.) თავის საბაზო პრინციპებში ორვექტორიანია: ინტერესი ევროპის მხატვრული ცენტრებისადმი შერწყმულია მათს შემოქმედებაში ეთნიკურ ორიენტაციასთან, ნაციონალური საწყისების გააზრებასთან. ამიტომ ისინი მკვეთრად არ „გარდებიან“ ქუთაისური ფერწერის განვითარების საერთო კონტექსტიდან და მათი მიმართვა მოდერნისტული „იზმებისადმი“ უფრო მანერისტულია, ვიდრე პრინციპული.

ჩვენს აგრესიულ-პრაგმატულ დროში, როდესაც მოდურია თავყანისცემა ზემოთ აღნიშნული „აქტუალური სელოენების“ სხვადასხვა ფეტიშების მიმართ, ქუთაისელი ფერმწერები თანმიმდევრულად ტრადიციულები არიან, და სახელობრ ამიტომ მათი ფერწერა ინარჩუნებს გარკვეულ ხარისხობრივ დონეს. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ კარგად აპრობირებული ფერადალასტიკური ძიებების მიღმა ისინი კარგავენ დრამატული დროის შეგრძნებას და თვით კვლევის მთავარ საგანს — ადამიანს. ამიტომაც, ნარატოული სურათი (თხრობითი კომპოზიცია), ისევე, როგორც პორტრეტული ჟანრი, თითქმის გაქრა ქუთაისური ფერწერის სტრუქტურულიდან და

თუ კიდევ ინარჩუნებს სადმე თავს, მხოლოდ რამდენიმე ერთუზიასტის მაღლით. კრიზისის განცდის ჩვენი სელოენებისათვის ისეთი ტრადიციული ჟანრი, როგორცაა ნატურმორტი, საერთოდ გაქრა ისტორიული სურათი, ჩვენმა სელოენებმა დაკარგა სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქციონირების ბევრი ასპექტი და პროფესიონალური პრობლემების წრეში ჩაიკეტა. ქუთაისელი ფერმწერების მხატვრული შეგნება თანამედროვე ევრაზიული სელოენების მხატვრულ პრაქტიკას ერთი-ორი თაობით ჩამორჩა. ჩვენი მხატვრების მთავარი ესთეტიკური ფასეულობაც — რეალიზმი — მეტ სიღრმისეულ გააზრებას მოითხოვს დღეს — საბაზრო ეკონომიკის, დემოკრატიის, პოსტმოდერნიზმის საერთო ქაოსის პირობებში. ქუთაისური სელოენება, ქართულ სელოენებასთან ერთად, არ უნდა იყოს დემარკაციული ხაზით გამოყოფილი ზოგადსაკაცობრიო მხატვრული პროცესებიდან, უნდა ეძიებდეს მასთან სიახლოვის ანალიტიკურ გზებს და აეგუდეს ამისათვის კომუნიკაციურ ხიდებს, იგი უნდა იყოს, როგორც ამას ფრანგი მოქანდაკე ოგუსტ როდენი ამბობდა, „დროის სულისა და ადამიანის ოცნების მხატვრულ ფორმაში განსახერხება“.



თამა სულაპერიძე, „ფარშევანგები ქალაქში“, 94x136, ტ.ხ. 2007 წ.

ზურაბ თოდუა

სამყარო უშუალო, მშვენიერი, მიაშიტური
(თეა სულაბერიძე)



უწინასწარმეტყველია კიდეც, ეს გოგონა მხატვარი გამოვაო. შემდეგ იყო სწავლა სატვის სტუდიაში — მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში, გ. მაისურაძის სახელობის სამხატვრო სკოლაში, მომზადება მხატვარ დავით კინწურაშვილის სახელოსნოში, რომელსაც პირველად შეუფასებია რეალურად თეას ნიჭი და შესაძლებლობა.

1996 წელს თეა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა (პედაგოგები: გ. თოთიბაძე, ლ. ჭოლოშვილი, ზ. სამხარაძე). სტუდენტობის წლებს იკონებს სიყვარულით, განსაკუთრებული სითბოთი საუბრობს თავის ჯგუფზე. ჯგუფელებზე, რომელთა უმეტესობა თანამედროვე ახალგაზრდულ ხელოვნებაში საინტერესო ძიებებით არის დაკავებული.

აკადემიაში სწავლა რთულ პერიოდში მოუხდა. 90-იან წლებში ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე რეფორმებმა სამხატვრო განათლების დარგშიც ძველი, აკადემიური სწავლების საფუძვლიანი განახლების აუცილებლობა გამოაცხადა, თუმცა რაიმე ნამდვილად ახალს, რადიკალურს, კონკრეტულს დრო ჯერ კიდევ ვერ თავაზობდა. ოდნავ სატონვანდ რომ ვთქვათ, ყველაფერი აირია მხატვართა სახლში. წარმოიშვა ცნობილი სიტუაცია, როდესაც

ცნობილია, რომ სახვით ხელოვნებაში რთულია, მოკლე დროში მიიძერო საეციკლისტებისა და ფართო საზოგადოების ყურადღება და მოწონება დაიმსახურო თუნდაც ჩამოყალიბებული ინდივიდუალობისა და უეჭველი ნიჭიერების პირობებშიც კი. თეა სულაბერიძის გამოჩენამ ქუთაისელ მხატვართა ვერნისაყებზე ასეთი მოწონება სწრაფად დაიმსახურა. და ეს აღიარება თან მოსდევს მის შემოქმედებას, რომელიც უკვე თითქმის ერთ ათეულ წელს მოიცავს. ბუნებრივია, მთავარი სათქმელი ჯერ კიდევ წინ აქვს, მაგრამ უკვე შეიძლება გამოვყოთ სტილური ორიენტაციის ფორმირების პროცესში გამოვლენილი ის მთავარი ნიშნები, რაც მისი შემოქმედების პირველი ათწლეულის მანძილზე გახდა პრიორიტეტული...

თეა სულაბერიძე დაიბადა ქუთაისში, 1977 წელს, მოსამსახურეთა ოჯახში. სატვისადმი „სერიოზული“ სიყვარული გამოავლინა უკვე საბავშვო ბაღის ნულოვან ჯგუფში. ეს სიყვარული კიდევ უფრო გაღვივდა სკოლაში და იმდენად, რომ დაწყებითი სკოლის მის პედაგოგს მეორეკლასელ თეაზე



ნატურმორტი, 60X41, მუყაო, ზეთი, 2002 წ.

„ზემდგომებს“ (კულტურის სამინისტრო, მხატვართა კავშირი) უკვე არ შეიქმნოთ, უწინდელი ნებისყოფითი მეთოდებით ემართათ მხატვრული პროცესი, ხოლო „ქვემდგომებს“ (ანუ მხატვრებს) უკვე არ სურდათ, დამსგავსებოდნენ საზოგადოებრივი კვების მომხმარებლებს და მიერთვით ის, „რასაც სთავაზობდნენ“; არამედ მოითხოვდნენ არჩევას, შედარებას. და თუ გავაგრძელებთ ამ გასტრონომიულ მეტაფორას, დავამატებდი, რომ წარსულში სერიოზული ოფიციალური საკვებით დანაყრებული

დახრისა, კლასიკური ცოდნა აუცილებელია, თუმცა, მომავალი შემოქმედებითი სტილის განსაზღვრისას, თავისებური არჩევანი გააკეთა. ევროპულ მხატვრულ სისტემაზე ორიენტაციას (მისი მოცულობითი ფორმებით, პერსპექტივით, შეუქის პრობლემებით, რაციონალური კომპოზიციით, ნიუანსირებული ფერწერით და ა.შ.) მან აღმოსავლური ორიენტაციის დამკვიდრება ამჯობინა (მისთვის დამახასიათებელი საზვასმული სიმბოლურობით, დეკორატიულობით, თავისუფალი კომპოზიციით და სხვ.), ამიტომ თეას



ნინია, 60x41, მუყაო, ზეთი, 2002 წ.



ეზო, 86x52, ტილო, ზეთი, 2003 წ.

მხატვართა საშუალო და, განსაკუთრებით, ახალგაზრდა გენერაცია დიდი სურვილითა და მონატრებით მიესია აკრძალულ ნაყოფს. რადიკალური ახალგაზრდობა ცდილობდა, მოწყვეტოდა აკადემიურ სისტემაში დამკვიდრებული შაბლონური სერსების დიქტატს, მოეპოვებინა საკუთარი გზები თავისი ჭეშმარიტი მიდრეკილებების გამოსახატავად. ასეთ მისწრაფებებს ხელს უწყობდა ფართოდ დეკლარირებული თავისუფლებაც. მოხდა სტილების აღრევა ხელოვნებაში, დაიწყო ინტენსიური ათვიანება ყოველგვარი „ნეო“, „ტრანს“, „პოსტ“ და ა.შ. მიმართულებებისა, სადაც, ბევრ შემთხვევაში, აზრის ბუნდოვნება კომპენსირებული იყო გამოთქმის ფორმის დეკორატიულობით.

თუ ამ წლებშიც თვლიდა, და ახლაც სამართლიანად თვლის, რომ როგორი ფართოც არ უნდა იყოს ამპლიტუდა აკადემიური საფუძვლებიდან გა-

სტილის საწყისების ეროვნული მხატვრული ტრადიციის ჩარჩოებში ძებნა ნაკლებად პერსპექტიულია. მის გემოვნებას უფრო მოერგო პრიმიტივის ხელოვნება, ბავშვების შემოქმედება, XIX ს. დასასრულის ევროპული სიმბოლიზმი — ანუ მხატვრული კულტურის ის დარგები, სადაც ბატონობს ინტუიცია, გაზრწინება, თავისუფალი იმპროვიზაცია. იდეალში მისი საყვარელი მხატვრებია იან ვერმერი, პოლ გოგენი, ანრი მატისი — მხატვრები, რომელთა პალიტრა ღია, ცოცხალი, ქორფა, მსუბუქი, დეკორატიულად უღერადი ფერებისაგან შედგება, მაშინ, როდესაც რემბრანდტი, მისი უნატიფესი ელფერებით გამდიდრებული მკერვი ფერწერით, ზედმეტად მძიმე და პირქუში ეჩვენება.

არჩეული სტილის დემონსტრირება თეამ უკვე აკადემიის დამამთავრებელ სადაბლოში ნაშრომში მოახდინა. ეს იყო ტრიბუნა, რომლის პირობითი



არტ სტუდია, 60x86, ქალაქი, გუაში, 2008 წ.

თემა „აადამი და ევა“ („სიყვარული“, „ცნობიერება“, „სინანული“). არათანაბარია ამ ნაწილებს პლასტიკური დამუშავება, მაგრამ მათი საერთო ნიშნებია კომპოზიციების უყიდურესი ლაკონურობა, თითქმის სიბრტყილობამდე დაყვანილი ფიგურების დეფორმაცია, ფორმების ფერწერულ-დეკორატიული დამუშავება. უკვე აქ სჩანს ასაღვარდა მხატვრის ზრუნვა თავისი თავის თავისუფალ, არარეგლამენტირებულ თვითგამოხატვაზე, ფორმალური საშუალებების ზედმეტი სიუკუერო, თხრობითი თუ სიმბოლური საწყისებისგან განთავისუფლებაზე. ამ აღრულ ნაწარმოებში თითქოს სინთეზირებულია გოგენის პლასტიკური ფორმებისა და მატისის ფოვისტური ფერწერის გამოძახილები.

2001 წელს სამხატვრო აკადემიის დამთავრების და სახლში დაბრუნების შემდეგ თეა სულაბერიძე ნაყოფიერად ჩაერთო ქუთაისის მხატვრულ ცხოვრებაში. ქალაქის ტრადიციულ გამოფენებზე ერთ-ერთის მიყოლებით ჩნდება მისი პეიზაჟები, ნატურმორტები, პორტრეტები („მეზობლის ეზო“, „ბალახვანი“, „ნატურმორტი“, „გოგუცა ბებო“, „ნიონო ზამთარის პორტრეტი“). უკვე ამ ნაწარმოებებში სჩანდა მხატვარი, რომლის ფერად-პლასტიკური აზროვნება ხაზგასმული დეკორატიულობისაქვე იხრებოდა (კომპოზიციის ლაკონურობა, დეკორატიულ ურთიერთობებზე აგებული ფერი, საგნის მეკულუობის ფერთი მონივნა და ა.შ.). მომდევნო ნაწარმოებებში დეკორატივიზმის პრინციპები უფრო გაძლიერდა, თუმცა იგი ჯერ კიდევ იმ ფარგლებში რჩებოდა, აკადემიაში შესრულებულ

სადილობო ნაწარმოებში რომ გამოვლინდა და მოცულობით ფორმას სრულიად არ უარყოფდა.

შინაგანი სამყარო, გრძნობები და ის, რაც თან ერთვის და მოსდევს მათ, არის საწყისი წერტილი და კატალიზატორი თეას შემოქმედებისა. რეალობიდან მიღებული იმპულსები, შინაგანი გრძნობით შემოქმედული და შემოქმედებითი აზროვნების მიერ ტრანსფორმირებული, მის სურათებში ჰქმნიან ახალ მხატვრულ სინამდვილეს, არსებულის მიმართ ავტონომიურსაც და პარამოლურსაც. თავისი ინდივიდუალობის ინტუიციური, ემოციური სუბსტრუქტიდან გამომდინარე, ნაწარმოებებში, როგორც წესი, გამოირცხვლია ესკიზებში დამუშავებული რაიმე პირველადი ჩანაფიქრის გამოყენება. უმეტეს შემთხვევაში, მისი სურათები იქმნება სპონტანურად, რაც მსოფლადქმის გასაიჯარ უშუალობას უკავშირდება. თეას აქვს უნარი, ვადიტანოს ქალაქზე ან ტილოზე სახეები, წარმოსახვაში გარეშის ჭვრეტის, ან ფიქრის, ან ლიტერატურულ ტექსტთან გაცნობის შედეგად რომ წარმოიშობა. ყველაზე უმნიშვნელო, პროზაული ობიექტი ან განწყობილებაზე აგებული უცვარი მოგონება შეიძლება იქცეს მისი ნაწარმოების მოტივად.

მხატვარი არ უარყოფს ფიგურულ რეპრეზენტაციას, მაგრამ განსახიერების მანერაში, როგორც ამას გვიჩვენებენ ბოლო წლების ნამუშევრები, მიმართავს კონცეფციას, რომლის საწყისები ონთოლოგიურად ნეოპრიმიტივიზმს ან ნაივურ ფერწერას უახლოვდება. დღეს მხატვარი არც უარყოფს თავისი შემოქმედებისადმი „ნაივის“ ცნების გამოყე-

ნებას, როგორც გააზრებულად არჩეული, პროფესიონალური სტილისტური მეთოდისას. მისი სახეები უბრალო და მიამიტურია, ისინი არ არიან დამძიმებული მხატვრის პროფესიულ-ტექნიკური განათლებით. მხატვრული საშუალებებისა და ფორმების შევსებული გამარტივება, ფიგურების პლასტიკური დეფორმაცია, მათი სილუეტებამდე დაყვანა, ღია, ლოკალური ფერები, სადა კომპოზიცია, ბავშვური ნახატების იმიტაცია, კეთილგანწყობა და მაყურებელთან დიალოგის აბსოლუტურად სერიოზული ტონი — ყველაფერ ეს ის ელემენტებია, რომლებიც თეას ბოლო წლებში შესრულებულ სურათებს ნაივური ფერწერის სტილიზაციის ნიშნებს აძლევს, თუმცა ისინი ჰეგერ რამეში არსებითად განსხვავდებიან იმ სახასიათო ნიშნებისაგან, რასაც ჩვენ „ნაივურ ფერწერას“ ვუწოდებთ.

ყოფითი ჟანრი, როგორც ასეთი, თეა სულაბერიძისათვის არ წარმოადგენს ყოველდღიური ცხოვრების უარტენზიო სცენების პირდაპირ ფიქსაციას. ხშირად, მისი გმირები, რეალური ცხოვრებიდან აღებული, ტრანსფორმირებული არიან ნაივური ესთეტიკის ფარგლებში, მაგრამ ცხოვრებისეული ნიშნების სრული შენარჩუნებით, ისევე როგორც სიტუაციები, რომლებშიც ისინი იმყოფებიან

(„ხელოვნების გაკეთილი“, „არტ-სტუდია“, „გაკეთილი. ახალი წელი“, „ნიკა... სასკოლო სექტაკლი“). ზოგჯერ ფიგურები და სცენები იძენენ მონუმენტურ განზოგადებას, გამოეყოფიან ჩვეულ გარემოს, განლაგდებიან ნეიტრალურ ფონზე, წარმავლიდან გადადიან დროის გარეშე მდგომარეობაში, და მაშინ ჩვეულებრივი სახეები ლებულობენ ნიშნების მნიშვნელობას, მაგრამ არა აბსტრაქტული, არა გამოცლილი, არამედ ცნობადისა და განუმეორებლისა („აპრილი“, „ციფრები“, „მემორიალი“). იგი, ხშირად, ერთ კომპოზიციაში გაერთიანებს სხვადასხვა აზრს, სხვადასხვა დამოუკიდებელ სახეს, მხოლოდ ფორმალურად რომ თანაარსებობენ მოცემულ სახეობით სიმრტყის სივრცეში, ყოველგვარი ლოგიკური კავშირების გარეშე. ასეთ შემთხვევაში მოკონილი კომპოზიციის შინაარსობრივი სიცხადე იკარგება და აზრის ლოგიკურობის დადგენა რთულდება („აპრი-მოთნეობა“, „ანეკრიზმა“). სურათების სათაურიც არ იქცევა ნაწარმოების აზრობრივ გასაღებად და იგი, ხშირად, სრულიად პირობითი და განწყობილია.

ნაივისტური ფერწერის ყოფითი სურათების გარდა თეას აქვს რეალისტური ნატურმორტები, პორტრეტები, პეიზაჟები. მიუხედავად ჟანრობრივი განსხვავებისა, ამ ნაწარმოებებს ახასიათებს საერთო



პირმოთნეობა, 100x140, ტილო, ზეთი, 2006 წ.

მიდგომა — სურათში ლამაზი სანახაობრივი მხარის შექმნა და აქ იგი სრულ რეალიზებას ახერხებს თავისი წარმოდგენისა ხელოვნებაზე, რომელიც, მისი აზრით, არის მხოლოდ სილამაზე, მხოლოდ მშენიერება. თეს ფერწერა, მოტივების სიფართოვესთან ერთად, გამიორჩევა დეკორატიული გადაწყვეტის ინტენსიურობით, სახეების ზემოთაღნიშნული მონუმენტური განზოგადებით (ამბობს, რომ აქ მასზე დიდ გავლენას ახდენს ქართული ფრესკული ფერწერა, თუმცა მან კარგად იცის ძველი ეგვიპტისა და ევროპული კედლის მხატვრობის სტილისტიკაც და ხშირად იყენებს ფრესკულ იკონოგრაფიას). სწორედ ფრესკიდან მომდინარეობს მხატვრის უნარი, ყველაზე ჩვეულებრივ გამოსახულებას სურათში მისცეს ზემოთი, თითქმის რიტუალური მნიშვნელობა.

თეს ნატურმორტის აქტი აშკარად „დადაბლით“ სასიათი. ისინი ძალიან მარტივია საგანთა შემაღვლენობით და კომპოზიციური წყობით. ზოგიერთ მათგანში მხატვარი ცდილობს, შეაპირისპიროს საგანთა სახასიათო ფაქტურები (მაგალითად, ჭიქის მინის გამჭვივარება ფიფიურის ყულაბის სიმკვრივესთან — „ნატურმორტი“; „ნატურმორტი სურათით“), ზოგში მას იზიდავს საგანთა ფორმების განსხვავებული პლასტიკა („ნატურმორტი, საფარანგეთზე ოცნება“), სხვებში ვხვდავთ საგნებისა და ფონის ურთიერთობების წინ წამოწევას (მაგალითად, მაქსიანიან ქსოვილის შეპირისპირებას კედლის შალერის განვითარებულ უზოთან — „უცხოელი ნატურმორტი“; „ნატურმორტი სასიათი ჭიქებითა და ხლით“) და ა.შ. მაგრამ ეს სახეითი ამოცანები წყდება ძლიან მსუბუქად, ძალდაუტანებლად. მთავარია, მხატვარი ტყუება თვით საგანთა ფორმების პლასტიკურობით, ზღუდავს გამოსახულებას მათი მცირე რაოდენობით და ფერადიდან დახსიათება დაჰყავს ბრტყელი ფონის დეკორატიულ ჟღერადობასა და საგანთა ოდნავ მუტად „მკვირვ“ ფერწერულ დამუშავებამდე.

დეკორატივიზმის პრინციპი დღეს თეს პორტრეტების საფუძველში. პორტრეტის საყოველთაო (ინვარიანტული) სახე, რომელიც, ჩვეულებრივ, მოიცავს მოდელის ფიზიკური მსგავსების, მისი ფსიქოლოგიის გარკვეული ნიშნების, ემოციური მდგომარეობის მატ—ნაკლებ გადმოცემას, თითქმის საკლებად აინტერესებს. მისი პორტრეტების სენანტიკა სადაც „ნატურმორტულ“ და „დეკორატიულ“ პორტრეტულ მორიასა, როდესაც, ერთის მხრივ, მოდელის ხედვას არ სცოდნება ნებისმიერი უსული საგნის ხედვას, ხოლო, მეორეს მხრივ, იგი მუშავდება, ასე ვთქვათ, არა „სერიოზული“ პორტრეტის კატეგორიების პოზიციებიდან, არამედ „დეკორატიული შეგარნებების“ თვალსაზრისიდან. თეს პორტრეტების კომპოზიცია ერთნაირია: ეს არის წელამდე გამოსახული მჯდომარე ფიგურა დეკორატიულად აქტიურ ფონზე, მშვიდ მდგომარეობაში („ნიხო ზამთარადის პორტრეტი“, „თამუნას პორტრეტი ცისფერში“; „ცისფერყანწველებზე შეყვარებული“). მაგრამ, უსული საგანთა სიმშვიდისაგან განსხვავებით, თეს პორტრეტების სიმშვიდე — „განსულიერებული სიმშვიდეა“. მის პორტრეტულ ხელოვნებაში ერთ—ერთი საუკეთესოა პატარა თამუნას პორტრეტი უცნაური სათაურით, „სედა ყველანი უკეთ ვიქნები“; რომელიც ფერად ფანქრებითა მსერულეული ენერგიული და მეტყველი ტექნიკით.

მშვიდობიანი ყოფიერების შეგრძნება ახასიათებს ახალგაზრდა მხატვრის პეიზაჟურ კომპოზიციებს. ძირითადად, ეს არის პანორამული ხასიათის ქალაქური პეიზაჟები. მათი სასიამოვნო ფერადობანი გარემო და ჟღერადი დეკორატიული ეფექტი აგებულია გახსნილი ფერების გამოყენებაზე. ამის სამავალითო ნიმუშია პეიზაჟი „ღრმალულე“. განსხვავებული შეფერილობის წითელი ფერის ლაქები, დალაგებული ვერტიკალურად თუ პირიზონტალურად, რომელსაც ეხმარებიან სხვადასხვა ინტენსიურობის ყვითელი, თეთრი, ლურჯი და დასმული თუ ღია მწვანე ფერები, ქმნიან პანორამული სივრცის შეგრძნებას, რომელშიც შენარჩუნებულია თბილისის ამ უზნის სახასიათო ნიშნები. ასეთივე ჟღერადი ფერების გამოყენებაზე, სადაც ფუნჯის ყოველი მოძრაობა მკაცრად დისციპლინირებულია და საგნები — სახლები, მათი სახურავები, კედლები, ფანჯრები — მონიშნული გეომეტრიულად მკაფიოდ განსაზღვრული კონტურებით, — აგებულია პეიზაჟები „ტელმანის ქუჩა ბაგრატიან“, „ეზო“, „ბალახანი“ და სხვ. ლამაზია გარემო და ვაშლის ხის ახრეული უზორი პასტელით მსერულეულ პეიზაჟში „ჩემი ეზო“. ვაშლის ხე; მომზიებულია აკვარელური ფერწერის სინაზე მშვენიერ პეიზაჟში „ჩემი ქუთაისი“ და სხვ. საერთოდ, გრაფიკული საწყისი საკმაოდ ძლიერია თეს ფერწერაში. ზეითის საღებავების გამოყენებასთან ერთად, მხატვარი ძალიან აქტიურად მიმართავს სუფთა გრაფიკულ საშუალებებს — აკვარელს, გუაშს, აკრილს, ნახშირს, ტუშს, ფერად ფანქრებს. დეკორატიული ეფექტის გასაძლიერებლად ხშირად იყენებს მერულ ტექნიკასაც (ლამაზი „კომპოზიცია ნივთებით“).

თუ სულაჟურიის შემოქმედებაში ვხვდებით სახეებს, წარმოშობილს ლიტერატურულ ნაწარმოებებთან გაცნობისას. მაგრამ, ეს არ არის ილუსტრაციები მხატვრული ტექსტის დასურათების მიღებული პრინციპიდან გამომდინარე, უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა, რომ ეს ლიტერატურულ მოტივებზე დაფუძნებული დამოუკიდებელი ხასიათის ნახატებია, სადაც მწერლის სახეები მხოლოდ ბოძია ახალი მხატვრული სამყაროს შექმნისათვის, რომლებშიც მხატვარს თავისუფლად შეჰყავს მის წარმოსახვაში შოილი, ლიტერატურული პირველწყაროსგან სრულიად მოწყვეტილი სახეები. ასე, ჟოზე—მარია დე ერედის ფილოსოფიური ლექსების კრებულიდან ნასაზროლებ მოტივებში თეს შეაქვს

ქართულ მითოოტურ აზროვნებაში შექმნილი სახეები და ქართული არქიტექტურული ძეგლები, თუმცა ნახატის პლასტიკურ გადაწყვეტაში გამოყენებულია ევოპტური ფრესკებიდან მომდინარე პრინციპები (გამოსახულებების იარუსებად განლაგება, ფიგურების ფასად-პროფილური მდგომარეობები, სხეულის ფორმების გეომეტრიზაცია და სხვ.). ფრესკებიდან მომდინარეობს აგრეთვე ფორმების მონუმენტური განზოგადება და დეკორატიულ ლაქებად გააზრებული ფერი. სუფთა, გახსნილი საღებავების ინტენსიურ ფერადობაზე აგებულია გ. ცეცხლადის ნაწარმოებებისათვის შექმნილი ლა-

რულ-ზღაპრული სამყაროთი, ვფიქრობ, თანხმობა-ნია ახალგაზრდა მხატვრის დღევანდელი სტილისა, მისი სულიერი წყობისა და მსოფლგანცდისა.

თავის შემოქმედებითი პერიოდის დასაწყისში თეა სულაბერიძემ ბევრი რამ მოასწრო. იგი არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, ფერმწერთა VI და მოქანდაკეთა II საერთაშორისო პლენერის მონაწილე, ჰქონდა პერსონალური გამოფენა თბილისში — „კავასიურ სახლში“; ამასთან, ქუთაისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის ხელოვნების პედაგოგიცაა და ამ საქმეს მთელი მონდომებითა და გატაცებით აკეთებს.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ახალგაზრდა



სამი ფინჯანი, 60x70, ტილო, ზეთი, 2008 წ.

მაზი ნახატები („სურა“) და სხვ. მხატვრის შემოქმედებაში ერთ-ერთი საუკეთესო და სახასიათოა პაოლო იაშვილის სიმბოლისტური პერიოდის რთულ ლექსზე შექმნილი სურათი „ფარშევანგები ქალაქში“, რომელიც, თავისი მიაბიტური, სუფთა ბავშვური წარმოსახვით, ნამდვილად ნაიფური მხია-

მხატვრის შემოქმედება ყურადღების ცენტრშია და წარმატებით სარგებლობს, რაც უტყუარი მტკიცებულებაა იმისა, რომ იგი საინტერესო, ნიჭიერი შემოქმედია, პიროვნება, რომელიც მომავალში კიდევ უფრო მეტი სიცხადითა და ეფექტურობით წარსდგება ხელოვნების მოყვარულთა წინაშე.

ნატალია პატარიძე

ახლოგაზრდა მხატვარი ირაქლი სვანიძე



„პოეზია ყრუ ფერწერაა, ხოლო ფერწერა — მუნჯი პოეზია“ — თქვა ლეონარდო და ვინჩი და ამ მოსაზრებას ხელოვნების ორი მაგისტრალური დარგის შესახებ იზიარებს ირაქლი სვანიძეც, მისთვის ბგერა, ფერი და ცნება ერთ ფერსულში ჩაება, შეზავდა და მთლიანობად გადაიტაცა...

დაიბადა 1984 წელს ქუთაისში, დამთავრა მესამე საჯარო სკოლა, სამხატვრო ლიცეუმში ავთანდილ ტატანაშვილის, რობერტ მნაცაკანიანის და დათო კინწურაშვილის უშუალო მეცადინეობით გადაწყვიტა, გაპყლოდა მხატვრის მიძიე და სირთულეებით აღსავსე გზას, ამის შემდეგ გოგი წერეთლის, ლალი ზამბახიძისა და ლევან ჭოლოშვილის ხელმძღვანელობით, თბილისის სახელწიფო სამხატვრო აკადემიის დიპლომანტი გახდა.

მძაფრი პროტესტით შენიღბულ კვაზინელოვნების ცდუნებას ირაქლი სვანიძეც ვერ უძლებს და აქტიურად მონაწილეობს „კრეატიული ფაბრიკის“ მიერ მოწყობილ პერფორმანსებში. იზიარებდა ექსპრესიონიზმის, აბსტრაქციონიზმისა და განსაკუთრებით კი — კონცეპტუალიზმის პოსტულატებს, რასაც, დღევანდელი გადასახედიდან, სამწუხარო ფაქტს უწოდებს, კონცეპტუალიზმის ფუძემდებლები არიან იუმლერი, ვანერი, ჰესე, ზუემანი, კავარო და ა.შ. წარმოიშვა 60–80-იან წლებში.

ხელოვნების ნაწარმოების ფორმალური ლოგიკური იდეა, მისი ვერბალიზებული კონცეფცია მიმზიდველი გახდა ახალგაზრდა მხატვრისთვის,



საპერო ბურთები, 40x65 ქალაღი, ფერადი ფანქარი, 2008 წ.

მაგრამ სხვა ისტორიულ ფონზე წარმოქმნილმა ხელოვნების მიმდინარეობამ ქართულ რეალობასა და ცნობიერებაში ვერ ჰპოვა განვითარება, ამიტომაც მხატვარი თვლის, რომ შემოქმედებითი ცხოვრების ეს პერიოდი გამოტოვა და დრო უმნიშვნე-

„ჭვავის ყანაში“. დღესდღეობით, ძიებაშია, ცდილობს, გააანალიზოს განვლილი გზა და შეუდგეს სრულიად ახალს, რომელშიც არ გამოჩნდება წარსულის ანარეკლი.

მისთვის ერთია ფიროსმანი! მოსწონს ქუთაი-



სიჩქარე, 60X80, ქაღალდი, ფერადი ფანქარი, 2008 წ.

ვლოდ გაფანტა. მესამე კურსიდან უკვე სულ სხვა ფურცელი გადაიშალა მის შემოქმედებაში და უკან მოიტოვა ნგრევის, შავ-თეთრი ფერებით, უარყოფითი მუხტით დატვირთული ხელოვნება. ასე შემოიძარცვა ნელ-ნელა ფსევდომხატვრის ნაჭუჭი და დაიწყო მისიული თვითმყოფადი სტილის ძიება, სტილისა, დღემდე რომ აქტიურად ცდილობს, მიაგნოს და გაითავისოს.

უყვარს პოეზია, ლიტერატურა, განსაკუთრებით მუსიკა, ფლობს ინსტრუმენტებს — გიტარასა და ფლეიტას, ერთ დროს ბევრით „აკინძული“ მელოდიური ქსოვილით ცდილობდა ამბის მოყოლას და სამყაროს „გარღვევას“, დღემდე მუსიკა ბატონობს მასზე და ცდილობს ირაკლი სვანიძის, როგორც მხატვრის „დაჩაგვრას“, საინტერესოდ უხამებს მისეულ გემოვნებს ირაკლი ჩარკვიანისა და სელინჯერის შემოქმედებას, თუმცა ვერ არც „ხლვის გადაცურვას“ ცდილობს და არც თამაშს აპირებს

სელი მხატვრები — თეა სულაბერიძე, ავთანდილ აბუსაძე, ჯაფა ჭიჭიშვილი, თუმცა იდეალი არ ჰყავს, რომ მისკენ ისწრაფვოდეს და მას ემგვანოს.

შემოქმედებითი მეგვიდრეობა ძალზედ მწირია, სულ რაღაც ათიოდე ნახატს ითვლის, გაერთიანებულს ერთი თემის ქვეშ, რომელსაც „ველურები“ უწოდა. პრეისტორიული ნახატის იდეის ინსპირირება მოხდა იოსებ ბოისის — დიუსელდორფის აკადემიის რექტორის მიერ შექმნილი სერიის „ახალი ველურების“ მეშვეობით. ასევე საინტერესოა ნაწარმოები სახელწოდებით „სახურავზე“, რომელზეც ცოტა უფრო ვრცლად შეეჩერდები, რათა უკეთ წარმოგაჩინოთ მხატვრის მსოფლმხედველობრივი იდეურ-ფილოსოფიური მოტივაცია.

პრიმიტივიზმის ნიშნებით, კონტრაპუქტის პრინციპით აწყობილი ფერთა გამით, „გულუბრყვილო“ თხრობის მანერით გადმოცემულია სასურავზე განვითარებული მოვლენები. სურათი 4 სემენტად



იყოფა, სადაც ჩანს სხვადასხვა სახურავი კონტრასტული ბუნებრივი მოვლენებით. წინა პლანზე წამოწეულია გოგონას ფიგურა, რომელიც მზით განათებულ სახურავზე დგას, პერსპექტივის პრიმიტიული მინიშნებით მის გვერდით მსატყვარი ათავსებს ვაჟს განსხვავებული სიმაღლის სახურავზე, რომლის თავზე წარმოდგენილია მთვარისა და ვარსკვლავებით მოჭედული ცის პირობითი პეიზაჟი, დანარჩენ ორ განზომილებაში ვხვდებით წვიმისა და „ქარბორბალას“ ბუნებრივ მოვლენებს. ყურადღებას იქცევს ქალ-ვაჟის თანმხლები ციური სხეულები, რაც, განვითარების ზენიტში, ინის იანდა გადაქცევის, დაიზმის, ჩინური ფილოსოფიის ძირითადი ცნების სიმბოლური პლასტის შემცველი შეიძლება იყოს, მაგრამ სხვადასხვა სიმაღლეზე პერსონაჟების განლაგება თითქოს წინააღმდეგობაშია შემოთქმულთან, რადგან შეიძლება ქართულ-მენტალური ტრადიციული აზროვნების ან გენდერული დისბალანსის ქვეტექსტიც ამოვიკითხოთ მასში, თუმცა მზით განათებული ქალის ფიგურა მინც პოზიტორ ასოციაციებს იწვევს და გაცილებით ღრმა, ფილოსოფიურ შრეებს ქსმანება, ვიდრე ტრადიციულ, ვიწრო, „მოკლემეტრაჟიან“ აზროვნებას. უპირველეს ყოვლისა, ნაწარმოების სათაური გვაძლევს მიმართულებას, გაგხსნათ ნახატის იდეურ-თემატური „საიდუმლო“ — სახურავზე შემდგარი ადამიანისთვის მიწიერი პრობლემები მიზერიული და მოუწვდომელი ჩანს, იგი პასიური დამკვირვებლის ფუნქციას იძენს და არ ერთვება ცხოვრების დინამიკაში. ეს განაყენებულობა მის შიშზე მეტყველებს, იგი გაურბის სამყაროს, სადაც ბევრი ბოროტება, ჭუჭყი და სიცივნეა...

ასე, მიწიერი პრობლემათაგან გაქცევით, ირაკლი სვანიძე კვლავ ახალ „თავშესაფარს“ ეძებს მუსიკის თვალუწვდენულ სამყაროში და ცდილობს, იპოვოს მსატყვარი, რომელიც „შექმნის იდეალისტურ ხელოვნებას და მოუტანს ხალხს სიხარულს“, მანამდე კი უსმენს და „cooldplay“-ს სიმღერებიდან ციტატა — „მინდა ვიცხოვრო ხის სახლში და ვუყურო მზის ამოსვლას“ — გარკვეული ლითომოტივის ფუნქციას იძენს მის ახლანდელ შემოქმედებაში...

წვეილი, 40X65, ქაღალდი, ფერადი ფანქარი

ქრის წისქვილები, 40X65, ქაღალდი, ფერადი ფანქარი

ოჯახი, 40X65, ქაღალდი, ფერადი ფანქარი

პეიზაჟი, 40X65, ქაღალდი, ფერადი ფანქარი



მუზის დაჭერის მცდელობა, 40x65, ქაღალდი, ფერადი ფანქარი



მუსიკა, 40x65, ქაღალდი, ფერადი ფანქარი

ნატალია პატარიძე

თეჯა მეგენეიშვილის „ბუნტის მითოლოგია“




მე არ ვარ საზოგადოების წევრი — ასეთი მე-ამბოხე, სმაურიანი განაცხადით იწყებს შემოქმედებით ასპარეზზე თავის დამკვიდრებას თეჯა მეგენეიშვილი!

ბუნტარული, უკიდურესი პროტესტით განმსჭვალული ახალგაზრდის მსოფლალქმა არ იწვევს გაკვირვებას, რადგან ის ქუთაისში, ყოფილი პრობლემებით დამძიმებულ ქალაქში დაიბადა 1978 წელს. თეჯა მეგენეიშვილმა ქუთაისის ოცდამესამე საშუალო სკოლა დაამთავრა და სწავლა განაგრძო თბილისის სამხატვრო სკოლაში (პედაგოგი თემურ სხულუხია), სასწავლო კურსი დაასრულა ქუთაისის ხელოვნების ინსტიტუტში ნატო მიქავასა და ზურაბ თოდუას ხელმძღვანელობით.

ნონკონფორმისტული და ამბოხების აბსტრაქციული პრინციპებით გატაცებული, მეგობრებთან ერთად მონაწილეობდა გამოფენებში, მაგრამ უკიდურესი პროტესტის ტალღამ გადაიარა და ნაპირზე მხატვრის ჯერ განუვითარებელი, მაგრამ ხალასი ნიჭიერება დატოვა.

შემოქმედებით ასპარეზზე მხატვარი აქტიურად იწყებს მოღვაწეობას 2009 წლიდან, მონაწილეობს



„ფიქრი“, 100x50, ტილო, ზეთი



„გზა“, 111x88, ტილო, ზეთი



„დენდრონა“, 79x53, ტილო, ზეითი



„გული“, 45x50, ტილო, ზეთი

გალერეა „ვარლას“ სავაზაფხულო-საშემოდგომო გამოფენებში, ამავე წელს მიიწვიეს თბილისში, სასტუმრო „მერიოტში“ მაკა კახიძის მიერ ორგანიზებულ გამოფენაზე.

მისი სამყარო განსხვავებული და ორიგინალურია, ეუკალირებული რეალიზმითა და პარადოქსებით საგესე, მაგრამ მინც საინტერესო, იგი მუდმივი მოძრაობისაკენ გიბიძგებს და მოღუნების საშუალებას არ გაძლევს.

ფერთა ქრომატული გამის ქლერადობას ერთგვარი დისონანსი შეაქვს ყოველდღიურ ონტოლოგიაში და ახდენს ნაცრისფერი რუტინის დასასრულის კონსტიტუირებას, პინკ ფლოიდის, ლაკრიმოზას ფსიქოდელოური მუსიკა, ფერად ქცეულ განცდად „ჩადის“ მხატვრის არაცნობიერში და კვლავ ამოიზრდება ფერწერული სურათის სახით. შეიძლება თამამად ითქვას, რომ უფრო ფორმალზე კონცენტრ-

რირებს და ამიტომაცაა ხშირი მის შემოქმედებაში ფორმისა და შინაარსის კონფლიქტი.

თეკა მეგენიშვილის შემოქმედება ოცდაათზე მეტ სურათს მოიცავს: „დრო“, „სონსი“, „აქ დავტოვეთ“, „სინანული“, „მთლიანი“, „ემბრიონი“, „ქაოსი“ და სხვა მრავალი.

სურათი „აქ დავტოვეთ“ არის უსასრულო გზა მხატვრის მექსიერების გავლით, მიუხედავად სუბიექტური დასათაურებისა, ნაწარმოები ობიექტურ მნახველსაც აძლევს „აქ დარჩენის“ საშუალებას.

იგი ნათელი, აქტიური ფერადი გამით ხატავს რთულ სიუჟეტურ ქარგას, სურათზე ანფასში გამოსახული მეწამულისფერი ადამიანის კონტური კინეტიკური ენით მიგვიითიფებს გონებისკენ, წვრილი ნერვების ულამაზესი ქსოვილი მთელ სხეულში იბნევა და ერთურთს კვებს. მარტივი



„ქაოსი“, 108X112, ტილო, ზეთი

უქსტი— ხელი გონებისკენ გვიყვება მუსიკოსებით, სახლებითა და ადამიანებით დატვირთულ საინტერესო ამბავს, სადაც მთავარი პროტაგონისტი, თავის დროზე, ალბათ, მხატვარი იყო, ახლა კი ჩვენ მიუყვებით თეკა მიგინეიშვილის განცდილსა და ნაფიქრალს, მიფუყვებით საინტერესოდ, ქვეცნობიერისა და ცნობიერის, წარსულისა და აწმყოს, ტკვილისა და სინარულის გავლით, სადაც ფუყურებთ მუსიკას და გვექმის ფერის.

საინტერესოა მოხრილ ხელში გადაშლილი ნათელი პეიზაჟი, ლაყვარდი ცითა და ოქროსფერი მხესუმზირებით, რომელიც თითქოს სარკმელია აწმყოსა და მომავალს შორის. ხელს ქვემოთ და სურათის ქვედა ნაწილში უკვე მხატვრის მექსიერებიდან გამოდევნილ სახეებს, მოგონებებსა და ნააზრევს ვაწყდებით, რომელთაგან ზოგიერთი ქვეცნობიერში ჩაილექა, ზოგიც უკიდევანო, უხვ

ფერთა ზღვაში იკარგება უსახელოდ და უმი-სამართოდ.

გულის მაგივრად მზე ადამიანის სუბსტანციის პოზიტიური ამოხსნაა. მიუხედავად იმისა, რომ თეკას ინტერვიუ საპირისპიროს გვიტყვიცებს, მისი სურათები სხვაზე მეტყვილებს, — მას სწამს ადამიანთა სიკეთის და სჯერა მომავლის, რისი ნათელი დადასტურებაცაა თუნდაც მეწამულისფერი კონტურით შემოსაზღვრული ადამიანის სხეული, ოდი-თგანვე სილაბაზისა და მშვენიერების სიმბოლურ პლასტს რომ ატარებს.

მხატვრის ორიგინალური, სიმბოლური აზროვნების უნარი საინტერესოა, ფფიქრობთ, იგი უნდა გაიზარდოს და განვითარდეს, რადგან, როგორც პ. ჩაიკოვსკიმ თქვა — „ალმასს რაც უფრო მეტად დაამუშავებ, მით მეტად გამოზრქინდება“.

შორენა ფხაკაძე

ბარნაბ ფხაკაძე



ჩემი რესპოდენტი მხატვართა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც სატაყენ არა იმისთვის, რომ სახელი გაითქვან, არამედ საკუთარი შინაგანი მოთხოვნებიდან გამომდინარე, „თავისთვის“. ბარნაბიც მხატვართა საზოგადოებისათვის ცნობილი მაშინ გახდა, როდესაც მეგობრების რჩევას დაჰყვა და თავისი ნამუშევრები ამ საზოგადოებას წარუდგინა. პირადად მე ის, როგორც მხატვარი, 2007 წელს აღმოვაჩინე, როდესაც უნივერსიტეტში, ერთ-ერთ აუდიტორიაში ლექციაზე შესულმა, მოლბერტთან, ფუნჯით ხელში დავინახე. პროფესიული დაინტერესებიდან გამომდინარე, მისი ვინაობა ვიკითხე ბადურ ფხაკაძე – იყო პასუხი.

ბარნაბ (ბადურ) ფხაკაძე 1969 წელს დაიბადა ქუთაისში, დაამთავრა IX რუსული საშუალო სკოლა, რომლის პარალელურადაც, I სამუსიკო სკოლაში, ნაზი პატარაიას კლასში სწავლობდა. ხატვა 5 წლის ასაკში დაიწყო. თავის პირველ პედაგოგად რეზო რამიშვილს ასახელებს, პიონერთა სასახლეში კი ალიოზა ტოკონიძე ასწავლიდა. აკადემიაში ჩაბარებამდე ლენინგრადში, კერძო პედაგოგებთან სწავლობდა – ფერწერაში დ. შუვალოვთან, ნახატში – რ. კურილიაკთან. 1990 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა, რომელიც 1995

წელს დაამთავრა, თუმცა საგამოფენო მოღვაწეობაში აქტიურად გვიან, 2007 წლიდან ჩაერთო.

მხატვარი თავის ძალეებს სხვადასხვა ჟანრში ცდის – პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი, ანიმალისტური ჟანრი, თუმცა წამყვან ადგილს მის შემოქმედებაში პეიზაჟი იკავებს – „თბილისის სახურავები ნისლიან დილით“, „თოვლი ქუთაისში“, „ძველი სახლები“ და ა. შ. ჩანაფიქრი, ძირითადად, ჟანრული სასიათისაა, არჩეული მოტივი ხედვის ერთი წერტილიდან გადმოიციემა, პერსპექტივა პირდაპირია. ზოგიერთ ნამუშევარში იგრძნობა იმპრესიონიზმის გავლენა, რომლითაც სტუდენტობის წლებში იყო გატაცებული – („ყვავილები“, „ძველი სახლები“, „დათოვლილი ნაძვები“), ზოგან ეხედებით პრიმიტივიზმის გავლენას – დეკორატივიზმს, ფორმების თავისუფალ ინტერპრეტაციას. ამის თქმის საფუძველს იძლევა „ვაგნერის მოვზაურობა მამლით“. ეს ყველაფერი ცხადად მოწმობს, რომ მხატვარი ძიების პროცესშია და მისი ინდივიდუალური სტილი ახლა ყალიბდება.

ბარნაბს ხანგრძლივი ურთიერთობა აკავშირებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან – 90-იანი წლების ბოლის იქ მისი გამოფენა მო-



გვირილები ლარნაკში, 60x45, მ.ზ., 1992 წ.



თოვლი ქუთაისში, 32x46, მ.ზ., 2007 წ.

ეწყო, ხოლო გასულ წელს, როდესაც ცნობილი მწერლის – რეზო ჭიჭიშვილის იუბილე აღინიშნა, უნივერსიტეტმა ბარნაბის ნამუშევარი ბატონი რეზოსათვის საჩუქრად გადასაცემად შეიძინა.

მხატვარმა სულ ცოტა ხნის წინ მიიღო მიწვევა ჟურნალიდან “Ostwind. Kunst und Integration” („...დამოსავლეთის ქარი. სელოვნება და ინტეგრაცია“). ჟურნალი წელიწადში ორჯერ გამოდის და პოსტსაბჭოთა სივრცეში მოღვაწე ახალგაზრდა მხატვართა პოპულარიზაციას ემსახურება. მაისიდან მასში ბარნაბის ნამუშევრებიც განთავსდება.

ვინაიდან რუსული სკოლა გაიარა, ქართველი მხატვრების – ლ. გუდიაშვილისა და მ. თოდის შემდეგ თავის საყვარელ მხატვრებად „პერედვიჟნიკებს“ ასახელებს. ფერწერა მისი პროფესიაა, გატაცებები კი მართლაც რომ უჩვეულო ჰქონდა და აქვს: ბავშვობაში მისი ჰობი თვითმფრინავების მოდელირება იყო, 80–იანი წლებიდან კი აღმოსავლური ორთაბრძოლები, რითაც დღემდეა დაკავებული.


დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ მხატვარს ჩაფიქრებული აქვს ნამუშევრების სერია თემაზე „ქართული ლხინი“. წარმატებები ვუსურვოთ შემოქმედებით გზაზე.

შეგარბულები, 80x60, ტ.ზ., 2001 წ.



ანა ახვლედიანი

ლევან ვეხუა



იყო ხელოვანი – ეს იშვიათი ნიჭი და უდიდესი პასუხისმგებლობაა. ხელოვანის მთავარი დანიშნულება ხომ მატერიალურ ყალიბში სულიერი სამყაროს ჩამოსხმა და მისი ხალხამდე მიტანაა. ლევან ვეკუა ფერწერის საშუალებით ცდილობს საკუთარი სულიერი სამყაროსა და გარემომცველი რეალობის ასახვას და სათქმელი, ჩარჩოებისაგან განთავისუფლებული სურვილები და შთაბეჭდილებები ფერწერულ ტილოზე გადმოაქვს ორიგინალური ფორმებითა და დახვეწილი ფერებით.

დაიბადა 1975 წ. 28 ივნისს, დაამთავრა ქუთაისის პირველი საშუალო სკოლა. ხატვისადმი ინტერესი ადრეულ ბავშვობაში გამოამჟღავნა. „ვხატავდი ყველგან და ყოველთვის. სკოლის საკონტროლოს რვეულებშიც კი. ამის გამო ყოველთვის მიჯავრდებოდნენ და ყველაფერს თავიდან მაწერინებდნენ. ასე რომ, ხატვას ჩემთვის მხოლოდ კარგი არ მოუტანია.“ – ამბობს ღიმილით. სკოლის პარალელურად დადიოდა სამხატვრო სასწავლებელში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ

იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. მაგრამ ლევან ვეკუას შემთხვევაში ერთმანეთთან შეუთავსებელი აღმოჩნდა ხელოვნების სიყვარული და სამართლის კანონები. ხელოვანებად, ალბათ, იბადებიან და მისდამი მიდრეკილება არ არის შექმნილი თვისება. ნებისმიერ დარგსა და ჟანრში მოღვაწეობა მოითხოვს სიყვარულის უდიდეს უნარს, რაც გენეტიკური კოდივით უნდა იდოს ადამიანის სულში. ეს უნარი დიდხანს

ვერ გავრდება რეალიზების გარეშე, თავის გზას, ადრე თუ გვიან, მაინც მოიძებნის და სიტყვის, ნოტიის თუ ფერის სახით გამოჟღავნდება. ამიტომაც მოხდა, რომ მას ვერც ლევან ვეკუა გადაურჩა. იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსზე იყო, როდესაც მიატოვა სწავლა და თბილისის სამხატვრო აკადემიაში ჩაირიცხა თავისუფალ მსმენლად.

პირველი პერსონალური გამოფენა 2000 წ. მოაწყო და წარმოადგინა გუბრონში შესრულებული ნამუშევრები. სართო ჯამში, 10-მდე პერსონალური გამოფენა ჰქონდა, მათ შორის, 2008 წ. „ვარლამი“. ამ გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები შესრულებულია ფურცელზე კაწვრით, ფერების გარეშე. „ვარლამი“ გამოფენილი ნამუშევრები შემდეგ საზღვარგარეთ, კერძოდ ლატვიაში გაიტანა და საქართველოში აღარ დაუბრუნებია. სამომავლოდ აპირებს პერსონალური გამოფენების მოწყობას მთელს საქართველოში. ასე რომ, ქუთაისის გარდა სხვა ქალაქებშიც შეეძლებათ გაეცნონ მის შემოქმედებას.

პერსონალური გამოფენების გარდა, ლევან ვეკუა ხშირად იღება მონაწილეობას სხვადასხვა ფესტივალებში. ერთ-ერთი მათ შორის არის „არტ-გენი“, სადაც სამჯერ წარსდგა საკუთარი შემოქმედებით, აგრეთვე სამჯერ მიიღო მონაწილეობა ფესტივალში „ოქროს აკენი“ და სამივეჯერ გრანპრი მოიპოვა.

ლევან ვეკუა მოთხრობებსა და ლექსებად წერს, გამოცემული აქვს ლექსების კრებული „აღმართგონა“.

მამინ, როდესაც იგი ხელოვნებაში პირველ ნაბიჯებს დგამდა და თავის დამკვიდრებას იწყებდა, ქვეყანაში ძალიან მძიმე სოციალური და პოლიტიკური ვითარება იყო. ამანაც განსაზღვრა ალბათ მხატვრის შემოქმედებითი სტილი და ნამუშევრების თემატიკა. მის ნახატებში შეიმჩნევა სიურეალიზმი – სა და მოდერნიზმის ნიშნები. სიურეალიზმისათვის



ინდიელი ჩიტი, 35x50, ქ.დ. შერ. ტექ.

დამხასიათებელი ჭეშმარიტი ცხოვრების გამოხატვა მკვეთრი ფერებით, ირონია არსებულის მიმართ ნათლად იკვეთება ლევან ვეკუას შემოქმედებაში. არც შეიღობოდა, ადამიანს 90-იან წლებში ეცხოვრა და პროტესტის გრძობა არ გასაჩნოდა იმდროინდელი ვითარების გამო. ალბათ ამათ გამოიწვია ის, რომ მხატვარი, მოდერნისტების მსგავსად, ხატვისათვის იმპულსებს საკუთარი თავიდან იღებდა, გარე სამყაროდან მიღებულ შთაბეჭდილებაზე აღარ იყო დამოკიდებული, ხელოვნება მისთვის მინაგანის გარეგამოხატულებად იქცა.


მაგრამ ადამიანი ან უნდა შეეგუოს ამ მდგომარეობას და მიეყვას ცხოვრების მდორე, ერთფეროვან დინებას, ან მთელი თავისი ენერჯია და შესაძლებლობები მოახმაროს დინების საწინააღმდეგოდ ცურვას. ასე მოხდა ლევან ვეკუას შემთხვევაში. თუმცა ის არ ყოფილა ერთადერთი, ვინც მაშინ ხელოვნების საშუალებით გამოხატაუდა პროტესტს და საკუთარ საქმეს აკეთებდა. 1989-დან ჩამოყალიბდა მხატვრების ათკაციანი კლუბი, სახელწოდებით „არტ-კლუბი“. მათ შორის იყო ლევან ვეკუა. ამის პარალელურად არსებობდა მუსიკალური დაჯგუფება „ქართული ტაღლა“. მაშინ, როდესაც ქალაქში არ იყო არანაირი პირობები ხელოვანი-სათვის, ამ ორ კლუბში გაერთიანდნენ ენთუზიაზმითა და რწმენით სასუქ ახალგაზრდები და თავის პროტესტს პერფორმანსების სახით გამოხატავდნენ.

გარდა ერთობლივი მუშაობისა, ლევან ვეკუას ცალკეული ნამუშევრებიც მეტყველებენ მხატვრის დამოკიდებულებაზე რეალობისადმი. მაგ: ნახატი „კუ-ლტურა“. მასში გადმოცემულია ქუთაისის კულტურისა და ხელოვნების მდგომარეობა. ის კუს ნაბიჯებით მიიწევს წინ, ხოლო მცირედი, რაც კეთდება, არ არის ღირებული. ამაზე ნახატის უსიცოცხლო ფერები მეტყველებს.

ლევან ვეკუას შემოქმედებაში აქტუალურია რელიგიური თემატიკაც. „რელიგია ყველაზე მრავალფეროვანი თემა და ბევრის თქმის საშუალებას გაძლევს.“ – ამბობს ის.

ამჟამად ლევან ვეკუა ფერწერით აღარ არის დაკავებული, თავის პროფესიას გამოყენებითი ფორმა მისცა და ქუთაისის ერთ-ერთ სარეკლამო კომპანიაში მუშაობს დიზაინერად. ის, რომ თანამედროვეობის ნაკლის დაძლევისა და ღირებულებების მოძველებული სისტემის რღვევას აღარ ცდილობს, განაპირობა იმან, რომ ზედმეტად მატერიალისტურ ეპოქაში ვცხოვრობთ. სულიერმა შემეცნებამ უკანა პლანზე გადაიწია: „თუ დახატავ და დაწერ, ან მარტო მეგობრებს უნდა აჩვენო, ან საკუთარ თავს გადამაბიჯო და შექმნა კარგად გაყიდვადი პროდუქცია.“

ალბათ, ყველაფერს თავისი დრო აქვს. ახალგაზრდულმა პროტესტის გრძობამ და ენთუზიაზმმა თავისი გასაკეთებელი 90-იან წლებში გააკეთა. მიუხედავად იმისა, რომ არსებული მდგომარეობით არც ამჟამადაა კმაყოფილი, ლევან ვეკუამ მაინც აუწყო ფეხი ცხოვრების სტანდარტულ ფორმას და დინების საწინააღმდეგოდ აღარ ცურავს.



ავსტრიელი ჩიტი, 50X35, ქაღ. შერ. ტექ.



ჩიტი-ავტობორტრეტი, 50X35, ქაღ. შერ. ტექ.

ანა ახვლედიანი (დებიუტი)

„მიქაელები“



ნატო მიქავა

„მიქაელები“ – ეს ბრენდის სახელწოდებაა, რომელსაც, ჯერჯერობით, ქუთაისის მოსახლეობის მცირე ნაწილი თუ იცნობს. ქალაქში, უამრავი სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემა რომ აქვს, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ძვირფას დროს ხელოვნებას უთმობენ და თავიანთ სიტყვას ამბობენ მის სხვადასხვა ჟანრში. საბედნიეროდ, ყოფილი პრობლემებით დატვირთულ და გადაღლილ ხალხშიც მოიძებნებიან ამ ხელოვნების შემფასებლები და დამფასებლები. ცხოვრება გვიწევს

ისეთ ეპოქაში, სადაც ტექნიკურმა პროგრესმა პიკს მიაღწია, თუმცა, მიუხედავად ამისა, ადამიანის შინაგანი სამყარო მოითხოვს საზრდოს სულიერი განვითარებისათვის და სწორედ ამ კეთილ საქმეს ემსახურებიან და—მა ნატო, ქეთევან და ნოე მიქაელები.

სამივე მათგანმა ბავშვობა გაატარა ქუთაისში. მამის რჩევითა და ხელმძღვანელობით ბავშვობიდანვე შეაბიჯეს ხელოვნების მომწოდებელ სამყაროში.

ნატო მიქავა, სკოლაში სწავლის პარალელურად, იღებდა მუსიკალურ განათლებას და იყო სამხატვრო სკოლის მოსწავლეც. 1985 წ. სწავლა განაგრძო თბილისში, სამხატვრო აკადემიაში, ტანსაცმლის მხატვრული მოდელირების სპეციალობაზე, სადაც ასწავლიდნენ ილი პატაშური, თენგიზ კიკალიშვილი, ლიდა ავალიანი, ნუნუ ახალაშვილი. გარდა ამისა, განვლილი აქვს ტრიკოტაჟის მოწითვის კურსი და ამ სფეროში მუშაობდა კიდეც. როგორც თავად აღნიშნა, იყო აკადემიის წარჩინებული სტუდენტი. სტუდენტობის დროს ყოველწლიურად ეწეობოდა მისი პერსონალური გამოფენა. ასეთი ნიჭისა და შრომისმოყვარეობიდან გამომდინარე, ჰქონდა ბევრი შემოთავაზება, დარჩენილიყო თბილისში და იქ გაეგრძელებინა მოღვაწეობა. მიუხედავად დედაქალაქში თავის დამკვიდრების დიდი შანსისა, ნატო მიქავა, მშობლების თხოვნით, ქუთაისში დაბრუნდა.



თექვსი ვაწკობილი ფულე, ნატურ. მატყლი



თექვის პალტო ფულე, ნატურ. მატყლი



სვესურული ტანისამოსი ფულე, ნატურ. მატყლი

საშემოდგომო კოსტიუმის ესკიზი, 100x70, ქალ. გუში აკვ.



საგაზაფხულო კოსტიუმის ესკიზი 100x70, ქალ. გუში აკვ.



მუშაობდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მისი დი-
მოზონდომებით აქ ჩამოყალიბდა მოდელირების
კათედრა, მონაწილეობას იღებდა საგაზაფხულო-
საშემოდგომო გამოფენებში. უნდა აღინიშნოს, რომ
ყოველივე ეს ხდება 90-იან წლებში, მაშინ, რო-
დესაც, ალბათ, არ იქნება სმამალალი ნათქვამი თუ
ვიტყვი, რომ ქვეყანაში და ჩვენს ქალაქში სრული
სიბნელე სუფევდა, ხალხის მთავარ საზრუნავს თავის
გატანა წარმოადგენდა. მხოლოდ ხელოვნებისადმი
დიდი სიყვარული თუ შეაძლებინებდა ნატო მიქვასს,
თავის საქმესა და მოწოდებაზე უარი არ ეთქვა. მას
ხუთი წელი რუსეთში მოუხდა ცხოვრება, მოსკოვში

ნათლით, სიყვარულით სასვე სამყაროს და დღემდე
განაგრძობს ამ სამყაროში უფრო ღრმად შესვლას,
თავის დამკვიდრებას.

ნოე მიქვა პროფესიით კერამიკოსია. 1989 წ.
ჩაირიცხა თბილისის სახბატერო აკადემიაში, და-
ამთავრა გამოყენებით-დეკორაციული ხელოვნების
ფაკულტეტი 1995 წ.

ღის მსგავსად, მომავალი ცხოვრების განსაზღვრა
და შემოქმედებითი გზის დაწყება მასაც ძალიან
რთულ დროს მოუხდა — მაშინ, როდესაც ქვეყანაში
არაფის სჭირდებოდა თავისუფლად და პროგრესულად
მოაზროვნე ადამიანი. აკადემიაში სწავლის დროსვე
გამომკვადანა მისწრაფება არქიტექტურული ხელო-
ვნებისადმი. აკადემიაში მისი პედაგოგები იყვნენ: გია
იაშვილი, რეზო იაშვილი, ოთარ მუხიგული, რომან
ცუხიშვილი. ამჟამად ნოე მიქვა თავისი პროფესიით
ალარ მოლვაწუებს, მაგრამ, ღებთან ერთად, მაინც
ხელოვნებას ემსახურება.

მიქვეების ოჯახის კიდევ ერთი წარმომადგენე-
ლია ქეთევან მიქვა. ის ცოცხალი მაგალითია იმისა,
რომ ადამიანი თავის ნიჭსა და შინაგან მოთხოვნე-
ილებას ვერსად გაექცევა, მხოლოდ მონდომება და
მიზნისკენ სწრაფვა საჭირო ამ ნიჭის რეალიზებისა
და განვითარებისათვის. ქეთევანი სკოლის დამთავ-
რების შემდეგ, მშობლების სურვილის გათვალი-
სწინებით, სამედიცინო ფაკულტეტზე ჩაირიცხა,
თუმცა, ამის მიუხედავად, უარი არასოდეს უთქვამს
დიდი ხნის ოცნებაზე. 1990 წელს, 24 წლის ასაკში,
სახბატერო აკადემიაში ჩაბარება გადაწყვიტა და
ჩაირიცხა კიდევ, სწავლობდა სავეჯო და დეკო-
რაციული ქსოვილების სპეციალობაზე. მისი პედა-
გოგები იყვნენ: გივი ყანდარელი, ომარ ხუბულური,
თინა მაცაბერიძე, ვაჟა ჭანჭღლიშვილი.



ნოე მიქვა

მოაწყო გამოფენა და 40 ფერწერული ნამუშე-
ვარი დღემდე იქ რჩება. ნატო მიქვა, შეიძლება
ითქვას, ბავშვობიდანვე მოწყდა მატერიალურ, უე-
მოცილო ყოველდღიურობას, ეზიარა ხელოვნების სი-



საყვავილე ვაზა, 35X30, თისა, ანგობა

მიქაევემა საკმაოდ რთული და ნაყოფიერი გზა განვლეს დღემდე. აღსანიშნავია, რომ სამივე მათგანს აქვს სელოვანისათვის აუცილებელი თვისება – ისინი ყოველთვის ახლის ძიებაში არიან და გამუდმებით იზრდებიან შემოქმედებითად. არცერთი მათგანი არ შემოიფარგლება მხოლოდ სელოვნების ერთი სფეროთი. ნატო მიქაეა აღარ მუშაობს ფერწერაში, მაგრამ აუცილებლად აპირებს ამ სფეროში დაბრუნებას. ნოე მიქაევამაც მიატოვა კერამიკის მოხატვა. არც ქეთევან მიქაეა მუშაობს გობელენზე.



დეკორატიული ლარნაკი, 45X25, თისა, ანგობა

მიუხედავად ამისა, ისინი ერთიანი ძალებით, ერთმანეთის თანადგომით მოღვაწეობენ გამოყენებითი სელოვნების დარგში, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, დღევანდელი მათი მუშაობის სფერო არის თექა, საკუთარ სახლში აქვთ მოწყობილი ატელიე, სადაც მთელ თავის დროს, ენერგიასა და შემოქმედებით ფანტაზიას სარჯავენ სელოვნების ნიმუშების შექმნაზე. ის, რასაც ისინი ქმნიან, ძალიან დიდ ენერგიასთან და დროსთან ერთად, ამ საქმისადმი დიდ სიყვარულს მოითხოვს, რადგან თითქმის ყველაფ-



პეიზაჟი 80X30, ბუნებრ. შალი, ზამბა



ვეღერება 80X60, ბუნებრ. შალი, ზამბა



პეიზაჟი 80X30, ბუნებრ. შალი, ზამბა

ერზე ხელით უხდებოდა თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათ შექმნეს თექვის წარმოების თავიანთი ტექნიკა და ფლობენ ხელოვნანათვის აუცილებელ კიდევ ერთ თვისებასაც — აქეთ საკუთარი ხელწერა, თექვის დამუშავების ტრადიციული ტექნიკისაგან განსხვავებული, ასალი შტრიხის შეიტანეს მის წარმოებაში, კერძოდ, გამზადებულ, დასრულებულ ნამუშევარზე აქარგავენ ორნამენტებს, რაც, საბოლოო ჯამში, კრავს კომპოზიციას და ფერწერული ნამუშევრის შთაბეჭდილებას ტოვებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიქავეების ხელოვნებას არ აქვს მარტო ესთეტიკური დანიშნულება, მათი ნამუშევარი არ წარმოადგენს მხოლოდ ინტერიერის დეკორაციისთვის განკუთვნილ ნივთს — ყველაფერი, რასაც ისინი ქმნიან, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშია. მიქავეების ატელიეში, ძირითადად, იქმნება პალტოები, შარფები, ჩანთები და სხვა აქსესუარები. ყველაფერ ამის ესთეტიურად გასაფორმებლად გამოიყენება კერამიკა და გობელენი.

მიქავეები იზიარებენ თეზას „ხელოვნება ხალხისთვის“ და ერთი შეხედვით მასიური ფორმის სამოსი მათ ხელში ხელოვნების ნიმუშად გარდაიქმნება, ისინი კიდევ ერთხელ გვიდასტურებენ, რომ ხელოვნება უნდა იყოს ხალხის სამსახურში და ამასთანავე, უნდა ჰქონდეს ჰედონისტურ-ესთეტიკური დანიშნულება.



ქეთევან მიქავა

ევროინტეგრაციის დანქარებულ პირობებს თან ახლავს კულტურული ფასეულობების ცვლილებები, სწორედ ამ ტრანსკულტურული მოვლენების პიკზე მიქავებმა ეროვნული ტენდენციებით გაჯერებული ხელოვნება წამოსწიეს წინ. ისინი საკუთარი ხელით ქარგავენ ეროვნულ სამოსს და ცდილობენ, უშუალო შეხებით ააღორძინონ ეროვნული ხასიათი.

„მიქავეები“, როგორც ბრენდი, არც ისე დიდი ხანია, რაც მოდის ასპარეზზე გამოვიდა და თავს იმკვიდრებს ორიგინალური ფორმებით, ფერწერული ნამუშევრებისათვის დამახასიათებელი ფერებითა და კომპოზიციებით.

საკუთარ საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული ეს ადამიანები ძალ-ღონეს არ იმურებენ, რათა ფერწერული ფერებით გააღამაზონ „ყოფიერების აუტენტელი სიმსუბუქე“.



ყვავილების ნატურმორტი, 80x55, ზუნებრ. შალი, ბამბა



დეკორატიული თეფში, 25, ჰიქური, საღებავი

ნატალია პატარიძე

თანამედროვე საეკლესიო ფერწერა იმერეთში

იმერეთში საეკლესიო მონუმენტური ფერწერის საკმაოდ დიდი და ღრმა ტრადიციები არსებობს. სველ ბათქაშში, კირის ხსნარში შერეული ფერებით უკვდავების კედლებზე გამოსახვა დიდ სულიერ მხნობასა და ფიზიკურ გამძლეობას მოითხოვს. ხორცის დათრგუნვითა და სულის განღმრთობით, კანონზე დაყრდნობითა და ნოვაციით, ცნობიერის წვდომითა და ინსტიქტური არაცნობიერის დათრგუნვით, საკუთარი თავის შეცნობითა და გაცნობით, „ჩაშინავნებით“ იქმნებოდა საეკლესიო მონუმენტური ფერწერის შედეგები, შესაბამისად, მყარი ფუნდამენტური წარსული გვაძლევს იმის საშუალებას, ოპტიმისტურად შევხედოთ აწმყოს, შევა-

დართო, შევაფასოთ და დავაფასოთ თანამედროვე ხელოვნათა ღვაწლი, რომელთა შრომა ფასდაუდებელია ტექნიკური გაუცხოების პიკზე, ღმერთდაკარგულ ადამიანთა საუფლოში.

ჩვენ გავესაუბრეთ იმერეთში მონუმენტურ ფერწერაში მოღვაწე მხატვრებს: ავთანდილ აბესაძეს, დავით კინწურაშვილსა და ლაშა ბუცხრიკიძეს, რათა ახლოს გაგვეცნო იმერეთში თანამედროვე საეკლესიო ფერწერაში მიმდინარე ტენდენციები.

ავთანდილ აბესაძემ ბავშვობა ტყიბულის რაიონში გაატარა, დამათავრა თბილისის სახელმწიფო



ა. აბესაძე, „ტაძრად მივყავნება“, ნაბოსლევი



ა. აბშაძე, „ყოფლის მყვრობული“, ნაბოსლევი



ა. აბშაძე, „სერობა“, ნაბოსლევი



ა. აშასაძე, „წმ. გიორგი და წმ. თეოდორე“, ნაბოსლევი

სამხატვრო აკადემია, მხატვართა კავშირის წევრი და დ. კაკაბაძის სახელობის პრემიის ლაურეატი.


... უკვდავის გამიწიერებით, ტრანსცენდენტალური სამყაროს ინტუიტური წვდომით, სულიერი ექსპანსიით ახერხებს მხატვარი მონუმენტური ფერწერული სახეების შექმნას.

„კედლიან რომ მივიდი, მაცხოვრის სახეს ესახავდი, სული გამიშეშდა, კედელმა არ მიმიღო, პირველი გადავისახე შექნობა ვითხოვე და.“ — ასე ეზიარა პირველად მხატვარი ავთანდილ აბუსაძე ამ სამყაროს. თავად თავმდაბლურად ამბობს, რომ არ არის საეკლესიო სტილის ფერმწერი. პირველად გა-

უთვითცნობიერებლად, შემდეგ კი შემოქმედის მოუსვენარი მძიებელი სულით, თვითქმნალობით, ბიზანტიური და ადრერენისტიანიული ფერწერის საფუძვლიანი შესწავლით მიავნო მაცხოვრის ცხოველსამყოფელი ხატსახის გამოსახვის სურსებებს და ასე ნელ-ნელა, რუდუნებითა და მოწიწებით, მარხვითა და ლოცვით მოისახა წმინდა გიორგის ტაძრის ინტერიერი ოკრიბაში 1992–1995 წლებში (არასრულად), რომელიც იტყვს მირქმისა თუ ჯვარცმის, წმინდა თეოდორეს, ლვისმშობლის ტაძრად მიყვანებისა და ქრისტეს — პანტოკრატორის ფრესკებს. ფერთა ცივი, ნათელი, აქტიური კოლორიტით ცდილობს მხატვარი,

ა. აშასაძე, „მირქმა“, ნაბოსლევი





ა. აბმსაძე, „სულიწმინდის მოფენა“, ნაბოსლევი

დაგვანახოს არამიწიერი სულიერი სილამაზის იმანე-
ნტური ბუნება, აღსანიშნავია ცისფერი ფონის სოფხვე-
რაც, თავის მხრივ, ადრექრისტიანულ ფერწერასთან
მსგავსებას ბადებს. ქრისტესა და წმინდა თევდორეს
სახეში აღმოსავლური გარეგნობისათვის დამახასია-
თებელი ნიშნები, მკაცრი მიმიკა და აქსტიკულაცია,
მჭმუნვარე ექსპრესია მხატვრის გარკვეულ ინდივიდუ-
ალიზმზე მიგვანიშნებს.

წმინდა გიორგის ეკლესიიდან განსაკუთრებულ
ყურადღებას იქცევს „სულიწმინდის გარდამოსვლის“
ფრესკაში მხატვრის ორიგინალური ინტუიტიური
წვდომა; როგორც ვიცით, სულიწმინდის იმაგინ-
აციურ ხატსახედ თეთრი მტრედია მიჩნეული, მა-
გრამ მხატვარმა გაბრწყინებული მზისა და მისგან
გამომდინარე ჯვრის ფორმით გადმოსცა წმინდა
სამების სამი იოსტასი. — მზე, დაუსრულებელი
სიმრგვალე, წრიული ბრუნვის კონცეფცია, მისგან
გამომავალი სხივი და სითბო სამების თვისობრივი
მახასიათებელია, ხოლო ჯვრის ანუ ჰორიზონტისა
და ვერტიკალის ოპოზიცია გულისხმობს მარადიულ
უსასრულობას, მიმართულს ზეცისკენ სულიწმინდის

უშუალო მონაწილეობით. ასე საინტერესოდ განჭ-
ვრიტა მხატვარმა სამების არსი, თუმცა აქვე უნდა
აღინიშნოს, რომ ეს მხოლოდ ავთანდილ აბესაძის
მიგნება არ არის, აღსანიშნავია მხოლოდ ის ფაქტი,
რომ მან გამოსახვის სწორედ ეს ფორმა აირჩია,
რომელიც უფრო სწორად და ღრმად გადმოსცემს
სამების წმინდათა წმინდა საიდუმლოს. რაც შეეხება
თავად ამ მოვლენის არსს, იგი გულისხმობს აღამი-
ანში ღვთაებრივი რეციდივების გავლიტებას და გა-
ნღმრთობისათვის მზადებას. ამ საზეიმო ვითარებას
აღქევატურად ვერ პასუხობს მოციქულთა აქსტ-
მიმიკა, რაც, შესაძლოა, ფრესკის სუსტ მხარედ მი-
ვიჩნით.

კანონის იმპერატივი მისთვის ხელშეუხებელია.
თელის, რომ ეს უფლისგანაა და მისი შეცვლა არ
შეიძლება, თუმცა ფრესკაში ყოველთვის მულაენდება
მხატვრის ინდივიდუალური ხელწერა და სული-
ურ-სამშემინველისეული მონაცემი.

განწყობას მხატვარი ყოველთვის იქმნის ღმერ-
თთან „საუბრით“ და შემდეგ იწყებს ხანგრძლივ და
რთულ შემოქმედებით პროცესს. მისთვის მნიშვნე-



ლ. ბუხრაძის, „ქრისტე პანტოკრატორი მიცეილებით“, ვაშლიჯვრის სვე. ბატალიონის წმ. გიორგის ეკლესია

ლოვანია დამკვეთის გემოვნება, თუმცა ოსტატურად ასერხებს მენტორული მოთხოვნებისა და მისეული ინდივიდუალური ხედვის შესაძლებას.

დღესდღეობით ავთანდილ აბესაძის მიერ შექმნილი ღვთაებრივი სახეები ლოცვისკენ გვიხმობენ და ფართოდ გვიღებენ კარს ირეალური სამეფოს თვალუწვდენელ სამყაროში.

ავთანდილ აბესაძის მკაცრი ფესტ-მიმიკისა და სტილისტიკისაგან სრულიად განსხვავებული, საპირისპირო რამა ახალგაზრდა ლაშა ბუცხრიკიძის მონუმენტური ფერწერა.

პირველად, 2003 წელს, ემზარ გოგოლაძის შე-
მოთავაზებას დათანხმდა ბორჯომის ტაძარში მუ-

შაობაზე და მიხვდა, რომ ეს იყო ის, რასაც ეძებდა — მღუმარებაში გაცხადებული ჭეშმარიტება...

გ. მაისურაძის სახელობის ქუთაისის სამხატვრო სკოლა (პედ. დათო დოლონაძე), ხელოვნების ლიცეუმში (პედ. გონა არიშვილი და დავით კინწურაშვილი), თბილისის სამხატვრო აკადემია (გ. წერეთელი, გ. თოიძე, ი. პატაშვილი, რ. თორდია, გ. თოთბაძე) — ეს ის საფეხურებია, რომელიც განვლო შემოქმედებითი სიმბოლისის მისაღწევად მიზანდასახულმა, მოტივირებულმა ახალგაზრდამ.

ნაძალადევის წმინდა ბარბარეს, ყიზილის მთავარანგელოზის, თბილისის იოანე ნათლისმცემლის, სორმონის (მხოლოდ საკურთხეველი), მცხეთის იოანე ნათლისმცემლის (ნაწილი), კოჯრის ბატალიონის თამარ მეფის სახელობის (მთლიანად), ვაშლიჯვრის წმინდა გიორგის, რომელშიც წარმოდგენილია ალდგომის, ნათლისღების, ქრისტე „ყოვლისმპყრობელის“, წმინდანთა და მეფეთა ფრესკები, იტყვას ახალგაზრდა პროდუქტიული ხელოვანის შემოქმედებას. ნათელი, თბილი ტონები, ფერთა მდიდარი გამა, ფიგურათა სწორი კომპოზიციური



ლ. ბუხრაძის, „ყოვლადწმინდა სამება“, ვაშლიჯვრის სვე. ბატალიონის წმ. გიორგის ეკლესია



ლ. ბუხნიანი, „ჯოჯოხეთის წარმოცვეცნა“, ვაშლიჯურის სვეტ. ბატალიონის წმ. გიორგის ეკლესია

განლაგება გემოვნებითა და სიმშვიდით ქადაგებს ჭეშმარიტებას, რაც მხატვრის შემოქმედების მნიშვნელოვანი მონაბოვარია.

„ჩარჩო“ მისთვის დოგმაა, მსგავსად მართლმადიდებლური მრწამსისა, შეკითხვასზე. ზღუდავს თუ არა კანონი მას, ასე პასუხობს: „ჩვენ ისეთი ნიჭიერები არ ვართ, რომ კანონმა შეგვზღუდოს, რაც გაკეთებულია, მასზე კარგს ვერ შევქნით. ზემო სვანეთის ფრესკები კანონიდან ამოვარდნ-

ილია, ფორმის ცვლილება და მეტი ექსპრესია, მაგრამ სიმშვიდეში ის ძველი ოსტატები შედევრებს ქმნიდნენ, ჩვენ ეს არ შეგვიძლია! მე ძველი მხატვრების ფეხის მტვერიც არ ვარ.“ — ამბობს მხატვარი. სწორედ ამ უბრალო სიტყვებში იცნობა ნამდვილი შემოქმედის ჭეშმარიტი ბუნება, ობიექტელის აზროვნება მუდამ კმაყოფილია, შემოქმედი კი ახალ-ახალ სიმაღლეებს იპყრობს, რასაც არა მარტო სიტყვით, მისეული ინდივიდუალური შე-



ლ. ბუნსერიძემ, „ქრისტეშობა“, ვაშლიჯერის საეც. ბატალიონის წმ. გიორგის ეკლესია

მოქმედებთაც გვიდასტურებს. მის მიერ შექმნილ ფრესკებში იცნობა სულიერი მისწრაფება სიმშვიდისკენ, ფერთა კონსონანსური ჟღერადობა სითბოსა და სიყვარულს ქადაგებს, ხშირად იყენებს შარავანდედში მოელვარე ოქროსფერს, სიბრძნისა და ერთიანობის სიმბოლოს, ხოლო მხატვრის წარმოდგენას იდეალურ სამყაროზე ნათლად გადმოსცემს მეწამულისფერის ინტენსივობა, რაც, თავის მხრივ, ლამაზისა და მშვენიერის ვიზუალური სინონიმია. საინტერესოა ლამაზ ბუცხრიკიძის მიერ განწყობის გადმოცემის თავისუფლება, თითქოს სტატიკურ,

გაყინულ, მშვიდ ნაკვებში იგრძნობა საოცარი ემოციური გრადაცია, მწუხარებიდან — სულიერ აღმაფრენამდე, ჯვარცმულის ტკივილიდან — მესიანისტურ ამაღლებამდე. მხატვარი მინიმალისტური მხატვრული სამკაულით გვიჩვენებს მაქსიმალურად განზოგადებულ ემოციას, რომელიც, თავის მხრივ, ნათლად გადმოსცემს ღვთაებრივი არსის ჭეშმარიტებას.

„ამას ვერ გააკეთებ ღმერთის გარეშე, რადგან, თუ არ ითხოვე, არ მოგცემა და ღმერთი განგდენს“ — საქმემ ცხოვრების წესი ჩამოუყალიბა და

ასე, ღმერთთან შეერთების დაუოკებელი სურვილით, მუდმივი ლოცვითა და მარხვით იქმნება სიმშვიდის ფერებში „ალექსანდრე ქვეყანა“.

ბუნებაში ყველაფერი მეორდება, ნათქვამია, ეს

ფერწერას: „თითქმის ათი წელია, ამ საქმეს ვემსახურები, თავიდან იოლი შეგონა, მაგრამ რთულია, ეს არ არის უბრალო დაკვეთა, იგი დიდ პასუხისმგებლობასა და სულიერ მწაობას მოითხოვს“ —



დ. კინწურაშვილი, ქუთაისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, „სამება“

სწორედ ის შემთხვევაა! ლაშა ბუცხრიკიძის მასწავლებელი და უდაოდ გამორჩეული შემოქმედი დავით კინწურაშვილი ბორჯომიდან იწყებს მსოფლმხედველობრივ გარდატეხას, ის ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან მხატვართაგან, ვინც პირველი შეეცადა ქუთათის-გაენათის უპარქიამო მონუმენტურ

ამბოზს შემოქმედი. დავით კინწურაშვილი თვლის, რომ, ბიზანტიურთან შედარებით, ქართულ ფრესკაში მეტი სითბო და თავისუფლებაა, იგი ქართველი კაცის ბუნებას იტყვის. ასე, ქართული სულისა და ტრადიციების აღორძინებისათვის მუხლჩაუხრელ შრომაში მოისახტა წმინდა გიორგის საკურთხევე-



დ. კონწერაშვილი, ქუთაისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, საკურთხეველი

ლი, რომელშიც წარმოდგენილია ვედრება, ზიარების, ღვთისმშობლისა და წმინდა სამების ფრესკები, დოსითეოს ქუთათელისა და მღვდელმთავართა სახელობის ეკლესიები „ხარების“, „შობის“, „ნათლისღების“, „ამაღლების“ „ფერისცვალების“, „აღდგომის“, „ვედრების“, „ლაზარეს აღდგინების“, „მირქმის“, „სულთმოფენობის“, „ჯვარცმის“, „წმინდა გიორგის“, „თამარ მეფის“, „ქეთევან დედოფლის“, „მოციქულების“, „ღვთისმშობლის მიძინების“ სცენებით.

აღსანიშნავია სამების ფრესკა წმინდა გიორგის ტაძრიდან, რომლის ოვალურ თაღს აჩარჩოებს უძველესი ყვავილწნუსის ორნამენტი. აქ ვლინდება მხატვრის ორიგინალური, სიმბოლური აზროვნების განზოგადების უნარი. საბი ანგელოზის თითქმის

იდენტურ გარეგნობაში ყურადღებას იპყრობს სამების ფერთა საინტერესო გადანაწილება, რომლითაც მხატვარი გადმოსცემს სამების სამი იპოსტასის ინდივიდუალურ მახასიათებელს, კერძოდ — ძისა და სულიწმინდის მორთულობას აერთიანებს ლურჯი ეთერული ფერი, რაც რელიგიური სიყვარულის და განახლების სიმბოლოა და რომლის განფენაც სწორედ ძისა და სულიწმინდის მეშვეობით ხდება დედამიწაზე, ხოლო მამას გამოარჩევს მათგან განსხვავებულ ფერში შესრულებული ტანისამოსი, რითაც ცხადდება სამების უდიდესი საიდუმლო, ძისა და სულიწმინდის დამოკიდებულება მამისადმი. აღსანიშნავია აგრეთვე ფრთის განსხვავებული მოძრაობა, რომელიც დავით კონწერაშვილის, თუ შეიძლება ასე ითქვას — „ექსკლუზივის“ წარმო-

ადგენს, ხოლო, რუბლიოვის სამებისგან განსხვავებით, ოქროსფერის ანუ სიბრძნის აღმნიშვნელის უარყოფა კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რაოდენ დამოკიდებულია მხატვრის სულიერ-ინტელექტუალურ მზაობაზე რელიგიური თემის „გამიწიერება“.

ყოველდღიურად სწავლობს და თვლის, რომ სასწავლო კიდევ ბევრი დარჩა, თუმცა, დღესდღეობით, შექმნილი ნამუშევრებიც ნათლად და საზგასმით

მიუთითებს შემოქმედის ნიჭიერებასა და მხატვრული აზროვნების უნარზე.

იმერეთში მოღვაწე მხატვრებთან გასაუბრება გვარწმუნებს, რომ წარსულის შემოქმედებითი პულსი არ შენელებულა, ის კიდევ დიდხანს იცოცხლებს და მოგვეცემს საშუალებას, ხელოვნების ძალით გვიყვარდეს, გვწამდეს და გვახსოვდეს, რომ „ჩვენთან არს ღმერთი“.



დ. პინჟურაჰვილი, „ღვთისმშობლის შობა“, ლენსუბი

მხატვარი-პედაგოგი



— გვიამბოთ თქვენს შესახებ, — ვთხოვეთ მხატვარს, პედაგოგს, ბატონ ზაურ წითაშვილს.

— დაიბადე 1939 წლის 10 ივნისს, ქუთაისში, ვცხოვრობდი ქალაქის უძველეს უბანში, ჩემი მისამართი გახლდათ — თბილისის ქუჩა №41. დედა მეოჯახე იყო, მამა ომში დაიღუპა. ესწავლობდი პირველ საშუალო სკოლაში, მე-9 კლასიდან კი — მე-19 საშუალო სკოლაში. სკოლის დირექტორი გახლდათ ცნობილი პედაგოგი ვანო ვარლაშიშვილი. პარალელურად ესწავლობდი გ. მისისურაძის სახელობის სამხატვრო სკოლაში, სადაც მასწავლებნენ ვალერიან მიხანდარი, ვანო ჭეიშვილი, მაყვალა ნასიძე, დიმა თაყაიშვილი. სამხატვრო აკადემიაში ჩავირიცხე 1958 წელს, ჩემთან ერთად სწავლობდნენ შოთა მინდელი, კაკო კიკვაძე, ლალი ზამბახიძე. აკადემიაში სამი წელი პროფესორი სილოვან კაპაბაძე მასწავლიდა, შემდეგ პროფესორი კოტე მერაბიშვილი. დანიშნული მქონდა იაკობ ნიკოლაძის სახელობის სტიაჟენდია. სტუდენტობის პერიოდში ჩემი ნამუშევარი „მუნჯი ქალი“ იდგა აკადემიაში — ნიშაში. სადიპლომო ნამუშევარი „საორტსმენი ქალი“ საგამოცდო კომისიამ შეფასა ფრიადზე და ჩამოისხა თაბაშირში. 1964 წელს დავმთავრე სამხატვრო აკადემია, მხატვარ-მოქანდაკის კვალიფიკაციით და ჩამოვედი ქუთაისში. 1970 წლიდან ვარ მხატვართა კავშირის წევრი. სისტემატიურად ვმონაწილეობ საქალაქო გამოფენებში, ასევე ვმონაწილეობდი მოსკოვში ქართველ მხატვართა გამოფენებში, სადაც წარვადგინე „ქალის

პორტრეტი“, თბილისში, 60-იანელების გამოფენაზე გატანილი იყო ჩემი ოთხი ნამუშევარი.

აკადემიის დამთავრების შემდეგ, შემოქმედებით მუშაობასთან ერთად, დავიწყე პედაგოგიური მოღვაწეობაც — ვმუშაობდი ოფურჩხეთისა და გუმათის რეაწლიან სკოლებში ხატვის მასწავლებლად, 1964 წლიდან — ქალაქის 30-ე საჯარო სკოლაში სახვითი ხელოვნების მასწავლებლად. მაქვს ჩემი კაბინეტი, სადაც სხვადასხვა რაიონებიდან და ჩვენი ქალაქის სკოლებიდან დადიან ხატვით დაინტერესებული მოსწავლეები, რომლებსაც ვეხმარები, მონაწილეობა მიიღონ საქალაქო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებში. მიღებული გვაქვს მრავალი დიპლომი, სიგელი თუ ფასიანი საჩუქრები, ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები.

საქართველოს მხატვართა კავშირის ქუთაისის ორგანიზაციაში სხვადასხვა დავალებებს ვასრულებდი: ვიყავი პარტორგანიზაციის მდივანი, კავშირის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე. პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე, ნამუშევრების მიმღები კომისიის თავმჯდომარე.

მეამაყება, რომ ჩემს ორმოცდახუთწლიან პედაგოგიურ შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია, ჩემი აღზრდილები არიან მხატვრები: დ. მანიძე, ა. ბლუაშვილი, რ. ჩაჩხიანი, ა. ისიანი, ე. ტაბიძე, ზ. ჯანუ-



ქალის პორტრეტი, ტონირ. თაბ, 1985 წ.

ლიძე, ი. ბენდელიანი, ლ. ასათიანი და სხვები.

ვცდილობ, აქტიურად გავაგრძელო პედაგოგი-
ოური მოღვაწეობა, აღვზარდო კარგი ადამიანები,
მხატვრები, ეს ჩემი უმთავრესი და უპირველესი მო-
ვალეობაა.

ბატონ ზაურს ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.
როგორც თვითონ აღნიშნა, გარკვეული მიზეზების
გამო, ვაჟმა უარი თქვა მხატვრის პროფესიაზე, გო-
გონა კი იურისტია.

ესაუბრა მანანა ლარცულიანი



სპორტსმენი გოგონა, 40x 15x 31,
ტონირ. თაბ, 1970 წ.

მანანა ლარცულოიანი

უანგარობა — მისი ცხოვრების წესი



არსებობს მცირე ზომის კატალოგი, რომელსაც ყდაზე აწერია — „საქართველოს მხატვართა კავშირის ქუთაისის ორგანიზაცია.“

გალერეა „ვარლა“.

იქვეა ავთანდილ ტატანაშვილი და მის მიერ აღზრდილი მხატვრები ... კატალოგში სულ ნმ მხატვრის გვარ-სახელი იკითხება, რომლებიც პედაგოგთან ერთად წარსდგნენ საზოგადოების სამსჯავროზე. პროექტი წარმატებული აღმოჩნდა.

ადამიანური, დადებითი ემოციით იტვირთები, როდესაც მსგავს ფაქტებს აწყდები. ასეთი რამ უცებ არ ხდება. ეს ყველაფერი ათეული წლების განმავლობაში გროვდებოდა.


საქართველოში მშობლების კეთილი ამბიციაა, პატარების შესაძლებლობები სელოვნების სხვადასხვა დარგში მოსინჯონ და მათი ნიჭიერებით თავიც მოიწონონ. ეს ტენდენცია მისასაღებელია, რადგან, თუ იდი სელოვანი არ დარჩება, კარგი „დამნახავი“ ხომ იქნება. ერთი სიტყვით, ძალიან კარგი საქმე კეთდება, ამ საქმეს კი მთელი ცხოვრება და მთელი ცხოვრებით ემსახურება ავთანდილ ტატანაშვილი.

მისი ოჯახი ქუთაისის ერთ-ერთ ძველ უბანში ცხოვრობდა. დაიბადა 1939 წლის 8 იანვარს. მშობლები — ლიზა ვაშაკიძე და იოსებ ტატანაშვილი, ყველაფერს აკეთებდნენ, რომ შვილებს სიკეთის, ადამიანებთან ურთიერთობის ფასი სცოდნოდათ.

ხოლო პედაგოგებმა — ალიომა ტოგონიძემ, ვალერიან მიზანდარმა და ვანო ჭვიშვილმა, დამწყებ მხატვარს ის გზა უჩვენეს, რომელზეც მათივე მაგალითით უნდა ევლო.

ქუთაისის მე-12 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ავთანდილ ტატანაშვილმა სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1969 წელს მხატვარ-კონსტრუქტორის სპეციალობით, ამავე წლიდან ქუთაისის სპეციალური საკონსტრუქტურო ბიუროს — „პროექტხელსაწყოს“ მხატვარ-კონსტრუქტორია.

20 წლის მანძილზე მისი ღიზინით შექმნილი ხელსაწყოები სერიულად გამოდიოდა საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში. იმავე პერიოდთან ავთანდილ ტატანაშვილი ღიზინერთა წრის ხელმძღვანელად და სამხატვრო სკოლის ხატვის პედაგოგად იწყებს მუშაობას ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში და ორივე ამ სამსახურში დღემდე აქტიურად არის ჩართული.



პლაკატი: „ტყე შეუნახე შეილებსა“, 80X60

1986 წელს იგი საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი გახდა, 1989 წელს კი მოეწყო მისი პერსონალური გამოფენა დ. კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეაში. აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა კონკურსებშიც. თბილისის საერთაშორისო კონკურსში „ეკოლოგია“ მის მიერ შექმნილმა პლაკატმა „ტყე შეუნახე შეილებსა“ გაიმარჯვა და დაიბეჭდა მასობრივი ტირაჟით. მის მიერ გაფორმებული წიგნებიდან გამოირჩევა ი. გოგებაშვილის „საგანძური“ და ქუთაისელი პოეტების კრებულები.

2000 წელს, პრეზიდენტის ბრძანებულებით, დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

უკვე 40 წელია, რაც ავთანდილ ტატანაშვილი ხატვის პედაგოგად მუშაობს, ბავშვებთან ურთიერთობა, მათი ნიჭიერების დემონსტრირება მისთვის ზეიმიია.

პოეტი ცირა ყურაშვილი ჟურნალ „განთიადში“ გამოქვეყნებულ წერილში „სამყაროს ნაწილი“, ხაზგასმით აღნიშნავს ავთანდილ ტატანაშვილის ყოფილი მოსწავლის, ახალგაზრდა მხატვრის დათო გაბუნას დამოკიდებულებას მასწავლებლისადმი და მოჰყავს მისივე სიტყვები: „ხელოვნება მთელი სამყაროა, სამყარო, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული. ძნელია, შესვიდე ამ სამყაროში, შიგ მოხვდე, მაგრამ თუ მოხვდი, ამ სამყაროს ნაწილი ხდები. ბატონი ავთანდილი ამ სამყაროს ნაწილია, ალბათ ამიტომ აინტერესებთ და უყვართ. ჰყავს უამრავი მეგობარი, მოსწავლე, დაჯილდოებულია ყველაზე დიდი ჯილდოთი, რაც კი პედაგოგმა შეიძლება მიიღოს — ბავშვების სიყვარული“.

უანგარობა მისი პიროვნების განუყოფელი თვისებაა, — ცნობილია, ზოგჯერ მოწაფეთა გადასახადებიც კი თავისი მწირი შემოსავლით დაუფარავს ხოლმე.

ავთანდილ ტატანაშვილი მუშაობს როგორც ფერწერაში, ასევე გრაფიკაში. მიაჩნია, რომ წლებმა ვერაფერი დააკლო, ძველებური ენერჯითა და შემართებით იღვწის და დაბიჯებს მშობლიური ქალაქის ქუჩებში. თვლის, რომ სათქმელი ჯერ კიდევ ბევრი აქვს.

ჰყავს ორი შვილი: ნინო და სოსო, რძალი — სოფიკო, შვილიშვილები — ნიკა და ლუკა.

შატლი, 36x45, ქაღალდი, ფანქარი, 2006 წ.

„მთათუშეთი“, 38x56, ტილო, ზეთი, 2008 წ.

მთვარიანი ღამე, 32x23, ქაღალდი, პასტელი, 2007 წ.



მანანა ლარცულაიანი

გიორგი ლომთაძე — 60



გიორგი ლომთაძე დაიბადა 1949 წლის 17 მაისს წყალტუბოს რაიონის სოფელ დღნორისაში, 1966 წელს დაამთავრა ქუთაისის რკინიგზის მე-11 საშუალო სკოლა, 1969 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტობაშივე, მონაწილეობა მიიღო დასავლეთ საქართველოს ახალგაზრდა მხატვართა ზონალურ გამოფენაში, 1971 წელს კი უკვე რესპუბლიკური გამოფენის მონაწილეა.

1971–77 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე, ქანდაკების განხრით.

1981 წელს გახდა საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის წევრი. 1983–86 წლებში მუშაობდა ქალაქ ცაგერის სამხატვრო გალერეის დირექტორად და სამხატვრო სკოლის პედაგოგად.

1986–2001 წლებში იყო დ. კაკაბაძის სახელობის ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეის დირექტორი.

არის ქუთაისის ხელოვნების ინსტიტუტის ერთ-ერთი დამფუძნებელი. ამავე ინსტიტუტში 1993 წლამდე მუშაობდა პედაგოგად. 1999 წელს დაარსა ქუთაისის ბავშვთა სურათების გალერეა, ამავე წლიდან აწეობს ბავშვთა ნამუშევრების საქალაქო და სახმარეო გამოფენებს და სელმძღვანელობს ბავშვთა ნამუშევრების საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობას. მუშაობს დ. კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეაში, დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე.


ნ. ფიროსმანის პორტრეტი, თამაში, 45x35x31, 1979 წ.

ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი. ამ მშრალ თარიღებსა და მონაცემებს შორის, გზადაგზა, საინტერესო ეპიზოდები ისახება; იგონებს, რომ მოქანდაკის პროფესიას ვალერიან მიზანდარის გავლენით და შეგულიანებით დაეუფლა.

ვალერიან მიზანდართან პირველად მამამ მიიყვანა. „პირველად ჩემი „რუსთაველის პორტრეტი“ რომ ვაჩვენე, დარცხვენილმა ვუთხარი, შეცდომები დაუფიქრე—მეთქი, მან კი მიპასუხა, რომ შეცდომები მეც მრავლად მაქვს. 5 წელი ვსწავლობდი მასთან სახელოსნოში, შემდეგ სტუდენტის გავხდი. ამ დროისათვის ბატონი ვალერიანის, აკაკი კეკელიძის და სხვა მასწავლებლების წყალობით, საკმაოდ კარგად ვერკვედი არა მარტო ხატვასა და ქანდაკებაში, არამედ, ზოგადად, სახვით ხელოვნებაში.

აკადემიამ ყველა იმედი გამიმართლა, მასწავლიდნენ შესანიშნავი პედაგოგები: ს. კაკაბაძე, ი. ოქროპირიძე, გ. გურასაძე, მ. და კ. მერაბიშვილები, ლ. მხეიძე, თჳყონია. იმხანად განსაკუთრებული ნიჭიერებით გამორჩეული თაობა მოვიდა აკადემიაში. სტუდენტობის წლებში შევასრულე რამდენიმე სახელმწიფო დაკვეთა. ნამუშევრები დაიღვა საქართველოში, რუსეთსა და შუა აზიაში.

რაც შეეხება დ. კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეაში მოღვაწეობას, აქ მიზნად დავისახე, გალერეა გადაქცეულიყო სახვითი ხელოვნების კლევსისა და პროპაგანდის ცენტრად დასავ-



ლეთ საქართველოში, ჩაგვერთო საერთაშორისო გამოფენების და საკავშირო საექსკურსიო ტურიზმის მარშრუტში, ამისათვის კი საჭირო გახდა მთელი რიგი ღონისძიებების გატარება: ფონდების გაზრდა, კატეგორიის შეცვლა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგება, სტრუქტურის ჩამოყალიბება, სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობის გაშლა და მრავალი რამ. ამ პრობლემის წინაშე მარტო აღმოვჩნდი, მაგრამ ბევრ რამესაც მივაღწიე კიდევ: ფონდები გაიზარდა (მხატვარმა ა. ლულაძემ გალერეას საჩუქრად გადასცა 50 ტილო, ქუთაისის მხატვართა ორგანიზაციამ — საერთაშორისო პლენერების დროს შექმნილი და ქუთაისის მხატვართა ორგანიზაციის მიერ გამოფენებიდან შეძენილი ადგილობრივ მხატვართა ნაწარმოებები, სხვა მხატვრებმაც შეიტანეს საკუთარი წვლილი ამ საქმეში). შევძელი სტრუქტურის ჩამოყალიბება, საკავშირო საექსკურსიო მარშრუტში ჩასმა, პირველი კატეგორიის მიღება, გათბობის, დაცვის, აღრიცხვა-ბასპორტიზაციის მოწესრიგება, საგანმანათლებლო და საგამოფენო მუშაობის გაფართოება. მაგრამ პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა, ომმა და უბედურებამ დიდი ზიანი მოგვიტანა საერთოდ და გალერეაც გამოჩაკლისი არ ყოფილა, რა თქმა უნდა. ამ პერიოდში იგი სრულიად დაუცველი აღმოჩნდა და საუკეთესო ნამუშევრები საიმედო ადგილზე გაფხიზნეთ. მერე სხვა პრობლემებმაც იჩინა თავი: გალერეა ჯერ თანადაფინანსებაზე გადაიყვანეს, შემდეგ საერთოდ მოიხსნა ბიუჯეტიდან, რამაც გამოიწვია მხატვრების შემცირებაც. მიუხედავად ამისა, იმ წლებში შევძელით, 50 ღონისძიება მოგვეწყო, მათ შორის — 25 გამოფენა.

მიმანჩნია, რომ ვინც ზრუნავს მომავალ თაობაზე, ზრუნავს ქვეყნის ბედ-იღბალზეც. პერიოდულად და ნაწილობრივ ფინანსდება ჩემს მიერ დაარსებული ბავშვთა სურათების გალერეა, თუმცა მას ჯერჯერობით არა აქვს შენობა. იმედია, ეს პრობლემა მოგვარდება.

როგორც მოქანდაკეს, მაქვს სურვილი, რომ ქალაქის ცენტრალურ ბაღში, სწორედ იქ, სადაც ადრე ლენინის ქანდაკება იდგა, დაედგა მრავალი შადრევანი, რომლის ცენტრში აღიმართება თეთრ მარმარილოში გადატანილი და 10-12 მეტრამდე გაზრდილი „ოცნების ფრთები“.

„ოცნების ფრთები“ ჩემი ერთ-ერთი ნამუშევარია, რომელიც 1981 წლიდან რეგულარულად იყო წარდგენილი სხვადასხვა გამოფენაზე. მან იმთავითვე დაიმსახურა მაღალი შეფასება პროფესიონალების მხრიდან. მიმანჩნია, რომ საკუთარ შემოქმედებას მეტი ყურადღება უნდა მივაქციო“.

წარმატებას გისურვებთ, ბატონო გიორგი!



ოცნების ფრთები, თაბაშირი, 87x30x30, 1981 წ.

მანანა ლარცულოიანი

ზურაბ მგელიაშვილი — 60




თელავში დაბადებული (27.06.1949), ფშავეში გაზრდილი, თბილისში განსწავლული მხატვარი უკვე მრავალი წელია ორგანულად ჩაეწერა იმერეთის სამხატვრო სივრცეში.

ხატვამ ბავშვობიდან გაიტაცა — ხატავდა ენო-ოგრაფიულ ნივთებს, ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, მთის ბუნებას. სწავლა თბილისის იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში გააგრძელა (1966–69), შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტზე (1969–1975). პედაგოგებმა — გივი თოიძემ, ირაკლი გორდელაძემ, მერაბ მერაბიშვილმა გაამდიდრეს ახალგაზრდა შემოქმედის წარმოდგენა მხატვრობაზე. მომავალი მეუღლე — მხატვარი თამარ ჭყვიშვილი — აკადემიაში გაიცნო.

ოცდაათზე მეტი წელია, ქუთაისში მოღვაწეობს, ცხოვრობს საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრებით.



ივლითო, 67x85, ტილო, ზეთი, 2006 წ.



ტიმოთეს უბანი, 55x53,
ტილო, ზეთი, 2004 წ.

რამდენჯერმე მონაწილეობდა ფერმწერთა საერთაშორისო პლენერებში, მრავალ მნიშვნელოვან გამოფენაში. სშირად მოგზაურობს, ხატავს, დასამახსოვრებელი იყო სენეჟში, შემოქმედებით სახლში ყოფნა.

ზურაბ მგელიაშვილის საყვარელი თემა საქართველოს ბუნება, მისი ღირსშესანიშნაობებია. დიდი ადგილი უჭირავს მხატვრის ნაწარმოებების ჩამონათვალში ქუთაისურ მოტივებს, შექმნილი აქვს მთის ბუნებისადმი მიძღვნილი არაერთი ნამუშევარი, ჟანრული სურათები, ილუსტრაციები ვაჟა ფშაველას „აღუდა ქეთელაურისთვის“; რომლებიც მის მაღალ შემოქმედებით შესაძლებლობებს ამჟღავნებენ.

1989 წლიდან ზურაბ მგელიაშვილი ჯერ ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორად პროფესორად ფაკულტეტზე ასწავლიდა, 1990 წელს კი, მეუღლესთან ერთად, ხელოვნების ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელია.

ჰყავს ხელოვანთა თბილი ოჯახი – მეუღლე, ენერგული შემოქმედი და პედაგოგი თამარ ჭეიშვილი და ქალიშვილი, რომელიც ახლა დეამს ნაბიჯებს ხელოვნებაში.

ჯანმრთელობასა და წარმატებას ვუსურვებთ ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობაში.



„ნატურმორტი ძველი ღუმელით“,
120x70, ტილო, ზეთი, 2002 წ.

ნინო ზაალოშვილი

მამუკა ფრუიძე — მოსკოველი ქუთაისელი



ფერმწერი და გრაფიკოსი მამუკა ფრუიძე ქუთაისში დაიბადა 1962 წელს, დამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი (1994). არის საქართველოს მხატვართა კავშირის (2000) და იუნესკოსთან არსებული მხატვართა საერთაშორისო ფედერაციის წევრი (1994). გამოფენებში მონაწილეობს 1980 წლიდან. 90-იან წლებიდან ცხოვრობს მოსკოვში. საქართველოში მის ფაქტიურად, არ იცნობენ, შემოქმედების საწყის ეტაპზევე წავიდა რუსეთში და მის ირგვლივ გარკვეული ინფორმაციული ვაკუუმი შეიქმნა.

მამუკა ფრუიძე 90-იანელთა თაობის იმ მხატვართა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც იმ პერიოდის არეულობამ და სიღუბნეობამ არ მისცა საშუალება, სამშობლოში გაეგრძელებინათ მოღვაწეობა. თავისი როლი ითამაშა ახლის, საკუთარი გზის ძიების სურვილმაც, რამაც დამწყები მხატვარი რუსეთის დედაქალაქში ჩაიყვანა.

იმდროინდელი მოსკოვი ინტენსიური სამხატვრო-საგამოფენო ცხოვრებით იყო გამორჩეული. იწყებდა ფუნქციონირებას უამრავი კერძო გალერეა, დიდი იყო დაინტერესება ფულის ტომრების, ე.წ. „ახალი რუსების“ მხრიდანაც, რომლებიც სახვით ხელოვნებას აღიქვამდნენ, როგორც კაპიტალის დაბანდების ერთ-ერთ კარგ საშუალებას. გალერისტები ცდილობდნენ, მოეძებნათ, შეერჩიათ და გალერეების სახეებად გადაექციათ ყოფილი სსრკ

რესპუბლიკებიდან ჩამოსული ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრებიც, რომელთა მატერიალური მოთხოვნები, და აქედან გამომდინარე — სურათების ფასი საწყის ეტაპზე მინიმალური იყო.

დაძაბული საგამოფენო ცხოვრება ახალგაზრდა მხატვარს ბევრ შანსს აძლევდა. მძაფრი კონკურენციის პირობებში საკუთარი ადგილის მოსაპოვებლად მას თავისი სახე, თემატიკა უნდა განესაზღვრა, რათა არ ჩაქარგულიყო მოსკოვში კარიერის გასაკეთებლად ჩასულ ასობით და ათასობით მხატვარს შორის. ძიებას დრო დასჭირდა. შრომისმოყვარეობა და ნიჭი დაეხმარა მამუკა ფრუიძეს, საკმაოდ მალე მოენახა საკუთარი მხატვრული სახე და ადგილი. ამჟამად იგი იფინება საინტერესო გალერეებში, აქვს კარგი პრესა.

მხატვრის ხელწერა უკვე გამოკვეთილია — საკმარისია ერთი შეხედვა და მამუკა ფრუიძის სურათი ხელოვნების შემფასებელი პროფესიონალისათვის თუ, უზრალოდ, მოყვარულისათვის ადვილად საცნობია.

საკმაოდ ძუნწად იყენებს ფერს. მან დაარღვია



მოლოდინი, 90x70, ტილო, ხუთი, 2009 წ.



„ქუთაისელი მხატვარის სული“, 90x90, ტილო, ზეთი, 2001 წ.

გარკვეულ შტამბად ქცეული თვალსაზრისი (განსაკუთრებით მათი, ვინც კარგად არ იცნობს ქართულ ფერწერას), რომ ქართველი მხატვრის ნამუშევარში აუცილებლად უნდა დომინირებდეს კაშკაშა, სუფთა ფერები.

მისი ფერწერა მშვიდია, გარკვეული რომანტიკით და საიდუმლოებითაა სავსე. სურათებში გამოსახული საგნები, ადამიანები, პეიზაჟის ფრაგმენტები, ერთდროულად, რეალურიცაა და არც არის. დეკორატიულად გადაწყვეტილ სადა ფონებზე, რომლებიც სოფლის, ხან კი ქალაქის პეიზაჟადა წარმოდგენილი, ოდნავ იკითხება მთები, ხან მოაზრება ქალაქის ქუჩები, რომლებსაც რამდენიმე მონახაზით მონიშნული ელემენტები (კარვისმავარი სახლები, წითელი ავტომობილები, ავტობუსები, კარიბჭეები და სხვ.) აცოცხლებენ. მამუკა ფრუიძის პეიზაჟებზე რომელიმე კონკრეტული ქალაქი არ არის გამოსახული. ისინი ფანტაზიით შექმნილი ქალაქებია — ადამიანებისგან თითქმის დაცლილი, უკაცრიელი, სევდიანი სამყარო.

მხატვარი გაურბის პასტოზურ წერას. მისთვის მასტიხინი და არა ფუნჯი ხდება სურათების შექმნის ძირითადი იარაღი. ამ სახით მიღებულ ერთგვარად გაცრეცილ ფონზე ახალი, რამდენადმე ელემენტური განწყობის სიცოცხლე იბადება: „ბარაკი“ (2001), „ბუდე“ (2004), „ხიდი“ (2004), „კარიბჭე“ (2004), „სადაც“ (2004), „მიზნის მისაღწევად“ (2004), „იმ დროს“ (2004), „ღამე“ (2008).

მხატვარს აქვს სხვა სახის გამორჩეული ნამუშევრებიც, სადაც ჩანს, რა შეუძლია მას, როდესაც სრულ თავისუფლებას აძლევს დაგროვილ ფერწერულ ენერგიას.

მამუკა ფრუიძის ნამუშევრები არაერთ მნიშვნელოვან გამოფენაზე იყო წარდგენილი საქართველოში და საზღვარგარეთ: ქართველ მხატვართა გამოფენა (1991), ქართული კულტურის დღეები გერმანიაში, დასავლეთ ბერლინი (1991), ქართველ მხატვართა გამოფენა, ბრინდიზი, იტალია (1991), თბილისი — პარიზი, ჯგუფური გამოფენა (1992), ჯგუფური — ჩიკაგო (1992), ჯგუფური — რუსეთი — საქარ-

თველო, (მხატვრის ცენტრალური სახლი, მოსკოვი (1993); ქართველი მხატვრები, კულტურის ცენტრი „მზიური“ (1994); მეგობრობის სახლი, მოსკოვი (1994, 1996), უნგრეთის საელჩო, მოსკოვი (1994), საქართველოს საელჩო, მოსკოვი (1994, 1995, 1996, 1997), „ანტიშიდის“, მოსკოვი (1995), გამოფენა „მშვიდობის სახლი“, მოსკოვი (1996), ბირმინს-დორფი, შვეიცარია (1996), არტსალონი, მოსკოვი, მხატვრის ცენტრალური სახლი (1998, 1999, 2000), კინოს ცენტრალური სახლი (2000), გალერეა „ვარდების ბაღი“, მოსკოვი (2000), გამოფენა „შავი ცა“, ვ. ვისოცკის სახელობის თეატრი, მოსკოვი (2000), საშობაო, მოსკოვი, მხატვრის ცენტრალური სახლი

(2000), რუსეთის კულტურის ფონდის საქველმოქმედო გამოფენა, მხატვრის ცენტრალური სახლი, მოსკოვი (2000), „სამყაროს შექმნა“, გალერეა „ვარდების ბაღი“, მოსკოვი (2000), ფიროსმანისადმი მიძღვნილი გამოფენა, გალერეა „ვარდების ბაღი“ (2000), საერთაშორისო ფორუმი მოსკოვში, „ხელოვნება, როგორც ტურიზმი“, (2001, მანეტი), პერსონალური — გალერეა „აიმაკი“, მოსკოვი (2002), პერსონალური, რუსეთის ბანკი (2003), პერსონალური კომპიუტერული კომპანია „აპც“ (2003), სიმპოზიუმი სენეცის შემოქმედებით სახლში (2003), მოსკოვის მერიაში — შემოქმედებითი გაერთიანება ბლიც არტი (2003), გალერეა „უგერბი“, იო-



„შიდი“, 90X90, ტილო, ზეთი, 2004 წ.



„წმინდა სოფელი“, 100X100, ტილო, ზეთი, 2007 წ.

რინგი, დანია (2003), „პოზიტიური ხელოვნების თეორია“, მხატვრის ცენტრალური სახლი, საერთაშორისო არტ სალონი, მოსკოვი (2004), იოკოპამა, იაპონია (2004), ნატიფი ხელოვნების პუშკინის სახელობის მუზეუმში (2005), პროექტი „თანამედროვენი“, ცენტრალური სამხატვრო სალონი, მოსკოვი, მხატვრის ცენტრალური სახლი (2006), გალერეა „კაზაჩოკი“, ინგლისი (2007).

მამუკა ფრუიძის ნამუშევრები დაცულია ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, გერმანიის, იაპონიის, იტალიის, ესპანეთის, შვეიცარიის, დანიის, საბერძნეთის, რუსეთის, საქართველოს,

საფრანგეთის კერძო კოლექციებში.

მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე თითქმის ორი ათეული წელია, აღარ ცხოვრობს საქართველოში, მის ნაწარმოებებში მაინც იგრძნობა თანამედროვე ქართულ ფერწერაში მიმდინარე პროცესების ერთგვარი გამოძახილი და თანხედრა ძირითად ტენდენციებთან.

კარგი იქნება, თუ შესაძლებელი გახდება მამუკა ფრუიძის პერსონალური გამოფენის გამართვა თბილისში ან ქუთაისში, რათა ქართულმა საზოგადოებამ უკეთ გაიცნოს მოსკოვში მოღვაწე ქუთაისელი მხატვარი.

ნინო ზაალიშვილი

მოქანდაქე გია ტყაბლაძე



90-იანი და შემდგომი პერიოდის საქართველოს დაულავებელმა ცხოვრებამ ძლიერი დარტყმა ქართულ ქანდაკებასაც მიაყენა, ქვეყანა დატოვეს გამორჩეული ნიჭისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების, პერსპექტიულმა მოქანდაკეებმა.

ბელგიაში მუშაობენ დავით ხვალიძე, დავით ნათიძე, ჰოლანდიაში — ამირან ჯანაშვილი, იტალიაში — რაუდენ (პროსტაკა) მიქაბერიძე, საფრანგეთში — ჯემალ ბეალავა, რუსეთში, ზ. წერეთელთან და დამოუკიდებლად მუშაობს ერთ ათეულზე მეტი ქართველი მოქანდაკე. 70-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფუძნებულ ვლადიმერ (ლადო) გუჯაბიძეს მიემატნენ ისიდორე (ბათუ) სისარულიძე, გიორგი ტყაბლაძე, ლაშა ხიდელაძე და სხვები.

ზოგიერთმა მათგანმა სამშობლოში შექლო გარკვეული შემოქმედებითი წარმატების მიღწევა, მონაწილეობის მიღება გამოფენებში. ზოგიერთის შემოქმედება, ფაქტობრივად, მათ ახალ ადგილსამყოფელთანა დაკავშირებული.

ქუთაისელი მოქანდაკე გია (გიორგი) ტყაბლაძე

დაიბადა 1971 წლის 14 აპრილს ქუთაისში. სწავლობდა იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში (1986–1990), თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში (1990–1996) თ. ჩხიკვიშვილთან, ჯ. შანშიაშვილთან, ლ. მსხვიტსთან — სრულიად სხვადასხვა მიმართულებისა და შესაძლებლობების მოქანდაკეებთან. მან საქართველოშივე, სამხატვრო აკადემიის დამთავრებისთანავე მიიქცია ყურადღება საინტერესო შემოქმედებითი ნამუშევრებით, მოასწრო, გაემართა პერსონალური გამოფენა, მიეღო საქართველოს მხატვართა კავშირის პრემია წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის. მისი სხვადასხვა მასალაში (მარმარილო, ხე) შესრულებული ნამუშევრების თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო — ქართული მითოლოგია, ბიბლიური სიუჟეტები, წმინდანთა გამოსახულებები, ნიუ და ა.შ.: „მუზა“ (1996), „ტორსი“, მარმ. (1991), „მამინ“ (1995), „ის“ (1995), „კენტავრი“ მარმ. (1995), „პედასი“, (1998), „ადამი და ევა“ (1996), „თეთრი გიორგი“ (1997), „აფსირტე“ (1997). არცთუ დიდი ზომის ქანდაკებები ყურადღებას იქცევდა როგორც ტექნიკური ოსტატობით, ისე შესრულების თავისებური მანერითაც.

90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, ქმნის მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ნამუშევრებს როგორც ხეში, ისე მარმარილოში, ხშირად აკეთებს სხვადასხვა მასალის კომბინირებას. ამერიკაში იგი, ძირითადად, აბსტრაქტულ კომპოზიციებს ქმნის. **ნამუშევრებში:** „უცნაური ფრინველი“ (1998), „საიდუმლო“ (1999), „ძველი ლავ სტორი“ (2001), „უცნაური თამაში ჩარჩოში“ (2001), „საღლაც მზე უნდა იყოს“ (2002), „კალუცინაციები“ (2005), „დაბადა“ (2006), „დოქტორი პენგლოსი“



უცნაური ფრინველი, მარმარილო, 1998 წ.

(2008), „არეულობა არქივში“ (2008), „სირიუსი“ (2000), „დავიწყებული სიმფონია“ (2005), „ფორტუნას ბორბალი“ (2006), ჩნდება ახალი ელემენტები — ფერი, რომელიც უდიდეს როლს ასრულებს მათ აღქმაში.

გია ტყაბლაძეს ქანდაკებებისათვის მრავალფეროვანი მასალა, შერეული ტექნიკა სჭირდება, რათა მიაღწიოს ბალანსს ანალიზის ძალასა, მისთვის დამახასიათებელ ტემპერამენტსა და ემოციურობას შორის, ერთდროულად იყოს ტრადიციული და ახლის მაძიებელი.

გ. ტყაბლაძის ნამუშევრები არაერთხელ წარდგენილა მრავალ მნიშვნელოვან გამოფენაზე, პერსონალური — გალერეა „ტმს“ (1998), „10+1“, ხელოვნების მუზეუმი (1994), ახალგაზრდა მხატვართა (1998), „რომანტიული ალუზიები“, სურათების ეროვნული გალერეა (1996), ფესტივალი „ღვინობისა“ (1994, 1995), „ქართული ხელოვნება“, „ივერთბანკი“ (1997), „საბერძნეთი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში“, სურათების ეროვნული გალერეა (1998), საერთაშორისო სამობაო ფესტივალები (1995, 1996), მიღებული აქვს საქართველოს მხატვართა კავშირის პრემიები: წლის საუკეთესო ნამუშევარი (1997), საუკეთესო ვირჯინიელი მხატვრები (2005), მერი ფილიპსის (2006), პიტსბურგის მოქანდაკეთა საზოგადოების ჯილდოები. მისი ქანდაკებები შესულია გამოცემებში: „საუკეთესო ამერიკელი მოქანდაკეები“ (2007), „ახალი თაობა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში“ (2006), მოქანდაკეთა „ბიბლია“ (2005), მიღებული აქვს სხვადასხვა გრანტი და ჯილდო.



ფორტუნის ბორბალი, სე, ლითონი, აკრილი, ზეთის საღებავი, 2006 წ.

მისი ბიოგრაფია ჩართულია ლექსიკონში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში“. მხატვრები და ხელოვნებათმცოდნეები“. ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, თბილისი, 2000. საერთაშორისო ენციკლოპედიურ ლექსიკონში „თანამედროვე ხელოვნება“ (2001/2002, 2002/2003).

გ. ტყაბლაძემ საქართველოში პედაგოგიური მოღვაწეობაც მოასწრო — მუშაობდა კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში სატყვისა და ქანდაკების პედაგოგად.

ამერიკის შერთებულ შტატებში ცხოვრობს მეუღლესთან — მხატვარ თეა ოქროპირიძესთან და შვილებთან ერთად.

სამწუხაროა, რომ სამშობლოში ხელახალი აღმოჩენა გეხდებოდა საზღვარგარეთ წასული ნიჭიერი შემოქმედებისა, ბედნიერებაა, რომ ისინი, ნიჭიერებისა და შრომისმოყვარეობის წყალობით, ახერხებენ ადაპტაციას და დამკვიდრებას იქ, სადაც ასეთი ძლიერი კონკურენციაა.

ის ისეთი სუფთაა, მარმარალო, სე, ლითონი, 2007 წ.



ღია ჯიბაბიძე

ქანდაკეები ქუთაისში

მემორიალური კვლევა

ქუთაისის მოედნებსა და ქუჩებში ბევრი მემორიალური ანსამბლი, მონუმენტური ქანდაკება, პორტრეტული ბიუსტი და ბარელიეფური დაფა, გამოჩენილ ადამიანთა სახეებსა და სახელებს რომ უკვდავოფენ, ან იმ ისტორიულ მოვლენებს წარმოგიდგინენ, რომელთა ცოდნა და დაფასება მომავალი თაობის ვალია.

თავდაპირველად ყურადღებას გაგამახვილებთ ქალაქ ქუთაისში განლაგებულ მემორიალურ ძეგლებზე, საქალაქმშენებლო ანსამბლებზე, რომლებშიც მნიშვნელოვნად გამოვლინდა ქანდაკებისა და არქიტექტურის ახლებური თანამეგობრობა.



ფრაგმენტი



„გამარჯვების მემორიალი“, მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი, არქიტექტორი — თ. კალანდარიშვილი, 1982 წ.

მემორიალური ძეგლის საქალაქო სივრცეში განლაგების შესანიშნავ მაგალითს გვაძლევს გრანდიოზული „დიდების“ მემორიალი (მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი, საქართველოს სახალხო მხატვარი. არქიტექტორი ოთარ კალანდარიშვილი. 1982 წ.). ძეგლი დგას ირაკლი აბაშიძის გამზირზე, საავტომობილო ქარხნის დასასვლელში გადასასვლელ ვაგაპტარ ხიდამდე, მარჯვენა მხარეს. ეს არის რთული სივრცითი კომპოზიცია, რომელიც გადაწყვეტილია ლანდშაფტთან ურთიერთკავშირში და მასზე დიდადა დამოკიდებული. არქიტექტურული ნაწილი თითქოს იმეორებს მის უკან, შორეული ბორცვების შემადლებულ ფორმებს.

კომპოზიცია ორნაწილიანია. საზეიმო და მარადიულია ახალ ფორმებში აღორძინებული ტრიუმფალური თაღის თემა, მისი ფართო, გაშლილ სივრცეზე არსებობა მონუმენტს „თავისუფალ სუნთქვას“ ანიჭებს, ხოლო დაბალი ჰორიზონტის ხაზი კიდევ უფრო მეტ მონუმენტ-



ფრაგმენტი



ტურობასა და სიდიადეს მატებს. გრანდიოზული ზარის ფორმის თაღი ზეწოლას კი არ ახდენს მის წინ ახალგაზრდა მხედრის ფიგურასა თუ მაყურებელზე, პირიქით, მზეჭაბუკის ფიგურა წარმოგვიდგება ადამიანსა და გრანდიოზულ არქიტექტურას შორის დამაკავშირებელ რგოლად, რომელიც ორგანულად ერწყმის მას, ამას ხელს უწყობს თაღზე

გამოსასული ბრინჯაოს რელიეფური ფიგურების პლასტიკური ფორმები. მონუმენტი მთლიანად ბატონობს მთელ სივრცეზე, შთამბეჭდავად აღიქმება ლურჯი ცის ფონზე, რაც მეტ ემოციურობას მატებს მას და წარმოადგენს ამ სივრცის დამასრულებელ აკორდს. ეს არის ქალაქის განაშენიანებაში მემორიალური კომპლექსის არსებობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაგალითი. იგი უშუალოდ, ემოციური ჟღერადობით, ექსპრესიულად მოქმედებს მნახველის გრძნობებზე და საბი დროის — წარსულის, აწმყოსა და მომავლის მხატვრულ გამოძახილს წარმოადგენს.

თავის დროზე ძეგლთან საზეიმო ღონისძიებები ეწყობოდა ხოლმე, რასაც ხელს უწყობდა მემორიალის წინ არსებული დიდი სივრცე ლამაზი ბაღით.

მონუმენტი იდგმება იმისთვის, რომ საუკუნეებს გადასცეს და თოთბებს შეუძახოს დიდი ადამიანების ღვაწლი, ან ისტორიული მოვლენა, ამიტომაც საქალაქო მონუმენტები ცოცხლობენ დღესანს და კვდებიან მხოლოდ მკვეთრი კატაკლიზმების შედეგად.



ფრაგმენტი



თავის დროზე საბჭოთა მონუმენტური სელოვნების ისტორიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად იქნა აღიარებული ჩაკეტილ კამერულ ზომეში გადაწყვეტილი, მაგრამ საქალაქმშენებლო კონცეფციით მეტად მნიშვნელოვანი მემორიალური ძეგლი „დიდება შრომას“ (არქიტექტორები: ვახტანგ დავითაია, შოთა ბოსტანაშვილი. გვირგვინის ავტორი — მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი, საქართველოს სახალხო მხატვარი), რომელიც 1981 წელს გაიხსნა. იგი განლაგებულია ქალაქის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე, მერიის შენობის გვერდით. ადგილი წარმოადგენს ვიწრო, შეზღუდულ სივრცეს, ამიტომ თვით კომპოზი-

შრომის დიდების მემორიალი.
არქიტექტორები: ვახტანგ დავითაია, შოთა ბოსტანაშვილი, გვირგვინის ავტორი მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი.

პირველი ექსპოზიცია.
 13.VI.1981—25.V.1985 წ.წ.

ციაც თავის ფარგლებში ლებულოზს კამერულ სასიათს, თუმცა შინა-არსობრივად ძალზე მასშტაბურია. ავტორებმა ამ შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ დასვეს სტაბილურობისა და უცვლელობის პრინციპი, როცა მიზნად დაისახეს ისეთი რამ, რაც, თუ არ ვცდებით, არასდროს არავის არ დაუსახავს. მისი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ დროთა განმავლობაში კომპლექსში შემაჯავლი სკულპტურული ნაწილი შეცვლებოდა, ე.ი. თემა უცვლელია, სკულპტურა — ცვალებადი, რაც აძლევს საშუალებას არა ერთ, არამედ რამდენიმე მხატვარს, მიიღოს მონაწილეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონუმენტის შექმნაში და შეამოწმოს თავისი ტრადიტი ამ თემაზე მუშაობისას. საბოლოოდ, არქიტექტორებმა



გულდა კალაძე „შემოდგომა“

პირველი ექსპოზიციის ფრაგმენტი

მხოლოდ ექსპოზიციური გარემო შექმნეს თავისებური სახის თეატრალური საყრდენებით.

ექსპერტიზის პანელები მრგვალი ლიობებით ქმნიან სივრცეს, უფრო სწორად, სხვადასხვა სივრცეებს. პირველ ექსპოზიციამ (13.VI.1981—25.V.1985 წ.წ.) განთავსდა მოქანდაკეების: გულდა კალაძის, სოსო ქოიავას, რევაზ მანუჯგალაძის, რეზო რამიშვილის, ჯემალ რუხაძის შრომისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები, რომლებიც უნდა შეცვლილიყო ყოველ სამ წელიწადში სხვა მოქანდაკეების მიერ ამ თემაზე შესრულებული ნაწარმოებებით, ხოლო მოხსნილი ქანდაკებები შეინახებოდა მუზეუმში.



რევაზ რამიშვილი, „ვაშენოთ სიყვარულით“




ჯეკობალ რუსაძე, „მშობელი“



სოსო ქოიავა, „აღლორძინება“

მეორე ექსპოზიციაში (1985 წ.) განთავსდა გ. შვაცაბაძის „გა-ზაფხული“, ლ. ბარანოვის და ი. სავრანსკაიას „შემოდგომა“, ა. მო-ნასელიძის „მასხარა“, რ. ხასიას „აოუზია“, კ. ტაბატაძის „ჩემი იმერეთი“, რომელიც 90-იან წლებში მოიპარეს.

კომპლექსში თავმოყრილ ყველა ძეგლს აქვს თავისი პლასტიკური სიმბოლო და არქიტექტურული საფუძველი (საფეხუროვანი და მარ-თუთხა ფორმის პოსტამენტები). ქანდაკების ქვის პანელუბი, რომლებიც მათ ფონს წარმოადგენენ (წრიული, ნახევარწრიული ლიობები და მათზე ამოკვეთილი შრომის სადიდებელი სიტყვებით) ზოგჯერ ფარა-ვენ, ზოგჯერ ათავისუფლებენ ადგილს მრავალფეროვანი პლასტი-კური კომპოზიციისათვის, ზოგან კი ეხებიან მცენარეთა სიმწვანეს და ამით თითქოს იწვევენ მაყურებელს, მივიდეს ახლოს და ხელთ შეეხოს მზის სხივებით გამთბარ ბრინჯაოს. ასეთი გამჭოლი ხასიათი აიძულებს მნახველს, რომელიმე კონკრეტული ფრაგმენტის აღქმისას ყურადღება გადაიტანოს ერთი ძეგლიდან მეორეზე, შემდეგ მესამე კომპონენტზე და ა.შ. ამრიგად, საბოლოო ჯამში, მოქმედებს წრიული ხედვის პრინ-ციპი, რომელიც ამ ცალკეულ ელემენტებს ერთიან სინთეზურ მთლი-ანობაში უყრის თავს. მუქ სიმწვანეში და თეთრი პანელის სარკმლებში აღიქმება ქანდაკების სიღრმე და სიმორე, რაც აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს მონუმენტის სასოფანი წყობისათვის. როგორც პლასტი-კური ნაწარმოებები, ეს ელემენტები აკავშირებენ ძეგლს გარემოსთან, მონუმენტს — ქალაქთან და იღვვიან ექსპოზიციური მრავალსახეობის გამოვლენის საშუალებას“. „შრომის დიდების“ მონუმენტი არა მარტო შემოქმედებითი მონაპოვარია, არამედ იგი არის მხატვრული აღმოჩენის უმნიშვნელოვანესი მაგალითი. ასეთი გადაწყვეტა წარმოადგენს სიახლეს და ამასთანავე ხსნის ახალ გზებს ზოგადად საქალაქო სივრცეში მონუმენტების არსებობისათვის.



რევაზ მანჯვალაძე
„ამირთა გმირი“




სოსო ქოიავა, „აღორძინება“



შრომის დიდების მემორიალი, მეორე ექსპოზიცია. 25.V.1985 წ.



ლ. ბარანოვი, ი. საგვანსკაია, „შემოდგომა“



ვიორგი შვაცავაია, „განუდებული“



აფხანდილ მონასელიძე „ქუბელები“



რეზო ხანია, „პოეზია“

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა სსოფნის მემორიალი (მოქანდაკე ივანე ცისკაძე, არქიტექტორი დავით ცუცქერიძე, 1997 წელი). მემორიალი აბსტრაქტულ-დეკორატიული ფორმისაა, — თითქოს მონუმენტი დგას დაბალ ბრტყელ პოსტამენტზე, რომელზეც მიმაგრებულ მარმარილოს ფილაზე ამოკვეთილია ტექსტი: „საქართველოს მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალი“.



ფრაგმენტი



საქართველოს მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალი, მოქანდაკე ი. ცისკაძე, არქიტექტორი დ. ცუცქერიძე

ჩერნობილელთა სსოფნისადმი მიძღვნილი მემორიალი დაიდგა 2006 წელს ავტომშენების ქუჩაზე და 2008 წელს განასხლა, შესრულდა ფერად ლითონში (არქიტექტორი: რ. ჩიხლაძე, შემსრულებელი ვ. ჯიქია, ჩერნ. სოც. უზრ. სამს. უფრ.). დაბალ პოსტამენტზე მოთავსებულია სამი სვეტი, მათ შორის შუა უფრო მაღალია და წინ გადმოხრილი. სვეტებს შორის, ზედა რეგისტრში, მოთავსებულია მეტალის სფეროს გამოსახულება, რომელიც პლანეტას განასახიერებს. მემორიალს აქვს საინტერესო გადაწყვეტა და თეთრი სვეტები კარგად აღიქმება გარემო სივრცეში.



ჩერნობილელთა სსოფნისადმი მიძღვნილი მემორიალი



9 აპრილის დაღუპულთა
სსოვნის მემორიალი,
მოქანდაკე რ. რამიშვილი

ყოფილ კინოთეატრ „კომუნას“ წინ დგას **9 აპრილის დაღუპულთა სსოვნის მემორიალი** (მოქანდაკე რ. რამიშვილი, 1990 წელი). ძეგლს აბსტრაქტული ფორმა აქვს და თითქოს მკლავებით ერთმანეთს გადახვეულ ადამიანებს მოგვაგონებს, ზედ ძველი ქართული ასოებია ამოკვეთილი და საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდს აღწერს. ძეგლი თავისუფალ სივრცეზე დგას და კარგი აღსაქმელია.

ქალაქის ცენტრში, მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის შენობის გვერდით, საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე, 1985 წელს შეიქმნა საბრძოლო დიდების მუზეუმი, რომლის ფასადზე განთავსდა ბარელიეფური გამოსახულებები. მუზეუმის გახსნა მიეძღვნა სამამულო ომში გამარჯვების მე-40 წლისთავს (არქიტექტორი შადიმან ყიფშიძე, მოქანდაკეები — გიორგი ლომთაძე, მურმან გიორგაძე). მე-დალიონში ჩასმულ ბარელიეფებზე წარმოდგენილია სიმბოლური ხასიათის სხვადასხვა გამოსახულებები: (ახალგაზრდობა, ოჯახი, სამხედრო მუზარადი, ჭაბუკები დროში, ახალგაზრდები, რომლებსაც დაჭრილი მებრძოლი უჭირავთ ხელში და სხვა). ეს საინტერესო და შთამბეჭდავი გამოსახულებები.



ბარელიეფური გამოსახულებები საბრძოლო დიდების მუზეუმის ფასადზე
მოქანდაკეები: გ. ლომთაძე, მ. გიორგაძე, არქიტექტორი შ. ყიფშიძე

მონუმენტური ქანდაკება

ჩვენი განხილვის შემდგომ ნაწილში ყურადღებას გავამახვილებთ მონუმენტურ ქანდაკებებზე და მათს განლაგებაზე, მანამ კი აღვნიშნავთ, რომ ქანდაკების უმთავრესი თემაა ადამიანი, იშვიათად კი ცხოველი. მრგვალი ქანდაკება მთლიანად გადმოგვცემს ფიგურის ან საგნის მოცულობას, დაფალიერებისას შეგვიძლია მას გარს შემოვუაროთ და დავაკვირდეთ სხვადასხვა კუთხიდან. ხედვის ყველა წერტილიდან იცვლება საგნის მოხაზულობა, ფორმათა კონტურები, გამოსახულების სილუეტი,



რასაც მხატვრული ელფერი შეაქვს მხატვრული სახის აღქმაში, ამიტომ შექმნისას ავტორი ითვისებს წინებს ყოველივე ამას და ცდილობს, ხედვის ყველა კუთხიდან მიიღწიოს გამომსახველობას, ანდა, ზოგჯერ, შემოსაზღვრულ თვალთხედვას იჩინოს, ანუ ხედვის ერთ მთავარ ასპექტს.

ქუთაისში განლაგებულ მონუმენტურ ქანდაკებებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დავით აღმაშენებლის ძეგლი (მოქანდაკე — ელგუჯა ამაშუკელი. არქიტექტორი — ვახტანგ დავითაია), რომელიც აღიმართა ქუთაისში, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე და გაიხსნა 1995 წლის

დავით აღმაშენებელი, მოქანდაკე ე. ამაშუკელი, არქიტექტორი ვ. დავითაია

21 სექტემბერს. მეფე დავითის სახელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალხისათვის, როგორც საქართველოს გამაერთიანებლის, აღმაშენებლის და წინდახედული პოლიტიკოსისას. ქანდაკების დადგმა ქუთაისში გამართლებულია იმიტაც, რომ აღმაშენებლის მეფობის დროს სატახტო ქალაქი ქუთაისი იყო, მან აქვე ახლოს ააგო გელათის ტაძარი და დააარსა აკადემია.

მოქანდაკის წინაშე იდგა ამოცანა ამ არქიტექტურულ ვარემოში ძეგლის ჩაწერისა. ქანდაკების „ინფორმაციული ფასეულობა“, მისი დინამიურობა და სიმშვიდე მაყურებლის წინაშე მოედნის სხვადასხვა წერტილიდან იხსნება. მათთვის, ვინც უშუალოდ მოედანზე იმყოფება, ძეგლს რამდენიმე ხედვის ზონა აქვს. ბანკის მხრიდან ქანდაკება ცისა და თეატრის ფონზე იკითხება, რის გამოც თეატრის განვითარებული ფასადი და ფერი იზიდავს მაყურებლის ყურადღებას და იწვევს მის გაორებას. ამ წერტილიდან ყველაზე მეტყველია დავით აღმაშენებლის ხელი გელათის ტაძრის მაცეხით. ბაღის კიდიდან მხედარი აღიქმება, როგორც კანონმდებელი და ამავე დროს ნათლად იკითხება მეფის მედიდური წარმოსადგობა, მაგრამ ცხენის ფიგურის უკანა ნაწილის ოდნავ ტეხილი ხაზები თითქოს აჩერებს სწრაფვას. ისტორიულ-უთნოგრაფიული მუზეუმის მხრიდან აღმაშენებლის ამაყად გამართული კორპუსი და ხმალი გვიჩვენებს მასში შეუპოვარ მხედართმთავარს. ჩვენი აზრით, ფასადის მარჯვენა მხრიდან ყველაზე უკეთ იხსნება ნაწარმოების მხატვრული შინაარსი, აზრი არ იფანტება, ძეგლი აღიქმება ცის ფონზე და მეფე წარმოგვიდგება, როგორც აღმაშენებელი და როგორც მხედართმთავარი, ასევე დამაჯერებელია ცხენის მიზანსწრაფული მოძრაობა. მონუმენტის ადამიანისა და გარემოს სწორად მოაზრებული მასშტაბური შესაბამისობა აქცევს ქანდაკებას „საკონტაქტო წერტილად“, დამაკავშირებელ რგოლად მათ შორის, რის გამოც ძეგლი პარმონიულად ერწყმის მოედნის როგორც პორიზონტალურ, ასევე ვერტიკალურ დომინანტებს და მათთან ერთად მთლიანობას ქმნის, ამას ხელს უწყობს მარჯვენდ მოძებნილი პოსტმენტის მკაცრი, ნათელი კლასიკური ფორმა და მასშტაბი.

ამ არქიტექტურულ ფარგლებში ქანდაკების ემოციური ზემოქმედების ძალა საკმაოდ დიდია, მონუმენტი უკეთებს ორგანიზაციას მოედანს, გვევლინება მის დამაგვირგინებელ პლასტიკურ აქცენტად. ქანდაკების სახით მოედანი ღებულობს დასრულებულ სახეს, ხოლო ქანდაკება — თავისი პლასტიკური ღირსებების გამოვლენის საშუალებას. არის ერთი გარემოებაც, რომელიც არ შეიძლება არ აღვნიშნოთ: მოედანზე სულ შვიდი ქუჩა შემოდის და ძეგლი არცერთის პერსპექტივას არ ემსახურება. არადა, ასეთი მასშტაბის ქანდაკებისათვის ეს აუცილებელია და მონუმენტი კიდევ უფრო სასიამოვნო სანახავი იქნებოდა შორი მანძილიდან, ლურჯი ცის ფონზე.



დავით აღმაშენებლის მოედანი

აქვე, მოედნის ახლოს გამომავალი თამარ მეფის ქუჩის შესასვლელში, NEI პოლიკლინიკის გვერდით, პატარა სკვერში დგას მოქანდაკე **იაკობ ნიკოლაძის ძეგლი** (მოქანდაკე თენგიზ ლენიაშვილი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, არქიტექტორი კიაზო ნახუცრიშვილი, 1978 წელი). ქართული ქანდაკების ფუძემდებლის ძეგლის აქ დადგმა განაპირობებოდა იმით, რომ ოსტატი აქვე ცხოვრობდა. ადგილმდებარეობას ქმნის სკვერი პოლიკლინიკასა და საერნაყო ფაბრიკას შორის არსებულ სიცარიელეში. თავის დროზე ეს უბე გადაკეთდა სკვერად და მასში განთავსდა აღნიშნული ქანდაკება.

რაც შეეხება ძეგლის კომპოზიციურ გადაწყვეტას: მსცოვანი ხელოვანი წარმოდგენილია ჩამომჯდარი, წუთიერი შესვენების დროს, ხელში საჭრეთლითა და ჩაქუჩით. ასეთი გადაწყვეტა შესაბამისია კამერული გარემოსათვის, მაგრამ თვითონ გარემო მოუწყვრიგებელია ქანდაკებისათვის. ძეგლის ასეთ შეზღუდულ სივრცეში დადგმა მოითხოვს მისი ზომის, მასის ფაქტურისა და გარე სივრცის სწორ გათვალისწინებას. დამრეც რელიეფზე მოწყობილი სკვერის პატარა მოედანი შემოფარგლულია მაღალი ხეებითა და მწვანე მწვანე ბუჩქების დეკორაციით.

პირველი, რაც თვალში საცემია, ის არის, რომ ქანდაკება მასშტაბურად დიდი და მძიმეა ამ პატარა სივრცისათვის. თუმცა ამით ის

იაკობ ნიკოლაძე
მოქანდაკე თ. ლენიაშვილი,
არქიტექტორი კ. ნახუცრიშვილი





ზაქარია ფალიაშვილი
მოქანდაკე ლ. მხეიძე,
არქიტექტორი გ. თოდაძე

ბატონობს ადგილმდებარეობაზე, მისი ალქმის ზონები არ არის საკმაოდ სელსაყრელი — ფსადიდან ეფარება დიდი ხეები, გვერდებიდან — ბუჩქები. ქანდაკების წინ დგას საბალო დასასვენებელი მერხები, ისინი იმდენად მოუხერხებელია, რომ თუ ადამიანი ზის სახით ქუჩისაკენ, ქანდაკება მის ზურგს უკან რჩება, ხოლო თუ პირიქით, ძეგლისაკენ, მაშინ ზურგით ქუჩისაკენაა, რაც, ორივე შემთხვევაში, გარკვეულ უხერხულობას ქმნის, ამიტომ კარგი იქნება, თუ გარემო სივრცე მოწესრიგდება მისთვის.

პოსტამენტი გათვალისწინებული უნდა იყოს ძეგლის ხასიათზე, უნდა მოეძებნათ ისეთი ფორმა, თითქოს მოქანდაკე თვითონ ზის ამ სკვერში, ამიტომ უკეთესი იქნებოდა, შედარებით დაბალი ყოფილიყო.

ზაქარია ფალიაშვილის ძეგლი (მოქანდაკე ლევან მხეიძე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, არქიტექტორი გივი თოდაძე, 1970 წ.) დაიდგა ქალაქის ცენტრალურ ბაღში, ქუთაისის საოპერო თეატრის შენობის წინ, კომპოზიტორის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით. კომპოზიტორი წარმოდგენილია მჯდომარე პოზაში, ჩაფიქრებული. ქანდაკებას აქვს პოდიუმი და დაბალი პოსტამენტი, რომელიც შესაბამისია საყარძელში მჯდომი ფიგურისათვის.




მნიშვნელოვანია აგრეთვე **გალაკტიონ ტაბიძის მონუმენტური ქანდაკება** (მოქანდაკე გიორგი შვაცაბაია, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, არქიტექტორი თეიმურაზ მიქაშვიძე), რომელიც მისი სახელობის ქუჩაზე 1990 წელს დაიდგა. პოეტმა თავისი ახალგაზრდობის წლები ქუთაისში გაატარა, ამიტომ თავისთავად გამართლებულია მისი ქანდაკების დადგმა ამ ქალაქში. გარემო, სადაც ქანდაკება დგას, წარმოადგენს საზოგადოებრივი დანიშნულების ცენტრს, მაგრამ ეს ადგილი ნაკლებ მოსახერხებელია ძველისათვის, მის წინ გამავალი ვიწრო, ტრანსპორტით დატვირთული ქუჩისა და სანაპიროს დამრეცი რელიეფის გამო. ქანდაკების უკან აღმართულია გაბაშვილის გორა მცენარეების მუდმივ მწვანე მასივით, თუმცა შეიძლება ავტორები შეეცადნენ, მაქსიმალურად გამოეყენებინათ მისი მოხერხებული პირობები.

მონუმენტი სიმბოლურ-ალეგორიულადაა გადაწყვეტილი: ესაა ახალგაზრდა გალაკტიონი და მისკენ ციდან დაშვებული ახალგაზრდა ქალის პლასტიკური ფიგურა, რომელიც მუხას განასახიერებს. ორივე ფიგურა წარმოდგენილია მაღალი სტელის ფონზე, რაც ჰორელიეფური გამოსახულების ხასიათს აძლევს.

ძველი აღიქმება ფასადისა და გვერდითი წერტილებიდან, ძირითადად — რიონის მხრიდან. ის გახსნილია რიონზე, ამაშია მისი მხატვრული მეტყველება, მაგრამ იმ მგზავრებისათვის, რომლებიც სარგებლობენ ტრანსპორტით მეორე მხარეს და იმათთვისაც, ვინც იქ ტრანსპორტს ელოდება, ძველი ნაკლებად მისაწვდომია აღსაქმელად. ამავე დროს, წლის „მწვანე პერიოდში“ ძველი ნაკლებად ჩანს, როგორც რუსთაველის, ასევე წითელი სიღვიძან, რადგანაც დაფარულია დიდი ხეების რიგებით.

თავისი პლასტიკური ღირსებით, ქანდაკება საკმაოდ მეტყველია. მისი მხატვრული სახე თითქოს შესაბამისობაშია პოეტის ხასიათსა და ახალგაზრდულ შემართებასთან, თუმცა, რამდენაღმე, ზედმეტად სწორხაზოვანი და თვალშისაცემი გვეჩვენება. მონუმენტურობა, ჩვენი თვალსაზ-



გალაკტიონ ტაბიძე,
მოქანდაკე გ. შვაცაბაია,
არქიტექტორი თ. მიქაშვიძე



ილია ჭავჭავაძე,
მოქანდაკე შ. მიქაბაძე,
არქიტექტორი შ. ლომთაძე

რისით, აქ უფრო მეტად მიღწეულია ტექნიკური სერხებით (ჩამოსხმის მასშტაბი, დაბალი პოსტამენტი და ა.შ.), ვიდრე პლასტიკით. მუზის ფიგურის მოძრაობას, მისი ხელის აქუსტს კომპოზიციაში თხრობითობის ელემენტი შეაქვს და აღქმის მთლიანობას ანაწილებს.

ჩვენი თვალთახედვით, ქანდაკების პოსტამენტი ხაზს უსვამს ორი ფიგურის სიმძიმეს და მათ შორის — არქიტექტურის შესაბამისობას გადაწყვეტის ხასიათშიც. ქანდაკებაში მოცემული დინამიკა (მუზის ფიგურის ექსპრესიულობა) თითქოს ჩერდება სტატიკური გულგრილი პოსტამენტით.

საინტერესოა **ილია ჭავჭავაძის ქანდაკება** (მოქანდაკე — შოთა მიქაბაძე, ძველი გზაგამტარი ხიდის წინ ქალაქის ცენტრიდან გადაიტანეს 1981 წელს. იგი თბილისში I სკოლის წინ მდგარი ქანდაკების ასლია. დგას პატარა სამკუთხა ფორმის სკვერის ცენტრში, თავად სკვერი ცოცხალი სატრანსპორტო კვანძის ფარგლებშია, სადაც, ერთდროულად, სამტრედიის გზაგამტარი ხიდისაკენ გამოდის რამდენიმე ქუჩა. ეს დასასვენებელი სკვერი არ არის, ამიტომ ქანდაკებისთვის ნაკლებ ეფექტური ადგილია.

პოეტი წარმოდგენილია მთლიანი ტანით. ქანდაკების პლასტიკური გადაწყვეტა მოითხოვს პორტრეტული ნიშნების აღქმას, რაც შესაძლებელია მხოლოდ მასთან უშუალო სიახლოვისას, სატრანსპორტო ნაკადი კი, რომელიც საკმაოდ ინტენსიურად მოძრაობს ამ გზაჯვარედინზე დამატებით სიძნელეებს ქმნის ამ თვალსაზრისით.

პოსტამენტი ფორმითაც და ზომითაც შესაბამისია მოძებნილი და დაბოლოებული რთული კონფიგურაციის ოდნავ წინ წამოწეული პილონებით.





აკაკი წერეთლის ქანდაკება (მოქანდაკე ვალერიან თოფურიაძე, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი) დაიდგა ქალაქის ცენტრალურ ბაღში 1941 წელს, პოეტის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით და განასხლდა 1984 წელს. აკაკი წარმოდგენილია განმარტოებული, თვითნაღრმავებული აზროვნების მომენტში. ასეთი სასიათი განსაზღვრავს ქანდაკების ადგილს ამ გარემოში, მაგრამ იგი დგას ბაღის კიდულე, მოწყვეტილია მის ძირითად მასივს და მხოლოდ ბაღის კიდიდან ხდება ყურადღების ცენტრში.

**აკაკი წერეთლი,
მოქანდაკე გ. თოფურიაძე**

ქეცლისა და პოსტამენტის პლასტიკური ფორმები იმდენად შერწყმულია ერთმანეთთან, გადასვლა პოსტამენტიდან ქანდაკებაზე თითქოს შეუძნეველია, მისი საფეხურები განკუთვნილია იმისათვის, რომ მაყურებელი უშუალო კონტაქტში იყოს პოეტის გამოსახულებასთან. ამ კარგი



**ვასილ კიკვიძე,
მოქანდაკეები: ვ. მიზანდარი,
გ. ნიკოლაძე,
არქიტექტორი გ. თოფიაძე**

ძეგლის ასეთ კამერულ სივრცეში მოქცევა ნამდვილად ზღუდავს მისი მხატვრულ-პლასტიკური ზემოქმედების საშუალებას, მას ცენტრალური მდგომარეობა და შედარებით გახსნილი სივრცე სჭირდება.

ვასილ კიკვიძის ძეგლი (მოქანდაკეები — ვალერიან მიზანდარი, საქართველოს სახალხო მხატვარი, გიორგი ნიკოლაძე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, არქიტექტორი — გივი თოდაძე) დაიდგა 1959 წელს, გამარჯვების გამზირისა და გორის ქუჩის (ახლანდელი რუსთაველის გამზირის ბოლოს, ზ. გამსახურდიასა და ი. აბაშიძის ქუჩების დასაწყისში) გადაკვეთაზე მოწყობილ სკვერში. ვ. კიკვიძე წარმოდგენილია წითლარმიელის ფორმაში, ნაზადმოსხმული, მუხლებამდე გამოსახულებით. მაღალი ხეების რიგი ზღუდავს ძეგლის ხედვის ზონებს გვერდითი წერტილებიდან, ამიტომ მხოლოდ ერთი ხედვის წერტილი აქვს — ფასადის მხრიდან, საიდანაც აღიქმება მისი სახის ნიშნები, ხმაღზე დაყრდნობილი მარცხენა ხელი, გმირული სულისკვეთება.

კინოსახიზო იპოლიტე სვიჩიას ძეგლი (მოქანდაკე გიორგი კიკვაძე, არქიტექტორი გივი თოდაძე) დაიდგა 2007 წელს. იპოლიტე სვიჩია ლაღო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობი იყო თავის დროზე, ამიტომ ძეგლი თეატრის შენობის მარჯვენა მხარეს დაიდგა, ტროტუარის კიდეზე. ნაწარმოები ჟანრული ხასიათისაა, მსახიობი საბაღო სკამზე ზის გამლოლი კინოფირით ხელში, რომელიც თითქოს მის ცხოვრებას ასახავს და პატარა ბიჭუნასთან ერთად ათვლილიერებს.

ქანდაკება გადაწყვეტილია ბრინჯაოში, არ არის ცივი და სტატიკური, პირიქით, იმდენად თბილი და ბუნებრივია, ჩნდება სურვილი, ჩამოვდე და ჩაერთო მათ საუბარში, თუმცა, ჩვენი აზრით, თავისი ხასიათის გამო, უმჯობესი იქნებოდა, გამოსახულება იდგეს საპეციალურად მოწყობილ პატარა სკვერში, რომელიც მისივე სახელობისა იქნებოდა და უფრო კარგად ჩაჯდებოდა ხასიათში, ამასთანავე ის გარემოც ერთ-ერთ სასიამოვნო და საყვარელ ადგილად იქცეოდა ქუთაისლებისათვის.



იპოლიტე სვიჩია,
მოქანდაკე ვ. კიკვაძე
არქიტექტორი გ. თოდაძე





„სულიკო“,
მოქანდაკე გ. ნიკოლაძე,
არქიტექტორი ვ. თოღაძე

ქალაქის ცენტრალურ ბაღში, არც თუ დიდი ხნის წინ — 2006 წლის 21 სექტემბერს „დები იშვნელების“ მონუმენტური ქანდაკება დაიდგა — კომპოზიცია „სულიკო“ (მოქანდაკე გიორგი ნიკოლაძე, არქიტექტორი ვივი თოღაძე). დები იშვნელები ქალაქური სიმღერების უბადლო შემსრულებლები იყვნენ. ქანდაკების წინა პლანზე, გიტარით ხელში ზის ორი და უკანა პლანზე ფეხზე დგას ორი ქალბატონი. ისინი თითქოს მღერიან. ძეგლის თეთრი ფერი კარგად აღიქმება მუდმივი სიმწვანის ფონზე.



„პიკასოს ბიჭი“,
მოქანდაკე თ. ფხაკაძე,
იღის ავტორი მ. ქაჯაია

თეთრი ხიდის მოაჯირზე, იქ, სადაც „**ბიკასის ბიჭი**“ (პატარა გმირი ფილმიდან „არაჩვეულებრივი გამოფენა“) ხიდიდან სტეპა, 2006 წლის 21 სექტემბერს დაიდგა ქანდაკება. (მოქანდაკე თეიმურაზ ფხაკაძე, იდეის ავტ. მერაბ ქაჯაია). ძეგლი მცირე ზომისაა, მაგრამ აქვს სიმბოლური მნიშვნელობა, რადგან გამოსახავს ყველა იმ ძირძველ ქალაქელს, პატარაობისას აქ რომ ერთობოდა, ზანაობდა, თეთრი ხიდის მოაჯირიდან სტეპოდა და თავის შესაძლებლობებს ცდიდა.



„**აკაკი წერეთელი**“,
მოქანდაკე რ. რამიშვილი,
გ. კიკვაძე
არქიტექტორი გ. თოღაძე

„**ლადო ასათიანი**“,
მოქანდაკე გ. ნიკოლაძე

ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში 2005 წელს დაიდგა **აკაკი წერეთლის** მონუმენტური გამო-სახელება (მოდელი ეკუთვნის რეზო რამიშვილს, ქანდაკებაზე მუშაობა დაასრულა მოქანდაკე გიორგი კიკვაძემ, არქიტექტორია გივი თოღაძე). ნაწარმოებს აქვს ლირიკულ-პოეტური ხასიათი და, გათვალისწინებულია სკვერში დასადგმელად. პოეტი ზის სავარძელში, რომლის საზურგე ასევე ლირიკულ ხასიათშია გადაწყვეტილი, მარცხენა მხარეს ჩონგურის სა-მი სიმით. ხელები დაშვებული აქვს, ფეხი ფეხზე გადაუდევს და ოდნავ მობრუნებული მზერით თითქოს ახალი იდეით არის გატაცებული.

მწერალთა კავშირის ეზოში 2001 წელს დაიდგა **ლადო ასათიანის ქანდაკება**. ძეგლის ავტორია მოქანდაკე გიორგი ნიკოლაძე, ქანდაკება შეასრულა მოქანდაკე გიორგი დარსაველიძემ.

თავის ფიქრებში ჩაძირული პოეტი წიგნით ხელში მიყრდნობილია მოაჯირს.



პირველი საჯარო სკოლის წინ დგას ვლადიმერ მაიაკოვსკის ქანდაკება. (მოქანდაკე — ვალერიან მიზანდარი, საქართველოს სახალხო მხატვარი, გიორგი ნიკოლაძე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, არქიტექტორი გივი თოდაძე, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, 1956 წელი). მაიაკოვსკი საქართველოში დაბადებული რუსი პოეტი იყო.

ყმაწვილი პოეტი წარმოდგენილია წიგნით ხელში, სწავლისათვის შემართული. ქანდაკება დგას მართკუთხა ფორმის მაღალ პოსტამენტზე და მშვენიერი აღსაქმელია მაყურებლისათვის.



ვლადიმერ მაიაკოვსკი, მოქანდაკეები: ვ. მიზანდარი, გ. ნიკოლაძე, არქიტექტორი გ. თოდაძე

რუსთაველის გამზირზე, №1 სკოლის წინ ილო ფოტოგრაფის ქანდაკება დაიდგა. (მოქანდაკე რეზო რამიშვილი, 2003 წლის 14 იანვარი). ამ ადგილზე ილო სახიაშვილს, ქალაქში ცნობილ კოლორიტულ პიროვნებებს, პატარა ფოტოატელიე ჰქონდა. მისი სახელისნო ძირძველი ქუთაისლების თავმჯდომარის ადგილიც იყო. მას ხალხი იცნობდა, უყვარდათ და აფასებდნენ.



ილო სახიაშვილი, მოქანდაკე რ. რამიშვილი



ფრაგმენტი

ქალაქის ცენტრალური, ე.წ. „ამწვანე ბაზრის“ გვერდითა შესასვლელთან ფალიაშვილის ქუჩაზე **მონუმენტური ბარელიეფური კედელია** (ავტორი — ბერნარდ ნებურიძე, მოქანდაკეები: ვაჟა ქუთათელაძე, ზურაბ მგელიაშვილი, თემურ ჟორჯოლიანი, გურამ კვიციანი, აკაკი კიკვაძე, ვახტანგ ხვედელიძე, 1980—1987 წწ.). მთელ კედელზე ამოკვეთილია გამოსახულებები, რომლებიც ასახავენ საქართველოს ისტორიას, ქართველი ხალხის ყოფაცხოვრებას. აქ სხვადასხვა რეგისტრშია წარმოდგენილი სცენები (ნაბადმოსხმული მოხუცი, დედაშვილობა, დავით აღმაშენებელი, ოქროჭედური კარედი სატის ფონზე, რთველი, ქალი ქარში აშლილი თმებითა და სამოსით, კარიბჭე ორნამენტური სვეტებით და მარცხენა ზედა რეგისტრი სრულდება 30-მდე განსხვავებული სახისა და ხასიათის მამაკაცთა პორელიეფური გამოსახულებებით), აგრეთვე გამაყენებულია ქართული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ორნამენტები. ეს ბარელიეფური კედელი საინტერესო და სასიამოვნოა აღსაქმელად, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი მზით არის გასხვიონებული.

კერამიკული პანო „კოლხეთი“, მოქანდაკე ბ. ნებურიძე



პორტრეტული ზიუსტავი

პორტრეტულ ქეცლებში ადამიანები წარმოდგენილი არიან მხოლოდ თავის გამოსახულებით. ასეთი ქანდაკებები საჭიროებენ კონტრად ორგანიზებულ კამერულ სივრცეებს და კარგად მოძებნილ მასშტაბურ ურთიერთობას გარემოსთან. მათ შეუძლიათ შეასრულონ ისეთივე მათგანიზებული ფუნქციები, როგორიც, ჩვეულებრივ, მონუმენტურ ქეცლებს ძალუძთ.

ვაჟა ფშაველას პორტრეტული ქანდაკება (მოქანდაკე ზიინა ავალიშვილი, საქართველოს სახალხო მხატვარი, არქიტექტორი კონსტანტინე

ვაჟა ფშაველა,
მოქანდაკე ბ. ავალიშვილი,
არქიტექტორი კ. მემანიშვილი



ინე მემანიშვილი) დაიდგა 1985 წელს. მისი სახელობის ქუჩის დასაწყისში, გორაზე ასასვლელთან, ვიწრო კუნძულზე და გორის დამრეცი კალთის გამწვანების ფონზეა წარმოდგენილი.

ქანდაკების მარცხნივ — გორაზე ასასვლელი კიბეებია, რომლის გვერდით ვიწრო არხში წყალი ჩამოედინება. ქეცლის წინ ქუჩა ორად იყოფა (გორაზე და ჯაჭვის ხიდისკენ მიმავალი), ასევე ორად იყოფა ქუჩის მეორე მხარეც (წითელი ხიდისა და ტაბიძის ქუჩისა). ქეცლი მართუთხა ფორმის პოსტამენტზე დადგმულ დიდი ზომის თავს წარმოადგენს. ეს ადგილი ნაკლებად შესაფერისია ქანდაკებისათვის, რადგანაც რთული მოსახვევები, გადასასვლელები, ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობა ქვეთად მოსიარულეს ხიფათს უქმნის. ამიტომ მისი მხატვეული შინაარსი იხსნება მხოლოდ ფასადის მხრიდან. ქეცლი ქუჩების პერსპექტივაზე არ მუშაობს, რადგან ოდნავ შეწეულია სიღრმეში, ახლო მანძილიდან კი არა აქვს თავისუფალი და მშვიდი აღქმის პირობები.

მასშტაბურად ის თითქოს შესაფერისია ამ ადგილისათვის, მაგრამ შეუფერებელი გარემო აქვეითებს ქეცლის მნიშვნელობას ამ სივრცეში.

სოლომონ პირველის ქუჩაზე, ნიღბების თეატრის შენობის წინ, ბაღში დგას **ვალაკტიონ ტაბიძის პორტრეტული** გამოსახულება. (მოქანდაკე ბიძინა ავალიშვილი, საქართველოს სახალხო მხატვარი, არქიტექტორები: კონსტანტინე მემანიშვილი, გიული გეგელია, 1982 წელი). ეს არის ტრაგიკული წარსულის წიაღიდან ამოტყორცნილი სულის განსახიერება. ქვისგან გამოკვეთილი პორტრეტული მნახველის წინაშე ქარში მდგომ პოეტს აცოცხლებს.

რაც შეეხება **დავით კლდიაშვილის** პორტრეტულ ქანდაკებას (მოქანდაკე გიორგი ნიკოლაძე, არქიტექტორი გრიგოლ ჯაბუა), იგი დაიდგა 1995 წელს, კოსტავას ქუჩის ბოლოს მოწყობილ ვიწრო სკვერში. მწერალი აქვე ახლოს ცხოვრობდა, ამ გარემოებამ განაპირობა ძეგლისათვის ადგილის შერჩევა. ნაწარმოები კამერულ სასიათშია გადაწყვეტილი, მცირე ფორმის თავი მართკუთხედის ფორმის პოსტამენტზე დგას. თვითონ ძეგლი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ კუნძულოვანი მდგომარეობა პატარა, ვიწრო სივრცეში, ხშირფოთიანი მაღალი ხე მის წინ, ხელს უშლის ქანდაკებას, იყოს არსებული გარემოს მორგანიზებული.



ვალაკტიონ ტაბიძე
მოქანდაკე ბ. ავალიშვილი,
არქიტექტორები:
კ. მემანიშვილი, გ. გეგელია



დავით კლდიაშვილი,
მოქანდაკე გ. ნიკოლაძე,
არქიტექტორი გ. ჯაბუა

ძეგლის წინ დაბალი საბალო სკამები დგას, ეს უშუალო სიახლოვე აზრკოლებს ამ ადგილიდან მის აღქმას. ყველაზე მომგებიანი ხედვის წერტილი აქვს 26 მაისის ქუჩის შემოსასვლელიდან, მაგრამ რაც უფრო უახლოვდები ქანდაკებას, მით მეტად ფარავს მის წინ მდგომი ხე. ძეგლი მხოლოდ ამ ქუჩის პერსპექტივას ემსახურება.

პორტრეტს, ჩვენი აზრით, მოუხდებოდა ოდნავ განიერი პოსტამენტი. თვითონ პორტრეტული ქანდაკება, თავისებურად, სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ გარემო პირობები არ უწყობს ხელს, შეასრულოს სივრცის მორგანიზებული ფუნქცია.



აკ. წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის ეზოში დგას **ლადო ასათიანის** პორტრეტული გამოსახულება (მოქანდაკე გიორგი ნიკოლაძე, არქიტექტორი გივი თოღაძე, 2005 წელი). პორტრეტი მოთავსებულია მართკუთხედის ფორმის პოსტამენტზე, თავის პროპორციებით გამოსახულება კარგად ეწერება შენობებს შორის მოწყობილ პატარა ზომის სკვერში. პოეტის ტრავიკული სახე გვერდზეა მიბრუნებული, თითქოს იგი მნახველს შეგნებულად არიდებს თავს.



ლადო ასათიანი, მოქანდაკე გ. ნიკოლაძე, არქიტექტორი გ. თოღაძე

ვაჟა ფშაველას პორტრეტულ ქანდაკებას და გალაკტიონ ტაბიძის მონუმენტურ ძეგლთან ახლოს 2005 წელს დაიდგა **პოეტ ზურაბ კუხიანიძის პორტრეტული ქანდაკება** (მოქანდაკე აკაკი კიკვაძე, არქიტექტორი დავით ლეონიძე). მას ცენტრალური მდგომარეობა უჭირავს რუსთაველის ხიდის დასაწყისში არსებულ პატარა სამკუთხა სკვერში.

პოეტის პორტრეტული სახე მოთავსებულია წრიული ფორმის პოსტამენტზე, საერთოდ, გამოსახულება თითო ფერშია გადაწყვეტილი და იგი საკმაოდ კარგად იკვეთება მის უკან მდგარი მწვანე ნარგავის ფონზე. ასევე კარგად აღიქმება ძეგლი მის წინ შემომავალი ქუჩებიდან, კარგი იქნებოდა, სკვერი უკეთ იყოს მოწესრიგებული, არაესთეტიკურია სახლის კედელიც. ამასთანავე როგორც უკვე აღვნიშნე, აქვე ახლოს ორი მნიშვნელოვანი ქანდაკებაცაა. ამის გამო მისდამი ყურადღება ძალზე მცირდება, მეტად ბატონობს ამ სივრცეზე გალაკტიონ ტაბიძის ქანდაკება. ჩვენი აზრით, ძეგლის განლაგება ნაკლებ შესაბამისია არსებულ გარემოსთან.



ზურაბ კუხიანიძე, მოქანდაკე ა. კიკვაძე, არქიტექტორი დ. ლეონიძე

ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის შენობის გვერდით, მარჯვენა და მარცხენა მხარეს, მართკუთხა ფორმის პოსტამენტებზე **ლადო მესხიშვილისა** და **კოტე მარჯანიშვილის** პორტრეტული ქანდაკებები დგას (მოქანდაკე გიორგი ნიკოლაძე, არქიტექტორები: გრიგოლ ჯაბუა, კონსტანტინე მექანიშვილი). შინაარსობრივად, მათი აქ განლაგება, რა თქმა უნდა, გამართლებულია.

თეატრს წინა მხრიდან აქვს საფეხუროვანი მისასვლელი. მის შუა ადგილზე იქმნება პოდიუმი, რომელსაც უერთდება ორივე გვერდიდან ამომავალი ქვაფენილებიანი მისასვლელები, თანდათან რომ მდლდდება პოდიუმამდე, შემდეგ ამავე კიბეებს მიყვავართ თეატრის შესასვლელამდე. ამ გვერდითა შემოსასვლელების უკან დგას ეს პორტრეტული ძეგლები, შედარებით დაბალ ადგილზე. ქანდაკებები გადაწყვეტილია მუქ რუხ ფერში და მათ ფონს თვითონ თეატრის თეთრი კედელი წარმოადგენს.



ლადო მესხიშვილი,
მოქანდაკე გ. ნიკოლაძე,
არქიტექტორები:
კ. მექანიშვილი, გ. ჯაბუა



კოტე მარჯანიშვილი,
მოქანდაკე გ. ნიკოლაძე,
არქიტექტორები:
კ. მექანიშვილი, გ. ჯაბუა

რაც შეეხება აღქმის ზონებს, ისინი კარგად ეწერებიან იმ ლოკალურ გარემოში, ე.ი. მათი აღქმა ხდება მაშინ, თუ ახლოდან ვუყურებთ, იქვე. მის წინ ვდგავართ. შედარებით მეტადაა ყურადღების ცენტრში კოტე მარჯანიშვილის პორტრეტი.

ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა, თუ პორტრეტული ქანდაკებები, იქ დაიდგებოდა, საიდანაც იწყება ქვაფენილებიანი მისასვლელები, ისინი მეტად გამოიკვეთებოდნენ სივრცეზე და მათი აღქმა შესაძლებელი იქნებოდა შედარებით შორი მანძილიდანაც, მაშინ თეატრის გრანდიოზული შენობაც არ მოახდენდა მათზე ზეწოლას და ასევე არაფერი მოაკლდებოდა თეატრს მათი მეტად წარმოჩენით, ის მაინც იბატონებდა ამ სივრცეზე.



ყოფილ კინოთეატრ „საქართველოს“ გვერდით, სკვერში დაიდგა „სამი ოთარის“ სახელდობრ, პოეტისა და დრამატურგის, ქალაქის საპატიო მოქალაქის **ოთარ მამფორიას** (მოქანდაკე აკაკი კიკვაძე, არქიტექტორი გივი თოღაძე, 2006 წ.), ქართული კალათბურთის უფროსი თაობის წარმომადგენლის, მწვრთნელის და მოთამაშის **ოთარ სულაბერიძის** (მეტსახელად „მეობა“), (მოქანდაკე რეზო რამიშვილი) და კალათბურთელის და მწვრთნელის ოთარ ქორქიას (მოქანდაკე მისიელ გვასალია) პორტრეტული ქანდაკებები.



ოთარ მამფორია,
მოქანდაკე ა. კიკვაძე,
არქიტექტორი გ. თოღაძე



ოთარ სულაბერიძე, მოქანდაკე რ. რამიშვილი

პორტრეტები განლაგებულია მართკუთხა ფორმის პოსტამენტებზე, მხრებს ზემოთ გამოსახულებით, გადაწყვეტილი არიან თითქმის ერთ სასიათში. მათ აერთიანებთ არა მარტო ერთნაირი სახელები, არამედ ისიც, რომ იყვნენ თავიანთი ქვეყნის და ქალაქის ღირსების ნამდვილი დამცველები. ამიტომ დაიდგა ეს ქანდაკებები ქალაქის ცენტრში, რათა მომავალმა თაობამ პოტივი მიავოს ამ სამი ულამაზესი ვაჟკაცის ხსოვნას.



ოთარ ქორქია,
მოქანდაკე მ. გვასალია



ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის ეზოში 2002 წელს დაიდგა **ნიკო მუსხელიშვილის** პორტრეტული ქანდაკება (მოქანდაკე გიორგი ნიკოლაძე, არქიტექტორი გივი თოლაძე). მამაკაცის თავის გამოსახულება მოთავსებულია მართკუთხედის ზომის პოსტამენტზე.

ამავე უნივერსიტეტის ეზოში დგას **არჩილ კოსტავას** პორტრეტული გამოსახულება (მოქანდაკე რობერტ მნაცაკანიანი). გამოსახულება მოთავსებულია ფორმიტაც და ზომივითავე შესაბამის პოსტამენტზე.

იოსებ ოცხელის სახელობის № 2 საჯარო სკოლის, ყოფილი ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის ეზოში დგას ცნობილი საზოგადო მოღვაწის და პედაგოგის, სათავადაზნაურო გიმნაზიის დირექტორის **იოსებ ოცხელის** (1865–1919) პორტრეტული გამოსახულება (მოქანდაკე ტიტე სისარულიძე). ი. ოცხელი წარმოდგენილია მკერდს ზემოთ და ბიუსტი მოთავსებულია შესაბამისად გადაწყვეტილ პოსტამენტზე.



ნიკო მუსხელიშვილი, მოქანდაკე გ. ნიკოლაძე, არქიტექტორი გ. თოლაძე



იქვე, ი. ოცხელის სახელობის №2 საჯარო სკოლის (ყოფილი ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის) ეზოშივე დგას თავის დროზე ამ გიმნაზიის მასწავლებლის, ცნობილი პედაგოგის, გრამატიკოსისა და საზოგადო მოღვაწის სილოვან ხუნდაძის (1860–1928) პორტრეტული ქანდაკება, გამოსახული მკერდს ზემოთ და მოთავსებულია პოსტამენტზე.

ორივე ქანდაკება, იოსებ ოცხელისა და სილოვან ხუნდაძისა, დაიდგა 1960 წელს, სკოლის დაარსების 80 წლისთავთან დაკავშირებით და შესრულებულია სკოლის კურსდამთავრების, მოქანდაკე ტიტე სისარულიძის მიერ.



არჩილ კოსტავა,
მოქანდაკე ვ. ხვედელიძე
არქიტექტორი გივი თოლაძე



სილოვან ხუნდაძე და
იოსებ ოცხელი
მოქანდაკე ტიტე სისარულიძე

გაბონოვის ქუჩაზე, საცხოვრებელი სახლის კედელზე მოთავსებულია **ბორის გაბონოვის**, „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულ ენაზე მთარგმნელის პორტრეტული გამოსახულება (მოქანდაკე გიორგი ნიკოლაძე, 1990 წელი). სანდომიანი სახის სათვლიანი მამაკაცის ბიუსტი მოთავსებულია პატარა ბრტყელ საყრდენზე, რომელიც კედელზეა დამაგრებული.

ალექსანდრე წულუკიძის სასლმუზეუმის ეზოში, სახლის ფსადის წინ, მისივე პორტრეტული გამოსახულება დგას (მოქანდაკე და არქიტექტორი იაკობ ნიკოლაძე). ალ. წულუკიძე წარმოდგენილია წელს ზემოთ გამოსახულებით, სუსტი აღნაგობითა და გამართული კორპუსით. პოსტამენტს აქვს ორიგინალური გადაწყვეტა, — ბოლოში ფართოვდება და ჩაღრმავებულია, ამ ჩაღრმავებებში კი მწოლიარე მამაკაცის ფიგურა არის წარმოდგენილი, იგი თითქოს მისვენებულია ამ ბუნებრივ სავარძელში.




ბორის გაბონოვი,
მოქანდაკე გ. ნიკოლაძე



ალექსანდრე წულუკიძე, მოქანდაკე ი. ნიკოლაძე

თამარ მეფის ქუჩის დასაწყისში მდებარე სკვერში 2007 წლის 26 მაისს დაიდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის — მერაბ კოსტავას ბიუსტი (მოქანდაკე გურამ კვიციანი).

2003 წლის შემოდგომაზე, ფერმწერთა VI და მოქანდაკეთა II საერთაშორისო პლენერის მსვლელობის დროს პრესის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიდგა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის (1982–1985 წ.წ.) მამუკა ასლანიკაშვილის ბიუსტი, რომლის ავტორია ცნობილი მოქანდაკე გიორგი შვაცაბაია.



მერაბ კოსტავა,
მოქანდაკე გურამ კვიციანი



მამუკა ასლანიკაშვილი,
მოქანდაკე გ. შტეცვაბაია

ქუჩის აღმნიშვნელი ბარელიეფური ღაფები

ქუჩის აღმნიშვნელ ბარელიეფურ ღაფებზე წარმოდგენილი გამოსახულებები უკვდავყოფენ იმ ადამიანთა სახეებს, რომელთა სახელიც ამ ქუჩებს მიენიჭათ და არა მარტო უკვდავყოფენ, არამედ ახანგრძლივებენ მათ მიმართ კრძალვასა და პატივისცემას. იმისათვის, რომ ეს ბარელიეფური ღაფები ასრულდნენ თავის ფუნქციონალურ დანიშნულებას, საჭიროა სწორი ადგილის შერჩევა მათთვის გამოყოფილ გარემოში.

ღაფით აღმაშენებლის პორტრეტული ბარელიეფი (მოქანდაკე გიორგი ნიკოლაძე, 1999 წელი), მოთავსებულია ბალახენის ასსაფეხურიანი კიბესთან, საცხოვრებელი სახლის კედელზე. თუმცა ბარელიეფის წინ საკმაო მოედანია, მაგრამ მაღალი ხეები ფარავენ მას. ბარელიეფი მოიგებდა, რომ იყოს მოთავსებული ბალახენის გზაჯვარედინზე, რომელიმე საცხოვრებელი სახლის ფასადზე, რადგან აქ, ხალხმრავლობა და გახსნილი სივრცეა და ეს შესაძლებელს გახდიდა მის აღქმას ამ სივრცის სხვადასხვა კუთხიდან.



ღაფით აღმაშენებელი,
მოქანდაკე გიორგი ნიკოლაძე



ზაქარია ფალაიშვილი, აკაკი წერეთელი, მოქანდაკე გიორგი ნიკოლაძე

ზაქარია ფალაიშვილის ბარელიეფური გამოსახულება (მოქანდაკე გიორგი ნიკოლაძე, 1989 წელი) მოთავსებულია ამ ქუჩის დასაწყისში, საყოფაცხოვრებო სახლის წინ, გასასვლელის კიდეზე. ამ პირობებში ბარელიეფს უჭირს თავისი პრაქტიკული დანიშნულების შესრულება, ადამიანმა რომ მისი აღქმა შეძლოს, ის უნდა დადგეს შუა ქუჩაზე. ეს შეუძლებელია ტრანსპორტის ძლიერი ნაკადის გამო. ცენტრალური მოედნიდან და ბაღიდან კი საკმაოდ შორი მანძილია ასეთი ბარელიეფის აღქმისათვის, ამიტომ, ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, მოთავსებული იყოს იქვე ახლოს, არქივის შენობის კედელზე. ეს კედელი ქუჩიდან დაშორებულია და წინ ღია ადგილი რჩება, ეს ხელს შეუწყობდა ბარელიეფის თავისუფალ და მშვიდ აღქმას.

აკაკი წერეთლის ბარელიეფი (მოქანდაკე გიორგი ნიკოლაძე) მოთავსებულია ეროვნული ბანკის კედელზე, აივნის ქვეშ. ეს ვიწრო, ფეხით მოსიარულე მგზავრებითა და ტრანსპორტით გადატვირთული ქუჩა ნაკლებ მოსახერხებელია ბარელიეფის აღსაქმელად, ბანკის მხარეზე მიმავალი მგზავრი ვერ ამჩნევს სიახლოვის გამო, ხოლო საპირისპირო მხრიდან ტრანსპორტის მოძრაობა უშლის ხელს. ასე რომ, ბარელიეფი მეტ სივრცეს ითხოვს.

სამუთოთა კავშირისა და საქართველოს სახალხო არტისტის უშანგი ჩხეიძის პორტრეტული



უშანგი ჩხეიძე, მოქანდაკე რ. რამიშვილი, არქიტექტორი ჰ. მიქაბერიძე

გამოსახულება მოთავსებულია ფ. ვარლამიშვილის ქუჩაზე (ხარების ეკლესიის გვერდით), საცხოვრებელი სახლის კედელზე (მოქანდაკე რეზო რამიშვილი, არქიტექტორი ჰამლეტ მიქაბერიძე). მსახიობი აქ ცხოვრობდა. სახლის წინა ფასადზე, თეთრი ქვის დაფაზე იკვეთება თავის გამოსახულების პორელიეფი. პორტრეტული სახე მუქ ფერშია გადაწყვეტილი და ამიტომ იგი შესანიშნავად აღიქმება წარწერებით ამოკვეთილ თეთრი ქვის ფონზე.

თბილისის ქუჩაზე, №17 სახლის ფასადზე მოთავსებულია **ვალერიან მიზანდარის** პორტრეტული ბარელიეფი და შესაბამისი წარწერა (მოქანდაკე გიორგი ნიკოლაძე, 1986 წელი). ხელოვანი ამ სახლში დაიბადა და თავისი სიყმაწვილე აქ გაატარა, ამიტომ განთავსდა აქ ეს დაფა.

იაკობ ნიკოლაძის ბარელიეფური გამოსახულება და წარწერა მოთავსებულია იმ სახლის ეზოს გალავანს ზემოთ, სადაც მოქანდაკე ცხოვრობდა — თბილისის ქუჩაზე (მოქანდაკე გიორგი ნიკოლაძე, 1986 წ.).

თეთრ მარმარილოს დაფაზე ამოკვეთილია წარწერა, რომელიც გვამცნობს, რომ აქ ცხოვრობდა მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, ქვემოთ კი, ცალკე დაფაზე, ოსტატის თავის გამოსახულებაა დამავრებული.

როგორც მკითხველი ნახავდა, მონუმენტური ძეგლები, პორტრეტული ბიუსტები თუ ბარელიეფური გამოსახულებები საკმაოდ ბევრია, მაგრამ, გარკვეული მიზეზების გამო, ისინი, ზოგჯერ, უყურადღებოდ რჩება, მნახველი სრულყოფილად ვერ აღიქვამს. კონკრეტული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონუმენტური ქანდაკების არქიტექტურულ გარემოში შეტანა უნდა ხდებოდეს გააზრებულად, საჭირო მოთხოვნების გათვალისწინებით. თუ ეს არ მოხდა, სრულქმნილი ქანდაკებაც კი კარგავს თავის პლასტიკურ ღირსებებს გარემოსთან შეუთავსებლობის შემთხვევაში და გარემოც არ მდიდრდება ქანდაკების მასში შეტანით.

ამ თემაზე მუშაობას ისევ გავაგრძელებთ.



იაკობ ნიკოლაძე, მოქანდაკე გიორგი ნიკოლაძე



ვალერიან მიზანდარი, მოქანდაკე გიორგი ნიკოლაძე



„ავტოპორტრეტი“, 12x11, ქ.ფ.


ნინო ზაალიშვილი

ბერნარდ ნებიერიძე

ცნობილი ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, მხატვარ-მონუმენტალისტი ბერნარდ ნებიერიძე შემოქმედებით ასპარეზზე 60-იანი წლების დამლევეს გამოვიდა. ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მან არაერთი საინტერესო ფერწერული, გრაფიკული, სკულპტურული ნაწარმოები, დეკორატიულ-გამოყენებითი და მონუმენტური ხელოვნების ნიმუში შექმნა. ნამუშევრები გვიჩვენებენ უდროოდ წასული ხელოვანის მრავალმხრივ ნიჭს, მოწმობენ მის მდიდარ სულიერ სამყაროზე, შემოქმედებითი ძიების სურვილზე.

ბერნარდ (ფრანცია) ნებიერიძე დაიბადა 1939 წლის 16 აგვისტოს ქუთაისში.

ხატვით ადრევე დაინტერესდა, ეპიზოდურად დადიოდა ქუთაისის პიონერთა სასახლის სამხატვრო წრეში ალიომა ტოკონიძესთან, ახალგაზრდა გ. მისურაძის სახელობის სამხატვრო სკოლაში, სადაც მისი მეგობრები სწავლობდნენ. ურთიერთობდა ხელოვნებით დაინტერესებულ თანაქალაქელ ახალგაზრდებთან. 1959-60 წლებში ბერნარდი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასთან არსებულ მოსამზადებელ კურსებზე, 1961 წელს კი ვაემგზავრა მოსკოვს, კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტში გამოცდების ჩასაბარებლად. მოსკოვში ყოფნა, მუშეუემების გაცნობა დიდად სასარგებლო აღმოჩნდა მომავალი მხატვრისათვის—იგი მოიხიბლა გამოჩენილ ოსტატთა ნამუშევრებით, მოკლე დროში სცადა, ჩაღრმავებოდა მათი ოსტატობის საიდუმლოებას. ეს შთაბეჭდილებები მას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. რამდენიმე ცდის შემდეგ, 1962 წელს, თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, სადაც ასწავლიდნენ ცნობილი მხატვრები, მათ შორის — ლადო გრიგოლიაძე. ეს პერიოდი მნიშვნელოვანია ბერნარდის შემოქმედებითი სახის ჩამოყალიბებაში, იგი ბევრს მიუშობს, ურთიერთობს თბილისში სასწავლებლად ჩასულ ქუთაისელ ახალგაზრდებთან, რომლებიც მომავალში დიდ როლს ითამაშებენ ქართულ მხატვრობაში, ლიტერატურაში, კინოში, ამავე დროს აგრძელებს ფერწერულ ექსპერიმენტებს, რომელიც მას ქართული ავანგარდის მნიშვნელოვან ფიგურად აქცევს (სამწუხაროდ, ამ ცდების კვალი ცოტადაა შემორჩა). სამხატვრო აკადემიაში ბერნარდი



ბერნარდ ნებიერიძე



ანტონ აბულაძე და მელანო ვერშმანიდი, ბერნარდის ბაბუა და ბებია დედის მხრიდან

შესამჩნევი ფიგურა იყო — მისი გარეგნობა, ქცევა, აზრები გარშემომყოფთა ყურადღებას იქცევდა.

სადილობო ნამუშევრად პლაკატების სერია აირჩია (ხელმძღვანელი ზურაბ ლეყავა) და წარმატებით დაიცვა.

1963 წელს, თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, ბერნარდ ნებიერიძე ქუთაისში დაბრუნდა და მონდომებით ჩაერთო სამხატვრო ცხოვრებაში. ამ დროისთვის აქ უკვე არსებობდა მხატვართა კავშირის განყოფილება, რომელსაც უზუცესი მხატვარი ვალერიან მიზანდარი ხელმძღვანელობდა, იყო სამხატვრო ფონდი, იმართებოდა გამოფენები. 1961 წლიდან ბერნარდი თანამშრომლობდა სამხატვრო ფონდთან, მონაწილეობდა საქალაქო, ზონალურ, რესპუბლიკურ, საკავშირო და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში.

საქართველოს უმშვენიერესი ქალაქის კოლორიტული უბნები, თავისებური ყოფა მხატვრის მრავალი ნამუშევრის შთაგონების წყარო გახდა.

ბერნარდი (ფრანცია, როგორც სიყვარულით ეძახდნენ მეგობრები) ბევრს მუშაობდა. ასრულებდა დაკვეთებსაც (ვაფორემბითი სამუშაოები, ფონდის შეკვეთები და ა.შ.) და შემოქმედებით ნამუშევრებსაც (ფერწერა, გრაფიკა). ასობით ნახატი გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს მხატვრის შემოქმედების ადრეულ პერიოდზე. ნატურიდან შესრულებულ სწრაფგრაფიკულ ჩანახატებში ჩანს მახვილი თვალი, ოსტატობა. უპრეტენზიო, ლაკონური კომპოზიციები გამოირჩევიან მასალის მრავალფეროვნებით. განსაკუთრებით საინტერესოა პორტრეტები, რომლებზეც მხატვრის ახლობლების, კოლეგების, კოლორიტული თანაქალაქელების სახეებია აღბეჭდილი. რამდენიმე მოქნილი შტრიხით ავტორი ოსტატურად გამოსცემს არამართო მოდელის გარეგნობას, არამედ შინაგან სამყაროსაც. პორტრეტებში „მოხუცი დონა“ (1975), „სათამაშოების გამყიდველი“ (1975), „პიძა“, ზურაბ აბულაძე

(1976, 1977, 1978, 1985), უზუცესი ქუთაისელი მხატვრის ვალერიან მიზანდარის გამოსახულება (1978–1986), არქიტექტორ კ. მემანიშვილის პორტრეტი (1985), მხატვრების: ა. კიკაძის (1985), ვ. ალავიძის (1986), რ. რამიშვილის (1987), შ. მინდელის (1962), ო. ქანდარის (1975), რ. მნაცაკანიანის პორტრეტებსა (1965) და სხვა ნამუშევრებში ნათლად მულაყნდება მხატვრის გულწრფელი ინტერესი ადამიანისადმი, მისი სიკეთე. ნატურიდან შესრულებული ნახატების ნაწილი წარმოადგენდა მოსამზადებელ მასალას ფერწერული ტილოებისთვის. სამწუხაროდ, ბევრი ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოასწრო.

განათლებით მხატვარ-გრაფიკოსი ბერნარდ ნებიერიძე შემოქმედების ყველა ეტაპზე სერიოზულად მუშაობდა ფერწერაში. სხვადასხვა დროს შესრულებულ ნატურმორტებში, პეიზაჟებში, ჟანრულ სურათებში ჩანს თავისებური ხელწერა, ფანტაზია, მის ფერწერულ მექანიკაში არის



ნიკოლოზ ნებიერიძე — ბერნარდის ბაბუა



ლელა — ქეთევან აბულაძე
მამა — დავით ნებიერიძე
ლელინაცვალი — თინა ტყავაძე

ექსპერიმენტული ნაწარმოებებიც, რომლებშიც აისახა სხვადასხვა მოდერნისტული მიმდინარეობების კვალი (70-იანი წლების დასაწყისში შესრულებული კომპოზიცია „პალიტრა“ ქართული საგნობრივი ხელოვნების, პოპ არტის მიმართულების ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია). ამგვარი კომპოზიციები ახალი კუთხით წარმოგვიდგენენ მხატვრის შემოქმედებას. მოგვიანებით ბერნარდ ნებიერიძემ ძირითადი ყურადღება რეალური სამყაროს პოეტურ ინტერპრეტაციას დაუთმო, რისი ნიმუშიც სურათი „ნატურმოტი გასაღებით“ არის.


ფერწერული პორტრეტების რიცხვი დიდი არ არის. მხატვარი ძირითადად ხატავდა ადამიანებს, რომლებთანაც ნათესაური ან მეგობრული ურთიერობა აკავშირებდა, ყოველ ნაწარმოებზე ხანგრძლივად მუშაობდა, ასრულებდა მრავალ ჩანახატს, ქმნიდა დასრულებულ ნახატებს. ზოგიერთ ნაწარმოებს წლების შემდეგ კვლავ უბრუნდებოდა, აზუსტებდა დეტალებს. მისი მუშაობის პროცესზე თვალნათლივ წარმოადგენას იძლევა ბიძის, ზურაბ აბულაძის პორტრეტი. ამ კოლორიტულ პიროვნებას ხატავდა ჭაბუკობიდანვე, თითქმის მთელი სიცოცხლე, ერთ-ერთ უკანასკნელ ნამუშევარში კონცენტრირებული სახითაა მოცემული ხანგრძლივი ფიქრის და მუშაობის შედეგი. იგი კონკრეტულობით გამოირჩევა და ამავე დროს გვევლინება მარტოსულობის, ტრაგიკული სიმარტოვის განზოგადებულ სახედ.

ორი ათეული წლის განმავლობაში ბერნარდ ნებიერიძემ მრავალი ავტობიოგრაფიული შექმნა. მათ შორის, თავისი ჩანაფიქრით, ერთ-ერთი საუკეთესოა სურათი „ფანჯარასთან“ (1973). ტილოზე მხატვარი მეუღლესთან ერთადაა წარმოდგენილი. კომპოზიცია სადაა. ავტორი ამჟღავნებს თავის სინაზს, ლირიკულ განწყობას. სურათისთვის შექმნილი ესკიზები მოწმობენ, თუ რა გულმოდგინედ ეძებდა შემოქმედი კომპოზიციას, აზუსტებდა ყოველ დეტალს.

ბერნარდ ნებიერიძის ტილოებისთვის დამახასიათებელი გრაფიკულობა, თავშეკავებული კოლორიტი ნათლად გამოვლინდა სურათში „ჭიშკართან“ (1967). ეს პოეტური სურათი სავსეა ელემენტარობით, მასში კარგადაა შერწყმული ლითონის ჭიშკრის მაქმანისებური ნახატი და ახალგაზრდა ქალის ფიგურის პლასტიკა.

მხატვრის შემოქმედების სიღრმეზე, მის შესაძლებლობებზე მეტყველებს „მხატვარ ვ. ხვედელიძის პორტრეტი“ (1986) — სასურათო სიმრტყის ოსტატური გამოყენების რთული ფერწერული ამოცანა, სისადავე და სიღრმე მისი ტილოების მთავარი მახასიათებელია.

ბერნარდ ნებიერიძეს სხვადასხვა დროს შესრულებული ჰქონდა პოლიტიკური და სანახაობითი პლაკატებიც. ავტორი კარგად გრძნობდა პლაკატის სპეციფიკას, სამწუხაროდ, ამ დარგს იგი იშვიათად მიმართავდა.



ბერნარდი და მამამისი — დავითი



ბერნარდი

მხატვარმა თავისი შესაძლებლობები ქანდაკებაშიც სცადა. მისი კოლექციები — ა. ჭელიძე, კ. ფაჩულია მოგონებებში იხსენებენ ფრანციას მიერ 60-იან წლებში შექმნილ ქანდაკებას „ქალი ქათმით“. შემორჩენილია ფოტოც (უხარისხო), რომელზეც სკულპტურის პროპორციები და ძირითადი კომპოზიციური მომენტები იკითხება. როგორც ჩანს, ფონდის ეზოში მდგარი ქანდაკების შესრულების მანერა, მისი უჩვეულო ხასიათის გამო, ირგვლივ მცხოვრებთა აღშფოთებას იწვევდა, რის გამოც „განაჩენი“ გამოეუტანა და განადგურდა.

სიცოცხლის ბოლო წლებში შექმნილი ესკიზები კომპოზიციებისათვის — „მუსიკა“ (1985), „ოქროს საწმისი“ (1987), პორტრეტები, რომელიც მის მონუმენტურ პანოშია ჩართული, მეტყველებენ ბ. ნებერიძის შესანიშნავ პლასტიკურ აზროვნებაზე.


მხატვრის ერთგვარ გედის სიმღერად იქცა ქუთაისში განხორციელებული დიდი პანო „კოლხიდა“ (1980–1987), რომელზეც იგი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა. ამ ნაწარმოებში ჩააქსოვა სიყვარული, მთელი თავისი გამოცდილება და თანაქალაქელებს დაუტოვა მონუმენტური ხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოები.

მთელი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე გულმოდგინედ ეძებდა ახალ გზებს. ინტერესთა მრავალფეროვნება მას საშუალებას აძლევდა, თავი სხვადასხვა სფეროში გამოეყვინა. ბერნარდ ნებერიძის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები არ ყოფილა განკუთვნილი ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამოსატანად. მათი უმრავლესობა შეიქმნა ახლობლებისთვის, საკუთარი სახლისთვის. სხვადასხვა მასალაში შესრულებული ქალის სამკაულები, შანდლები, მშვენივრად მოხატული ფაიფურის ლანგრები, ავეჯი მეტყველებს მის გემოვნებაზე და მდიდარ ფანტაზიაზე.

ბერნარდ ნებერიძეს აღელვებდა მომავალი თაობის მხატვრული



ავტოპორტრეტი
36X35, ტ.ზ. 1960 წ.



კომპოზიცია
59X40, მკუაში,
1960 წ.

აღზრდის საკითხები. ნაადრევმა სიკვდილმა არ მისცა საშუალება, განეზორციელებინა დიდი ხნის ოცნება—შექმნა ქუთაისში საკუთარი საბავშვო სამხატვრო სტუდია, რომელშიც ის შეძლებდა თავისი პედაგოგიური შეხედულებების რეალიზებას.

მისი ნაფიქრალი, შეხედულებები ხელოვნებაზე, ადამიანის ზნეობაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე საინტერესოდაა გადმოცემული დღიურებსა და მოსკოვიდან მეგობრებისთვის გამოგზავნილ თავისებურ, კოლორიტული ენით დაწერილ ილუსტრირებულ წერილებში.



ბერნარდ ნებიერიძე იყო ადამიანი, რომელიც ყველას უყვარდა... ცხოვრებაც, თითქოს, თანდათან აუწყო — ჰყავდა ოჯახი, ჰქონდა სახელოსნო, ქმნიდა ნამუშევრებს, იფინებოდა საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც... მაგრამ მის ფოტოებზეც, სევდიან თვალებში, ნააზრევშიც და მეგობრებთან გამჟღავნებულ ფიქრებშიც იკითხებოდა დიდი გულისტკენაც, ახლა, დროის გადასახედიდან, ჩვენც შეგვიძლია დავინახოთ, რომ მხატვარს მეტის გაკეთება შეეძლო, მაგრამ ყოველდღიურმა საზრუნავმა, ყოფამ ამის შესაძლებლობა არ მისცა... და მან ეს იცოდა...

ბედმა ბერნარდ ნებიერიძეს არც სიკვდილის შემდგომ გაუმართლა. „მხატვრის სახლში“ განზრახული პერსონალური გამოფენის მომზადება დაემთხვა საქართველოსთვის უმძიმეს პერიოდს. ცეცხლის ალში გახვეულ რუსთაველის გამზირზე, 1991–1992 წლის დეკემბერ–იანვარს, თბილისის ომის დროს დანგრეული „მხატვრის სახლის“ სტამბაში განადგურდა მისი


ქალაქი, 7X51,
ქ. გუაში, 1959 წ.

უკვე დაბეჭდილი კატალოგის მთელი ტირაჟი, გადარჩა მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარი. არშემდგარი გამოფენის კატალოგის შესავალი წერილის ბოლო აბზაცში ვწერდი: „გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები გვიჩვენებენ მხატვრის მდიდარ შემოქმედებით სამყაროს, მის მრავალფეროვან, მრავალმხრივ შემოქმედებას. გამოფენა მაყურებელში იწვევს სინანულის გრძნობას სიმწიფის ხანაში შესული ნიჭიერი მხატვრის ნაადრევი სიკვდილის გამო“.



ცენტრში ბერნარდი, მარჯვნივ გურამ ძოწენიძე, უკან — ოთარ ქანდარია, ზურგით — ამურ ფსაკაძე

უკანასკნელ წლებში საქართველოში, მის მშობლიურ ქალაქში ბევრი რამ შეიცვალა. შეიღებინა გაიზარდნენ — ვაჟი — დათო და ქალიშვილი — ქეთევანი მამის კვალს გაჰყვნენ, დათო — მხატვარია, ხოლო ქეთევანი მხატვარი-მოდელიორი. ქალაქს, კოლეგებს კი კვლავ ახსოვთ უდროოდ წასული ნიჭიერი მხატვარი. დრომ ვერ წაშალა მრავალმხრივი შემოქმედის, მახიბელი, კეთილი ადამიანის — ბერნარდ (ფრანცია) ნებიერიძის სახელი.



ქალაქის კუთხე, 69X64, ქ. პასტელი, 1957 წ.

წერილკვიდან (წერილების ადრესატია ო. ქანდარია).

...ერთი კვირის წინათ, ოთარა, ჰუშკინის მუზეუმში ვიყავი. ბევრი კარგი რამე ვნახე, ოთარ! ვანგოგის ოთხი ნამუშევარია, არი გოგენის, სეზანის, რაც მთავარია, ვინსენტი და დანარჩენი იმპრესიონისტები ყველა თითქმის. ანრი მატისი, პიკასო. ძან ბევრი კარგი ნამუშევრებია. ორი დღე გავიდა, ოთარა, რაც ეს წერილი მივატოვე. ახლა ვაგრძელებ წერას, არ ვიცოდი, რა მომეწერა.

27.04.1961 წ.

...უყურებ, ოთარა, ამგენს, რა უნდა იფიქრო, არ იცი, საცხა რაცხას ნანობ, საცხა გინარია და გსიამოვნებს. სადღაც შეგეცოდებიან კიდევაც იმ ფიქრით, მართო რომ საათები და წლები გარბიენ, რომ ზღაპარი დამთავრდება, დამთავრდება, დამთავრდება და ძალიან კარგია, რომ დამთავრდება. საერთოდ არ უნდა იფიქრო ასე, უფიქრებლადაც ძან კარგები არიან ისინი.

ხო, იმას ვამბობდი, ოთარა, რომ ასეთი ხატვა ძალიან კარგია, იმიტომ, რომ იძულებულს გხდინ თავინათი მიმოსვლით, რომ რაც შეიძლება ჩქარა გააკეთო ჩანახატი, უცხად ეილო ფორმა და ხასიათი. ძალიან ძნელია ოთარა ეს ჩემთვის. ამიტომ რამდენიმე საზის გავლებ მინდება ერთ და იგივე ადგილზე და ბოლოს ამ საზებით ვადგენ ჩემს შთაბეჭდილებას, მარა ფურცელზე, მთელი აზდაუბდა, მთელი ალიაქოთი ტყდება და ვერაფერს ვეღარ გაარჩევ გველივით საზების მეტს, ნელ-ნელა ეხვეები როგორ უნდა ვხატო ამ საზებით.

1961 წ.

...ეს, ოთარა, ჩემი დეიდაშვილია, საცხა ძალიან გავს, სადღაც არ გავს. (კინოპერატორი გია ვერსამია).

1961 წ.

...აქ ბიჭებს ბევრი წიგნები აქვთ: ვანგოგი, სეზანი, რენუარი და ბევრი წიგნები, ძალიან კარგები. მე იმპრესიონიზმის ისტორიას ვკითხულობ და სწორედ მაშინ დავიწყე წერილის წერა.

...მე მეონია, ოთარა, დავითოს რომ აქვს ჩანახატები, ჩვენ დავითოს, პარიზში, ბულვარის, რომ აქ, რამდენიმე ვარიანტი, ქალები რომ ზიან და ხეები, კიდევ ხიდი, სწორედ ასეთი ფანქრით უნდა ჰქონდეს გაკეთებული.

...მე ვემუშაობ ცოტას. ერთი ნატურმორტი გავაკეთე. ერთი ნახევარბოთლიანი და ასანთი, ზეთით კილო მაგიდის კუთხე და რაღაც ქართული თანამედროვე კერამიკა და კრიშკა, კილო სკამი და მაგიდა, იატაკი. ერთი ავტოპორტრეტი გავაკეთე. ერთ სუანსში, ნახევარ საათში, არ მომწონს, ფერს ვერ ვაღწევ ისეთს, როგორც მინდა, ხან კედელია, არ მიდის სახესთან, ხან სახე ტანსაცმელთან და შებრუნებით, ვერ შეუწყვე ერთმანეთთან.

...ხანდახან მთელი ქალაქი ნაცარში ამოვანგლული დათვივით არი.

...რაცხა, ვატყობ, ნამეტანი ბევრი დავწერე და კონვერტში არც ჩაუტევა.



ავტოპორტრეტი, 69x50, ქ. გუაში, 1960 წ.



ჩანახატები წერილიდან



მოკითხვა, ოთარა, ზიჭებს: კოწიას, მინდიას, რეზოს, კიკინას, ზაურის, ოთარას, კაკოს, მაგენსაც მივწერ წერილს.

...ვამთავრებ, ოთარა, თუმცა ალბათ ნამეტანი გოუგებრად ვწერ, არ მიყვარს მეორედ წაკითხვა თუ არა, დახვებ და აღარ გამოვაგზავნი, ის იყოს, ჯობია, როგორც იყო.

1959 წ. 5. 01.

...არავითან კანონებს არ ვიცავ, სახლში მარტო ვარ მთელი დღეები და როცა მინდა ვთქვა, შენ გიწერ წერილს, ასე რომ, შენ ყურადღებას ნუ მიაქცევ, შეგიძლია სადმე დალო წაუკითხავადაც, ოღონდ დავეძაყოფილდე, რომ ვინმეს ველაპარაკები, შემიძლო რაღაც მისამართი დამეწერა და ფოსტით გამეშვა სადმე ჰერში. მარა აბა ჩემს თავს როგორ მოვატყვილო.

...დღეს „დამცირებულნი და შეურაცხოვნილი“ წავიკითხე, დოსტოევსკი გენიაა რუსების.

1961 წ.

...ვოცნებობ, ნახატში ვიტრიალო მე თვითონ და ყოველი მხრიდან ვუყურო ამბავს, ეს ნამეტანი ძნელია, ოთარა, დაბორილობ, დაბორილობ და ხატავ.

1961 წ.

...ოთარა, ნამეტანი კარგად ვარ, ახლა მე მაცალონ და ვმუშაობ და ვარ, ყოველდღე ახლიდან, თავიდან ვიწყებ ხატვას, რომ როგორმე მივალწიო იმას, რომ დაფხატო, როგორც არიან ადამიანები, რას აკეთებენ, როგორ მოქმედებენ და რანაირად იყურებიან. ერთი სიტყვით, ნამეტანი მონდომებული ვარ.

1959—1960 წწ.

...დღეს, ოთარა, კრუშკა დაფხატე, ის მაინც გამომივიდა, რომ აღუშინისაა. დოსტოევსკის საწყალი ადამიანები, დიდი რუსია ამ მოთხრობით, საცოდაობით მოკვდები, ეს საუკეთესოა.

27.05.1961 წ.

...სივრცეში ვერ ვიმოქმედე, შიგნით უნდა იარო, ოთარა, ბიჭო, სურათში.

27.05.1961 წ.

...გუშინ, ოთარა, მთელი დღე ვმუშაობდი, სამი ავტოპორტრეტი გავაკეთე, იმდენად, რამდენადაც ვერავის ვერ ვუბედავ, რომ ნატურად იყოს.

27.05.1961 წ.



წინა პლანზე ამურ ფხაკაძე, მარჯვნიდან მარცხნივ, ზურაბ კუხიანიძე, ბერნარდ ნებეირიძე, ოთარ ქანდარია



ჩანახატი წერილიდან

1 კონსტანტინე მეჰანიშვილი, მინდია უგრეხელიძე, რეზო რამიშვილი, შოთა მინდელი, ზაურ წითაშვილი, ოთარ ჩხარტიშვილი, კაკო კიკვაძე

...გუშინ დავიწყე, ოთარა, მუშაობა, გუშინ ჩემს დეიდაშვილს ცალო— და და წვედით ქალაქში, სამფეხით და კარდონებით ვიარეთ და ბოლოს ერთ პატარა ბაღში გაფრედით. პირველად ქე მეუხერხულეობდა რაცხა, მარა მე ვიფიქრე, ვის რას ვუფუჭებ, ამგენმა დე— ისვენონ და მე ვიმუშავებ ცოტახან. პირველად შეჩერდებოდნენ და მიყურებდნენ და მერე უკვე ვეღარ ვამჩნევდი, მიყურებდნენ თუ არა.

27.05.1961 წ.

...ვერ ვხსნი იმას, ოთარა, კარგად, ახლა მე, ერთი სიტყვით, ნატურისაგან დამოუკიდებლად უნდა ვიმუშაო. ეს აუცილებელია და პირდაპირია, იქამდე, რომ მიაღწიო იმას, გამონათო დაახლოებით ის, რაც გინდა.

...ბიჭო, ოთარა, ამგენმა ვერ გამოგენ.


მე დაერბივარ სახლში და ვყვირივარ, რომ ჩვენ სახელოსნო იმიტომ არ გვინდა, რომ იქ ნატურა, ჯანდაბა და ორლოზე ვხატოთ, რომ ხატვა ხედვა ადამიანის და შეიძლება კრუშკა, ბოთლი, დოქი და უბედურება ხატო იგივე ხედვით, როგორც ცოცხალი ადამიანები, ეს საგნებიც ხომ ცოცხლობენ ჩვენს გარშემო.

1959 წ.

...ამური ვნახეთ, ფხაკაძე, შენ იცნობ, ვილაპარაკეთ, უფრო სწორედ, „იმან ილაპარაკა“, ლაპარაკობდა კინოზე, ამ უკანასკნელ ხანებში გამოსულზე, პემინგუეიზე, რემარკზე, საერთოდ, საზოგადოებაზე, მწერლის დანიშნულებაზე.



ჩანახტი წერილიდან



პეიზაჟი, 35X50, ტ.ხ. 1960 წ.

ჩემთვის ჭეხნაჲს ეს ახა, ღვინსანსა
 გეგანცაჲსა ვაძლენავდა.
 ესა მანვე მან მოახეხა - შექმნა ჩემოვნი.
 შექმნა, ჩემოვნი გვინახებენ და ვაძლენავდა
 მოძაჲრძირად განახებენ ვეხნაჲს ძეჲსაჲსა.
 ჩემოვნი ვაჲსი იეს ახანკუჲსაჲსა ვაძლენავდა ანუ
 აქმა ჩემ შეიძლებოდა, ახანკუჲსაჲსა ვაძლენავდა,
 ეხოჲსაჲსა მუჲსაჲსა, სოჲსაჲსა ძეჲსაჲსა, სარ მანნი,
 სანთელია ჩემი, ცხემლიანი, მოხეხვი და
 ამასან ვაჲსაჲსა, ვაჲსაჲსა, ვაჲსაჲსა, ვაჲსაჲსა,
 სუჲსაჲსა მძღვენი, მძღვენი, მძღვენი სუჲსაჲსა,
 ჩემოვნი, ვაჲსაჲსა, ვაჲსაჲსა, ვაჲსაჲსა, ანუ,
 და ცხემლიან ვაძლენავდა ამჲსაჲსა, ვაჲსაჲსა, ვაჲსაჲსა,
 ვაჲსაჲსა ვაჲსაჲსა, ვაჲსაჲსა, ვაჲსაჲსა, ვაჲსაჲსა,
 მას.
 ანუ ამ ავსებენ მუჲსაჲსა ვაჲსაჲსა ჩემსა
 განახებდა ჩემსა?
 ყოჲს მუჲსაჲსა, ჩემსა ჭეხნაჲს. ცოცხალია
 სოჲსაჲსა ვაძლენავდა სანთელია ჩემსა.
 ისმის ცხემლი ვაძლენავდა და მძღვენი
 ვაჲსაჲსა, ჩემსა ვაჲსაჲსა მუჲსაჲსა ანუ, სუჲსაჲსა,
 ვაჲსაჲსაჲსა ჭეხნაჲს.
 ყოჲსაჲსა: ვაძლენავდა ჩემსა სუჲსაჲსა.
 ჩემსა ვაძლენავდა 1990წ.



არქიტექტორ
 კოტე მემანიშვილის პორტრეტი,
 27,5x18,5, ქაღალდი, კალამი,
 ტუმი, 1985 წ.



ბენარდი და
 რუსო გაბრიელი

მოპონეპეპი ფრანციაჟი

მე და ფრანციაჟი, ასე ვეძახდით ბერნარდს, ერთმანეთი ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გავიცანით. ჩვენი პედაგოგი იყო ბატონი ალიომა ტოგონიძე. იმ პერიოდში წრეში დადიოდნენ დიმიტრი დანგაძე, ზურაბ ფორჩხიძე, ამურ ფხაკაძე, შოთა მინდელი, ვალერი სეგედა, რომელიც ახლა უკრაინაში ცხოვრობს, ევგენი ნეიშაპა, ჩამოვთვალე მხოლოდ ისინი, ვინც შემდგომში ხელოვნებას დაუკავშირა თავი.

პირველი საშუალო სკოლის დირექტორმა ჯანსუღ საკანდელიძემ ხატვით დაინტერესებულ მოსწავლეებს სახელოსნოდ სარდაფი დაგვიტოვა. შესასვლელი ეზოდან ჰქონდა, ამიტომ მოსწავლეებს ნებისმიერ დროს შეეძლოთ სამუშაოდ მისვლა. ხშირად მე და ბერნარდი სახელოსნოში გვიან ღამემდე ვმუშაობდით.

სკოლის დამთავრების შემდეგ, მე, აივენგო ჭელიძემ (ამჟამად თეატრალურმა მხატვარმა), კარლო ფაჩულიამ (გრაფიკოსმა) ბინა ვიქირავეთ ტელმანის ქუჩაზე. ჩვენი ბინის პირდაპირ თონე იყო. იქვე ახლოს, ეზოში, კირს ყიდდნენ, ეზოში იდგა შენობა, რომელსაც საწყობად იყენებდნენ. ჩვენთან ხშირად დადიოდნენ მეგობრები: ამურ ფხაკაძე, პალიკო კოსტავა, მეზობლები და უცნობებიც კი.

მე და ბერნარდი თითქმის ყოველდღე დავდიოდით კაფეში, სასტუმრო „ქუთაისის“ პირველ სართულზე, ავიღებდით ფინჯან ყავას და ვისხედით საათობით, ხან ჩანახატებს ვაკეთებდით, ხან ესაუბრობდით. თანამშრომლები ისე შეეჩვივნ ჩვენს ერთად მისვლას, რომ თუ რომე-



რობერტის პორტრეტი, 40x34, მკ., 1978 წ.



პალიტრა, 68x55, სე.ზ. 1964 წ.

ლიმეს ვერ დაგვინახავდნენ, აუცილებლად შეგვეკითხებოდნენ, რატომ მეორე არ მოვიდაო.

თბილისიდან ჩამოსვლის შემდეგ არქიტექტორი ამურ ფსაკაძეც შემოგვიერთდა და სამივენი კაფეს ხშირი სტუმრები ვიყავით.

ერთ დღეს კაფე დაკეტილი დაგვხვდა. კარზე განცხადება იყო ვაკერული — „რემონტის გამო კაფე დაკეტულია“. ამურს მაშინვე დაება იდეა, ჩვენ სამს გავეფორმებინა კაფე. გადაწყდა, თავად არქიტექტურულ პროექტზე დაიწყო მუშაობა, ჩვენ კი მხატვრულ ვაფორმებაზე. როცა ყველაფერი მზად გვქონდა, მივედით ღირექტორთან და ჩვენი იდეა შევთავაზეთ, მაგრამ ისე გამოგვისტუმრა უარით, რომ ნამუშევრები არც უნახავს.

1957 წელს ქუთაისში დაარსდა მხატვართა კავშირი და 1961 წელს სახატვრო ფონდი. კავშირის თავმჯდომარე იყო ბატონი ვალერინ მიზანდარი, ფონდის ღირექტორი, ბატონი არჩილ ჩოგოვაძე. მხატვართა კავშირი და ფონდი მესხიშვილის სახელობის თეატრის პირდაპირ იყო, იქ, სადაც ახლა საბრძოლო დიდების მუზეუმი. ფონდის ეზოში საძირკველის გათხრის დროს ამო-

ღებულნი მიწა ეყარა (უფრო სწორად, თიხა). ერთ დღეს მარტო ვიყავი, ავიღე თიხა და იქვე დავიწყე ქალის ფიგურის ძერწვა. ამ დროს მოვიდა ფრანცია. ნაძერწი რომ დაინახა, შემომთავაზა, ქალის დიდი ქანდაკება გავაკეთოთო, შევკარით კარკასი, საიდანაც მოვიტანეთ გასამლელი კიბე და დავიწყეთ მუშაობა. ქვედა ნაწილს რომ შევყარეთ თიხა, მე კიბეზე ავედი, ფრანცია დაამუშავებდა თიხას, მე მესროდა, ვიჭერდი და ვაწებებდი კარკასზე. ბერნარდი ქვევიდან მკარ-

ნახობდა, სად უნდა დამემატებინა ან მომეკლო. მუშაობის დროს გაჩნდა „პრობლემა“ — რა დაგვექმნა ქანდაკებისთვის. ამ დროს ეზოში ქათმები სეირნობდნენ — ფრანციამ მკითხა — რა აზრის ვიქნებოდი, ჩვენი ქანდაკებისთვის „ქალი ქათმით“ რომ გვეწოდებინა. ასე გაჩნდა სათაურიც და ვარაიც, რომელიც ქალს ხელში დავაკავებინეთ. ერთ დღეს სამუშაოდ რომ მივედი, ბატონმა ვალერინამ დაგვიძახა და წაგვიკითხა ბრძანება, რომლის ტექსტი დაახლოებით ასეთი იყო: მივესალმებით ყოველივე ახალს და კარგს... და თავდებოდა ასე — აკრძალოს მნაცაკანიანს და ნებიერიძეს ფორმალისტური ქანდაკების გაკეთება ფონდის ეზოში. ქანდაკებაზე მუშაობა აღარ გავგვიგრძელებია.

ქანდაკებაზე მუშაობის დროს ვთქვი — კარგი იქნებოდა, რომ „ნატურშიცა“ გვემოვა—მეთქი. „ნატურშიცა“ მე ვიშოვიო, თქვა ფრანციამ და წავიდა. თვალი გავაყოლე, დავინახე, რომ შორს არ წასულა, იქვე ახლოს ცხოვრობდა რუსის ქალი, რომელსაც პატარა გოგონა ჰყავდა. იმ დროს ქალი სარეცხს ვარცლში რეცხავდა. მივიდა ფრანცია ქალთან და დაუწყო ლაპარაკი. ისტყები არ მესმოდა, მაგრამ ვიცოდი, რას



ვალერინ მიზანდარის პორტრეტი, 27,5x18,5, ქვ., 1985 წ.



ქაკიზები ქანდაკებისათვის



გურამ ძოჯიძის პორტრეტი, 17x15, ქვ., 1985 წ.


ეუბნებოდა. ქალი ვარცლზე იყო დაყრდნობილი ორივე ხელით. ფრანცია ხელებით რალაცას უხსნიდა, უცებ ქალმა წყლიანი ვარცლი მოიქნია, ბენომ უკან გახტომა მოასწრო, წყალი არ შესხმია. ქალმა დაატრიალა ხელში სარეცხი და გამოუდგა ფრანციას. ფრანციამ ძლივს გაასწრო ქუჩაში. ქალი აღარ გაკიდებია. რამდენიმე დღე ქანდაკებაზე მარტო მე ვმუშაობდი.

ფრანციას საოცარი ნებისყოფა ჰქონდა. ჯარში გაწვევა უწევდა. წასვლა არ უნდოდა. დაიწყო შიმშილობა და ქინაქინას სმა. კომისიაზე გასვლის დღისთვის ისე იყო გამხდარი და გაყვითლებული, რომ კომისიის წევრებმა სასწრაფოდ საავადმყოფოში დაწოლა ურჩიეს. ფრანციას თეთრი ბილეთი მისცეს. ჩვენს ნაქირავებ ბინას შუშაბანდი ჰქონდა. ვიყიდეთ საფარდე თეთრი ქსოვილი, შევღებეთ ფრანციას მონარჩენი ქინაქინით ყვითლად. სანამ ის ფარდები გვეკიდა, ქინაქინის მწარე გემო ვერცერთმა ვერ მოვიშორეთ.

1961 წელს ბენია მოსკოვში წავიდა, კინემატოგრაფიის ინსტიტუტში გამოცდების ჩასაბარებლად. ერთმანეთს წერილებით ვეხმებოდით, ძალიან კარგი ხედეა ჰქონდა, მოვლენებს ზუსტ ანალიზს უკეთებდა. საინტერესოდ მწერდა მოსკოვში გატარებულ დღეებზე. წერილებს ყოველთვის ჰქონდა დართული ჩანახატები, როდესაც ჩამოვიდა, მთხოვდა, წერილები მათხოვეო, უკან აღარ დაუბრუნებია.

მაღე თბილისის სამხატვრო აკადემიაში მოეწყო.

**რობერტ მნაცაკანიანი,
მოქანდაკე**



**დეკორატიული
კომპოზიცია**



**ნატურმორტი
გასაღები, 65X55,
ტ.ხ. 1965 წ.**

პეკობარი

ბერნარდ ნებიერიძე ერთ—ერთი ყველაზე კოლორიტული პიროვნება იყო ჩემი ახალგაზრდობის დროინდელ ქუთაისში. გარეგნობა, ქცევის მანერა, იუმორი ერთ—ერთ გამოირჩეულ პიროვნებად აქცევდა. ერთმანეთს იმხანად დაარსებულ სამხატვრო სკოლაში შევხვდით. მაშინ მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც ერთნაირი ერთუზიაზმით ვიყავით საესე. ბერნარდი ძალზე გონებაგაცხნილი, ნაკითხი ყმაწვილი იყო, უყვარდა ხელოვნებაზე საუბარი. მერეც, სკოლის დამთავრების შემდეგაც ვმუშაობდით ერთად ნაჭირავებ სახელოსნოში. უფრო ხშირად ბერნარდი შოულობდა მოდელებს — ხან მოხუცებს, ხან ახალგაზრდებს, ხანდახან ნაცნობ გოგონებსაც ვხატავდით. ერთხელ, თუ არ ვცდები, სკოლის დამთავრების წელს, ქუთაისის მეორე საშუალო სკოლაში კარნავალი უნდა გამართულიყო, ბერნარდს მისი ფავორიტმა სთხოვეს, ისიც ერთუზიაზმით დათანხმდა, იცოდა, რომ კარნავალს მისი იმდროინდელი სიმპატიკა უნდა დასწრებოდა. ბეერი იშრომა, უზარმაზარ ფორმატებზე პიკასოს მანერაში შესრულებული მატადორები დახატა, ხოლო მათი სახეები საყვარელი გოგონას სახეს დაამსგავსა—უტყობა, ფიქრობდა, ნახავს და მიხვდება ჩემს გულის ნადებსო.

ხშირად დავდიოდით მასთან სახლში. არაჩვეულებრივი დედინაცვალი ჰყავდა, ძალიან უყვარდა ბერნარდი, ჩვენც საოცრად გულთბილად გვხვდებოდა. ვისხედით ხოლმე აივანზე და ათას რამეზე ვსაუბრობდით. აკადემიაში ჩაბარებამდე, იმ დროს, როდესაც გამოფენები არ იყო, ფონდის დარბაზშიც მუშაობდა ხოლმე. ხშირად დიდი ზომის ტილოებს ქმნიდა, უფრო კომპოზიციური პორტრეტების შექმნას ამჯობინებდა—იქვე ახლოს მცხოვრებ მუნჯს, ან ერთ გოგონას, რომელიც იმ პერიოდში ძალიან მოწონდა, ნახ, გამხდარ, ძალზე წყნარ არსებას ხატავდა.

წიგნებიდან თუ კინოფილმებიდან გარკვეული წარმოდგენა გვქონდა ბოჰემაზე, მოდილიანის, ვან გოგის, პიკასოს ცხოვრებაზე, პარიზულ—მონმარტრის თავისებურებაზე. სიხარულით ვეხმიანებოდით თბილისურ სიახლეებსაც. ამის გამო ახალგაზრდა მხატვრებმა დიდი სიამოვნებით ავიტაცეთ „მხატვრის კვირეულის“ ფარგლებში ელენე ასვლედიანის მიერ თბილისში განხორციელებული იდეა — მხატვართა ნამუშევრების გამოფენა—გაყიდვის მოწყობის შესახებ. ბერნარდი მისთვის ჩვეული ენერგიით შეუდგა მუშაობას. მან და აივანგო ჭელიძემ ლინოგრაფიურის ტექნიკაში შესრულებულ საგამოფენო პლაკატი, თავდაპირველად ყველას გვეჩამუშებოდა გასაყიდად გამოტანილ ჩვენს ნამუშევრებთან დგომა, არ ვიცოდით, როგორ მიიღებდა ქუთაისის საზოგადოება ჩვენს ექსპერიმენტს, რას მოიგონებდნენ ენაკვიმატი ქუთათურები, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა—ერთი ხანი ისიც გვეგონა, ბერნარდის ნახატი გაიყიდაო — ბატონმა ვალიკო მიზანდარმა ხალხისთვის მაგალითის მისაცემად მის ტილოზე წარწერა გააკეთებინა, გაყიდულიაო.

თბილისშიც ერთად ვიყავით — ცოტა ხნით, სანამ საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი. არ დამავიწყდება ექსკურსია შიო მღვიმეში, იქ მაშინ ერთი ძალზე კოლორიტული მღვდელი ცხოვრობდა (მერე მოკლეს მგონი), უამრავი რამ გვიამბო ძეგლზე, საქართველოს წარ—



ვალიკო, 27X14,5,
ქვ. 1983 წ.

დეკორატიული
კომპოზიცია



სულზე. რა ბედნიერები ვიყავით მაშინ, ხალისით და იმედებით აღ-
სავსენი ყველანი ერთად — ნოდარ ერგემლიძე, რეზო გაბრია-
ძე, აივანგო ჭელიძე... ჩვენთან ბერნარდიც...

ახლა კი რამდენი რამ შეიცვალა, რამდენი ვინმე აღარ არის ჩვენს
გვერდით...

კარლო ფანჯოლია

ჩვენი ფრანცია

რამდენიმე წლის წინ ჩვენგან წავიდა შესანიშნავი მხატვარი, ნამ-
დვილი ინტელიგენტი და კარგი მეგობარი, ქალაქს დააკლდა კოლორი-
ტული პიროვნება, შემართებით მოსიარულე ადამიანი.

პირველად ბერნარდ ნებურიძე გავიცანი, თბილისში, სამხატვრო
აკადემიაში რომ აპარებდა, ოთახში რეზო გაბრიაძესთან ერთად ცხოვ-
რობდა. როდესაც ჩამოვიდა (ქუთაისში) და შემოქმედებითი ცხოვრება
დაიწყო, სიასხლე იმწამსვე დაეტყო ქალაქში მოწყობილ გამოფენებს.



ფანჯარასთან, 150x93,
ტ.ზ. 1969 წ.



ანტონ აბულაძის
ოჯახი, 130x100,
ტ.ზ. 1985 წ.

ცნობილია მისი სურათები: „მოლოდინი ჭიშკართან“, „მხერხავი ილიკო“, „ფანჯარასთან“ და სხვა. ქანდაკებებშიც მოსინჯა თავი, მარჯვედ და კარგად გამოსდიოდა. ქალაქში ცენტრალური ბაღის გვერდით ასრულებდა დიდ პანოს „კოლხეთი“. თითქმის დამთავრებაზე იყო მიყვანილი სამუშაო, ბუდმა რომ უმუხთლა და აღარ დასცალდა, საბოლოოდ დაუმთავრებინა. ფრანცია ყველას მეგობარი იყო. ყველა მხატვართან ჰქონდა ურთიერთობა. განსაკუთრებით პატივს სცემდა ვალიკო მიხანდარს. სმირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და სხვადასხვა შემოქმედებითი საუბარი ჰქონდათ. იმდენად საინტერესო პიროვნება იყო, რომ ყველა ცდილობდა, მისგან რჩევა-დარიგება მიეღო.

რუსთაველის 800 წლისთავი რომ ტარდებოდა, ვუთხარი, მინდა გავაკეთო რუსთაველის პატარა ბარელიეფი—მეტეი. მიპასუხა, რაღა პატარას აკეთებ, ბარემ დიდი ზომის გააკეთო და ადგილიც მიმიოთთა, სადაც უნდა დამეკიდა, ოპერის თეატრის კედელზე მის მიმავრებასაც ესწრებოდა. ჩენ გვექონდა შემოქმედებითი პაექრობა. თითქოს ვეჯიბებოდით, როგორ ნამუშევარს გამოვიტანდით. გამოფენაზე დაზარალებული თითქოს, ყოველთვის მე გამოვდიოდი, რადგანაც ნამუშევარს ძირფესვიანად გამოკრიტიკებდა, მაგრამ მე ეს სტიმულს მძლეუდა, უფრო მეტს ვცდილობდი და მეტს ვემუშაობდი. ამაზე მეტყოდა ხოლმე, ისე გამოდის, შენ კრიტიკა გიხსენება და უფრო კარგად მუშაობო.

ფრანციას ჰქონდა იუმორის დიდი გრძნობა. პატარა ლექსებსაც ვუკითხავდი, მინტერესებდა, რას მეტყოდა. მაგალითად, ერთხელ წავეუკითხე ლექსი ჩემს სოფელზე, აი ისიც:

ნახშირდელე ჩემი,
აჯამეთი ჩემი,
ბროლიქედი ჩემი,
ბილიკები ჩემი,
კირქვით მონაფენი,
აუ... როგორ მიყვარს
ნასახლარი ჩემი.

ეს რომ მოისმინა, ჯერ ჩაფიქრდა, დინჯად იცოდა ლაპარაკი, მერე მითხრა, შენი ყოფილა ყველაფერი და ჩვენ არაფერს გვიტოვებო.

ბავშვები მამას ნიჭით დაემსგავსნენ. დათო მხატვარია, უკვე ჰქონდა პერსონალური გამოფენა გალერეაში და მოწონებაც ხვდა წილად. ალბათ განაგრძობს მამის საქმეს, მის სახელოსნოს არ გააცვივებს, მამაზე უკეთეს ნამუშევრებს შექმნის და ერისთვის სასახელო ადამიანი იქნება.

მე დავკარგე ნამდვილი შემოქმედი, კოლეგა და მეგობარი. ახლა ვისღა ვაჩვენო ჩემი ახალი ნამუშევარი, ვის წავეუკითხო ლექსები? ერთი—ღად დამჩენია, ვიფიქრო, რომ ახალ ნამუშევარს, რომელიც ახლახან გავაკეთე და ჩვენი ქუჩის მეზოვის სახელი „აფონია“ დავარქვი, ფრანციას აუცილებლად მოეწონებოდა. ახლა ბერნარდი 70 წლის გახდებოდა და რა სამწუხაროა, რამდენ მხატვრულ ნამუშევარს შემატებდა ჩვენს ქალაქს, უდროოდ რომ არ წასულიყო.

გიორგი ნიკოლაძე
მოქანდაკე



ჭიშკარი, 107x55,
ტ.ხ. 1968 წ.



ოჯახი, 150x130,
ტ.ხ. 1985 წ.

ფრანცია

სხვანაირი იყო.


სხვანაირი გარეგნობის — შარმინანი.

ძლიერი პიროვნების შთაბეჭდილებას ერთი ნახვით ასდენდა.

მხატვარიც სხვანაირი გახლდათ — გარეგნული ეფექტები მისთვის ერთგვარი ფარსი, იაფფასიანი უქსტი იყო.

ჯერ კიდევ 19 წლისა მეგობარს, მხატვარ ოთარ ქანდარიას წერდა — „სივრცეში ვერ ვიმოქმედე, შიგნით უნდა იარო, ბიჭო, სურათში — მე აქამდეც ვფიქრობდი, რომ ეს ასე უნდა იყოს, მარა გაკეთებით, ჯერ—ჯერო—ბით, ძნელია“.

იმავე ბარათებში იკითხება, თუ როგორ გავიდა პირველად ქუჩაში სასაბავად, როგორ მოეხსნა კომპლექსი, როგორ დარჩა მარტო ხალხით საყვ სკვერში თავის მოღბურტთან, ასევე ვკითხულობთ — ტკივილით, ეჭვებით როგორ ებრძოდა თავს, რომ თამამად ეთქვა — „მე მხატვარი ვარ“.



ავტოპორტრეტი, 27x17.5,
ქალაქი, ტუში, კალამი
1976 წ.



მარცხნიდან წინა
პლანზე:
ვაჟა მიშველაძე,
მინდია უგრეხელიძე,
ოთარ ქანდარია,
ბერნარდ ნებეირიძე,
უკანა პლანზე —
კონსტანტინე ჟენტი

ტკივილით ავსებული დღეები სიხარულს ნაკლებად პირდებოდა. მშენივრად ხვდებოდა, რომ უზარმაზარი პოტენცია ერთგვარ გოლგოთის გზად ექცა. მისი სატარებელი ჯვარი ხელოვნებაშიც და პირად ცხოვრებაშიც მძიმე იყო, მაგრამ სხვა გზა არც ჰქონდა და არც ეძებდა, საკუთარ თავთან ბრძოლაში უკან დასახვე გზას თვითონ იჭრიდა. ეს პირველად მაშინ გააკეთა, როდესაც მთელი თავისი ნამუშევრები ცეცხლს მისცა, მეორე დღეს, ალბათ, ფენიქსივით აღსდგა ახალი ფიქრებით, ახალი იდეებით, ახალი ხაზებით და, რა თქმა უნდა, ახალი ფერებით.

იმ რეჟიმმა, რომელშიც თვითონ ცხოვრობდა, ბევრს ხელ—ფეხი გაუხსნა, მას კი შეუკრა. პროტესტის გრძნობის გადმოცემა, რატომღაც, ქანდაკებაში გადაწყვიტა.

მან მეტნაკლებად მოახერხა და მოასწრო საკუთარი თავის რეალიზება ფერწერასა და გრაფიკაში, დიდი სიხარულით დაიწყო გრანდიოზული პანოს კეთება, მაგრამ იქვე მზადდებოდა მისი პიროვნული ტრაგედია. ეჭვი დილემად ექცა — იღვის რეალიზება ხდება კი ისე, როგორც

შემოქმედმა ჩაიფიქრა? მსატვარი ყოყმანობს, არღვევს, შლის, ხელახლა აკეთებს, დრო გარბის. წუხს. უკვე დაღლილია, ძალაგამოცლილი. მაშინ უახლოეს ადამიანებს უხმოდ, მათი პორტრეტები გააკეთა და თითოეულ მათგანს თავისებურად გაუშვილა სიყვარული.

თუ 19 წლისა წერდა და წუხდა, რომ სივრცეში ვერ იმოქმედა, ორმოცს გადაცილებული, სივრცის და პერსპექტივის პრობლემა მოხსნილი, მაგრამ უკვე დაქვევებული წერს — „ადამიანს, ასეთ სრულყოფილ აპარატს, ასეთი ხანმოკლე სიცოცხლის, არსებობის უფლება აქვს? ასე წლის სიცოცხლისთვის ღირდა კი ასეთი უნიკალური აპარატის ჩამოყალიბება? ადამიანი ხომ მისი მონაცემების ძალიან მცირე ნაწილს იყენებს...“

ბერნარდ ნებიერიძეს არ ყოფნის დრო, ერთი სიცოცხლე, ხშირად იმეორებს — „რას გულისხმობდა მიქელანჯელო ბუნაროტი, როცა სიკვდილის წინ თქვა: „ახლა მივხვდი, როგორ უნდა ვხატოო. — ის ხომ უძლიერესი იყო.“

ამით საკუთარ თავსაც გაუტყდა, შინაგანად აღიარა, ხელოვანისთვის დაქვევების ფაქტორი საკუთარი შესაძლებლობების მიმართ არა სისუსტის გამოძვლავნება, არამედ უკეთესის შექმნისკენ აქტიური სწრაფვაა.

„უიმედობაც არ არის ახალი. თაობები გაძლიერდებიან და ნელ-ნელა ყველაფერი იქნება. მე აღარ ვიქნები.“ — ეს ბოლო წინადადება აღარ არის ბერნარდ ნებიერიძის „მომენტალური განწყობა“, პესიმისტური ტონალობა მის ბოლო ჩანაწერებში ისედაც უზუადაა, მაგრამ ეს არ იგრძნობა მის ნამუშევრებში. ასე რომ, პიროვნებასა და მსატვარს შორის ჩადვა ბედი, ბედისწერა.

გულმა უმტყუნა ფრანციას. ვერ გაუძლო, მის გარეშე დამთავრდა უკანასკნელი ნამუშევარი.



ნარგიზა კაპანაძე,
ოთარ ქანდარია,
ბერნარდ ნებიერიძე

მანანა ლარცულიანი




მარცხნიდან სხედან:
ოთარ ქანდარია,
ბერნარდ ნებიერიძე,
დვანან:
ვახტანგ სვედელიძე,
ოთარ ჩხარტიშვილი,
რეზო რამიშვილი

ზურაბ თოდუა

„წელიში გატებილო, დამცხრალ ეუნჯივით..“

როგორი იქნებოდა დღეს მისი ხელოვნება, რომ უმოწყალო ბედს მეტი სიცოცხლე ეჩუქნა? ძნელი სათქმელია. ის ხომ მუდმივ მოძრაობაში იყო. თუმცა, ვფიქრობ, არსებითად, მაინც ისეთი დარჩებოდა, როგორც დარჩა განუყოფელი თვითმყოფადობით აღბეჭდილ ნაწარმოებებში. ხანმოკლე შემოქმედებითა ცხოვრებამ, სამწუხაროდ, არ მისცა საშუალება, მთლიანად გამოემქლავებინა თავისი უთუოდ ფართო შესაძლებლობები. თითქოს ნაადრევი სიკვდილის წინათგრძნობა აჩქარებდა, ეთქვა საკუთარი სიტყვა სახვითი ხელოვნების ყველა დარგსა და ყველა ჟანრში: გრაფიკასა თუ ფერწერაში, ქანდაკებასა თუ მონუმენტურ ხელოვნებაში, პორტრეტსა და პეიზაჟში, ნატურმორტსა და სიუჟეტურ სურათში... ისინი გვიჩვენებენ მისი აზროვნების თავისებურ წყობას, აზროვნებას რეალისტი მხატვრისა. პლასტიკური კონცეფციის მეტყველება, ანუ ყველაფერი ის, რაც არის ფორმის ფუნქცია, შეადგენდა მისი შემოქმედების საერთო მხატვრულ შთაბეჭდილებას.




ავტოპორტრეტი, 27x17,5,
ქაღალდი, ტუში, კალამი
1976 წ.



მხერხავი ილიკო,
81x62,
მუყაო, გუაში,
1961 წ.

ბერნარდ ნებერიძე... „ფრანცია“, როგორც მას მეგობარი მხატვრები უწოდებდნენ სიყვარულით, ქუთაისში დაიბადა 1939 წელს. ხატვა ადრე დაიწყო და უკვე მისი პირველი ნახატები გამოიჩინა სერიოზულობით, დაკვირვებულობით, ინტერესით რეალური სამყაროსა და, პირველყოვლისა, ადამიანისადმი. ეს იყო პორტრეტები, პეიზაჟური ხასიათის ჩანახატები, ქალაქის ხედები, პატარა სცენები და ეს მოტივები დარჩა განმსაზღვრელი შემდგომშიც მის შემოქმედებაში. მაგრამ მისი ნახატის ტექნიკის ევოლუციის კვლადაკვალ მიყოლა გვიჩვენებს, თუ როგორ იზრდებოდა ოსტატობა, მტკიცე ხდებოდა ხელი, თვალი — მახვილი. იგი ხატავდა ყოველთვის და ბევრს. რა თქმა უნდა, არ შეიძლება, ყველა ნახატი ერთი დონისა ყოფილიყო, მაგრამ საუკეთესოებში ნათლად იგრძნობა ფორმის სისხლსავსე კონკრეტულობაც და მისი შემქმნელის შემოქმედებითი ენერჯიაც.

მინდა შეგერდე ნი—იანი წლების დასაწყისში შესრულებულ ორ ნაწარმოებზე. ერთი მათგანი — „დომნას პორტრეტი“ (1961) წარმოგიდგენს მოხუცი ქალის ნახევარფიგურას ფონზე, რომლის დეტალები ოდნავ არის მონიშნული. მოდელის დახასიათებას გვაძლევს მისი სახე. ჩამქრალი ცქერა საკუთარ აზრებში ჩაძირული ადამიანისა და ტუჩების ტრაგიკული მიმიკა გვაუწყებს წლების მანძილზე დაგროვილ სიბრძნესა და ამავე დროს, მოხუცებულობის დამშლელ ძალაზე, რაც სახეს ცოცხალ განსულიერებასა და სილამაზეს ართმევს. ეს საკმაოდ თავისუფალი ოსტატობითაა გადმოცემული ტონალური ნახატის ტექნიკაში, შუქ—ჩრდილების გამოყენებით. მოხუცი დომნას სი—



ავტოპორტრეტი ფუნჯით, 50x39, ტილო, ზუთი, 1959 წ.



დომნას პორტრეტი, 30x28, ქაღალდი, ფანქარი, 1961 წ.



ჭაბუკის პორტრეტი, 37x25, ქაღალდი, ფანქარი, 1961 წ.



თედორე, 34x28, ქაღალდი, სანგინი, 1961 წ.

მშვიდეს უპირისპირდება ჩანახატის მანერაში სანგინით შესრულებული „თევდორეს პორტრეტი“ (1961). შტრიხის ენერჯია, შუქ-ჩრდილების კონტრასტები, ახალგაზრდა კაცის „მოუსვენარი“ პროფილი არა მარტო მის ინდივიდუალურ ნიშნებს გადმოსცემს, არამედ ვნებათა იმ შინაგან დინამიკასაც, რაც მას დრამატულ ელფერს ანიჭებს.

1962 წელს ბერნარდი თბილისის სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის გრაფიკის განყოფილებაზე ჩაირიცხა და დაამთავრა 1968 წელს ზ. ლეჟავას ხელმძღვანელობით. მისი ერთ-ერთი პედაგოგი იყო ცნობილი ქართველი გრაფიკოსი ლადო გრიგოლია, რომელიც ძალიან მაღალ შეფასებას აძლევდა თავისი მოწაფის ნიჭს. შინაური ურთიერთობა ყოფილ მოწაფესა და მასწავლებელს შორის არ შეწყვეტილა შემდგომშიც. ცხოვრებაში ბერნარდის დიდი მე-



ველსახვევი, 132x10,
ტილო, ზეთი, 1982 წ.



პრეცხავი, 103x72,
ტილო, ზეთი, 1966 წ.

გობარი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი ოთარ ქანდარია იხსენებს, რომ ლაღო გრიგოლია საგანგებოდ ჩამოსულა ქუთაისში ბერნარდის მოსანახულებლად, ერთად უმოგზაურიათ გელათში და ვიზიტის მთელ მანძილზე ორივესათვის საინტერესო და სასარგებლო საუბარი ჰქონიათ...

სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ ბ. ნებიერიძე ქუთაისში დაბრუნდა და შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო. „სიახლე იმწამსვე დაეტყო ქალაქში მოწყობილ გამოფენებსო“ — აღნიშნავს საქართველოს დამსახურებული მხატვარი, მოქანდაკე გოგილო ნიკოლაძე.

მთელი სიცოცხლის მანძილზე ბერნარდი განსაკუთრებით ბერს სატავდა მისთვის ახლობელ და საყვარელ ადამიანებს, პირველყოვლისა, ოჯახის წევრებს და მეგობრებს, მხატვრებს, რომლებთანაც მას განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა: „ფრანცია ყველას მეგობარი იყო... იგი იმდენად საინტერესო პიროვნება გახლდათ, რომ ყველა ცდილობდა, მისგან რჩევა-დარიგება მიეღო“; — იგონებს გ. ნიკოლაძე. მხატვრების — შ. მინდელის (1965), ო. ქანდარიას (1977), ვ. ალავიძის (1986), მოქანდაკეების — ვ. მიზანდარის (1978), გ. ნიკოლაძის (1978), რ. მნაცაკანიანის (1978), ა. კიკვაძის (1982), რ. რამიშვილის (1987), არქიტექტორ კ. მექანიშვილის (1985) და სხვათა პორტრეტებში ბერნარდი გადმოგვცემს მისთვის კარგად ნაცნობი ადამიანების სახეებს და ხაზს უსვამს მათში არა მარტო გარეგნული ნიშნების თავისებურებებს, არამედ სულიერი ინდივიდუალობის სახასიათო თვისებებსაც.

ბერნარდის გრაფიკულ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უჭირავს ავტოპორტრეტებს, რომლებიც, უმეტეს წილად, ფანქრით ან ტუშითა და კალმითაა შესრულებული. ავტოპორტრეტი ის ჟანრი, სადაც მხატვარი განსაკუთრებით სრულად და მრავალნაირად იყენებს ნახატის საშუალებებს. გრაფიკული ავტოპორტრეტების სპეციფიკური ნიშანია — თვითწვდომის, როგორც პროცესის, გადმოცემა, როგორც მხატვრის მდგომარეობის აღბეჭდვა პორტრეტის შესრულების მომენტში. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს ახასიათებს მის საუკეთესო ავტოპორტრეტებს, რომლებიც ცხადი, სადა და კატეგორიულია. მცირე ზომები მათ განსაკუთრებულ ინტიმურობას და გამოსახულებასთან ახლო კონტაქტის შესაძლებლობას აძლევს, რის გამოც ნახატი აღიქმება როგორც პიროვნული ნდობით აღსავსე თხრობა. ძალიან ინდივიდუალურია 1976 წლის მისი ერთ-ერთი ავტოპორტრეტი. ფურცლის კვადრატული ფორმატის სიბრტყიდან მაყურებელს პირდაპირ, თითქოს ცქერით გამსჭვალავსო, მხატვარი უყურებს. მის სახეში არის რაღაც ზედმეტად მკაცრი, გამომცდელი, შეიძლება — ბოღმაც კი. იქმნება შვერძნება, რომ მან წამით მოგვცა საშუალება, შევხებოდით რა-



სვეტა, 125x82, ტილო, ზეთი, 1974 წ.

ქუთაისი შენდება, 61x46, ტილო, ზეთი, 1975 წ.



ლაც ღრმად პიროვნულს, ინტიმურს, წამით გაიხსნა ჩვენს წინაშე ისეთი მხარით, რასაც, ჩვეულებრივ, გარეშე თვალის წინ არ ამჟღავნებდა.

60-იან წლებში საბჭოთა ხელოვნებაში გავრცელებული ე.წ. „მკაცრი სტილის“ თანამედროვემ, ბ. ნებიურიძემ, განიცადა მისი ზეგავლენა. მაგრამ ეს შეეხო მხოლოდ შემოქმედების ფორმალურ მხარეს, მაშინ, როდესაც იგი, არსებითად, ლირიკულ-რომანტიკული ორიენტაციის მხატვრად დარჩა. ამ პერიოდში შესრულებული ნაწარმოებებისათვის ნიშანდობლივია პლაკატის ხერხებთან მოსაზღვრე ლაკონურობა, სახეების მონუმენტურობა, რაც ფიგურებს თუმცა გარეგნულ სტატიკურობას აძლევს, მაგრამ მაინც ვერ აცლის ცხოვრებისეულ სისასვსეს, შინაგან თანაზომიერებას. 70-იან წლებში მხატვარი გულმოდგინედ ეცნობა მე-XIX საუკუნის დასასრულის ევროპულ ხელოვნებას, კერძოდ, პოსტიმპრესიონიზმის მხატვართა შემოქმედებას, შემდგომში კი — კლასიკური მოდერნიზმის პრაქტიკასაც. მაგრამ ეს ინტელექტუალური სიმდიდრე მის სურათებში ყოველთვის გარდაქმნილია, ღრმა პიროვნულ განცდაშია გატარებული.



კომპოზიცია,
34,5x27,5,
მუყაო, ზეთი
1959 წ.



სოსო ქობალაია, 80x60, ტ.ხ. 1979 წ. მოხუცი ქალი, 80x50, ტ.ხ. 1979 წ.



სკულეტის მინდაუვასის
პორტრეტი, 73x61,
ტ.ხ. 1979 წ.

ასე, 60-იანი წლების ფერწერულ ნატურმორტებში („ნატურმორტი გასაღებით“, 1966) სეზანის „სტრუქტურალიზმი“ მჟღავნდება ფორმის საგნობრიობაში, საზგასმულ მატერიალურობაში, ასკეტურ კოლორიტში, რაც ქმნის ფორმას, მისი სტრუქტურული თავისებურებების გამოვლინებით, თუმცა ყველაფერი ეს გამდიდრებულია სრულიად სხვა ზეგავლენებითაც და, რა თქმა უნდა, მხატვრის საკუთარი გამოცდილებით. იგი გრაფიკაშიც და ფერწერაშიც ერთნაირად ფართოდ მიმართავდა ნატურმორტულ თანრს.

ბერნარდის, როგორც ადამიანისა და მხატვრის, მთავარი თვისება იყო მისი ხასიათისა და სულიერი სამყაროს არაჩვეულებრივად მონოლითური და ორგანულად ბუნებრივი მთლიანობა. იგი მხოლოდ იმას აკეთებდა, რაც ახლოს იდგა მის გონებასა და გულთან, ნიჭთან, რასაც აძლევდა ცხოვრებაზე დაკვირვების უნარი, ცნობისმოყვარეობა, სულიერი მღელვარება, გემოვნება, მისი თინაობაც კი, და ყველაფერი ეს ბუნებრივად



ნატურმორტი
ბოთლით და სლამით,
40x35, ა.ხ. 1968 წ.

და უბრალოდ გამოისახებოდა მის სელონებში, სავსებით პასუხობდა შემოქმედებით ინდივიდუალობას. სახელდობრ ამიტომაც, მის მრავალსახოვან შემოქმედებაში, შესაძლოა, ყოფილიყო კარგი ან ცუდი, მაგრამ არ ყოფილა გულგრილი, ასე ვთქვათ, „გამსვლელი“ ნაწარმოებები.

ბ. ნებიერიძე იყო გრაფიკოსი — უპირატესად გრაფიკოსი. მუშაობდა სხვადასხვა გრაფიკულ ტექნიკაში, მაგრამ ყოველთვის ითვალისწინებდა მასალის გამოსახველობით შესაძლებლობებს. გუამის ტექნიკით არის შესრულებული სურათი „მხერხავი ილიკო“ (1960). გაზეთის კითხვაში



ბიძის — ზურაბ აბულაძის პორტრეტი, 29,5x21, ქაღ. ტუში, 1976 წ.



ზურაბ აბულაძე, 130x100, ტ.ზ., 1985 წ.

ზურაბ აბულაძის პორტრეტი 29,5x21, ქაღ. ტუში, 1976 წ.

ჩაცუცქული ადამიანის ფიგურა, რომლის სელის იდაყვი მისი შრომის იარაღს ეყრდნობა, მაქსიმალურად ავსებს სახვით სიბრტყეს, თითქოს ყველა მხრიდან რომ „კუმშავს“ მას, გვაიძულებს, გულდასმით დავაკვირდეთ დეფორმირებულ ფიგურას, სელებსა და სახეს, ვიგრძნოთ ამ უბრალო მშრომელი კაცის ცნობისმოყვარე გონიერება, რომელიც ხარბად ჩამტყრებია გაზეთის ფურცლებს. არის მასში ვან გოგის პერსონაჟების რაღაც მოუხეშაობა, დეფორმირებულობა და მსგავსი კოლორიტიც, ავებული ყვითლისა და ლურჯის კონტრასტზე, და, რაც მთავარია, არის მასში მხატვრის შემოქმედების ჰუმანიზმი, ის ადამიანთმოყვარეობა, ასე რომ ამშვენებდა ბერნარდის პიროვნებას.



ფერწერა იყო ბ. ნებეირიძის მუდმივი თანამგზავრი. თუ გრაფიკულ ფურცლებში იგი ენერგიული, უშუალო და ექსპრესიულია, ზეთის საღებავებით შესრულებულ ტილოებში — პირიქით, მისი ხელოვნება გათანაწიორებულ სიმშვიდესა და ზემოთ მონუმენტურობას იძენს. მისი ფერწერა თავშეკავებულია, მისიწრაფვის არა კოლორისტული სიმდიდრისაკენ, არამედ დეკორატიულობისაკენ. მასში ყოველთვის არსებობს გრაფიკული საწყისი, ხაზობრივი საფუძველი ჭარბობს ფერადოვანს. ამის დამადასტურებელი ერთ-ერთი სახასიათო სურათია „მოლოდინი ჭიშკართან“ (1968). ტილოს ვერტიკალური ფორმატი მკაფიოდაა გაყოფილი ორ ნაწილად: მარცხნივ წარმოდგენილია რკინის ჭიშკრის ფრაგმენტი, რომლის დეკორატიული დეტალები ვადმოცემულია საზვასმული გრაფიკულობით, მარჯვნივ კი — ჭიშკარზე მხრით მიყრდნობილი ქალიშვილის ფიგურა, რომლის სხეულის პლასტიკურობა კიდევ უფრო გაძლიერებულია მარცხენა, აუჩუქულ ნაწილთან კონტრასტში. უკვე ამ სურათში შეიძლება აღვნიშნოთ ბ. ნებეირიძის ფერწერისათვის დამახასიათებელი ნიშნები. მხატვრის ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, იპყრობს არა სიუჟეტური მოქმედება, არამედ პერსონაჟების მდგომარეობა — ბერნარდი უფრო მდგომარეობების, ვიდრე მოძრაობების მხატვარი იყო. ფიგურების ტრადიციულ ვერტიკალიზმს მის სურათებში რაღაც ცერემონიალური სტატიკურობის შეგრძნება შეაქვს. მათი სახეები ყოველთვის მშვიდი და მელანქოლიურად ჩაფიქრებულია. ფიგურები მაქსიმალურად ავსებენ სასურათო სიბრტყეს, რაც, განზოგადების ხარისხთან ერთად, მათ მონუმენტურობას ანიჭებს, თუმცა ამის უკან არასდროს იკარგება ლირიკული ინტონაცია და, აქედან გამომდინარე, მხატვრის სტილი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც მონუმენტურობის მაძიებელი ლირიზმი.



ეს ნიშნები ახასიათებს მეორე ცნობილ ნამუშევარს — „ფანჯარასთან“ (1969). იგი წარმოადგენს მხატვრის ავტოპორტრეტს მეუღლესთან ერთად. კომპოზიციის ასეთი გადაწყვეტა დამახასიათებელია 60—70-იანი წლების საბჭოთა ფერწერისათვის, როდესაც წარმოიშვა მისწრაფება სურათში ავტოპორტრეტული სახის გამოყენებისა. ორი ფიგურა — ახალგაზრდა მხატვარი და მისი ცოლი — წარდგებიან მაყურებლის წინაშე ღია ფანჯრის ქვის პერსპექტიულ მოჩარჩოებაში. ბ. ნებეირიძის ყურადღება გამახვილებულია სასიათებისა და მდგომარეობების ნიუანსთა ფიქსირებაზე. ფიგურების მშვიდი რიტმი, საზვასმულად „შეჩერებული“ მოძრაობა ქმნის ზემოთ სიჩუმეს. მეტყველია სურათის დეკორატიული გადაწყვეტა, მონუმენტურად „კომპაქტურია“ კომპოზიციის სივრცე.

70—80-იანი წლები ბ. ნებეირიძის მრავალფეროვანი შემოქმედების

დროა. გრაფიკული ნაწარმოებები იქმნება ფანქრით, კალმით, აკვარელით, გუაშით, სანგინით. იგი ხატავს ნატურიდან, ან ნატურიდან მიღებული შთაბეჭდილებების მიხედვით („ქუთაისი შენდება“), მისი შემოქმედების მთავარი პრობლემაა —ადამიანის სახე, საყვარელი თემებისა და სიუჟეტების წრე შემოიფარგლება მეუღლის, შვილების, ახლობელი მეგობრების სახეებით („დათო და ქეთინო“, „ქალები“, „ზურაბი“), ავტოპორტრეტებით. ამ წლებში მხატვარი ცდის თავის ძალებს ხეზე კვეთილობაშიც და ჰქმნის მცირე ზომის ბარელიეფებსა და დეკორატიულ პანოებს, მუშაობს წიგნის გაფორმებაზე, გამოყენებით ხელოვნებასა და



ქრამიკული პანო „კოლხეთი“ ქუთაისში, ფრაგმენტი, შამოტი, 1980–1987 წ.

ქანდაკებაში, რომელიც, გ. ნიკოლაძის აღიარებით, მას „მარჯვედ და კარგად გამოსდიოდა“.

1977 წელს ბ. ნებიერიძე სსრკ მხატვართა კავშირის წევრი გახდა.

ადამიანის სახე წამყვანი რჩება ბურნარდის ფერწერაში ცხოვრების უკანასკნელ წლებშიც. ფერწერულ ტილოებში ჩაკეტილი ფონის ყოფილი სიბრტყითობა შეიცვალა სივრცითი გარემოთი, რომელზეც ხდება ფიგურების პროეცირება, სახეები უფრო ასოციაციური გახდა, მეტი ყურადღება ეთმობა დეტალებს, რაც აძლიერებს სურათების თხრობით მხარეს, მაგრამ არ არღვევს მათ ლაკონურობას, გააქტიურდა პალიტრის დეკორატიულ-ფერადოვანი უღერადობა და სხვ.



პლაკატი, ქუთაისის
ლ. მესხიშვილის სახ.
დრამატული თეატრის
სპექტაკლი,
„ქამუზაძის გაჭირვება“,
90X60, მუყაო. გუამი,
1980 წ.

„ვახტანგ ხვედელიძის პორტრეტში“ (1982) ახალგაზრდა მოქანდაკე დგას ჩაფიქრებული, ფეხგადაჯვარდინებული, იდაყვით სკულპტურულ დაზგაზე დაყრდნობილი და ეს თავისებური „ზიანში“ ფიგურას, მის გარეგან სტატუკურობასთან ერთად, გარკვეულ შინაგან მოძრაობას აძლევს, ხოლო „ბიძის პორტრეტში“ (1985) ხანშიშესული ადამიანის ხელის აქსტი, ცალკეული დეტალები, თავისუფლად შეტანილი პორტრეტის კომპოზიციაში, მას ახალი ასოციაციებით ავსებს.

80-იანი წლების ბერნარდის დაზგური ფერწერის პრინციპების თავისებური შეჯამება გახდა ერთ-ერთი უკანასკნელი სურათი „ოჯახი“ (1986). მასში გამოყენებული დეტალები ხსნიან იმ ასკეტურობის ნაფიფქს, რაც წინა წლების სურათებშიც გვხვდებოდა. ... პერსპექტივაში გახსნილ ფონზე, რომელზეც აღმოსავლური მოტივები და ცაში მფრინავი ქალის ალეგორიული ფიგურაა წარმოდგენილი და იღუპალებას სძენს მას, გამოსახულია ოჯახი: ქმარი, ცოლი და ორი ბავშვი

— საზეიმო სუფრის ატრიბუტებით ხელში. წინა პლანზე წამოწეული მათი ფიგურები არ არიან დაკავშირებული არც ფონთან, არც ერთმანეთთან რაიმე სიუჟეტური მოქმედებით. ისინი, თითქოს ამ საქმის მთელი სერიოზულობით აღვსილი, პოზირებენ მხატვრის წინაშე, რომელიც მათ „სურათს იღებს“. ენერგიულ-მკვეთი მანერით დაწერილი განზოგადებული პლასტიკური ფორმები, ფიგურების მონოლითური კომპოზიციური წყობა, უღერადი ფერადოვანი გამა მოწმობს მხატვრის მისწრაფებაზე, შეიტანოს ოჯახური სცენის გამოსახულებაში ზეიმურად ამალეხებული მომენტის შეგრძნება. უკვე ეს ნაწარმოები გვიჩვენებს, რომ მხატვრის ფერწერის ფერადოვან-პლასტიკურ წყობაში სრულიად განსხვავებული ძიებები ისახებოდა...

მოულოდნელი სიკვდილის გამო დაუსრულებელი დარჩა ბევრი ტილო და მათ შორის სურათი — „გ. სააკაძის შვილი პაატა“ (1987). დაასრულა, მაგრამ ვერ მოესწრო გახსნას მისი მონუმენტურ-დეკო-



დათო, 27x20,
ქაღალდი, ფანქარი
1985 წ.



პლაკატი, წყალტუბოს
ქართული ხალხური
ცეკვის ანსამბლისათვის
90x60, მუყაო, გუაში
1987 წ.

რატოული კომპოზიციისა „კოლხიდა“; რომელსაც თავისი ცხოვრების ოთხი უკანასკნელი წლის დაძაბული შრომა მიუძღვნა. ეს გრანდიოზული გორელიეფური პანო, რომელიც დღეს ამკობს ქალაქის ცენტრალური ბაზრის ერთ-ერთ ხალხმრავალ წინამოედანს, ადიდებს კოლხების მეგრძოლ სულს რეალურ და ფანტასტიკურ პერსონაჟებში გადმოსცემს მათ წარმოდგენებს ბოროტისა და სიკეთის ბრძოლაზე, ქმნის სახასიათო სახეებს, გამოხატავს ცხოვრებისა და სამართლიანობის იდეებს.

ამ ნაწარმოების ჩანაფიქრზე და მისი განხორციელებისათვის საოცრად დაძაბულ მუშაობაზე მოგვითხრობს მხატვრის დღიურის ფურცლები. ეს თავისებურად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, სადაც პირადული სახის ჩა-



მოქანდაკე
ვასტანგ სველიდის
პორტრეტი
130x80, ტილო, ზეთი
1981 წ.

ნაწერები ენაცვლებიან ბერნარდის ფიქრებს ცხოვრებაზე, ხელოვნებაზე, ყოფიერების ფილოსოფიურ კატეგორიებსა და ზნეობრივ-ესთეტიკურ ნორმებზე, გვიჩვენებენ მას, როგორც მოაზროვნე, ცნობისმოყვარე, შემოქმედ ადამიანს, რომელიც ფიქრობს ამაღლებულ იდეებზე და იბრძვის არსებობის ყოველდღიური პრობლემების გადასაწყვეტად. დღიურის ფურცლები გვახლოებენ ცოცხალ, რეალურ პიროვნებასთან, ვისი ადამიანური თვისებების შესახებაც მის მეგობარს, რეზო გაბრიაძეს, ერთ-ერთ მოგონებაში უთქვამს: „როგორც კაცი, ის იყო არაჩვეულებრივად, — ვიტყვდი, ასე თქმა რომ შეიძლებოდა, — არანორმალურად პატიოსანი, ერთგული მეგობარი, სიცოცხლის მოყვარული, სალმიანი, სანთელივით რბილი, ცრემლიანი, მორცხვი და, ამასთან ერთად, უშიშარი, გაჭირვებაში არმიმტოვებელი, სუფრაში მომხსენი — მოკლე, ლამაზი სადღეგრძელოებით, რომელთაც, უფრო სშირად, უბრალოდ ჭიქის აწევას და ტკბილად გაღიმებას ამჯობინებდა ხოლმე, რაც ძალიან კეთილშობილს და არისტოკრატიულს ხდიდა მას“...

ბერნარდ ნებიერიძემ სამუდამოდ დაიმკვიდრა თავისი ადგილი ქართული ხელოვნების ისტორიაში, როგორც ნიჭიერმა, თვითმოყვადმა შემოქმედმა. მეგობარი მხატვრები

სიამაყის გრძნობით, სიყვარულითა და სევდანარევი სინარულით იკონებდნენ მის სახელს მხატვრის დაბადებიდან 70 წლის აღსანიშნავ საიუბილეო დღეს, 2009 წლის 16 აგვისტოს...

როგორც ეპიტაფია, ისე უღერს ზურაბ კუხიანიძის სიტყვები ბერნარდის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსიდან. სწორედ ამ სიტყვებით მინდა დავასრულო მხატვრის შემოქმედებითი პორტრეტიც:

„ვერ მოიხადე ამ ქვეყნის ხარკი,
დღეს კი არც ბუდს და არც გულს უჩივი
და მკერდზე ობლად გადავს მისაკი
წელში გატეხილ, დამცხრალ ფუფჯივით...“



ვასტანგ ხვედელიძე, მისი პორტრეტი, ავტორი — ბერნარდ ნებიერიძე. ფოტო თემურ ჯავახაძის

ავთანდილ აბესაძე

მავთეთრი ფოტოსურათი (ვახტანგ ჭყელიძის მოსაგონარში)



უფთოვლიან ზამთარში ქალაქელები კანტიკუნტად გამოდიოდნენ გარეთ, მაშინაც ფეხით, შეძლებისდაგვარად ჩაფუთნულები. მოქუფრულ ქუჩებში მხედრიონელთა „ბუტყერები“ და ტანკები ჩაირაზრანებდნენ დროდადრო. ცუდი ჟამი იდგა, ძმათა სისხლისღვრის ჟამი.

უშუქო და გაუთბობელ სახლებში დაყუდებას მაინც გარეთ გამოსვლას ვამჯობინებდით, მეგობრები შევიყუჩებოდით ხან ასევე უშუქო და გაუთბობელ სამხატვრო სალონში, ან მხატვართა კავშირში, დროს საუბარში ვკლავდით, მოძალბებულ სტრესებს ვიმსუბუქებდით.

მე და ვახტანგ ჯაყელმა კარჩარაზულ სამხატვრო გალერეას ჩაფუარეთ. იქვე, ახლოს, ილი ფოტოგრაფის მუდამ ღია სახელოსნო იყო. წინ ილი გადაგვიდგა ჩვეული მომფერებელი ღიმილით და სახელოსნოში შეგვიპატიჟა — სურათი უნდა გადაგიღოთ, თქვენზე უკეთეს ვის გადაფულებო. სამფეხა ფოტოაპარატთან ორი სკამი მოათავსა, დაგესვა, წინ, ჯორკოზე, ბოთლით ღვინო და ჭიქა დაგვიდგა. ჯაყელმა ამ ფოტოს „ხარება და გოგია“ დაარქვა ხუმრობით.

დიდ დროსაც არ გაუვლია მის შემდეგ, უბედურმა შემთხვევამ ხანგრძლივად მიაჯაჭვა სარეცელს, აღარც წამომდგარა

თბილისში, ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში, ერთ ჯგუფში ვსწავლობდით, ჯერ კიდევ ბავშვები ხელოვნების სამყაროში დამკვიდრებას ვცდილობდით, ახალგაჯნობილ თანატოლებს თანდათან ვუახლოვდებოდით და ვუმე-

გობრდებოდით. გურიიდან ჩამოსული ვახტანგ ჯაყელი ყველასთან ადვილად ახერხებდა საერთო ენის პოვნას. ჩემდამი განსაკუთრებულად კეთილგანწყობილი იყო და ახლო მეგობრებიც გაცხდით.

მე ადრე მომიხდა სასწავლებლის დატოვება, სამხატვრო აკადემიაში გავაგრძელე სწავლა. მიუხედავად ამისა, ჩვენი მეგობრობა მაინც გრძელდებოდა. ქობულეთის აღმართზე ვცხოვრობდი ნაქირავებ ბინაში. ისიც იმავე სახლში, ჩემს გვერდით ოთახში დაბინავდა და ხელმოკლე სტუდენტები ლუკმასაც ვიყოფდით. ერთხელ, ტაფაზე დარჩენილი კარტოფილის ბოლო ნაჭერი შუაზე გაყო და ნახევარი მე მომაწოდა — ხომ იცი, ეს რას ნიშნავს და ხომ არ დაგაიწყებუბაო, — მითხრა.

კურიოზული ამბავიც ბევრი გადაგვხდენია თავს, მცირე უთანხმოებაც კი გვექონია ერთმანეთთან, ჩვენი განსხვავებული ხასიათების გამო, მაინც ერთად ვიყავით. საერთო ნაცნობებს ზოგჯერ ჩვენი სახელებიც კი ერეოდათ: მე ვახოს მეძახდნენ, იმას კი — ავთოს.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თავის სოფელში, აკეთში დაბრუნდა. მარტოხელა დედა ჰყავდა. სოფლის სკოლაში დაიწყო მუშაობა ხატ-



ავთანდილ აბესაძე და ვახტანგ ჯაყელი



მარცხნიდან: ვიტალი სისარულიძე, უკრაინის ვიოლინოზე ჯეირან ფაჩუაშვილი, ვასტანგ ჯაყელი, გერმანელი მხატვარი გერდა ვასმუტ პოლცი, ჯაჯა ჭვიშვილი, ინგოლშტადტის კულტურის განყოფილების უფროსი გერდას მეულე, 1992 წ. მაისი

ვა—საზვის მასწავლებლად. საბედოსაც იქ შესვლა— ქუთაისელ დარეჯან ლავგილაყას. მასაც იმავე წელს დაემთავრებინა თსუ და იმავე სკოლაში მიუყვლებინათ უცხო ენის პედაგოგად. გაცნობისთანავე იქორწინეს. შემდეგში იუმორით ვისხენებდით მათი ქორწინების ამბავს, მოულოდნელი რომ იყო ოჯახის წევრებისათვის. უფროსი დები და ძმა, ჯერ კიდევ დაუქორწინებლები ეუბნებოდნენ დარეჯანს: რამ გადაგირა, ქალო, სამსახურში გაგიშვით და სამსახურის დაწყებამდე რომ გათხოვდი, რა ნახე მაგ კაცში ასეთიო.

მე კიდევ ჩემსას ვამბობდი — ეს მეგრული ძღაბი ამ გურულ ყაზილარს რამ გაგაყოლა—მეთქი.

დარეჯანი მპასუხობდა:

— იმ სკოლაში მაგის გარდა ნორმალური არა—ვინ იყო და მაგი ვიორჩი, აბა, პატრონი არ მინდოდაო?

—თუ სკოლაში ნორმალური არავინ იყო, სოფელზე რაღა მოგახსენო, მართლა ქე გჭირვებია პატრონი და კაი გიქინა—მეთქი.

იუმორი არც სხვა დროს გვაკლდა ჩვენს პირად თუ ოჯახურ ურთიერთობებში.

გურიაში დიდხანს არ დარჩენილან, ქუთაისში დაიდეს ბინა, პირველი ქალიშვილიც აქ შეიქმნათ, ქეთევანი.

სამხატვრო აკადემია რომ დავამთავრე, მინ ჩამოვედი ცოტა ხნით. ისევ თბილისში ვაპირებდი გაბრუნებას.

ერთ დღეს მესტუმრა ჯაყელი და მკითხა, რას ვაპირებდი.

ვისვენებ—მეთქი.

შემოიარე მხატვართა კავშირში, გაეცანი აქაურ გარემოსო.

ქუთაისელ მხატვრებს თითქმის არც ვიცნობდი, თუ არ ჩავთვლით ჩემს ყოფილ პედაგოგებს სამხატვრო სკოლაში, ისინიც, ათი წელი იქნებოდა, რაც არ მენახა.

თბილად შემხვდნენ. ჯეირან ფაჩუაშვილი ახალი არჩეული იყო ქუთაისის მხატვართა ორგანიზაციის თავმჯდომარედ, გამესაუბრა, თავიდანვე ცდილობდა ახალგაზრდა მხატვრებისათვის ხელის შეწყობას. რეკომენდაცია გამიწვია და სარეკლამო სააგენტოში დავიწეე მუშაობა მხატვრად, თანდათან ჩავერთე ქუთაისელ მხატვართა ამქარში. ჩვენი თაობის კიდევ რამდენიმე მხატვარი იყო ჩვენს გარემოცვაში, მაგრამ ვასტანგთან უფრო ახლო მეგობრობა მაკავშირებდა, ერთად ვმუშაობდით რეკლამაშიც, შემდეგ — სამხატვრო სკოლაშიც.

ღვთის ნება ამე ისურვა: ერთმანეთს არ დაგვამორა მე, ვახო და ქუთაისი

არ მინდა, ყველაფერზე ვრცლად ვისაუბრო, განსაკუთრებულიც არაფერი ყოფილა. ჩვეულებრივად ვშრომობდით, რაც ვიცოდით, ვაკეთებდით, რაც არ ვიცოდით, ვსწავლობდით და ასე მივეყვებოდით ცხოვრების დინებას. ჭირიც და ლხინიც ერთი გეჰქონდა — მეც, ჯაყელსაც და ჩვენს ირველივ სხვა—



ინგოლმტალტი, ჯეირან ფანუაშვილი, ვასტანგ ჯაყელი, ჯაგა ჭვიშვილი

საც — მეგობრებსა და კოლეგებს. არც ის მინდა, მისი რომელიმე გამოკვეთილი შტრიხი გამოვლო— ვო ნახვევრასაუკუნოვანი ცხოვრებისა ამ ქვეყნად. რამდენიმე ტილო დატოვა და რამდენიმე მოწაფე— ეც აზიარა ფერწერას. რასაც აკეთებდა, ყველაფერს გულთ და ფანატიზმით აკეთებდა. საქმის კეთების პრეტენზია ჰქონდა, პირადული კი არა. ბევრმა მისი სახელიც არ იცოდა, ყველა ჯაყელს ეძახდა. ერთხელ მისი მოწაფე მეკითხება: — ავთო მასწ, ჯაყელი მასწავლებელი რა გვარიაო?

მისი ფერწერის შემფასებელი მე არ ვარ და ვერაფერს ვიტყვი. რაც შეეხება მის პედაგოგიურ მოღვაწეობას, თავდადებით ვაღიარებ მის ამ ბუნებას. მოწოდებით პედაგოგი თუ ბუნებით პედაგოგი იყო — არ ვიცი, როგორ ვთქვა. სშირად დაესწროებივარ მის გაკვეთილებს, ისეთ სამუშაო გარემოს და განწყობას უქმნიდა ჯგუფს, მეც კი მოვიდიოდი ხატვის გუნებაზე. ბევრი მისი ნამოწაფარი პროფესიონალი მხატვარია და ჯაყელისეული მუხტი დღესაც მოგაყვებაო, უთქვამთ ჩემთან საუბარში

ვიყავი მომსწრე და სშირად გვერდით ვედექი, როდესაც ცაგერის რაიონში სამხატვრო სკოლის დაარსებას ჩაუდგა სათავეში. იმ დროს რამაზ მხეიძე იყო ცაგერის რაიონის თავკაცი. მხატვრობისა და მხატვრების დამფასებელმა ადამიანმა ცაგერში კულტურის რამდენიმე კერა დააარსა: მწვანე თეატრი, თინოგრაფიული კუთხე, სახვითი ხელოვნების გალერეა და მათ შორის — სამხატვრო სკოლა, რომლის გამართვაც ვასტანგ ჯაყელს დაევალა.

საკმაო დროის ნაცნობობა კი გექონდა, მაგრამ თითქმის ხელახლა გავიცანი, მის საქმიანობას რომ ვადღენებდი თვალს. ყველაფერს დიდებულად

მოაბა თავი. სკოლა ყველანაირი საჭირო ინვენტარი და რეკვიზიტებით აღჭურვა, შეაქსო საკმაოდ გამორჩეული კონტინენტით, მოიწვია კვალიფიციური სპეციალისტები და შესანიშნავად წარმართავდა სასწავლო პროცესს.

ოთხი წელი იმუშავა ცაგერში, მოაწყო კარგად ორგანიზებული გამოსაშვები გამოფენა, რაც ძალიან კარგად შეფასდა კულტურის სამინისტროდან და სხვა ქალაქებიდან მოწვეული სპეციალისტების მიერ.

კარგად გამართული სამხატვრო სკოლა დაუტოვა ცაგერს და ქუთაისში წამოვიდა...

ქუთაისში ისევ დაუბრუნდა სამხატვრო სკოლას. მოგივანებით ერთად ჩამოვყალიბეთ საბავშვო „ნატიფი ხელოვნების სტუდია“, რასაც საკმაო ძალისხმევას ვანმარდით, რადგანაც არ გავგანა— და საკუთარი ტერიტორია და სშირად გვიხდებოდა ადგილების მონაცვლება. ჯიუტად ეძალებოდა, თუ რამეს გულში ჩაიდებდა. ვის არ აწუხებდა, რომ მცირედი დახმარება მიგველო. ზოგი კი გვეხმარებოდა შეძლებისდაგვარად; ზოგიც პირიქით, ჩვენგან ელოდა სარგებელს.

მხოლოდ ერთმანეთის მხარში დგომით და ზოგიერთი ენთუზიასტი მეგობრის მხარდაჭერით მივიწყეთ ვინ.

ასე იყო თუ ისე, ისეთი კარგი სამუშაო განწყობა და გარემო არსად მასსოფს, — არც მაშინდელ სამხატვრო სკოლაში და არც შემდგომში ქუთაისში დაარსებულ სხვა სახელოვნებო სასწავლებლებში.

საინტერესო და შედეგიანი გამოდგა სტუდიის მოწაფელეთა ნახატების გამოფენა, სამხატვრო სალონში მოწყობილი. მასსოფს პატარა მხატვრების

ბედნიერებით სავესე გულეები. მათი ნამოუყვარები საზოგადოებამ იხილა, ბევრმა ქება და მოწონება დაიმსახურა, რამაც ბავშვებში რწმენა უფრო გააძლიერა, ეს მათთვის კეთილი მომავლის დასაწყისი იყო. ამ გამოფენიდან გაქსნა გზა უცნაური ნახატების პატარა ავტორს, ბესო ყაზაიშვილს, რომელიც შემდგომში მსოფლიომ გაიცნო...

საკმაო პედაგოგიური და ორგანიზაციული გამოცდილებების საფუძველზე გაჩნდა ახრი, რომ ქუთაისში დაგვეარსებინა უფრო მაღალი რანგის სამხატვრო სასწავლებელი — „ნატიფი ხელოვნების ინსტიტუტი“. მაშინ ამის განხორციელება შესაძლებელი იყო. მოგეხსენებათ, ოთხმოციანი წლების ბოლოს მრავალი ინსტიტუტ-უნივერსიტეტი გაიხსნა საქართველოში, თუმცა ბევრმა მათგანმა წარმატებას ვერ მიაღწია, მაგრამ ჩვენ სხვა პერსპექტივა გვექონდა: დასავლეთ საქართველოში ერთადერთი სამხატვრო სასწავლებელი იქნებოდა და ადგილობრივი კადრიც საკმაოდ დამაკმაყოფილებელი. მოთხოვნილებაც დიდი იყო.

შეუდექით საქმეს, შესაბამისი ინსტანციებიდან ველებულობით სათანადო ინსტრუქციებს, შემოვიკრიბეთ საჭირო სპეციალისტები, შევიმუშავეთ საგანგებო სტრუქტურა, წესდება, შედგა სასწავლო პროგრამები, ყველაფერი გვექონდა მზად ნებართვანად წარსადგენად, გამოიკვეთა საბაზო ფართის საკითხიც. საქმის კურსში ჩავაყენეთ ქალაქის მამინდელი ხელმძღვანელობა. ქალაქის ხელმძღვანელობა ბევრი რამ საკუთარ თავზე აიღო და შემოგვთავაზა, რომ ერთობლივი ძალისხმევით მიგვეყვანა საქმე ბოლომდე.

მაგრამ მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო: როცა საქმის რეალურად განხორციელების პერსპექტივა გამოიკვეთა, ვიღაც-ვიღაცებმა მონიდო-


მეს, თანამდებობისათვის გამოეკრათ თათი. ამას, იქნებ, არც უნდა ვამბობდე, აქამდე არავის უთქვამს და ახლა რაღა დროისაა, მის შემდეგ დიდი ხანი ვავიდა, მაგრამ ასე კი იყო. ჯაყელისადმი პრეტენზიებმა იძალა, ჩემთან პირადად საუბარში ზოგიერთები ამბობდნენ, რომ მისი ცენზი ამ საქმისათვის არ იყო საკმარისი, გულისხმობდნენ, რომ მას სამხატვრო აკადემიაში არ ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლება. ამ საბაბით შეეცადნენ ჩვენი წამოწყებული საქმის ხელში ჩაგდებას. ასეც მოხდა, მორიგი საინიციატივო შეკრების დროს, მცირე უთანხმოების გამო, გურული სიფიცზე გამოავლინა და კარის გაჯახუნებით ჩამოშორდა ბოლომდე მიყვანილ საქმეს.

ერთი საყვედურიც არ უთქვამს, ისე კი ვგრძნობდი, რასაც ფიქრობდა, — რომ აქ უანგარო შრომის ფასი არ ჰქონდა. საქართველოს დატოვება ჰქონდა გადაწყვეტილი, ევროპისკენ ეჭირა თვალს... უბედურმა შემთხვევამ გადაუჭრა გზა. სარეცელს მიჯაჭვული ფარხმალს არ ყრიდა, ფერწერის სიყვარული არ განულება, საწოლთან ედგა მოღობურტი და მის ოთახში საღებავების სუნი ბოლომდე იდგა, მონატრებულ ლანდშაფტებს ხატავდა.

მაინც საქართველოს მიწის მტვრად იქცა.

ილო ფოტოგრაფის გადაღებულ მავთულთ ფოტოსურათზე შემორჩა ჩვენი მეგობრობის აშბავი.

P.S. მისი ოჯახის წევრებს, მეუღლეს და ორ ქალიშვილს — ქეთის და სოფოს — ხანდახან ინტერნეტით ვუკავშირდები, იტალიის ზღვისპირა, პატარა ქალაქ კალაბრიაში ცხოვრობენ, პატარა ფრანცისკა ეზრდებათ, მისი ფოტოსურათიდან ჯიუტი მხატვრის თვალები იყურება. ოთახის კედლებზე ხატავს.



სურამი, 35X50, ტილო, ზეთი

ზურაბ თოდუა

მზის სხივი ფუნჯის წვერზე (ვახტანგ ჯაყელი)

...მზე ავსებს მთელ სივრცეს, ხოლო სივრცე თითქოს დნება გაავარვარებელი მზის სხივების ქვეშ. ოქროსფერი სხივები ეფინება გარემოს, პლაჟის ყველა კუნჭულს, ძვრწავს ფორმებს, არაჩვეულებრივი ბრწყინვალეობით ანთებს მათ. მოწითალო—ყავისფერი ჩრდილებიც ისე აღიქმებიან, როგორც ნამზერი მიწის სხეულზე, მხოლოდ პატარა სახლების ალისფერ—წითელი სახურავები და მათი კედლების თეთრი, ქათქათა ლაქები ეღობებიან თითქოს ამ ოქროსფერ ნაკადს წინ. ირგვლივ სიჩუმეა, რომელსაც მზე ფლობს. სადაღაც ზვეთი, მიწის თავზე, ლავარდი ბრწყინავს, დღამიწაზე კი ხეების მუქი კრონები მზიანი სივრცის პერსპექტიულ სიღრმეს ზომივენ („გურზუფი“) ...

ეს საოცრება გრძელდება მეორე, მესამე პერიოდშიც. თითქოს მხატვრის მზე მთელი სამყაროს მოფერებს, მისი შუქითა და სიხარულით ავსებს ცდილობს... აი, იგი ამაყად დასცქერის თავისი სიმაღლიდან ჯაჭვის ხიდის მიდამოებს, ასხივონებს ხარების ეკლესიის გუმბათს, მისწრაფვის ძველი სახლებისაკენ, ცდილობს, ჩვენი ქალაქის სიწინარით საესე ძველ უბნებშიც ჩაისხდოს („ძველი ქუთაისი“), თითქოს ბუნების შუქ—ნათელი სტიქია თვით მხატვრის შემოქმედებით სტიქიას ერწყმის და ამ ტოლღიდი ძალების ურთიერთობაში სამყაროს სილამაზის პარმონია იბადება („სვანეთი“, „შაუმთანის ქუჩა“, „წმ. გიორგის ეკლესია“, „რიონის სანაპირო“, „პეიზაჟი“) ...

ამ სამყაროს შემქმნელი და მისი უფალი ქუთაისელი მხატვარი **ვახტანგ ჯაყელი** იყო. 2009 წლის 22 ავგუსტოს მას 60 წელი შეუსრულდებოდა... სწრაფად გაიღვა ცხოვრების წლებმა და იგი შეწყდა მაშინ, როდესაც მხატვრის შემოქმედების მზე თავის ზენიტში იდგა.

დაიბადა 1949 წელს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ქვემო აკეთში. 1971 წელს დაამთავრა თბილისის ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი, შემდეგ, 1972–1976 წლებში, მოსკოვის ხელოვნების სახალხო უნივერსიტეტის ფერწერა—გრაფიკის ფაკულტეტზე სწავლობდა. 1975

წელს საცხოვრებლად ქუთაისში გადმოსახლდა და ქალაქის მხატვართა შემოქმედებით პროცესში ჩაება. ამას მალე პედაგოგიური მოღვაწეობაც დაერთო, ამ საქმესაც დიდი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით ემსახურებოდა წლების მანძილზე. 1981 წლიდან იყო საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, 1981–1984 წლებში ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობდა ცაგერის სამხატვრო სკოლას, ხოლო 1985 წლიდან ქუთაისის გ. მაისურაძის სახელობის სამხატვრო სკოლაში ასწავლიდა. 1990–1994 წლებში წარმატებით ედგა სათავეში მის მიერ დაარსებულ ბავშვთა „ნატიფი ხელოვნების სტუდიას“.

1994 წლის 19 სექტემბერს, ტრაგიკული შემთხვევის გამო, ვახტანგმა სხეულის მძიმე ტრავმა მიიღო, რამაც რამდენიმე წლის მანძილზე საწოლს მიაჯვავა. მაგრამ ამ საშინელმა უბედურებამ გამოამძღვანა მისი, როგორც ადამიანისა და შემოქმედის, საოცრად მებრძოლი სული. თუკი



მესტია, 75X50, ტილო, ზეთი



ცაგერი, 34x34, ტილო, ზეთი

ჯანმრთელობის მდგომარეობა ოდნავ მაინც ამის შესაძლებლობას აძლევდა, იგი, საწოლზე მყოფი — არე თუ ინვალიდის საფარძელში მჯდომი, ფუნჯით სელში ჰქმნიდა თავის ლამაზ ნაწარმოებებს და გამოფენებზეც ავზავნიდა. ასე რომ, მიუხედავად ტრაგედიისა, ჩვენი ქალაქის მხატვრობის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი, თვითმყოფადი მხატვარი, უდიდესი ფიზიკური და სულიერი ძალისხმევით კვლავ შემოქმედებით საქმიანობას დაუბრუნდა, მაგრამ, 2001 წელს, ცხოვრების უღელტეხილს გადალახული მხატვარი, 52 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ვასტანგ ჯაყელის ფენომენი გვაოცებდა. გვაოცებდა მისი ნათელი, განმსჭვალავი, უტყუარი ფე-

რწერული ნიჭი. მისი პედაგოგის — შესანიშნავი მხატვრის ვ შერაილოვისა და დიდი კოლორისტი მხატვრების გამოცდილების შესწავლამ ფერის საიდუმლოებანი გაუხსნა, მაგრამ ეს გამოცდილება მან თავისებურად გაიაზრა. იგი თავისუფლად იყენებდა ღია, სუფთა, ჟღერად ფერებს და ამ ნათელმოსილი ფერებით შექმნილი პალიტრით ადამიანური გრძნობით გამბარა სამყაროს ასახავდა. პატარა სახლები, მთები, ბაღები, ნატურმორტები, პორტრეტები — ეს იყო მისი ფერწერის მოტივები, ყოველთვის კომპოზიციურად და კოლორისტულად გააზრებული. მაგრამ, თუნდაც ყველაზე დასრულებულ მის ნაწარმოებში არასდროს იკარგებოდა ნატურიდან მიღებული პირველი შობაქმნილების



ძელი ქუთაისი, 100x81, ტილო, ზეთი

სიქორფე, ხოლო ლამაზი ფერების ზვიმური ნაკადის გამოყენება, ვახტანგის კოლორიტის დამაყრუებელი მაჟორულობა — არ იყო მხოლოდ ეფექტური ფერწერულ-დეკორატიული ხერხი. ფერები თითქოს ბუნებრივად გამოიზრდებოდა თვით მშობლიური მიწის, ჰაერის, მზის სუბსტანციიდან, ძლიერდებოდა თამამი, ექსპრესიული მონასმების ენერგიული ძერწვით. ამიტომაც, მისი ყველაზე მცირე ფორმატის სურათებიც კი საოცარი ფერების ეპიკურ სიმფო-

ნიებად იქცეოდა. ამ სურათების მსატერული სიმართლე არა გამოსახულ ობიექტებთან შედარებაში, არამედ იმ ცნებაში შეიმეცნებოდა, რომელსაც ჭეშმარიტი ფერწერა ეწოდება...

...უდროოდ გაწყვეტილი ცხოვრების ბოლომდე ცდილობდა ვახტანგი, მშობლიური მიწისადმი თავისი უსაზღვრო სიყვარული გადმოეცა, დაენახა იგი ისეთი, როგორც არის სინამდვილეში — ნათელი, მძლავრი და დამაბრმავებლად მშვენიერი.



ვტიუდი, ტილო, ზეთი



ძველი ქუთაისი, 90x80, ტილო, ზეთი

მანანა ლარტუელიანი

შოთა მინდელი



იგი უპრეტენზიოებითა და მოკრძალებულობით გამოირჩეოდა. მისთვის უმთავრესი და უპირველესი ადამიანებთან ურთიერთობა იყო, უსაყვარ-

ლესი საქმეც კი „იცილიდა“, როდესაც მეგობრები, ახლობლები უხმობდნენ. დილიდან გვიან ღამემდე ფუნფუნებდა, შრომობდა თავის სახელოსნოში, ახალგაზრდა მხატვრებთან მეგობრობდა, ხშირად მასთან მუშაობდნენ, მისი ალღოსი და მითითებების სჯეროდათ. ასეთები მრავლად იყვნენ. ისიც არც თუ იშვიათად ყოფილა მათით ალტაცებული — მათი თითოეული წარმატება ბავშვებით ასარებდა.


შოთა ვლადიმერის ძე მინდელი დაიბადა 1935 წლის 8 მაისს.

მამა — ვლადიმერ ნესტორის ძე მინდელი, პროფესიით ინჟინერი, წლების განმავლობაში ელიზბარ მინდელთან (სამთო ინჟინერი, მეტროს მშენებლობის პირველი ორგანიზატორი მოსკოვსა და თბილისში) ერთად მოღვაწეობდა რუსეთსა და საქართველოში, სიცოცხლის ბოლო წლებში კი ქუთაისის პეტრე-პავლეს ტაძრის მგალობელთა გუნდში ვალობდა.


დედა — ტელნა გიორგის ასული დაღუა — პროფესიით ეკონომისტი, რუსული ენის კარგი მცოდნე, ეროვნულ ბანკში მუშაობდა.




სოფლის პეიზაჟი, 40x59, ტილო, ზეთი, 2002 წ.



ქეთა ლაღაღი, 120x85, ტილო, ზეთი, 2006 წ.



მეგობრის, ოთარ ჯანდარიას პორტრეტი, 24x20, ტილო, ზეთი, 2006 წ.



მეგობრის, მოქანდაკე რობერტ მნაცაკიანის პორტრეტი, 24x18, მუყაო, გუაში, 2007 წ.



პირველი თოვლი, 40x60, ტილო, ზეთი, 2007 წ.

მ. მინდელმა მე-5 ვაჟთა სკოლის დამთავრების შემდეგ, 1958 წელს, სწავლა გააგრძელა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, ფერწერის ფაკულტეტზე. მისი პედაგოგი იყო ცნობილი მხატვარი უჩა ჯაფარიძე.

სწავლის პერიოდში ირიცხებოდა აკადემიის მთასვლელთა გუნდშიც, მონაწილეობდა საქართველოსა და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში აღპინისტთა ექსპედიციებში.

1964 წელს, აკადემიის დამთავრებისთანავე, მუშაობა დაიწყო თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრში მხატვრად, პარალელურად მუშაობდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრშიც, აქტიურ მონაწილეობას იღებდა გამოფენებში.

1969 წელს დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში და აქ განაგრძო შემოქმედებითი მოღვაწეობა, თითქმის ნახევარი საუკუნე აქტიურად იღვწოდა, შრომობდა. ასწავლიდა ქუთაისის გრიგოლ ხანძთელის სახელობის უნივერსიტეტში.

ის ყველგან თავის მოკრძალებულ, საჭირო სიტყვას ამბობდა, როგორც მხატვარი, აღმზრდელი და საერთოდ, როგორც ზნეკეთილი ქართველი, ვისთვისაც არასოდეს გახუნებულა მარადიული ფასეულობები.

შოთა მინდელი გარდაიცვალა 2008 წლის 27 დეკემბერს. დარჩა მეუღლე, ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი.



ვარჯიშის წინ, 24x23, მუყაო, გუაში, 2008 წ.

ნინო ზაალოშვილი

მხატვრის გახსენება

ბორის ჯიმშირაული – 80



ავტობორტრეტი, 50x40, ტილო, ზეთი, 1990 წ.

ფერმწერ ბორის ჯიმშირაულის შემოქმედება, შედარებით სრული სახით, მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გახდა ცნობილი. შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წელზე მეტი ხნის განმავლობაში შექმნილი ასობით ნაწარმოების აღწუსება, სხვადასხვა კოლექციებში გაფანტული ყველა შემოქმედებითი ნამუშევრის შეკრება სამომავლო საქმეა.

ბორის ჯიმშირაული დაიბადა 1929 წლის 22 აგვისტოს თბილისში, მხატვრის ოჯახში. ნათესაეები მამის მხრიდან, კახეთში, სიღნაღში ჰყავდა, ბაბუა დედის მხრიდან – ბორის სმირნოვი – ფერმწერი იყო, დედაც თვითნასწავლი მხატვარი გახლდათ. ამ ატმოსფეროში გაზრდილი ბავშვი ადრე დაინტერესდა მხატვრობით და ხელოვანის გზა აირჩია.

სამხატვრო განათლება თბილისში, იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო ტექნიკუმში მიიღო, სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა და 1952 წელს წარმატებით ჩააბარა გამოცდები თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე, სადაც ასწავლიდნენ გამოჩენილი ქართველი მხატვრები: უჩა ჯაფარიძე და აპოლონ ქუთათელაძე. აკადემიაში სწავლისას, პროფესიული თვალსაზრისით, საკმაოდ დახელოვანდა, თვალი კიდევ უფრო გაუმსხვილდა, რაც შემდგომში მის მრავალ ნაწარმოებში გამოემჟღავნა. ბორისის თანაკურსელებიდან ბევრი შემდგომში ცნობილი მხატვარი გახდა, მრავალი წლის შემდეგ, აკადემიის დამთავრების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით თბილისში გამართულ 1957 წლის კურსდამთავრებულთა ერთობლივ გამოფენაზე, რომელმაც წარმოაჩინა თაობის მხატვართა წვლილი თანამედროვე ხელოვნების განვითარებაში, ბორის ჯიმშირაულის ნამუშევრებიც იყო.

1957 წლიდან, სამხატვრო აკადემიის დასრუ-



ლურჯი აბრილი, 70x50, ტილო, ზეთი, 1978 წ.

დაკავშირებული ბევრი მხატვარი — ქმნიდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა და საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეთა მრავალრიცხოვან პორტრეტებს, რომლებიც მსგავსებისა და თითქმის ნატურალისტური შესრულების გამო დიდი მოწონებით სარგებლობდა დამკვეთებში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ (შემდგომში, როდესაც შესაძლებლობა მიეცა, მისი პორტრეტული ნიჭი

ჯიშმირაულის მხატვრობაში დიდი და გამორჩეული ადგილი დაიკავა სატყუარამ, რაც განუყრელი ნაწილი გახდა მისი შემოქმედებისა, შექმნილი აქვს მთელი სერია სატყუებისა: მაცხოვრის მრავალი სახე, ღვთისმშობლისა ყრმით ხელში, „წმინდა ნინოს შემოსვლა საქართველოში“, „მირქმა“, რომელიც დაუმთავრებელი დარჩა. ზოგიერთი მათგანი მხატვარმა სიცოცხლეშივე გადასცა ტაძრებს.



ნატურმორტი თევზებით, 24,5x44, ტილო, ზეთი, 1977 წ.

გამომჟღავნდა ცნობილი ისტორიულ პირთა, საქართველოს მეფეთა — ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, გამოჩენილ ქართველ მწერალთა — შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვალაკტიონ ტაბიძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის და მრავალი სხვა ლიტერატორის გამოსახულებების შექმნისას).

ასევე პოპულარული იყო ზორის ჯიშმირაულის ოსტატური პეიზაჟები და კომპოზიციები, რომლებიც იგზავნიდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში.

იგი აქტიურად იყო ჩართული ქუთაისის სამხატვრო ცხორებაში, მონაწილეობდა გამოფენებში, ხშირად სატყუდა ქუთაისის კოლორიტული უბნების ხედებს, განსაკუთრებულად უყვარდა როინის სანაპიროს აღბეჭდვა, ურთიერთობდა და მეგობრობდა ბევრ ქუთაისელ მხატვართან, არაერთხელ შეუქმნია კოლეგების პორტრეტები, მის ოჯახში ახლაც ინახება გიორგი ჩხეტიას, რობერტ მნაცვანიანის და სხვათა გამოსახულებები.

საქართველოში რელიგიური ფერწერის აღორძინების კვალდაკვალ, ბოლო წლებში, ზორის

ისევე, როგორც ბევრ ქართველ მხატვარს, XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენების, ეკონომიკური კრიზისის გამო მას საზღვარგარეთ, კერძოდ, თურქეთში წასვლა მოუხდა და ამ ქვეყანაში ნ წელზე მეტი გაატარა (1996–2002), ცხოვრობდა სტამბულში. ეს პერიოდი ზორისის მოღვაწეობისთვის საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. თურქეთში მხატვრის შემოქმედების ახალი, მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება. იგი შეკვეთით ქმნის ორიენტალისტური თემატიკის ნამუშევრებს. ხელოვანი ჩვეული ოსტატობით გადმოსცემს თურქული საზოგადოების ხასიათს, კულტურასა და ისტორიას, სატყავს ულამაზეს პეიზაჟებს, რომლებზეც გამოსახულია ბაზრები, კომპოები, მაჰმადიანური ტაძრები. აღმოსავლური ყოფის და ბუნების გამოსახვისას მხატვარი ცდილობს, გადმოსცეს მათთვის დამახასიათებელი მრავალფეროვნება და ყოველზე მოუსადაგოს თავის ხელწერას.

თურქეთში მოღვაწეობისას მისი შემოქმედებით დანტერესდა კონსტანტინუპოლის კათალიკოს-პატრიარქი ბართოლომეუსი. მხატვარმა მისი ღირსშესანიშნავი რეალისტური პორტრეტიც შექმნა. იგი

**ავტოპორტრეტი,
84,5x50, ტილო, ზეთი, 1978 წ.**

გვიჩვენებს ფსიქოლოგიურ სახეს სულიერებით სავსე ადამიანისა. გასაოცარი სიზუსტით და გულმოდგინებითაა დამუშავებული პატრიარქის შესამოსელი და სამღვდლო ატრიბუტიკა. დეტალები ისე მაღალ დონეზეა შესრულებული, რომ მაყურებლისთვის ღამის ხელშესახები ხდება. გარდა ამისა, ბორის ჯიმშირაულს შექმნილი აქვს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის გამორჩეული პორტრეტი.

თურქეთში მხატვარი ბევრს მუშაობდა, მისმა რეალისტურმა ხელწერამ ხელოვნების მოყვარული ბევრი თურქი დააინტერესა, მათთვის მხატვარი ქმნიდა ბევრ ცოცხალ, ცხოველსატურ ნატურმორტს ყვავილებს და ხილის გამოსახულებით: „ნატურმორტი ვარდებით“, „ნატურმორტი ღვინის ბოთლით“, „ნატურმორტი იასამნებით“, „ნატურმორტი საზამთროთი“ და სხვა. თურქეთშივე შეიქმნა მისი მრავალრიცხოვანი მარინისტული პეიზაჟიც.

დიდი ადგილი უჭირავს მხატვრის შემოქმედებაში ახლობლების გამოსახულებებს – მეუღლის, ქალიშვილის, შვილიშვილების პორტრეტებს.

ბორის ჯიმშირაულს შემოქმედების ერთ-ერთი დამფასებელი წერდა:

„მისი პორტრეტები გამორჩევა საოცარი უშუალოებით და სილალით. შეუძლებელია, შეხედო ბორისის შვილიშვილებს — თეას და ნიკას პორტრეტებს და არ გადმოგედოს სისუფთავის და გულწრფელობის შეგრძნება, რომელიც ბავშვს ახასია-



თებს. ისინი სითბოთი და ენერგიით სავსე თვალებით შემოგვიცინიან და ვფიქრობ, მხატვრის მთავარი მიზნებაც ესაა – ღიმილი, რომელიც უდაოდ სარწმუნო საბუთია იმისა, რომ ბავშვი ყველაზე სუფთა და სათუთი არსება დედამიწის ზურგზე. ორივე პორტრეტი რეალისტურია არამარტო მხატვრული, არამედ იმ თვალსაზრისითაც, რომ მთვან სინამდვილის, დასრულებულობისა და გულწრფელობის ემოცია მოდის ჭარბად“.

მხატვრის შემოქმედების გამორჩეული ნიმუშია ემოციურად დატვირთული, ოსტატობით შექმნილი ნამუშევარი „გოგონა კატით“. ტილოზე მისი ქალიშვილი — ციურია გამოსახული.

მხატვარი თურქეთიდან 2003 წელს დაბრუნდა. ჰქონდა ბევრი შემოქმედებითი ჩანაფიქრი. სამწუხაროდ, ცოტა ხნის შემდეგ, მოულოდნელად გარდაიცვალა. დარჩა ბევრი დაუსრულებელი ტილო, რომლებიც ამის მიუხედავადც მეტყველებენ მხატვრის ნიჭიერებაზე. ავრისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის, მაღალი პიროვნობისა და გამოხატულებისა რომ შეძლო.

**ნატურმორტი მგენოლის ყვავილებით, 70x50,
ტილო, ზეთი, 1996 წ.**





ოქრისდფრი შუბოღლობა, 170X300, ტილო, ზეთი, 1965 წ.

მოგონება მეგობარზე

ბორის ტირაცოვი—ასე იცნობდა კარგა ხანს საზოგადოება ცნობილ ქართველ მხატვარს ბორის ჯიმირაულს. 90-იან წლებში გაირკვა, წარმოშობით სიღნაღელის ნამდვილი გვარი ჯიმირაული რომ იყო, ამ პერიოდიდანვე აღიდგინა იგი და შემდგომ ასე წარსდგებოდა ხოლმე გამოფენებზე საქართველოში და საზღვარგარეთ.

ვინც ბორის ჯიმირაულს, თავისი საქმის დიდოსტატს, ახლოს იცნობდა, დამეთანხმება, რომ მისი ხასიათი სუფთა ქართული იყო — უაღრესად მეგობრული, გულდია, ხელგაშლილი, დარდიმანდული. ყოველივე ეს ნათლად ჩანს შემოქმედებაშიც, მნახველში სასიამოვნო, წარუშლელ შთაბეჭდილებას რომ ტოვებს. მისი ბევრი ნატურმორტი, რომლებიც ქართულ სუფრასთანაა დაკავშირებული, ისე მოგაქცევს იმ გარემოში, რომ ცხადად გრძნობ ხსენების ოხმივარს, მაცდურად გიზიდავს ლუდით სავსე კაფხა, ლორის ნაჭერი, ტარანი და ბროლის ჭიქაში ჩასხმული არყის გემოსაც გრძნობ ყელში. ბორისი იყო უზაღო პორტრეტისტი და პეიზაჟისტი. იგი

1996 წელს გაემგზავრა სტამბოლში, და იქ ექვს წელიწადს დარჩა. აქვე დაუახლოვდა კონსტანტინეპოლის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქს ბართლომეოსს და შექმნა მისი ფერწერული პორტრეტი. ბართლომეოსმა თავის რეზიდენციასთან გამოუყო საცხოვრებელი ფართი და საგამოფენო დარბაზი, სადაც მოეწყო ბორისის ერთადერთი და უკანასკნელი პერსონალური გამოფენა, თვით ბართლომეოსმა რომ გახსნა მგალობელთა გუნდის გალობის ფონზე. გამოფენას დიდი გამოხმაურება მოჰყვა თურქეთის, აშშ და სხვა ქვეყნების ყურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა გამოფენის ექსპონატების რეპროდუქციები.

2002 წელს ბორის ჯიმირაული თბილისში დაბრუნდა, 2003 წელს, კუმისში, საკუთარ აგარაკზე მოაწყო დაბადების დღისადმი მიძღვნილი პატარა საოჯახო საღამო, მეორე დღეს დილით ადრე გავიდა კუმისის ტბაზე, რომ მზის ამოსვლა ენახა და შემდეგ ტილოზე აღებეჭდა. ბუნების მშვენიერი სურათით აღფრთოვანებულს უთქვამს — „ჩემს სიცოცხლეში ასეთი მზის ამოსვლა არ მინახავსო“, სახლში შემობრუნებულა ბუნების სასწაულის ტილოზე გადმოსატანად და მეორე, ხელშესახები

სასწაულის, ახალი სურათის შესაქმნელად, მაგრამ არ დასცალდა...

გული მწყდება, რომ ის მაშინ წავიდა, როდესაც დიდ შემოქმედებით წარმატებებს მიაღწია, სამშობლოში დაბრუნებულს სურდა, კიდევ მეტი შეექმნა.

ბორისთან მრავალწლიანი ურთიერთობა — ნათესაური (იგი ჩემი სიძე იყო) და შემოქმედებითი კავშირები მქონდა, დიდად ვაფასებდი მის ადამიანურ ღირსებებს და პროფესიონალიზმს.

ბორისი შემოქმედებითი აღმავლობის გზაზე, ყველასთვის მოულოდნელად, 2003 წლის 25 აგვისტოს, ფუნჯით ხელში დაეცა მოლბერტის წინ, როგორც რაინდი ბრძოლის ველზე.

აპაპი კიპვაძე
მოქანდაკე.



პაპა და მამალი, 70x50,
ტილო, ზეთი, 1994 წ.




ნატურმორტი, 50x70, ტილო, ზეთი, 2000 წ.

ნინო ზაალოიშვილი

ნოე გედენიძე

მხატვრის გზა – მათხოჯიდან მოსკოვამდე და უკან – საქართველოში

მეორე მსოფლიო ომი უხეზად ჩაერია ბევრი სელოვანის ცხოვრებაში. მათ შორის იყო მევენახის ოჯახში დაბადებული იმერელი ოსტატი, ფერმწერი, სსრკ მხატვართა კავშირის წევრი, ნოე ნესტორის ძე გედენიძე (14.07.1915, მათხოჯი – 1986, მოსკოვი). ახალგაზრდობაში სწავლობდა ქუთაისის სამშენებლო სასწავლებელში, ომამდე მუშაობდა სოფელ მათხოჯში დღესასწაულების გაფორმებაზე, შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში (1941), სწავლის დაწყებაც ვერ მოასწრო, ისე გაიწვიეს ფრონტზე, სადაც რამდენიმე წელი (1941–1943) დაჰყო. შექმნილი აქვს ფრონტული ჩანახატების სერია (1941–45), გარკვეულ ხანს, მხატვრების ჯგუფთან ერთად, მუშაობდა დაცემული ბერლინის ქუჩების აღდგენაზე, გაფორმებაზე.



ავტოპორტრეტი, 86x50 სმ, ზეთი, 1960 წ.

ფრონტიდან ნოე გედენიძე საქართველოში არ დაბრუნებულა, მუშაობდა მოსკოვის მხატვართა ამხანაგობაში (მოსკოვის სამხატვრო ფონდის წინამორბედი), იყო მოსკოველ მხატვართა კავშირის (МОХС) წევრი, ასრულებდა შეკვეთებს, რომლებშიც ბელადების (მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი), კომპარტიის ლიდერების (ბერია, მალენკოვი, მოლოტოვი და სხვები) პორტრეტები ჭარბობდა, ქმნიდა სამამულო ომის გამოჩენილი გმირების გამოსახულებებს.

მოგვიანებით სწავლობდა მოსკოვის სურიკოვის სახელობის სამხატვრო ინსტიტუტის საღამოს ოთხწლიან კურსებზე (1945–49). ჩაერთო საგამოფენო ცხოვრებაშიც. 1945 წელს მონაწილეობდა ფრონტული მხატვრების I გამოფენაში.

ნოე გედენიძის ცხოვრება არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული ფაქტების სიმრავლით, ის კარგად ეუბებოდა იმ დროს აღიარებულ წესებსა და დამ-

კვირებულ ტრადიციებს, მხატვრის საჯაროდ ცნობილი ნამუშევრების შინაარსი ესადაგებოდა იმ დროს მიღებულ და სასურველ თემატიკას, სურათებს შორის იყო მშრომელთა – კოლმეურნეებისა და მუშების – მეტალოურების გამოსახულებები, ინდუსტრიული პეიზაჟები. ბევრი კომპოზიცია ომთან, ზურგში დარჩენილების ცხოვრებასთანა დაკავშირებული: „ბოლო ბრძოლა ბერლინისათვის“, „გაზაფხული ომის წლები“, „ქალები ომის დროს“. მათი შესრულების ხასიათიც არაფერი გამოირჩეოდა იმდროინდელ მხატვრობაში აპრობირებული სოციალისტური რეალიზმის

სტილით შესრულებული ათასობით სურათისაგან. მაგრამ არსებობდა სხვა ნოე გედენიძეც – ოფიციალური შეკვეთების მიღმა იყო სხვა, მიღებული დოკუმენტისაგან თავისუფალი შემოქმედებითი ცხოვრება. მოსკოვში, ოლხოვკის ქუჩაზე მდებარე სახელოსნოში იქმნებოდა ასობით სულ სხვა ხასიათის ტილო, რომელთა ნახვის შესაძლებლობა ცოტა ვინმეს თუ ჰქონდა, ისინი არ გაცილებია სახელონოს ფარგლებს. მათ ავიშირებას მხატვარი არ ჩქარობდა, ამიტომ სიცოცხლეში ნოე გედენიძის მხოლოდ ერთი ნამუშევარი გაიყიდა.

იგი არ ყოფილა დისიდენტი, არც არსებულ წესებთან დაპირისპირების მოსურნე, თუმცა არც ჩინ–მედლებს გამოჰკიდებია, ერთი ჩვეულებრივი მხატვარი იყო, რომელმაც მოახერხა, შეენარჩუნებინა საკუთარი პატარა ტერიტორია, სადაც დარჩა თავისუფალიც და მაძიებელიც, თამამიც და არასტანდარტულიც. სახელოსნოში შექმნილი ეს ნამუშევრები სულაერ მისწრაფებებს, მის სამყაროს გამოსატყავინ და სულ სხვა კუთხით წარმოავლიდგენდნენ მხატვრის შემოქმედებას. მათზე გამოსახებოდა ის, რაც მხატვარს უყვარდა, რაც

სიხარულს ანიჭებდა და გამოისახებოდა ისე, როგორც მას უნდოდა ყოველგვარი „ვისტავაკომების“ და ცენზურის გარეშე — საქართველო, მოსკოვის წყნარი ქუჩები, მზით, მშვენიერებით საგსე, ფერადოვანი სამყარო.

რუსეთში ცხოვრების მიუხედავად, ნოე გედენიძეს არ გაუწყვეტია კავშირი საქართველოსთან, მშობლიურ მათხოვთან. პერიოდულად ჩამოდიოდა და ღრმად ისრუტავდა შთაბეჭდილებებს, რომლებიც მის შემდგომ ნამუშევრებს ედებოდა საფუძველად, ასულდგმულება მის ფანტაზიას. იქაური პეიზაჟები და ადამიანები ხდებოდნენ მისი შთაგონების წყარო: „ომის ვეტერანი წივწივიაძე“, „კოლმეურნე ხვინგია“, „მეტალურგი შ. ცომაია“, „დედის პორტრეტი“, „დაღუპული შვილების დედა“, „იისფერი საღამო“ (1978), „ქალიშვილი ციტრუსებით“ (1972), „ქალი ცისფერში“ (1974), „ეზოში“ (1972), „ქართული ეზო“ (1973) და იმერეთის, მათხოვის უამრავი პეიზაჟი.

მხატვარი ღიდ ადგილს უთმობს თავის შე-



ქალი ცისფერში, 100x78, ტილო, ზეთი, 1974 წ.



ქართული ეზო, 86x105, ტილო, ზეთი, 1973 წ.



მოქმედებაში ნატურმორტს, ძირითადად კი — ყვავილების გამოსახულებებს: „ნატურმორტები ფლოქსებით“ (1960), „სამხრეთული ნატურმორტი“ (1965), „პური და ვარდები“ (1975), აგრეთვე ქართული შთაბეჭდილებებით გაჯერებული კომპოზიციები: „ნატურმორტი საზამთრო“ (1967), „ნატურმორტი ნივრის გალათი“ (1986), „ხილი“ (1976), „საცივის ნატურმორტი“, „სამხრეთული ნატურმორტი“.

ნოე გვდენიძის პორტრეტული შემოქმედების ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია „ავტობორტრეტი“, სადა კომპოზიციში მთელი აქცენტი ფერსა და ფაქტურაზეა გადატანილი. მასზე გამოსახულ, არცთუ რომანტიკული გარეგნობის, ჯერ კიდევ ენერგიით საესე მამაკაცში ხელოვნებასთან კავშირი, მის მხერაში კი — მისი ცხოვრებისეული სირთულეები შეიგრძნობა.

**ნატურმორტი ხილით,
125x85, ტილო, ზეთი, 1960 წ.**


ხილი, 50x85, მუყაო, ზეთი, 1976 წ.



ნამუშევრების უმრავლესობაში იგრძნობა სიას-ლოვე იმპრესიონისტებთან და ეფუძნება მათი შემოქმედებიდან მიღებულ იმპულსებს. ფერწერული ტილოების მთრთოლვარე შედაპირი თითქოს ვიბრირებს, ფერი კაშკაშა და ბრწყინვალეა. ნოე გედენიძე განწყობის შექმნის ოსტატია, ლად, კოლორისტულად მდიდარ ნაწარმოებებში დიდი ემოციური მუხტია ჩადებული, რაც კარგად გა-

იცხოვრონ შემდგომ, მთელი ცხოვრება სუნთქავენ მისი თბილი პერიოთ. მზე და მშობლიური მხარის ფერები მუდამ რჩებიან მათთან. ბუნება, ადამიანები, საგნები მის სურათებში ცხოვრობენ ერთიანი, დაძაბული ცხოვრებით“.

სხვადასხვა დროს ნოე გედენიძის ნამუშევრები წარდგენილი იყო ომის მონაწილე მხატვრების ექსპოზიციაში (1945), ჰქონდა პერსონალური გამო-



ისიდორი საღამო, 86x105, მუკაო, ზეთი, 1978 წ.

მომყვანდა მის ყველა სახის ნამუშევარში — ნატურმორტებში, პეიზაჟებში, პორტრეტებში.

თბილისში გამართული გამოფენისთვის დართულ ბუკლეტში მოსკოველი ხელოვნებათმცოდნე ტატიანა ბასოვა წერს:

„სურათების აღწერა ფუჭია: როგორ გადმოსცემ სიტყვებით ფერის მაგიას, ენერგეტიკას, ტილოებიდან რომ მოდის? შეიძლება აღწერო მხოლოდ საკუთარი შთაბეჭდილებები. როდესაც უცქერ მის ნამუშევრებს — ნატურმორტებს, პორტრეტებს, პეიზაჟებს, გრძნობ, რომ გვიან საღამოს მოხვდი მიტოვებულ აყვავებულ ბაღში, დაძაბული ცისფერი, იასამინისფერი, მელნისფერი ლაქვარდოვანი ფირფიტისფერი საღებავები აუქსნელ მელღვარებას, რაღაც არაჩვეულებრივის, ფანტასტიკურის მოლოდინის ბადებს, გული გტკივა და ფეთქავს განსაკუთრებული ნეტარების მოლოდინში.

სურათებში ერთმანეთს გადაეჭდო ბავშობის მოგონებები და ოსტატის მოწიფული დროის ცხოვრების რეალობა. დიდი ხანია შევამჩნიე, რომ კავკასიაში დაბადებული მხატვრები, სადაც არ უნდა

ფენაც მოსკოვის მახლობელ ქალაქ ხიმკიში (1984), მიუხედავად ამისა, იგი ვერ მოხვდა ბიომბლიოგრაფიულ ლექსიკონში, რომელშიც სარკ ტერიტორიზე მოღვაწე თითქმის ყველა მხატვარის ბიოგრაფიაა შესული, ბოლო დრომდე კი არც ქართული საზოგადოებისათვის იყო ცნობილი.

მხატვრის პოპულარიზაციისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 2002 წელს თბილისში, გალერეა „კოპალაში“, გალერეის მფლობელის, თორნიკე კოპალეიშვილის ინიციატივით გამართულ მემორიალურ ექსპოზიციაში. ამ გამოფენით გაიცნო საქართველომ მხატვარი, ქართული ხელოვნების საინტერესო ფურცელი რომ შექმნა. მხატვრის ნამუშევრების უმრავლესობა დაცულია ცნობილი მოსკოველი კოლექციონერის, თორნიკე კოპალეიშვილის მიერ დაარსებულ ნოე გედენიძის ფონდში.

დიდი დრო დასჭირდა ნოე გედენიძეს სამშობლოში დასაბრუნებლად, იმედი, ბოლოს და ბოლოს იგი გახდება მისი ნაწილი და ქართული სახვითი ხელოვნების კიდევ ერთი დავიწყებული ფურცელი შეივსება.

საგაზაფხულო გამოვენა, 2009 წელი

აშონილი აგოსაძე		ბურამ კვიციანი	
„ქარაგანი“	35X50 შერტ.	„მოლოდინი“	30X10X7 ტ.შაბ.
„სოფლის მოტივი“	30X60 შერტ.		
„ნადირობა“	30X60 შერტ.	ბიორბი კვიციანი	
„პეპელა“	45X35 შერტ.	„დაცვას მიხედუ, ხედელიძე“	40X30X30 ტ.თაბ.
„თევზი“	28X30 შერტ.		
		ბიორბი კვიციანი	
ნიკოლოზ არაბიძე		„ათასერთი“	59X49,5 ტ.ზ.
„მტრობა“	31X36 მ.ზ.		
„კაცი სიცარიელე“	34X32 მ.ზ.	გაია ჯუჯუაძე	
„ცვილიზაცია და ღმერთი“	33X29 მ.ზ.	„ნატურმორტი“	30X22 შალი
		„ზღვა“	33X27 შალი
ილია ავალიანი			
„ბაგრატიის ტაძარი“	30X42 შალი	თედო მანუჩაძე	
		„ნატურმორტი ყვავილები“	52X32 ცივი ბატ.
ბურამ გვიცა		„რუსთაველის ხიდი“	77X49 ცივი ბატ.
„პეიზაჟი“	55X47 ტ.ზ.	„მარტოხელა“	54X45 ცივი ბატ.
		„პეიზაჟი“	35X60 ცივი ბატ.
ლალი დათიაშვილი		„ბაგრატი“	46X32 ცივი ბატ.
„უნუგემოდ“	49X63 ტ.ზ.		
		თეკა მუხამედიშვილი	
თემიზა დათიაშვილი		„მზე“	110X102 ტ.ზ.
„შემოდგომა ქუთაისში“	60X27 ტ.ზ.	„დრო“	100X57 ტ.ზ.
„ძველი სახლი“	50X40 ტ.ზ.	„სინანული“	110X77 ტ.ზ.
		„დემენია“	108X85 ტ.ზ.
		„დენდრონა“	79X53 ტ.ზ.
ბიორბი ღარსაველიძე			
„ლალო ასათიანი“	35X30X18 თაბ	ვაჟიკი მუხამედიშვილი	
		„დეკორატიული კომპოზიცია“	14X16 მ.გუამ.
მერაბ ვალიკოვი		„დეკორატიული კომპოზიცია“	14X16 მ.გუამ.
„დამსასურებელი დასვენება“	21X21 ტ.ზ.	„დეკორატიული კომპოზიცია“	14X16 მ.გუამ.
„სახლისაქენ...“	30,5X30,5	„ქუთაისი. რიონის სანაპირო“	18X28 მ.გუამ.
	შალ.აბრ.მეტ.	„ქოსი“	16X16 მ.გუამ.
„თანამედროვე“	34X34		
	შალ.აბრ.მეტ.სამკ.	ასლან მუხამედიანი	
		„მძიმე ჯვარი“	55X37X27 ტ.თაბ
ვიტალი კაპანაძე			
„პალმა ყვავილობისას“	38,5X24,5 ტ.ზ.	ზაურ მუხამედიანი	
„შემოდგომის ქუთაისი“	116X82 ტ.ზ.	„გორა“	80X49 ტ.ზ.
„წინაპართა შემოფოთებული		„გვირილები“	42X35 მ.ზ.
სულემის თავყოფილობა ხეამლზე“	56X61 ტ.ზ.		
„სიმონეთი“	49X42,5 ტ.ზ.	ბიორბი ნიკოლოზი	
„სეტყვის წინ“	51X61 ტ.ზ.	„ექიმ ვისიკო ნაჭყეზის პტი“	45X22X30 თაბ.

თეა სულაგბერიძე		„ზარი“	50x51
„პზობა“	50x50 ტ.ზ.		მტემბეგუაში
„ხელოვნება X4კლასში“	60X50 ტაკე.ზ.	„ტაძარი“	50x51
„პორტრეტი“	60X45 ქნახშ.		მტემბეგუაში
ჯემალ ტაბიძე		ბივი ფვრავა	
„ძველი ქალაქი“	55x50 მ.ზ.	„პეიზაჟი“	82X75 ტ.ზ.
„ჩემი საქართველო“	35X48 ტ.ზ.		
ავთანდილ ტატანაშვილი		მალზაო შალაგბერიძე	
„ფერგეტა“	19X41 მ.ზ.	„ქუთაისი“	60X43 ქაკე.
„ბაგრატის ტაძარი“	19X41 მ.ზ.	„მაჭანკალი“	47X39 ქაკე.
მამუკა ტყეშელაშვილი		ღიმიტრი შანიძე	
„ბაგრატის ტაძარი“	120X100 ტ.ზ.	„ნალია“	20X26 ქაკე.
„სვანეთი“	110X95 ტ.ზ.	„ზამთარი“	20X26 ქაკე.
„იმერეთი“	35X45 ტ.ზ.	„იმერული ზამთარი“, ფურც. I	29X41 ქფ.
„იმერეთი“	35X45 ტ.ზ.	„იმერული ზამთარი“, ფურც. II	29X41 ქფ.
		„იმერული ზამთარი“, ფურც. III	29X41 ქფ.
ირიოლდა ფერაძე		არჩილ ჩოგოვაძე	
„ბერძენი“	47X34 შალი	„საერთაშორისო პლენერის	
„ნატურმორტი“	46X34 ტ.ზ.	დღეები ქუთაისში“	81X61 ტ.ზ.
„ნატურმორტი“	50X45 ტ.ზ.	„რაჭა. სოფელი გლოლა“	50X70 ტ.ზ.
„წვიმამ გადაიღო“	26X23 მ.ზ.	„სვანეთი. სოფელი ლატალი“	50X70 ტ.ზ.
ბივი ფრანგიშვილი		მიხეილ ჩოგოვაძე	
„ჩემი სოფელი“	100X70 მ.ზ.	„ბაგრატი“	67X45 ტ.ზ.
„რეპეტიცია სოფლის კლუბში“	90X70 მ.ზ.	„თერჯოლა“	50X35 ტ.ზ.
		„ყირიმის პეიზაჟი“	35X50 ტ.ზ.
		„ფოთი“	48X35 მ.ზ.
		„ყირიმი. ვენახები“	24X35 მ.ზ.
		„იმერეთი“	26X36 მ.ზ.
ზარნაზ ფსაკაძე		ზურაბ ჯანელიძე	
„თბილისის ძველი სახლები“	65X30 ტ.ზ.	„ცისკარი“	49X18X10 შამოთ.
„სახურავები ნისლიან დილით“	65X27 ტ.ზ.		
„რიონის სანაპირო“	50X35 ტ.ზ.		
ოთარ მანღარია		ავთანდილ ჯიბუტი	
„შენ კენ“	50X51	„ბაგრატი“	50X70 ტ.ზ.
	მტემბეგუაში	„პეიზაჟი“	50X70 ტ.ზ.

საშემოდგომო გამოვენა, 2009 წელი

ავთანდილ აბასაძე		გივი იოზიძე	
„გოგონა“	32X50 ორგ.ტემპ	„ომზა“	40X30 მ. ფლოპ.
„ნაცნობი ხედი“	32X40 ორგ.ტემპ		
„ზაფხულის საღამო“	30X50 ორგ.ტემპ.	ვიტალი პაპანაძე	
„XX“	30X32 ელ.ვერსია	„სოფ.მანჭიორის წყალსაცავი“	38,5X24,5 ტ.ზ.
„ფერისა“	30X32 ელ.ვერსია	„ბენსიონერა...“	52,5X47 მ.ზ.
		„მწვანე მამალი“, ეძღვნება ყველას,	
ნიკოლოზ არაბიძე		მამლის წელში დაბადებულებს	55X61 ტ.ზ.
„უსახონი“	33,5X29 მ.ზ.	„იმერეთი“	35X50 მ.ზ.
„წუთისოფლები“	29X34 მ.ზ.	„ქუთაისი სახელოსნოდან“	92X72 ტ.ზ.
„ჭირი“	35,3X30 მ.ზ.		
„სკამიტაციები“	36,5X31 მ.ზ.	ლაშა პაპანაძე	
		სერიიდან — „ძველი სახლი“	93X26 ქვ.
გორჩა არიშვილი		სერიიდან — „ძველი სახლი“	38X26 ქვ.
„ძალა ერთობაშია“	43X31X7 ტ.თ.		
„იესო“	11X8 სპილ.ვერცხზე	გურამ კვიციანი	
		„კერამიკული ვაზა“	30X10X7 ტ.შამ.
ილია ავალიანი		„კერამიკული ვაზა“	30X10X7 ტ.შამ.
„ბაგრატის ტაძარი“	54X40 ტ.ზ.	„კერამიკული ვაზა“	30X10X7 ტ.შამ.
შალვა ბაქრაძე		თაბაგა ლანჩავა	
„უსათაურო“	17,2X2X2	„ომზა“	68X52 მ.ზ.
	ურთხმელი	„სიმონეთი“	50X35 ტ.ზ.
„უსათაურო“	13X8X4 ზვა		
		როგოი ლეკვიშვილი	
ლალი გეგალიშვილი		„ჩემი სოფელი“	76X65 ტ.ზ.
„დეკორატიული ირემი“	11X8 სპილ.ვერცხზე		
„ვედრება“	12X9 სპილ.ვერცხზე	თეკა მემანდიშვილი	
„წმ. გიორგი“	11X8 სპილ.ვერცხზე	„ვაუ“	110X88 ტ.ზ.
„ფისო“		„დრო“	53X52 ტ.ზ.
		„მოცა“	79X64 ტ.ზ.
დავით გაბუნია		„მთლიანი“	40X50 ტ.ზ. გობ.
„ნატურმორტი“	76,5X59 ტ.ზ.		
		როგორტ მნაცხაძენი	
გურამ გეგია		„მძიმი ჯვარი“	100X23X17 ტონ.თ.
„მკვდარი სოფელი“	38X37 მ.ზ.		
„ეკლესია ხეში“	38X37 მ.ზ.	ვალერი მემანდიშვილი	
		„ნატურმორტი“	25X19 მ.შ.ტ.
თენგიზ დათუაშვილი		„კომპოზიცია“	17X17 მ.შ.ტ.
„სახლები წითელი ხიდიდან“	32X20 ტ.ზ.	„ქალი ბავშვით“	14X14 მ.შ.ტ.
„მწვანეყვავილას უბანი“	32X20 ტ.ზ.	„მწყემსი“	14X14 მ.შ.ტ.
„ძველი ქუთაისი“	30X20 ტ.ზ.	„ძველი თბილისის უბანი“	16X16 მ.შ.ტ.

ზაურ მჟავანაძე		ზაურ წითაშვილი	
„სოფელი რიონი“	35X40 ტ.ზ.	„ქალის პორტრეტი“	35X35X26 ტ.თ.
„სოფელი ოზნა“	50X40 მ.ზ.		
„გზა“	45X40 მ.ზ.	მალხაზ მალაშვილი	
გიორგი ნიკოლაძე		„ღრუბლიანი დღე“	49X40 ქაკვ.
„ვარნიკა წერეთელი“	40X30 თაბ. შტ.	„ადამი და ევა“	41X38 ქაკვ.
		„მოქანდაკე“	48X40 ქაკვ.
ქრისტინე როზაშვილი		ღიმიტრი შანიძე	
„დედა ცხვარი“		„ხარება“	30X20 ქაკვ.
სერიიდან — „დედები“	50X70ტ.ზ.	„სოფ. ლადიში“	38X25 ქაკვ.
„ქალი ყვავილებით“	55X48 ტ.პასტ.	„ბროძოლის წინ“	27X38 ქფ.
„ჭალა“	60X50 ფოტ.ქაღ.	„სიწყნარე“	27X38 ქფ.
„თამაში ჭვავის ყანაში“	77X67. ფოტ.ქაღ.	„ობის მცველები“	27X38 ქფ.
ირაკლი სვანიძე		მინილ ჩოგოვაძე	
„სახურავებზე“	61X81 ქ.პასტ	სერიიდან — „ჩვენი იმერეთი“	
თეა სულაგერიძე		„ტყობული“	50X35 მ.ზ.
„ქუთაისი“	60X86	სერიიდან — „ჩვენი იმერეთი“	
	ქაკვფანქგუაში.	„ტყობულის გზა“	50X35 მ.ზ.
„ტროფი“—ბი	64X80 ტ.ზ.	სერიიდან — „ჩვენი იმერეთი“	
„ხეღა ყველანი უკეთ ვიქნებით“	40X86 ქფ.გ.	„სამხერე“	50X35 მ.ზ.
„კომპოზიცია შეკრული ნახატები და ნიუთები“	60X86 ქფაკვ.გ.	ელისო ჩუშვინიძე	
ავთანდილ ტატანაშვილი		„ნატურმორტი“	30X41 ქაკვ.
„საფარა“	20X30 ქფ.	„ნატურმორტი“	29X39 ქაკვ.
		„ციცკარი“	28X39 შალი
გივი ფრანგიშვილი		გონა ჩხანიძე	
„უმწოთა სასადილო“	120X90 ტ.ზ.	„შუაღმოსავლობა“	42X60 ქფ.
ოთარ ქანდარიანი		„ოქროს ვილინი“	23X28 მ.ზ.
„ოქროს ვერდიდან“	50X51 მტემბ.გუაში	„მიტოვებული საფლავი“	19X24 მ.ზ.
		თამარ ჭიჭინაძე	
„სანთელი“	50X51 მტემბ.გუაში	„სტატიკა და დინამიკა“	30X23 შალინართ.
„მზერა“	38X40 მტემბ.გუაში	„გაზაფხული“	22X24 შალინართ.
„სედა“	38X40 მტემბ.გუაში	„პორიფონტი“	22X22 შალინართ.
„სიცოცხლის ხე“	38X40 მტემბ.გუაში	„დაისი“	20X22 შალინართ.
დავით ქუთათელაძე		ვლადიმერ ხაჯაშვილი	
„ჩიტი“	85X62 შერ.ტექ.	„ავგისტო 2008“	65,5X45,5 ტ.ზ.
„აბსტრაქცია“	14X11 მინანქ.	„სამწყვერისი“	58X35 ტ.ზ.
„აბსტრაქცია“	8X15 მინანქ.	„დღეს“	75X65 შერ.ტ.
ლევან ქუთათელაძე		ავთანდილ ჯიჯუაძე	
„კომპოზიცია“	85X62 ლითოგრ.	„სვანეთი“	50X70 ტ.ზ.
„ვირი“	9X11 მინანქ.		

ს ა რ ჩ ე ვ ი

<p>ინტერვიუ საქართველოს მხატვართა კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელთან ჯეირან ფაჩუაშვილთან 3</p> <p>2009 წლის ღონისძიებათა ქრონიკა 8</p> <p>საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენები 15</p> <p>ზურაბ თოდუა ქუთაისური ფერწერა თანამედროვე ხელოვნების კონტექსტში 94</p> <p>ზურაბ თოდუა სამყარო უშუალო, მშვენიერი, მიაბიტური 104</p> <p>ნატალია პატარიძე ასალგაზრდა მხატვარი ირაკლი სვანიძე 110</p> <p>ნატალია პატარიძე თეკა მეგნეიშვილის „ბუნტის მითოლოგია“ 114</p> <p>შორენა ფხაკაძე ბარნაზ ფხაკაძე 118</p> <p>ანა ახვლედიანი ლევან ვეკუა 120</p> <p>ანა ახვლედიანი „მიქაელები“ 122</p> <p>ნატალია პატარიძე თანამედროვე საეკლესიო ფერწერა იმერეთში 126</p> <p>მანანა ლარცულიანი მხატვარი-პედაგოგი 136</p> <p>მანანა ლარცულიანი უანგარობა — მისი ცხოვრების წესი 138</p> <p>მანანა ლარცულიანი გიორგი ლომთაძე—60 ... 140</p> <p>მანანა ლარცულიანი ზურაბ მგელიაშვილი — 60 142</p> <p>ნინო ზაალიშვილი მამუკა ფრუიძე — მოსკოველი ქუთაისელი 144</p>	<p>ნინო ზაალიშვილი მოქანდაკე გია ტყაბლაძე 148</p> <p>ლია კობახიძე ქანდაკებები ქუთაისში 150</p> <p>ნინო ზაალიშვილი ბერნარდ ნებიერიძე 186</p> <p>ბერნარდ ნებიერიძის წერილებიდან 193</p> <p>რობერტ მნაცკანიანი მოგონებები ფრანციაზე 198</p> <p>კარლო ფაჩულია მეგობარი 201</p> <p>გიორგი ნიკოლაძე ჩვენი ფრანცია 202</p> <p>მანანა ლარცულიანი ფრანცია 204</p> <p>ზურაბ თოდუა „წელში ვატყეხლ დამცხრალ ფუნჯივით“ 206</p> <p>აეთანდილ აბესაძე შავთეთრი ფოტოსურათი (ვახტანგ ჯაყელის მოსაგონარი) 218</p> <p>ზურაბ თოდუა მზის სხივი ფუნჯის წვერზე ვახტანგ ჯაყელი 222</p> <p>მანანა ლარცულიანი შოთა მინდელი 226</p> <p>ნინო ზაალიშვილი მხატვრის გახსენება ბორის ჯიმშირაული — 80 230</p> <p>აკაკი კიკვაძე მოგონება მეგობარზე 234</p> <p>ნინო ზაალიშვილი ნოე გედენიძე (მხატვრის გზა — მათხოჯიდან მოსკოვამდე და უკან — საქართველოში) 236</p>
---	---



ISSN 1367-0717



9 771367 091004